

644
1966 / 4

ՀԱՄԱԵՆՆԻ
ՆՈՒՆՈՒԹՅՈՒՆ

ՀԱՄԱԵՆՆԻ



1966

5

მისწი

5

მ ა ი ს ი

1 9 6 6

ლიბერატურულ-
მხატვრული და
საზოგადოებრივ-
პოლიტიკური
შურნალი

საპარტვილოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა
და მწერალთა კავშირის ორგანო

თბილისი

10.336.

საქართველოს
საბჭოთავო
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი ხუტა ბერულავა

სარედაქციო კოლეგია: აკაკი ბაქრაძე, გურამ გვირგვინიძე, მერაბ
ელიოზიშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როინ მუტ-
რაველი, გურამ შანუგიძე (პ/მმ. მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვახტანგ
ხელიძე, სერგი ზილია, თამაზ ზილაძე, ლაშა ჯანაშია.

კიჩევი სკაილი

მოსკოვი, 17 მაისი...

ნონა გავრინდაშვილი

მაისი სილამაზისა და დღესასწაულების თვეა: პირველი მაისი მთელი მსოფლიოს მშრომელთა ძმობისა და ერთობის ზეიმი; ხუთი მაისი საბჭოთა პრესის ეკუთვნის; შვიდი მაისი უქალღლო და უმანძილო გაზეთს — რადიოს ეძღვნება; ცხრა მაისი დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების აღმნიშვნელია მარადსახსოვარი 1945 წლიდან.

წლებანდელი მაისი იმითაც არის სასიხარულო, რომ 17 მაისს მოსკოვში გაიხსნა ლენინური კომკავშირის მეთხუთმეტე ყრილობა. მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ აქ სახელოვანი ჭაბუკები და ქალიშვილები. ახალგაზრდულ ფორუმს წინ უსწრებდა ჩვენი დროის უდიდესი ისტორიული მოვლენა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა. მშობლიური პარტიის ბრძნული გადაწყვეტილებებით შთაგონებული ახალგაზრდობა, როგორც იტყვიან ხოლმე, ცეცხლის ხაზზე დგას, იბრძვის ახალი ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებისათვის.

ორგზის ლენინის ორდენოსანი საქარ-

თველოს 77 დელეგატი მონაწილეობდა კომკავშირის საკავშირო ფორუმში.

მე მინდა ხმამალა გაგიზიაროთ ჩემი სამაისო ფიქრები.

ახლა, უბირველეს ყოვლისა, ვფიქრობ ჩემს საამაყო ამხანაგებზე, რომლებთან ერთად მეც ამირჩიეს ყრილობის დელეგატად.

ერთი მათგანია ზუგდიდელი ჩაის მკრეფავი ვინარი სხულუხია.

ქართველი ხალხის მამაცმა შვილმა გრიგოლ სხულუხიამ სამამულო ომის მრისხანე დღეებში ლეგენდარული გმირობა გამოიჩინა. ვის არ ახსოვს მისი უცანასკნელი ბრძოლა, რაც ასე მართლად და ამაღლვებლად დაგვიხატა შესანიშნავმა რუსმა მწერალმა პეტრე პავლენკომ. არც ქართველი მწერლები და არჩენილან ვალში მგზნებარე მამულიშვილის წმინდა ხსოვნის წინაშე. სწორედ ამ უკვდავი ჯარისკაცის ქალიშვილია ჩემი მეგობარი ვინარი. მიხარია და მეამაყება, რომ ამ უბრალო და შრომისმოყვარე გოგონამ ასახელა მშობლიური სოფელიც, საქართველოს კომკავშირიც

და ბრძოლის ველზე რაინდულად დაცემული მამაც; მას ხომ ანლახან სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

მიხარია და მეამაყება შრომითი წარმატებანი გორის ბამბეულის კომბინატის მქსოველის ნანული ჩერქეზიშვილის და ქობულეთელი კოლმეურნის ქეთო გოგიტიძისა, რომლებიც სოციალისტური შრომის გმირები არიან.

საქართველოში კი არა, ჩვენი დიადი სამშობლოს გარეთაც იცნობენ ნიჭიერ პიანისტს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასპირანტს ელისო ვირსალაძეს. რამდენგზის გვასახელა მან შინ თუ გარეთ.

არსენ გიგაური ღუშეთის რაიონის ერთ-ერთი კოლმეურნეობის მოწინავე მწყემსია. ვინ არ იცის, რა მძიმე ჯაფა და ზოგჯერ ხიფათის გადატანა უხდება დარსა თუ ავღარში ღია ცისქვეშ მყოფ ახალგაზრდა კოლმეურნეს.

წელს ჩინებული საჩუქარი მიიღეს თბილისელებმა: მეტროპოლიტენის პირველი რიგი. მის სახელოვან მშენებელთა შორის არის ანზორ ბოკერია, რომელიც, ისე როგორც არსენ გიგაური, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრია.

ახალგაზრდა პოეტის ღია სტურუას ლექსების პირველი წიგნი შარშან გამოვიდა და ინტერესით წაგიკითხეთ მისმა თანატოლებმა.

ყრილობის დელეგატები იყვნენ ასევე: ყვარლელი მუშა ვანო ავაზაშვილი, რუსთაველი მეფოლაღე დიმიტრი ბარათაშვილი, ახალციხელი მუშა ბაბო ბლიაძე, საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტთა ბრიგადის ხელმძღვანელი თალიკო დეკანოიძე, თბილისის ლოკომოტივის დეპოს მემანქანე იოსებ ჯაფარაშვილი, ცხინვალის რაიონის

ნის სოფელ თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის მწველავი ნატაში მჭედჭედია, ბათუმელი ინჟინერ-მშენებელი ნული ზამბახიძე, სამტრედიის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი ინეზა ინასარიძე, ჩემი შშობლიური ინსტიტუტის — თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი და კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნენე ისაკიანი, გარდაბნული მეფრინველე ნანული ქარსელაძე, მახინჯაურელი მეციტრუსე ნათელა ლორია, კარდნახელი მევენახე ცოური მამულაშვილი, თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კლდეისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნოდარ მესტკვირიშვილი, თბილისის კალინინის რაიონის მილიციის განყოფილების უფროსი ჯემალ მიქელაძე, მფრინავი იური ოლენევი, ჭიათურელი მემანქანე ჯამბულ პაბიძე, გუდაუთის რაიონის სოფელ ლინის კოლმეურნეობის მერგოლური სულთან სამანჯია, რუსთაველი ინჟინერი შორენა სარიშვილი, ლაგოდეხელი კოლმეურნე მავული თაბაგარი და მრავალი სხვა.

როგორ მინდა სათითაოდ დავასახელო კომკავშირის საკავშირო ყრილობის ყველა ჩვენი დელეგატი! ისინი ქართველი ახალგაზრდობის ღირსეული წარმომადგენელნი არიან, შრომისა და სწავლის წარჩინებულნი.

რწმენას გვაძებს და სიამაყის გრძობით გვაესებს ის დიდი გამარჯვებები, რომლებსაც მიაღწია საბჭოთა საქართველომ უკანასკნელ წლებში სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის ყველა დარგში. ამ წარმატებებში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ახალგაზრდობამ.

ახალი ოცნებებით, სამაისო განწყობილებით აღსავსენი დაგბრუნდით დიდი დედაქალაქიდან.

ნოდარ შულეისკირი

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „დედა ენას“ ერის მომავლისათვის, რა „საერო“ და „სადღე-თო“ საქმეა „დედა ენის“ კარგად შედგენა. მას მხოლოდ კეთილი სურვილებითა და პატრიოტული ემოციებით ვეღარ შეადგენ. საქირთა დიდი გამოცდილება, მწერლობა და პროფესიონალიზმი, გოგებაშვილისებური ერუდიცია და საქმის სიყვარული. ამიტომ უფლება არა გვაქვს პატივისცემით, მოკრძალებითა და სიყვარულით არ აღვნიშნოთ საშვილიშვილო შრომა, რაც წლების მანძილზე გასწიეს ჩვენმა სახელოვანმა, მსცოვანმა პედაგოგებმა ნინო ბოცვაძემ და ეკატერინე ბურჯანაძემ. მათ მიერ შედგენილ „დედა ენაზე“ მთელი თაობები აღიზარდა. დღევანდელ ჩვენს ყმაწვილობასაც ეს სახელმძღვანელო ემსახურება.

როცა „დედა ენაზე“ ვლაპარაკობთ, უნებურად გვაგონდება იაკობ გოგებაშვილი. მისი შემოქმედება და პრაქტიკული მოღვაწეობა შესანიშნავი მაგალითია ჩვენი მწერლებისა და პედაგოგებისათვის.

ილია ჭავჭავაძემ შემთხვევით როდი გაამახვილა ყურადღება დედაზე, შექმნა ქართლის დედის კლასიკური სახე და თავის თანამედროვეთ უქადაგა, თუ რა არის ქართველი ქალის „დანიშნულება და საღვთო ვალი“. ი. გოგებაშვილმა კი ყმაწვილთა, ჯერ სრულიად ჩვილ ყრმათა გაწვრთნა-აღზრდა იკისრა. მათ საზოგადოებას მოუძებნეს სათავე — დედა და შვილი და მთელი ერის მოქცევა აქედან დაიწყო. ეს იყო მოფიქრებული, ღრმად გააზრებული ეროვნული ბრძოლის პროგრამა.

ამიტომ ქართული ანბანისა და საკითხავი წიგნის „დედა ენის“ პირველი გამოჩენა წიგნის თაროზე დიდი მოვლენა იყო ჩვენი ხალხისათვის. საზოგადოებაც მას ღრმა ინტერესით შეხვდა. „დიად, კარგი.

სწორედ ჩინებული დარი დაუდგა დედა-ენასა, — წერდა გოგებაშვილი, — ერთი წლის განმავლობაში მან გაიკრა მთელი ოთხი კრიტიკა. მეტი ღვთის წყალობა კიდევ გნებავთ, — მეტადრე ამ ჩვენს უფერულს და ზანტს დროში, როდესაც ამისთანა დიდად საყურადღებო, ფრიად შესანიშნავმა ლიტერატურულმა მოვლენამ, როგორც არის აკაკის ისტორიული პოემა, ჩვენს კრიტიკოსებს „ობლომოვშინი“ ვერ შეურყია, ყური ვერ გააბერტყინა“.

„დედა ენის“ გარშემო ცხარე კამათი გაჩაღდა. საქართველოს მოწინავე ინტელიგენციამ თავის ღვიძლ საქმედ გაიხადა „დედა ენის“ კარგად შედგენა.

რა თქმა უნდა, ჩვენ სულ სხვა დროში ვცხოვრობთ, ყველა პირობაა ბავშვებისათვის კარგი „დედა ენა“ შევადგინოთ. ამისთვის არსებობს სპეციალური დაწესებულებები და ინსტიტუტები. გვაქვს კიდევ მშვენიერი „დედა ენა“, მაგრამ შეიძლება თუ არა უკეთესი გვექონდეს?

ერთი წუთითაც არ დავივიწყებთ ამაგდარი პედაგოგების უანგარო ღვაწლს და ისე შევეცდებით გამოვთქვათ ჩვენი რამდენიმე მოსაზრება.

1. „დედა ენა“ არ არის თანამედროვე.

ბავშვი ყველა საუკუნეში ერთნაირია. გოგებაშვილის დროინდელი ბავშვი და ჩვენი საუკუნის ბავშვი, ვიდრე გონება არ გახსნიათ, ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ბუნება ერთნაირ ნაყოფს იძლევა ყველა დროში. მაგრამ ბავშვის განვითარება, მისი გონებრივი ჩამოყალიბება სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად ხდება. ეს გამოწვეულია გარემო პირობების, ყოფის ცვლილებით. შეიძლება ამგვარი საოცარი მაგალითის მოყვანა: ჩვენმა ბავშვმა ისეთი რამ იცის, რაც მე-19 საუკუნის საქართველოს ყველაზე მოწინავე მოაზროვნეებმა, თვით იაკობ გოგებაშვილმა და ილია ჭავჭავაძემაც კი

არ იცოდნენ. მაგ.: კოსმოსური ფრენა, რაკეტა, სკაფანდრი, ტელევიზორი და სხვა.

გადიდდა, გაფართოვდა ადამიანის გონების ჰორიზონტი. ნოსირელი თუ ძიმიოთელი ბავშვი დღეს ტელევიზორთან ზის და ჩეხოსლოვაკიიდან რეპორტაჟს უყურებს ან ინგლისურის გაკვეთილებს ისმენს.

საკითხავია, ამ ბავშვებისათვის საკმარისია თუ არა ჩვენი „დედა ენა?“ იქნებ სხვაგვარად უნდა ვესაუბროთ დღევანდელ ბავშვებს?

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ფაქტია: „დედა ენაში“ არსად არის ნახსენები კოსმოსი, კოსმოსის გმირები, ტელევიზორი, ფორტეპიანო. არც ერთი მასალა არ არის ოქტომბრელთა ცხოვრებიდან.

„დედა ენის“ ნორჩი გმირი არ არის ჩვენი თანამედროვე. იგი არ სწავლობს მუსიკას, არ უყურებს ტელევიზორს, არ იცის კოსმოსის ამბები. ხატვითაც კი არ დაინტერესებულა. „დედა ენის“ ბავშვი თითქმის მე-19 საუკუნის ბავშვია. იგი სოფლად იზრდება, ყურმასთან ერთად დაღის სამწყყემსურში ან ჭრელ პეპლებს დასდევს, ქალაქში იშვიათად ჩამოდის და როცა ჩამოდის, გაკვირებული ათვალიერებს ყოველივეს, უკვირს, რატომ არ არის თბილისში ბოსტნები და ყანები. სხვათა შორის, თბილისიც მე-19 საუკუნის დროინდელია, თორემ პატარა ვანოს უფრო გაუკვირდებოდა, როგორ მუშაობს საბაგირო გზა ან როგორ აგებენ ამხელა სატელევიზიო კოშკს.

ყურადღებით შევხედოთ პატარა ვანოს. ერთი წუთით დავუშვათ და ვაპატიოთ, რომ მან არ იცის, რა არის ატომური ყინულმჭრელი. გაოცებას იწვევს, როცა „დედა ენის“ შემდგენლები პატარა ვანოს ეკითხებიან — „რა ფერისაა რძე?“.

ვინ არის პატარა ვანო? — იგი არა მარტო მე-19 საუკუნის ბავშვია, საერთოდ, მე ასე მგონია, ნორმალურად განვითარებულიც არ უნდა იყოს.

ჩვენი ბავშვები კი ნორმალურად გან-

ვითარებული ბავშვებია, ისინი „დედა ენაში“ თავიანთ თავს ვერ დაინახავენ. უფრო მეტიც, მათ სრულებით იცნობენ ტერესებთ ამგვარი კითხვები: „რა ფერისაა რძე“ ან „რა არის პური“. ეს მათ კარგად იციან. მე არა ერთი მაგალითი ვიცი, როცა 6-7 წლის ბავშვმა მამას ჰკითხა: „როგორ წარმოიშვა ადამიანი მაიმუნისაგან“, „რა არის ღმერთი“ და სხვა.

სამწუხაროდ, მე ახლა ვამტკიცებ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, რასაც ყველა ხედავს, ყველა გრძნობს: დროის ცვლილებამ გამოიწვია ბავშვის გონების ადრეული განვითარება.

უნდა გაითვალისწინონ თუ არა „დედა ენის“ შემდგენლებმა ეს ცვლილება?

უნდა მივუსადაგოთ თუ არა ჩვენს დროს „დედა ენა?“

უნდა შევცვალოთ თუ არა არსებითად „დედა ენის“ შინაარსი?

თუ კითხვები, რომლებიც ადამიანს დაებადება, როცა დღევანდელ „დედა ენას“ თვალს გადაავლებს.

2. „დედა ენის“ მხატვრობაც არ არის თანამედროვე.

ეს ბუნებრივია, — მხატვარმა წიგნი შინაარსის მიხედვით უნდა დაასურათოს.

მე არ ვიცი, რატომ მოსწონთ ჩვენი „დედა ენის“ მხატვრობა. შეიძლება ვცდები და ბავშვებისთვის უმჯობესია „ფოტოგრაფიული“ მხატვრობა, მაგრამ არ შემიძლია ჩემი მოსაზრება მიანიც არ გამოვთქვა.

„დედა ენაში“ ყველა ბავშვი ერთმანეთსა ჰგავს. ყველა მამა, ყველა უფროსი ერთმანეთის ასლია. თუ უარყოფთ ხასიათის მხატვრობას, ხომ არ სჯობია ფოტო-სურათები გამოვაქვეყნოთ?

ბავშვის წარმოდგენით დათვი არასოდეს არ არის ისეთი, როგორიც ტყეში დადის. ზოგიერთ ბავშვს დათუნია წარმოდგენია კეთილ ცხოველად, ზოგს კი საშიში, ბოროტი ჰგონია იგი. ერთმა ბავშვმა მითხრა, დათეს აი, ამ ოთახისხელა მუცელი აქვსო. როცა მე გავიკვირე, ამ

ოთახისხელა მუცელი როგორ შეიძლე-
ბა-მეთქი, კიო, ერთი დათვი იყო ასე-
თითო — აიჩემა.

მე მგონია, ქვეყნად რამდენი ბავშვი-
ცაა, დათვიც იმდენია. არის თუ არა ამის
გათვალისწინება საჭირო?

„დედა ენის“ მეორე ნაწილი დაასურა-
თა მხატვარმა შალვა ცხადაძემ. შალვა
ცხადაძე არ ხატავს ისე, როგორც „დედა
ენა“ დაუსურათებია. ყველა ბავშვმა იც-
ის შალვა ცხადაძის კურდღლები, დათუ-
ნიები, თაგუნები. ჩვენს მხატვარს ნორ-
ჩი მიმბაძელების მთელი არმია ჰყავს.

მე მესმის, შემდგენლები მხატვრები-
სგან მტკიცედ მოითხოვენ იაკობ გოგე-
ბაშვილის პრინციპის დაცვას „დედა ენ-
ის“ დასურათებისას. ცნობილია გო-
გებაშვილის სამი მოთხოვნა: 1. „ცხადად
გამოიხატოს, გარკვევით დანახვოს მც-
ქერალსა“... „რომ მოსწავლემ მაშინვე
იცნოს საგანი“ 2. „სურათი უნდა იყოს
მიმზიდველი და სახალისო...“ 3. ნახატი
უნდა დაეხმაროს წერა-კითხვის თვალ-
საჩინო სწავლებას.

ეს მოთხოვნა როდი უბიძგებს ფოტო-
გრაფიული მხატვრობისაკენ, პირიქით,
სურათი უნდა იყოს მიმზიდველი და სა-
ხალისო, წერს გოგებაშვილი.

ჩემი აზრით, შემდგენლებმა მეტი თა-
ვისუფლება უნდა მისცენ მხატვრებს.
დარწმუნებული ვარ, ისინი შეძლებენ
„დედა ენა“ მიმზიდველად და სახალი-
სოდ დაასურათონ.

მ. „დედა ენაში“ ძალზე ცოტაა სიტყ-
ვა „დედა“, ლექსები და მოთხრობები
დედაზე.

როგორც ცნობილია, პირველი სიტყვა,
რომელსაც ბავშვი წარმოთქვამს, „დე-
დაა“. „დედა“ მისთვის ყველაზე საყვარ-
ელი სიტყვაა. მაშ, რატომ არ არის
„დედა ენაში“ ნორმალური სიტყვად „დე-
და“?

როცა ბავშვს „დედა“ ასო-ბგერას აცნო-
ბენ, შემდგენლებს ნორმალური სიტყვად
აურჩევიათ „დადა“. კარგი სიტყვაა, არა-
ფერი გვაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ
„დედაც“ ხომ უნდა იყოს სადმე?

რას ეძახიან პედაგოგები „ნორმალურ

სიტყვას?“ გამოდგება თუ არა „დედა“
ნორმალური სიტყვად? ნორმალური სიტ-
ყვა უნდა აკმაყოფილებდეს შემდგენლებს
თხოვნებს: 1. უნდა აღნიშნავდეს ბავშ-
ვისათვის მახლობელი, კონკრეტული სა-
გნის სახელს. 2. ბგერითი შედგენილო-
ბის მხრივ უნდა იყოს მარტივი. 3. ადვი-
ლად უნდა იზღებოდეს მარცვლებად და
ბგერებად. 4. უნდა შეიცავდეს მხოლოდ
ერთ უცნობ ასო-ბგერას. 5. შესასწავლი
ასო-ბგერა ადვილად უნდა გამოიყოფო-
დეს ნორმალური სიტყვიდან, ე. ი. სიტყ-
ვა არ უნდა იყოს ხმოვანდაჯგუფებული
ან თანხმოვანდაჯგუფებული.

როგორც ვხედავთ, სიტყვა „დედა“
ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. სა-
კუთრადღებოა, რომ „დედა“ ნორმალურ
სიტყვად გოგებაშვილსაც არ აურჩევია,
იგი გოგებაშვილის „დედა ენაშიც“ არ
არის.

იქნებ პედაგოგები ამ ფაქტს მეცნიერ-
ულად ასაბუთებენ და მე ვცდები. ყო-
ველ შემთხვევაში, რუსულსა და გერმა-
ნულ „დედა ენაში“ „დედა“ ნორმალურ
სიტყვადაც გამოუყენებიათ და დედაზე
უამრავი მოთხრობა და ლექსი შეუტა-
ნიათ. ქართულ „დედა ენაში“ (პირველი
ნაწილი) თხაზე სამი მასალაა: „თხა“,
„ვანოს ეზოში“ და „ჩურჩხელები“, დე-
დაზე კი ორი: „მოსიყვარულე შვილები“
და „ფეიქარი დედა“. მეორე ნაწილში
თხაზე სამი ნაწარმოებია. „თხა და გი-
გო“, „ჯიუტი თხები“, „თხა და ვენახი“.
დედაზე კი ორი: „მისაბაძი მავალითი“
და „მოსიყვარულე შვილი“. რუსულ
„დედა ენაში“ (პირველი ნაწილი) „დე-
და“ სხვადასხვა ადგილას 25-ჯერაა ნახ-
სენები, ქართულში კი 8-ჯერ.

რა მეცნიერული დასაბუთება უნდა
მოეძებნოს ამ ფაქტს?

4. „დედა ენის“ უპირველესი ამოცა-
ნა ბავშვს წერა-კითხვა შეასწავლოს.
ხოლო შემდეგ პირველმა ჩაუნერგოს
სამშობლოს სიყვარული.

ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვი-
ლის, აკაკი წერეთლის და სხვა ჩვენი დი-
დი პატრიოტების მეცადინეობა, გაეხს-
ნათ სკოლები, უმაღლესი სასწავლებლე-

ბი. გამოეცათ ყურნალ-გაზეთები, შეედგინათ „დედა ენა“, გაენათლებინათ ერი, ერთი წმინდა აზრით იყო გამსჭვალული — აღუზარდათ პატრიოტი თაობა, გაეღვიძებინათ ეროვნული თვითშეგნება. ჩვენს პირველ „დედა ენასაც“ სწორედ ეს ეროვნული მაღლი ეცხო.

დღევანდელ „დედა ენაში“ სამშობლოს სიყვარულზე ორად ორი ლექსია: „დილა“ და კუკური გოგიაშვილის „სამშობლოს სიყვარული“.

„დილა“ ჩვენი ბავშვების საყვარელი ლექსია, რომელიც „დედა ენაში“ თვითონ გოგებაშვილმა შეიტანა. არც კუკური გოგიაშვილის ლექსია ურიგო. იგი შეიძლება ავტორმა წიგნში შეიტანოს, დამხმარე სახელმძღვანელოში, ყურნალში გამოაქვეყნოს, სადაც უნდა, მაგრამ „დედა ენისთვის“ ისევე შეუფერებელია, როგორც ა. თევზაძის „ახალი ქუჩა“, რ. მარგიანის „საბჭოთა არმიელი“, ა. ონელის „ტყის მეგობრები“, ი. ნონევილის „მფრინავები“ და ს. შამფრინის „ლენინის ანდერძი“.

ვიმეორებ, ამ ლექსებზე ვერ ვიტყვით, რომ სუსტი ლექსებია, მაგრამ სადღეაენო არც ერთი არ არის. გოგებაშვილი გვასწავლის: „ამირჩიეთ უფრო თვალნათელი ფაქტები, დალაგებით უამბეთ ბავშვებსა, გადაუჭარბებლად, ურიტორიკოდ, საზოგადო ფრაზების მორიდებით და თქვენ მისცემთ მათ გონებასა და გულს საუკეთესო საზრდოსა“.

მაშასადამე, პატრიოტულ თემაზე „დედა ენაში“ მხოლოდ ერთადერთი ლექსია „დილა“, სადაც „საზოგადო ფრაზები მორიდებულია“ და ურიტორიკოაა ნათქვამი სამშობლოს სიყვარული. საკმარისია თუ არა ჩვენი ბავშვებისათვის სამშობლოს სიყვარულზე მხოლოდ ერთი ან ორი ლექსი? რატომ, რა მოსაზრებით არ არის „დედა ენაში“ დღუტუ მეგრელის „მე პატარა ქართველი ვარ“?...

წ. „დედა ენაში“ არ არის ჩვენი მოწინავე მწერლების ნაწარმოებები ან მათი ცუდი ლექსები და მოთხრობებია გამოკვეყნებული.

ვთქვათ, გვინდა თემატური ლექსი სა-

ბჭოთა არმიამზე ან გმირ მფრინავებზე, მაშინ საგანგებოდ „დედა ენისთვის“ უნდა დავაწერინოთ რევაზ მარგიანის^{მეგრული} ლექსები, როგორც ისინი საერთოდ წერენ, მათი შესანიშნავი პოეზიის ბაღალი ლექსი უნდა გამოქვეყნდეს „დედა ენაშიც“.

„დედა ენა“ უფრო დიდი წიგნია, უფრო წმინდა წიგნია, ვიდრე რომელიმე წიგნი ამ ქვეყანაზე.

„დედა ენაში“ არ არის ან ძალზე ცოტა სულხან-საბა ორბელიანის, ეზოპის, ტოლსტოის მოთხრობები და არაკები. გოგებაშვილის „დედა ენაში“ კი ამ ავტორების ნაწარმოებები უხვად იყო.

შევადართ ერთმანეთს გოგებაშვილის „დედა ენიდან“ ამოღებული ნაწარმოებები და ახალი, თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები.

თითქმის ყველაფერი, რაც „დედა ენაში“ კარგია, გოგებაშვილისეულია. „თხა და გიგო“, „ჯოუტი თხები“, „მჩხაგანა კატა“, „დილა“ და სხვა. ეს ნაწარმოებები ტონს აძლევს სახელმძღვანელოს. მეითხვეულს, ბავშვს სწორედ ეს ნაწარმოებები ამახსოვრდება. ეს მოსწონს, ხოლო ახალი, თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები ვერ სწვდება მის სულსა და გულს. ავიღოთ ლავრენტი ჭიჭინაძის მოთხრობა „მისაბაძი მაგალითი“. როგორც ადრე აღვნიშნეთ, „დედა ენაში“ დედაზე ძალზე ცოტა მასალაა, ამიტომ სასურველი იყო ეს მოთხრობა უკეთესი ყოფილიყო. მოთხრობაში თითქოს ყველაფერი რიგზეა, არის აზრი, თითქოს დიდაქტიკაც, ცუდი ქართულითაც არ არის დაწერილი, მაგრამ იგი ძალზე მშრალი და არამოციურია. აი, რა ხდება მოთხრობაში: ბავშვები შინ დედაზე ადრე მივიდნენ, მაგიდაზე დაუტრეცხავი ჭურჭელი დახვდათ. ბავშვებმა ჭურჭელი დარეცხეს, გაწმინდეს და შეინახეს. დედა მოვიდა, გაუხარდა და ორივე შვილს შუბლზე აკოცა.

ასეთი მშრალი დიდაქტიკა ვერ მივა ბავშვის გულამდე. „საბავშვო მოთხრობაში“ პირველი ადგილი უნდა ეჭიროს მოქმედების დახატვას, დრამატიზმსა“

ან იგი უნდა იყოს სახალისო, გონებამხვილური იუმორით სავსე. ზარმაცი გიგო თავის კანტურს რომ მოჰყვამ და თბა დეჯახა — ბავშვს ეს მოსწონს. ამ იუმორში შეფარებულია დიდაქტიკაც — სიზარმაცე არ არის კარგი.

მე არაფერს ვამბობ აღწერით მოთხრობებსა და ლექსებზე, მაგ.: „კოლმეურნეობის ბოსტანი“, „საბავშვო ბავა“ და სხვ. არც იმაზე, რომ ნინო ბეზარაშვილის მოთხრობა გიორგი შატბერაშვილისას ჰგავს, არც ის არის შემავფოთებელი, რომ ჩვენი სათაყვანო პოეტის ი. გრიშაშვილის ლექსი „კურდღელი და ბაჭიები“ ცოტათი პლაკატურია.

მე განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე კუკური გოგიაშვილის ლექსსა და ლავრენტი ჭიჭინაძის მოთხრობას იმიტომ, რომ ეს ნაწარმოებები დაწერილია ძალზე მაღალ და საჭირო თემებზე: სამშობლოსა და მშობლის სიყვარულზე. ამ თემაზე მაინც შევარჩიოთ სადღედადნო კარგი ლექსები და მოთხრობები. ქართულ მწერლობას არ უჭირს პატრიოტული ნაწარმოებები.

6. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი პოეზიით. სავსებით სამართლიანად ამბობენ, საქართველო პოეზიის ქვეყანააო.

ქართულმა ლექსმა მიადგინა გასაოცარ სრულყოფას და ამ დროს ქართულ „დედა ენაში“ რატომ უნდა იყოს ამგვარი სტრიქონები;

დამწიდა ბალო, დაშაქრდა,
ყველას დაუტკბო გულია.

ან კიდევ:

დედა ფეიქარია,
მქსოველია ცნობილი,
მოსწონთ მისი ნაშრომი
აბრეშუმის ქსოვილი.
შინ მოვა, გავგახარებს
ახალ-ახალ ამბებით:
დღესაც შევასრულეთო
გეგმა გადაჭარბებით!

ჩვენი ღრმა რწმენით, დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება ისეთი დედა, რომელიც ფაბრიკიდან შინ დაღლილ-დაქანცული დაბრუნდება და ბავშვებს მიახარებს: დღესაც შევასრულეთო გეგმა გა-

დაჭარბებით. ამგვარი „იდენტობა“ არავის სჭირდება, მით უფრო პატარებს.

ი. გოგებაშვილი გვასწავლის: „სხვადასხვა ბეს ბავშვის ბუნება ადვილად გრძნობს და ადვილადაც შეუძლიან შეიძლოს ის, რაც გინდა სიყალბით მას შეაყვარო“.

7. „დედა ენაში“ გვხვდება ზოგიერთი ენობრივი უზუსტობა, მხატვრულად მოუქნელი ფრაზა. რა თქმა უნდა, „დედა ენაში“ არ არის ენობრივი ლაფსუსები (ღმერთმა დაგვიფაროს!), არც კორექტური შეცდომებია, მაგრამ ოდნავ გაუბრუნდავი, გაუმართავი წინადადებაც კი ვნებს მოზარდის მეტყველებასა და აზროვნებას.

ყურადღებით წავიკითხოთ ლექსი „ლენინის ანდერძი“:

ჩვენს გულებში სამუდამოდ
მზის შუქივით დაიბუდა,
რაც ლენინმა გვიანდერძა:
სწავლა, სწავლა, სწავლა მუდამ!

ეს სტროფი ძალზე გრძელი და რთული წინადადებაა. რამ დაიბუდა ჩვენს გულებში? — უნდა ეძიოს ბავშვმა, — (იმხან) რაც ლენინმა გვიანდერძა. რა გვიანდერძა ლენინმა? — სწავლა, სწავლა და სწავლა. შეუძლია კი ბავშვს ამგვარი ანალიზი? ცხადია, პოეტს სურდა ეთქვა: „ჩვენს გულებში სამუდამოდ მზის შუქივით დაიბუდა ლენინის ანდერძმა: სწავლა, სწავლა და სწავლა“. ლექსში კი წინადადება დახლართული და გართულბულია.

„დედა ენის“ მკითხველებს უკეთესია აზრი მივაწოდოთ მარტივი წინადადებებით, მოკლედ და გასაგებად.

ლექსს მცირე უზუსტობაც კი ამახინჯებს, უკარგავს ელფერს და მიმზიდველობას. მშვენიერი ლექსია გ. კაპაჩინძის „იჩქარიან მალხაზები“, მაგრამ აი, როგორ მთავრდება იგი: „სიხარულით, სიყვარულით მკვირცხლად კიბე აირბინეს“. სიყვარულით კიბის არბენა ძალზე ძნელად წარმოსადგენი სურათია!

შემდგენლები ზოგჯერ არ იცავენ წინადადების მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრების განლაგების წესს. გასაგებია, როცა ეს წესი მხატვრული თვალ-

საზრისით ირღვევა. მაგრამ როცა არ არის არავითარი „თვალსაზრისი“, მაშინ უმჯობესია ბავშვებს დალაგებული წინადადებები წავაკითხოთ.

მაგ.: „ლენინი ამზადებდა მშრომელ ხალხს ბრძოლისათვის“. „მშრომელმა ხალხმა მოსპო მჩაგვრელები“. „სანდრო სიამოვნებით უტკეროდა, როცა ავადმყოფი პირს იტკებარუნებდა გემრიელი მსხლით“. „მთელი სოფელი განათებულია ელექტრონით“. „გრძელ ნისკარტს ხეს ურტყამს და ეძებს ჭიადუს ხის ქერქის ქვეშ“. „შემოეყარა წინ მამალი“. „მახათი შემოეყარა გზაზე“.

ეს წინადადებები უნდა დალაგდეს ასე: „ლენინი მშრომელ ხალხს ბრძოლისთვის ამზადებდა“. „მშრომელმა ხალხმა მჩაგვრელები მოსპო“. „სანდრო სიამოვნებით უტკეროდა (სიამოვნებით ცქერა?), როცა ავადმყოფი გემრიელი მსხლით პირს იტკებარუნებდა“. „მთელი სოფელი ელექტრონით განათებულია“. „გრძელ ნისკარტს ხეს ურტყამს და ქერქის ქვეშ ჭიადუს ეძებს“. „წინ მამალი შემოეყარა“. „გზაზე მახათი შემოეყარა“ და ა. შ.

გვხვდება აგრეთვე სხვადასხვაგვარი ენობრივი უზუსტობანი:

„პაწია ნახშირები ჩაუსვა“ (რა არაა პაწია ნახშირი?);

„ბინა მუხის ფულტროში აქვს“ (მუხის ფულტროში დაბინავებულა);

„თბილი, ფაფუკი ქურჭი აქვს“ (რადგან საუბარი ცხოველზეა, უმჯობესია „ქურჭი მოსაეს“);

„როგორ ვიწრო ქუჩა იყო“ (როგორი);

„პამიდორის ჩითილები“ (პამიდორის, ო-ვ, შდრ. მინდორი-მინდვრის);

„მაიას დიდდღის ხმა შეესმა“ (შემოესმა);

„წიწილები ბალახში გაიშალნენ (წიწილების გაშლა წარმოუდგენელია);

„თვალეები ცრემლებით ჰქონდა საცე“ (თვალეები ცრემლით აევსო, ან ავსებოდა);

„ქვითინი დაიწყო“ (მორთო);

„ყვავილებში ნაცელქარი“ (ნაცელქარი არ ვარგა);

„კოლმეურნეობის ქონების დაზოგვა“ (რა სათაურია);

„იცურავა თოვლზე“ (თოვლზე ვერ იცურავს);

„ბავშვი მთელი დღე დიდ სიხარულში იყო“ (სხვა წინადადებაა საჭირო);

„მელის კიდევ მოშვიებოდა“ (მოშვივდა);

„ღედა ენის“ შემდგენლები წერენ „ძალი ჰყვფს“. „ყვფს“ ერთბირიანი ზმნაა და „ჰ“ არ არის საჭირო. საფულისხმოა, რომ „ჰ“ და „ს“-ს სწორად წერის ცნობილ წესს შემდგენლები საერთოდ იცავენ, მაგრამ შეცდომა იქაა დაშვებული, სადაც ბავშვებმა ქართული წერის დედანი უნდა გაიცნონ, სადაც ყოველი ასო-ბგერა განსაკუთრებით სანიმუშო უნდა იყოს.

ჩემი ყურადღება მიიპყრო კიდევ ერთმა სიტყვამ: „ყვავის“. შემდგენლები წერენ „მწვანობს ჯვჯილი, ყვავის ხეხილი“. თითქოს ყველაფერი რიგზეა. „ყვავის“ ერთბირიანი ზმნაა და „ჰ“ არ არის საჭირო. მე კი გგონია, ამ სიტყვაში „ჰ“ სწორედ რომ საჭიროა.

თუ გრამატიკულ წესებს დავიცავთ, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს დაუუჯერებთ, მაშინ „ჰ“ არ არის საჭირო (სხვათა შორის, თუ შემდგენლები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს სახელმძღვანელოდ სცნობენ, იმავე გვერდზე, სადაც წერია „ყვავის“, პავს გარეშე წერია „ყვფს“ სიტყვაც).

თუ მართლწერის წესებს დავიცავთ და ორივე სიტყვას „ყვავის“ და „ყვფს“ სწორად დავწერთ, სადავო არაფერი გვექნება. მაგრამ თუ აღრევია, თუ ნებისმიერად წერა გვირჩევია, მაშინ ჰაე საჭიროებისამებრ გამოვიყენოთ. როგორც გამონაკლისი დავწერთ არა „ყვავის“, არამედ „ჰყვავის“. ეს სიტყვა ენათმეცნიერებისათვის სამაგალითო სიტყვაა. ზმნა „ყვავის“ და სახელი „ყვავის“ (ფრინველი) ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. მაგ., „ყვავის გურია“, ძნელი გასარკვევია, ყვავის გურიაზეა ლაპარაკი თუ გურიის აყვავებაზე. ამიტომ იქნება

უმჯობესია დავაკანონოთ „ჰყვავის“ და არა „ყვავის“.

8. როგორც ვიცით, „დედა ენაში“ პირველი გაკვეთილია „ია“. ანბანის შესწავლა იწყება ამ შესანიშნავი, მარტივი და ლამაზი სიტყვით. გავიხსენოთ პირველი გაკვეთილი.

ია
ია
აი ია
ია აი

გასაგები, კარგი და მშვენიერია სიტყვა „ია“. კარგია პირველი წინადადებაც, რომელსაც ბავშვი პირველად ეცნობა „აი ია“, მაგრამ რა არის „ია აი“? ეს არ არის სიტყვა, არ არის წინადადება, ეს უაზრობაა. ი. გოგებაშვილი კი სწორედ ამგვარი უაზრო სწავლების წინააღმდეგ იბრძოდა. მან ანბანის სწავლების ძველი მეთოდი შეცვალა და ჩვენს პედაგოგიკაში გადატრიალება მოახდინა იმით, რომ სწავლებას საფუძვლად აზრი დაუდო. გოგებაშვილი წერდა: „აი მისცეს ყმაწვილს ხელში ანბანი და ეუბნებინან: ეს ასო არის ა, ეს ბ და სხვანი. ყმაწვილის თავში, რასაკვირველია, არა პაზრი არ იხატება. ამიტომ პირველივე შეხვედრაზედ ყმაწვილს სწავლა ეჩვენება, როგორც ერთი უაზრო საგანი. ამ მეთოდს, მამასადამე, შეუძლიან პირველათვე შეაძულოს სწავლა ყმაწვილსა და წაართვას მას წადილი სწავლისა!

მეთოდი ზოლოთოვისა, რომელზედაც არის შედგენილი ეს ანბანი, არღვევს ზემოხსენებულს ნაკლულევიანებას.

ეს ანბანი იწყების სიტყვებიდან. მამასადამე, ყმაწვილი პირველვე დანახავს სწავლაში პაზრას; ამიტომ, რომ ყველა სიტყვა ხატავს რაიმე პაზრასა, აჩვენებს რომელიმე საგანსა. მამასადამე პირველთავე ყმაწვილი შეხედავს სწავლას, როგორც გონივრულ საგანს და წახალისდება... ან კიდევ: მასწავლებლის ყურადღება პირველად იმაზე უნდა იყოს მიქცეული, რომ ყმაწვილს ესმოდეს, რასაც წაიკითხავსო.

მამასადამე, რა გამოდის? გოგებაშვი-

ლი პრაქტიკულად არ აკეთებს იმას, რასაც თეორიულად ასაბუთებს. გადავხედოთ ი. გოგებაშვილის „ქართული ბანსა“ და „დედა ენას“.

როგორც ცნობილია, პირველი ქართული ანბანის პირველ გამოცემაში გოგებაშვილმა გაატარა ანალიზური მეთოდი. შემდეგ გამოცემებში მან ეს მეთოდი სინთეზურით შეცვალა და ბოლოს „დედა ენა“ შეადგინა ანალიზურ-სინთეზური ანუ სინკრეტული მეთოდით. „დედა ენასთან“ ყველაზე ახლოსაა ქართული ანბანის მეორე გამოცემა. ამ გამოცემაში პირველი გაკვეთილი ასე გამოიყურება:

ი. ა.
ია. აი.
აი ია.

ხედავთ, აქ წერტილი და დამორება რა დიდ როლს თამაშობს. აქ ცალკეა „ია“ და ცალკეა „აი“. ცალ-ცალკე კი ამ სიტყვებს აქვთ აზრი და დანიშნულება.

ახლა ჩავიხედოთ გოგებაშვილის „დედა ენაში“.

ია
ი ა
ია აი
აი ია

„დედა ენაში“ ავტორის წერტილი აღარ გამოუყენებია, მაგრამ სიტყვა „ია“ ისე დაუშორებია „აი“-საგან, რომ ცალ-ცალკე იკითხება.

როგორც ამ მაგალითებიდან ნათლად ჩანს, ჩვენს „დედა ენაში“ დაშვებულია ერთი შეხედვით მცირე შეცდომა: „ია“ და „აი“ ერთმანეთისაგან არ არის დაშორებული და იკითხება როგორც ერთი წინადადება — „ია აი“, რაც უაზრობაა და, ჩემი აზრით, უნდა გასწორდეს.

9. ახლა ვნახოთ შემდეგი გაკვეთილი — „თითი“.

აქ თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ კარგად თუ დავაკვირდებით, „თითსა“ და „თათს“ გარდა არის ერთი სიტყვა — „თითა“. იგი ლამაზიცაა, მარტი-

ვიც, კეთილზმოვანიც, ადვილად დასაშლელიც, მაგრამ აზრი?

როგორ აუხსნის მასწავლებელი ბავშვებს ამ სიტყვას? დაახლოებით ასე: „ბავშვებო, თითა ყურძნის ჯიშია...“ „ყურძნის ჯიში რა არის, მასწავლებლო?“ — იკითხავს ბავშვი. რა უნდა ქნას მასწავლებელმა, დარვინიზმი ახსნას? შეიძლება სოფელმა ბავშვმა უფრო გაიგოს რა არის თითა და ყურძნის ჯიში, მაგრამ ქალაქელ ბავშვს გაუჭირდება. გარდა იმისა, რომ მეორე გაკვეთილად „თითა“ ძნელი სიტყვაა, გაუგებარია, უცნაურია „დედა ენის“ შემდგენელთა ლოგიკა. ბავშვმა, რომელსაც ჩვენ ვეკითხებით „რა არის პური, რა ფერისაა რძე“, ცხადია, არ იცის, რომ პური საქმელია, რძე თეთრია. ასეთ ბავშვს როგორ გვაგებინოთ, რა არის „თითა“?

„თითა“ ი. გოგებაშვილის „დედა ენაშიც“ არის. თუ რაიმეს გონივრულს ვიპოვით და შევცვლით ამ სიტყვას ან სულ ამოვიღებთ, მე მგონი, არაფერი დაშავდება. ი. გოგებაშვილის „დედა ენაში“ საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებაა ჩვენი პედაგოგების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს ცვლილება ზოგჯერ ძალზე კარგია.

სხვას რომ თავი დავანებოთ, „თითა“ არღვევს შეგნებულობის გოგებაშვილისეულ პრინციპს, აქედან გამომდინარე დიდაქტიკურ წესს: ნაცნობიდან, მახლობლიდან, მარტივიდან და ადვილიდან უცნობზე, შორეულზე, რთულსა და ძნელზე თანდათანობით გადასვლის წესს.

10. ჩემი აზრით, ასევე საეჭვო სიტყვაა „სახა“.

ერთი შეხედვით ესეც ადვილად დასაყოფი, ტკბილზმოვანი სიტყვაა, მაგრამ როგორ ახსნის მას მასწავლებელი? ვთქვათ, გამოიყენა თვალსაჩინოება. როგორ უნდა დაიხატოს სახა, რომ ბავშვმა გაიგოს; მას ხომ ჯერ თავისი პირის ღრუ არ უნახავს? ისიც ცნობილია, რომ თვალსაჩინოება ყველა სკოლაში არ არის. მასწავლებელი იძულებული გახდება ბავშვებს სახა უჩვენოს, — თითი პირში ჩაიყოს. ჰკვიანმა მასწავლებელმა შეიძლე-

ბა ამას გვერდი აუაროს. მაგრამ ბავშვს უსათუოდ ჩაიყოს პირში თითს და სახას მოსინჯავს ან ამხანაგს უჩვენებდეს. მე მგონი, ეს სიტყვაც უნდა შეიცვალოს.

11. როცა ბავშვებს „ხ“ ასო-ბგერას ვაცნობთ, ნორმალური სიტყვაა „თხა“. შემდგენლებს დასაწერ-სავარჯიშოდ აუჩრჩევიათ „თიხა“, რაც არ უნდა იყოს სწორი.

ჯერ კიდევ იაკობ გოგებაშვილი აღიარებდა, ნორმალურ სიტყვად „თხა“, ისიც მეოთხე გაკვეთილად, არ გამოდგებო. მას არ მოსწონდა, რომ ამ ერთმარცვლიან სიტყვაში იყო საკმაოდ ძნელი „თხ“ კომპლექსი. მიუხედავად ამისა, „თხა“ მაინც დარჩა „დედა ენაში“. ბავშვებს უჭირთ ამ სიტყვის წარმოთქმა, ზოგიერთი ბავშვი წარმოთქვამს არა „თხას“, არამედ „ხთას“. ამ სიძნელის გამო, ხომ არ ჯობდა დასაწერადაც სიტყვა „თიხას“ ნაცვლად „თხა“ მიგვეცა. ბავშვი „თხ“ — კომპლექსს უფრო შეეჩვეოდა.

ასევე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ მეტად ცოტა მასალაა მშობლიურ გრძნობაზე, მაგალითად, დაძმურ სიყვარულზე; რომ ერთმანეთზე მიყოლებულია ერთფეროვანი ლექსები და მოთხრობები; რომ „დედა ენის“ პირველ წიგნში — ანბანში მხოლოდ ერთადერთ ანდაზას შეისწავლის ბავშვი. სასურველი კი იყო ანბანში ქართული ხატოვანი ანდაზები შემდგენლებს უფრო თამამად და უხვად შეეტანათ. „მაგრამ იქნება მითხრან: რა საჭიროა აჩქარება, ანდაზებს შეგიძლიანთ ფართო ადგილი დაუთმოთ პირველ საკითხავ წიგნში და ანბანში კი ადგილი არ მისცეთო. ამის პასუხად უნდა მოგახსენოთ, რომ ანდაზებს ზედგამოჭრილ და ძვირფას მასალად ჰხდის სწორედ ანბანისათვის ორი გარემოება. ჯერ ერთი ესა, რომ იგინი არიან გამოთქმულნი მშვენიერი, უნაკლულო ხალხური ენით და როგორც ლექსიკონით, ისე სინტაქსით სამაგალითო საკითხავს წარმოადგენენ. მეორედ, ყველა ანდაზა შესდგება ერთი ან ორი წინადადებისაგან,

რომლის წაკითხვა ბავშვს ისევე ეადვი-
ლებს, როგორც უბრალო ფრაზისა“ (ი.
გოგებაშვილი). შეიძლება გვემსჯე-
ლა „დედა ენის“ სხვა ნაკლოვანებებზე,
გაგვიჩინა ყოველი ლექსი და მოთხრო-
ბა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. **მთავა-
რია შეიცვალოს „დედა ენის“ შინაარსი.**

ჩემთვის, მაგალითად, აუხსენია ამგ-
ვარი სტატისტიკა:

რუსულ „დედა ენაში“ (Родная речь,
I ч.) 160 ლექსი, მოთხრობა და წასა-
კითხავი მასალაა ბავშვებზე, 15 — ცხო-
ველებზე, მცენარეებსა და ნივთებზე,
12 მასალა ზოგადი ხასიათისაა. ქართუ-
ლში კი 40 საკითხავი მასალაა ცხოველე-
ბზე, ფრინველებსა და ნივთებზე, 35 ბა-
შვებზე და 8 ზოგადი ხასიათისა.

გერმანულ სახელმძღვანელოში თითქ-
მის ყველა მოთხრობაში, ლექსსა თუ
ზღაპარში მონაწილეობს ბავშვი, თუ არ
მონაწილეობს, დახატული მაინცაა.

მე არ ვიცი, ქართულ „დედა ენაში“
ცხოველების ასეთი სიჭარბე კარგია თუ
ცუდი. ი. გოგებაშვილს მოსწონდა „დე-
და ენაში“ ცხოველთა სიჭარბე, მაგრამ
ისიც ხომ ცნობილია, რომ უშინსკისაც
მოსწონდა?

ეს საკითხი შესწავლასა და დაკვირვე-
ბას მოითხოვს. „დედა ენაში“ უნდა დამ-
ყარდეს გარკვეული ზომიერება, „დედა
ენა“ არ არის „ბუნების კარი“. „დედა
ენის“ მთავარი მოქმედი გმირი მაინც ბა-
ვშვი უნდა იყოს, თანამედროვე, გონებ-
რივად განვითარებული ბავშვი.

არცთუ დიდი ხნის წინათ მწერალთა
კავშირში განვიხილეთ ნ. ბოცვაძისა და
ე. ბურჯანაძის მიერ შედგენილი „დედა
ენა“.

გაიზიარეს თუ არა პედაგოგებმა მწე-
რალთა სამართლიანი შენიშვნები? სამ-
წუხაროდ, ყური არ გვატხოვებს, ქვა ააგ-
დეს და თავი შეუშვირეს, პოლემიკის გა-
მწვავებას თავი აარიდეს. ილაპარაკეს
ზოგადად, საერთოდ, ხშირ-ხშირად იხმა-
რეს ლამაზი ქართული გამოთქმა „რო-
გორ შეიძლება, გეთაყვა“ და სხვ. მხო-
ლოდ ერთ შენიშვნას მიაქციეს ყურად-

ღება — **დედა ენის თემატიკა არ არის
თანამედროვე.** დიდხანს ამტკიცეს, კონ-
სონანტების ბავშვისთვის გაუგებრობის
შედეგად.

პედაგოგების გამოსვლა ამგვარად და-
იწყო: გამოვიდა ერთი ორატორი და
თქვა, რომ იგი ოცი წლის იყო, როცა პი-
რველად ჰქამა მაწონი, მანამდე კი „დედა
ენიდან“ იცოდა მოხდენილი გამოთქმა—
„მაწონი მყავდა“ და ამით კმაყოფილდ-
ებოდა.

საკვირველია, სად ცხოვრობდა პატივ-
ცემული ორატორი, საქართველოს რო-
მელ კუთხეში, რომ ოც წლამდე მაწონი
არ უჭამია. საქართველოში მაწონი
ყველგანაა. იაფიც არის, იშოვება კიდევ.
მაშ, რად არ შეჭამა მაწონი და გემო რად
არ გაუსინჯა? იქნებ ჯერაც არ უჭამია
ჩვენს ორატორს მაწონი? თორემ უსათუ-
ოდ მიხვდებოდა, რომ სიმყავე მაწვნის
თვისება არ არის. **ახალი მაწონი მუჟვე არ
არის, მუჟვე დამპალი მაწონია.** ხომ არ
აჯობებდა, ორატორს შემდგენლებისათ-
ვის ერჩია, ამოეღოთ ეს საექვო ფრაზა
„დედა ენიდან“ და უცნაური მაგალითით
უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეყენე-
ბინა თავისი თავი.

პირველ ორატორს მოჰყენენ პრაქტი-
კოსი პედაგოგები. აი, მაშინ წამოვიდა
„როგორ შეიძლება, გეთაყვას“ ნიაღვა-
რი. მართალია, „ღრმა აზროვნებაში“ პი-
რველ ორატორს ვერ გაუსწრეს, მაგრამ
მათი საუბრიდან მე გამოვიტანე იმგვარი
დასკვნა, რომ ისინი არ ეთანხმებიან
ჩვენს პირველ დებულებას—**„დედა ე-
ნის“ თემატიკა არ არის თანამედროვე,**
რომ ჩვენ, მწერლებმა, არ ვიციით ბავშ-
ვის ფსიქოლოგია, არ ვიციით სასკოლო
ცხოვრება. შევიღი-რვა წლის ბავშვს არ
შეუძლია გაიგოს მოთხრობები, ლექსები
და საინტერესო ამბები კონსონანტებზე,
რაკეტებზე, ციურ სხეულებზე, რომ სა-
ჭირო არ არის დღევანდელი ბავშვის სუ-
რვილებისა და მისწრაფებების, მისი ყო-
ფა-ცხოვრების ისე დახატვა, როგორც ეს
სინამდვილეშია. ბავშვს უნდა შევასწავ-
ლოთ, რომ რძე თეთრია, მაწონი მყავდა,
ქინაქინა ციების წამალია, პამიდორი წი-
თელია და სხვა.

პედაგოგების ამგვარმა ერთსულოვან-
მა შემოტევამ ჩაგვაღიქრა. ვიფიქრეთ,
იქნებ ვცდებით, იქნებ თავიანთი საქმე
თვითონ უკეთ იციან, მერე რა რომ გო-
გებაშვილის ენაზე საუბარი დაეწყნი-
ათ. ისინი პრაქტიკოსები არიან. პატივი
ვეცით პრაქტიკოს პედაგოგზე ჩვენს წა-
რმოდგენას, პოლემიკა არ გავამწვავეთ
და გახუფება ვარჩიეთ. შემდეგ ამ სა-
კითხს ჩავეუფიქრდით, გავზომეთ, ავწონ-
დავწონეთ და შევამოწმეთ, მართლა გაუ-
ვებარია თუ არა ჩვენი ბავშვისათვის კო-
სმოსის ამბები? მართლა არ განსხვავდე-
ბა თანამედროვე ბავშვი მე-19 საუკუნის
ბავშვისაგან? შემოვიარე თბილისის
სკოლები და საბავშვო ბაღები, მოვუს-
მინე ბავშვებს და აი, რა გამოირკვა:

თბილისის მე-60 საშუალო სკოლის
პირველ კლასში ერთ-ერთ გაკვეთილს
დავესწარი. პატარებს ვკითხე: რა არის
თითა? დამემოწმება პედაგოგი თათუ-
შა გოვინავა, კლასში სამარისებური
სიჩუმე ჩამოვარდა. პედაგოგმა გაკვირ-
ვებით მოავლო კლასს თვალი და დაიწ-
ყო: — ბავშვებო, თუ რა არის თითა,
თქვენ დიდი ხნის წინათ ისწავლეთ. აბა,
კარგად გაიხსენეთ?.. ყოჩაღად! ცოცხ-
ლად!.. — პედაგოგის ჩარევამ ბავშვები
მართლაც გამოაცოცხლა. ხუთმა მათგან-
მა ასწია თითი. აქედან ორმა არ იცოდა
რა იყო თითა, სამმა თქვა ყურძენი.

ამის შემდეგ კვლავ შევეკითხე მათ: —
აბა მითხარით, ვინ არიან კოსმოსის
გმირები? ორმოცმა ბავშვმა, როგორც
ერთმა, თითი ასწია. თავიანთი ცოდნით
გახარებულებმა, თვალგებაბრწყინებუ-
ლებმა ჩამოგვითვალეს კოსმონავტები.
შეკითხვა გავართულეთ: რით მიფრინა-
ვენ კოსმოსში? ბავშვებმა გვიპასუხეს—
რაკეტით, კოსმოსური ხომალდითო, მხო-
ლოდ ერთმა თქვა თვითმფრინავითო.

იგივე სურათი განმეორდა 62-ე საშუ-
ალო სკოლის 12 კლასში. გაკვეთილებს
ესწრებოდნენ ამ სკოლის სასწავლო ნა-
წილის გამგე, პედაგოგი ნინო ჯანდიერი
და პედაგოგი მერი ლომიძე. ჩვენს შე-
კითხვაზე, თუ რა არის თითა, ხუთიოდე
ბავშვმა ასწია თითი, მაგრამ ორმოცმა

ბავშვმა, უკლებლივ ყველამ, ხალისით
უპასუხა შეკითხვებს, თუ რით მიფრინა-
ვენ კოსმოსში და ვინ არიან კოსმონავტ-
გმირები. მაშინ ჩვენ უფრო გავართუ-
ლეთ შეკითხვა: რა არის კოსმოსი? აქ პე-
დაგოგმა ვადმომხელა და მითხრა: ძალზე
რთული შეკითხვაა, ვერ უპასუხებენო.
ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა,
როცა კლასში სამმა ბავშვმა ასე გვიპა-
სუხა:

პირველი ბავშვი: კოსმოსი არის უჰაე-
რო სივრცე.

მეორე ბავშვი: კოსმოსი არის, სადაც
ყოველთვის ბნელა.

მესამე ბავშვი: კოსმოსი არის ის, სა-
დაც რაკეტით მიფრინავენ.

ჩვენს შეკითხვებზე პასუხის გაცემა 1⁴
კლასშიც არ გასჭირვებით. აქაც გვითხ-
რეს, რომ კოსმოსი უჰაერო სივრცეა, კო-
სმოსში რაკეტით მიფრინავენ და სხვა.
ხოლო როცა შევეკითხეთ, რა არის თი-
თა, კანტი-კუნტად გვიპასუხეს. ერთმა
ბავშვმა გვითხრა, თითა ყურძნის ჯიშიაო.

— რა არის ყურძნის ჯიში? — ვეკით-
ხეთ ჩვენ და ჩვენივე შეკითხვისა შეგვრ-
ცხვა.

ძალზე საინტერესო გამოდგა შეკითხ-
ვა — რა არის სასა. ორმოცმა ბავშვმა
ერთდროულად პირისკენ წაიღო თითი,
მასწავლებელს გაეცინა.

24-ე საშუალო სკოლაში ჩვენს ექსპე-
რიმენტს სკოლის დირექტორი ალექსან-
დრე მეტრეველი დაესწრო. პატივცემუ-
ლი პედაგოგი თვითონ ესაუბრა მოსწავ-
ლეებს.

ბავშვებმა მხიარულად მიუგეს შე-
კითხვებზე: რით მიფრინავენ კოსმოსში,
ჩამომითვალეთ კოსმოსის გმირები, ვინ
არის რუსთველი, რა არის კოსმოსი. ხო-
ლო 1⁴ კლასში (პედაგოგი გალინა გოგი-
ჩაიშვილი), როცა დირექტორმა ბავშვებს
ჰკითხა — რა არის თითა, მხოლოდ ერთ-
მა ბავშვმა ასწია თითი.

— თითა არის თითი, მასწავლებე-
ლო, — თქვა იმ ბავშვმა და თითი გვიჩ-
ვენა.

— რით მიფრინავენ კოსმოსში, ბავშ-
ვებო?

— რაკეტით, კოსმოსური ხომალ-
დით, — მოგვიგეს პატარებმა.

ბავშვებმა უპასუხეს ჩვენს ძნელ შეკი-
თხვასაც: რა არის კოსმოსი, — კოსმოსი
არის ის, სადაც რაკეტები და ხომალდე-
ბი დაფრინავენ. პედაგოგი გოგიჩაიშვი-
ლი გაკვირვებული დარჩა, ბავშვებმა არ
იციან ის, რაც მან ასე გულმოდგინედ ას-
წავლა და იციან ის, რაც არ უსწავლებია.

— იცით, რა, — მითხრა პედაგოგმა, —
მწერალთა კავშირში მე თქვენს მოხსენე-
ბას ვესწრებოდი, სიტყვის თქმა მინდო-
და, მაგრამ ვერ გავბედე.

უმჯობესი კია გავბედოთ, კოლეგებს
არ მოვერიდოთ და ვთქვათ, რაც სიმარ-
თლია. ჩვენმა ბავშვებმა დღეს უკეთ იც-
იან სიტყვები: კოსმონავტი, რაკეტა, ხო-
მალდი, თვითმფრინავი, ვიდრე თითა,
ტაბიკი, კოზაკი, სახნისი.

უფრო საინტერესო იყო საბავშვო ბა-
ღელებთან საუბარი. 59-ე საბავშვო ბაღ-
ში უფროს და საშუალო ჯგუფელებს
(საერთო ასაკი 5-6 წ.) შევეკითხე: რით
მიფრინავენ კოსმოსში, ჩამომითვალეთ
კოსმონავტები, ვინ არის რუსთველი.
ამ საბავშვო ბაღში შევიმოწმეთ ასამ-
დე ბავშვი. ჩვენთან ერთად იყვნენ სა-
ბავშვო ბაღის გამგე ნინო ევანტაშვი-
ლი, აღმზრდელები ქეთევან კობალიანი,
ეთერ ხუციშვილი და ლუიზა კურდლე-
ლაშვილი. ბავშვებმა მშვენივრად გვიბა-
სუხეს. საინტერესოა ზოგიერთი ბავშვის
პასუხი. ერთმა კოსმონავტები ასე ჩამო-
გვითვალა: **ვაგარინი, ჩკალოვი, ტიტოვი.**
მეორემ „ნეფხისტყაოსნიდან“ ნაწყვე-
ტიც („ნახეს უტხო მოყმე ვინმე“) კა-
გვითხრა ზეპირად. ჩვენს ძნელ შეკითხ-
ვას — რა არის კოსმოსი, აქ ვერ უპასუ-
ხეს. ერთმა ბავშვმა კი კოსმოსი ასე „ახ-
სნა“: **კოსმოსი რაკეტის ბოლიაო. რა**
თქმა უნდა, სკოლაძელისათვის ძა-
ლზე ძნელი შეკითხვაა — რა არის კოს-
მოსი. მაგრამ მათ იციან კოსმონავტები,
რაკეტა, გაუგონიათ სიტყვა კოსმოსი.
„რაკეტის ბოლივით“ რაღაც ზუნდოვანი
წარბოლგენა მაინცა აქვთ კოსმოსზე.

დღესავით ნათელია, რომ თანამედ-
როვე ბავშვი გონებრივად უფრო გა-

ნვითარებულია, ვიდრე მე-19 საუკუნე-
სა. თუ ნორჩი მოქალაქის სწავლად
რდას სწორად წარგმართავთ, თუ და-
ცავთ სწავლებაში გოგებაშვილის პრინ-
ციპს — **ბავშვმა სწავლაში თავიდანვე**
დაინახოს აზრი, შესანიშნავ შედეგს მი-
ვიღებთ.

თბილისის მე-10 საშუალო სკოლაში
დაესწარი საექსპერიმენტო კლასის მე-
ცადინეობას (პედაგოგიკის ინსტიტუტის
რესპუბლიკაში სამოცამდე საექსპერი-
მენტო კლასი ჰყავს). ჩემთან ერთად გაკ-
ვეთილებს დაესწრნენ: ყურნალ „დი-
ლას“ რედაქტორი, პოეტი ჯანსუღ ჩარკ-
ვიანი, პედაგოგიკის ინსტიტუტის სწავ-
ლული მდივანი შალვა ამონაშვილი, ინ-
სტიტუტის მეცნიერ მუშაკები გუგა მი-
ქაძე და შოთა ბაკურაძე, მასწავლებელი
დოდო მახარაძე.

ჩვენ ვნახეთ ცოცხალი, ძალზე საინტე-
რესო გაკვეთილები. მასწავლებელი ბავ-
შვებს ნიშნებს არ უწერს (საექსპერიმენ-
ტო კლასებში უნიშნო სწავლებაა), მაგ-
რამ აქაურმა მეორეკლასელმა მესამე-
კლასელზე მეტი იცის, უკეთ წერს, უკეთ
მეტყველებს. რატომ? რა არის მიზეზი?

საექსპერიმენტო კლასებში მთავარი
ყურადღება ეთმობა სწავლებაში **შინაარ-**
სეულ ინტერესს. ბავშვები ერთმანეთის
ჯიბრზე კი არ სწავლობენ, სწავლობენ,
რომ კარგად იცოდნენ, არ უფითარდებთ
შურის გრძობა და სხვა. „შინაარსეული
ინტერესის პედაგოგიური მნიშვნელობა
უდავოა: იგი ნამდვილი სწავლის, ნამდ-
ვილი განათლების ერთ-ერთს უმნიშვნე-
ლოვანეს ფაქტორს წარმოადგენს“ (დ.
უზნაძე).

მართალია, უნიშნო სწავლების შემო-
ღება ჩვენს სკოლებში ძალზე რთული და
საქოქმანო რამაა, მაგრამ ენთუზიასტი
პედაგოგების ექსპერიმენტი საინტერე-
სო და დამაფიქრებელია.

ფსიქოლოგიაში ცნობილია ააღის კა-
ნონი. „იგი შემდეგში მდგომარეობს:
როდესაც მასალა განსაზღვრული ვადი-
სათვის მზადდება, მაგალითად, გამოც-
დის ჩაბარების მიზნით, მაშინ იგი უფრო
მალე გვაფიწყდება, ვიდრე იმ შემთხვევა-

ში, როდესაც ეს უფრო ხანგრძლივი ვადისათვის ხდება“ (დ. უზნაძე).

საექსპერიმენტო კლასებში სწორედ ეს განსაზღვრული ვადისათვის, განსაზღვრული მიზნისათვის — ნიშნისათვის სწავლაა უარყოფილი. ამგვარი სწავლებისათვის კი სრულიად შეუსაბამოა მექანიკური „დასწავლა“. მაგალითად, მეორეკლასელ ბავშვებს ჩვენ ვუჩვენებთ ნახატი და ამ ნახატის მიხედვით კლასში რამდენი ბავშვიც იყო, იმდენი მშვენიერი პატარა მოთხრობა დაიწერა. ხოლო როცა ამ ბავშვებს შევეკითხეთ, რა არის ტაბიკი, კლასში ჩვენთვის ნაცნობი სიჩუმე ჩამოვარდა. მართალია, მათ უსწავლიათ რა არის ტაბიკი, მაგრამ ეტყობა მასში აზრი ვერ დაუნახავთ, მასწავლებლის ნათქვამი კი ადვილად დაეწყნიათ. ტაბიკი ბავშვისთვის ძალზე შორეული, ძნელად გასაგები საგანია და მასწავლებლის ნათქვამის მექანიკური „გაზუთხვაც“ კი არ შევლის საქმეს.

მე ვესაუბრე ათასამდე ბავშვს (ასაკი 5, 6, 7, 8, 9 წ.). მათგან პირველკლასელმა თითქმის ყველამ იცის, რით მიფრინავენ კოსმოსში, ვინ არიან კოსმონავტები, რა არის რაკეტა. ძალზე ცოტამ იცის, რა არის თითა, ურემი, ტაბიკი, კოზაკი.

ჩვენ, უფროსები, ბავშვებს ცილს ნუ დაეწამებთ, კოსმოსის თემაზე კარგ მოთხრობასა და ლექსს ისინი ადვილად გაიგებენ. იქნებ ვინმემ მოთხრას, თქვენ გავიწყდებათ სოფლის სკოლის მოსწავლეო. არ მაეიწყლება: ჯერ ერთი, დღეს სოფლელი და ქალაქელი ბავშვების ყოფა ცოტათი განსხვავდება ერთმანეთისაგან. მეორეც, „დედა ენა“ მხოლოდ სოფლელი ბავშვისათვის ხომ არ შეგვიდგენია? როგორც ცნობილია, საქართველოში 99.756 ბავშვი სწავლობს პირველ კლასში. აქედან ქალაქის სკოლაში სწავლობს — 40.010, სოფლის სკოლაში — 59.746 ბავშვი. აი, ამ ასი ათასი პირველკლასელის სახელით შემიძლია თამამად ვთქვა, რომ „დედა ენა“ ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი ბავშვის ფანტაზიას, მის ცნობისმოყვარეობას, ვერ ასახავს

მის ყოფას, სურვილებსა და მისწრაფებებს.

ჩვენ არ მოვიხსოვრებ „დედა ენა“ გავაძევოთ სიტყვები თითა, ურემი, ტაბიკი, კოზაკი, სახნისი, შესანიშნავი მოთხრობები თხებზე, ორ სახნისზე, ურემზე და სხვა. ვფიქრობთ, „დედა ენა“ უფრო დამშვენდება, გალამაზდება, თუ ბავშვის დღევანდელი ყოფის ამსახველ ნაწარმოებებსაც შევიტანთ მასში. გავამდიდრებთ ბავშვის გონებას, დავაკმაყოფილებთ მის ცნობისმოყვარეობას, თუ კოსმოსის ამებზე მხიარულ ლექსებსა და მოთხრობებს გამოვაქვეყნებთ.

ნუ გავჩიუტდებით და ნუ შევეუდგებით, როგორც გოგებაშვილი იტყოდა: „ჩიხო-მახო“ საკითხების პი-პარად მტკიცებას, რომ მთავარია „დედა ენაში“ ეწეროს: „მაწონი მყავდა, ქინაქინა ციების წამალია“ და სხვა. საკმარისია, ერთი საუკუნეა ხალხს ვასწავლით, მაწონი მყავდაო და მყავე კი არ არის. ქინაქინა ციების წამალიაო და ციების წამალი აღარ არის. ნუთუ ამის დაჯერება ძნელია?

1930 წლიდან ქინაქინა ციების წამალი არ არის. როგორც საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში გვითხრეს, 30 წელია საქართველოში ციების სამკურნალოდ იხმარება შემდეგი პრეპარატები: აკრიქინი, პლაზმოციდი, ქინიციდი, ბიგუმალი. აკრიქინი არის ის ჯალანსურის წამალი, რომელმაც სხვა ღონისძიებებთან ერთად საქართველოში მალარია (ციება) მოსპო. 1965 წელს საქართველოში გვყავდა ციებით დაავადებული მხოლოდ ერთი კაცი, ხოლო 1966 წელს ავად აღარავინაა. მაშ, რა საჭიროა, „დედა ენაში“ ეწეროს „ქინაქინა ციების წამალია“ და სხვა მისთანანი? მით უფრო, როცა ქინაქინა თურმე გულის კუნთის ზოგიერთი დაავადების წამალია და არა ციების. ციების ყველაზე პოპულარული წამალი აკრიქინია.

„დედა ენაში“ დაბეჭდილი ყოველი სიტყვა ყურადღებით უნდა ავწონ-დავწონოთ, გონების თვალით გაეჩხრიკოთ ყოველი წინადადება, ვიმსჯელოთ მშვიდად და აუღელვებლად. ჩვენ გვყვანან ღრმად მოაზროვნე, საქმის მცოდნე პედაგოგები (სამწუხაროდ, „დედა ენის“ განხილვას ბევრი მათგანი არ დასწრებია), რომლებთანაც „დალაგებული ბაასი მოხერხდება, სადავო კითხვების დამშვიდებული გამოკვლევა და საეჭვო აზ-

რების დინჯად გამოძიება შეუძლებელი არ არის“ (ი. გოგებაშვილი).

ხომ არ დადგა დრო საფუძვლად შევისწავლოთ და მეცნიერულად გავანალიზოთ ჩვენი „დედა ენა“, შევადაროთ იგი მოწინავე ერების „დედა ენებს“. ჩავუფიქრდეთ, ჩავუკვირდეთ და ერთ გარკვეულ აზრამდე მივიდეთ. ჩვენი ხალხი ღირსია უკეთესი „დედა ენა“ ჰქონდეს.

ბაღავხალოთ ქიიის სახელმძღვანელოსაც

ალექსანდრე ონიანი

ყველაფერი, რაც იწერება (მით უფრო — რაც იბეჭდება), განკუთვნილია მკითხველისათვის.

ავტორი რომ ვალმობდილი იყოს მკითხველის წინაშე, საჭიროა ნაშრომი აკმაყოფილებდეს ორ პირობას მაინც: ა) შინაარსობლივ იდგეს თანამედროვეობის დონეზე, ბ) აზრი გადმოცემული იყოს სხარტად და ნათლად, ნაშრომის ენა შეესაბამებოდეს სალიტერატურო ენის განვითარების თანამედროვე დონეს.

მხატვრული ნაწარმოები ან მეცნიერული გამოკვლევა თვითონვე იძენს (ან ვერ იძენს) მკითხველს იმის მიხედვით, თუ როგორ არის მასში დაკმაყოფილებული ზემოაღნიშნული მოთხოვნები. სახელმძღვანელოსათვის იმთავითვეა განკუთვნილი მკითხველთა დიდი წრე (საშუალო სკოლის მოსწავლეები ან სტუდენტობა), რომელსაც არჩევანის საშუალება არა აქვს. ამასთანავე, მოსწავლეთათვის სავალდებულოა სახელმძღვანელოს საფუძვლიანად შესწავლა (და არა უბრალო წაკითხვა). მოსწავლე ახალგაზრდობა კი საზოგადოების ის ნაწილია,

რომლის აზროვნება, წერისა და მეტყველების კულტურა ჩამოყალიბების პროცესშია. სახელმძღვანელო, მასწავლებელთან ერთად, არის ამ თვისებათა განვითარების მნიშვნელოვანი წყარო. ცხადია, თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი საზოგადოების მომავლისათვის ყოველ კარგ სახელმძღვანელოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც უფრო სრულყოფილია სახელმძღვანელოები, მით უფრო მეტი პერსპექტივა არსებობს განსწავლული მომავალი თაობის აღზრდისა, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარებისა.

სახელმძღვანელოს ავ-კარგინაობის შეფასება არ შეიძლება მხოლოდ მისი შინაარსით (რაც, თავისთავად, ძალზე მნიშვნელოვანია). თუ ეს შინაარსი მკითხველისთვის გაუგებარია (ან ძნელად გასაგებია), მაშინ სახელმძღვანელო კარგავს თავის დანიშნულებას. რაც უფრო დახვეწილია სახელმძღვანელოს ენა, მით უფრო კარგად შეუძლია მას თავისი ფუნქციის შესრულება.

„ცისკარი“ დაბეჭდილმა წერილებმა (ა. ჭინჭარაულისა, რ. ქორქიასი და გ.

10.336.

ცოცხალი) დაგვანახა: ამ მხრივ ქართულ სახელმძღვანელოებში არაერთი ნაკლი შეინიშნება (მართალია, მეტ-ნაკლებად). ეს მით უფრო დამაფიქრებელია, რომ განსახილველი წიგნების შერჩევის დროს მაქსიმალურად იყო დაცული ნებისმიერობის პრინციპი. ამ თვალსაზრისით არც აქ განსახილველი სახელმძღვანელო არის გამოწველი (ბ. გერასიმოვი, ა. გუნცაძე — „ზოგადი ქიმიის მოკლე კურსი“, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა სახელმძღვანელო, თბილისი, 1965 წ.). ყოველივე ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ენობრივად არასრულყოფილი სახელმძღვანელოები არცთუ ისე იშვიათია.

ამა თუ იმ სახელმძღვანელოს ენობრივ ნაკლოვანებათა გამოვლენა მიზნად არ ისახავს, როგორც ეს, სამწუხაროდ, ზოგჯერ ჰგონიათ, მათი ავტორების გაიციხვას, ავტორებისა, რომელთა საზრუნავი კეთილშობილურია ყოველთვის. ჩვენი მიზანი ერთია მხოლოდ: ენობრივ ნაკლოვანებათა გამოვლენა და მომავალში მათი თავიდან აცილება.

„ზოგადი ქიმიის მოკლე კურსის“ პირველი ღირსება ის არის, რომ იგი შედგენილია ქართულად. ორიგინალურ სახელმძღვანელოს, თარგმანთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვს. თარგმანში, ჩვეულებრივ, მეტი ენობრივი დარღვევები, არაბუნებრივი წინადადებები და კონსტრუქციები გვხვდება. ამას აქვს გარკვეული ობიექტური მიზეზები. თარგმანი ძალაუფლებურად ექცევა ორიგინალის ენობრივი გავლენის ქვეშ, ამიტომ, ჩვეულებრივ, ჭირს წინადადებათა ბუნებრივად აგება, მით უმეტეს სახელმძღვანელოში, სადაც ორიგინალის აზრი ზუსტად უნდა გადმოიცივს. ამავე დროს თარგმანი, როგორც წესი, ნაკლებად ლაკონიური გამოდის და მოცულობით აღემატება ორიგინალს. ყოველივე ეს აძენს მის გავლენას და გამოყენებას. მთარგმნელის უდიდესი ოსტატობა არასაჭირო ამ ნაკლოვანებათა მინიმუმამდე დასაყვანად, ორიგინალურ ნაშრომში კი ამ სახის სიძნელებები არ იჩენს თავს. და

მაინც, ორიგინალური სახელმძღვანელოს შექმნა განუზომლად უფრო ძნელია, ვიდრე თარგმნისა. სწორედ ამიტომ, „ზოგადი ქიმიის მოკლე კურსის“ ავტორთა დეაქლი უთუოდ დიდი. ამ დეაქლის დაუფასებლობა აშკარა უსამართლობა იქნებოდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ სახელმძღვანელოში არაა ბევრი კარგად დაწერილი ადგილი, მაგრამ ამაყად ყურადღებას გავამახვილებთ არა ამ მხარეზე, არამედ ენობრივ ნაკლოვანებებზე. ამით ორ მიზანს ვისახავთ: ა). ხელი შევუწყობთ ამ სახელმძღვანელოს შემდგომი გამოცემის ენობრივად სრულყოფას, ბ). ვაჩვენოთ, რომ ყველა ამგვარი სახელმძღვანელოს ენობრივად დახვეწისათვის მეტი ზრუნვა არის საჭირო.

ჩვენ არ აღვუხსავთ სახელმძღვანელოში შემჩნეულ ყველა ენობრივ ნაკლს, დავემყოფილებით მხოლოდ დამახასიათებელი ნიმუშების მოტანით.

სახელმძღვანელოში ხშირადაა დარღვეული პუნქტუაციის ნორმები: 1). გამოტოვებულია მძიმე; მაგ., „მართალია XVIII ს. ბოლომდე ქიმია როგორც მეცნიერება არ არსებობდა“ (გვ. 9). ამ პუნქტარა შესიტყვებაში სამი მძიმე აკლია. უნდა იყოს: „მართალია, XVIII ს. ბოლომდე ქიმია, როგორც მეცნიერება, არ არსებობდა...“; „აღნიშნული კლასიფიკაციები არ ითვალისწინებენ ჯერ კიდევ უცნობი აღმოსაჩენი ელემენტების არსებობას ბუნებაში“ (გვ. 48). გაუგებარია, თუ რას ნიშნავს „უცნობი აღმოსაჩენი“. გაუგებრობის თავიდან აცილებას შეიძლება ამ ორ სიტყვას შორის მძიმის დასმით. „...ნივთიერება შეიძლება იყოს როგორც კოლოიდურ ისე კრისტალურ მდგომარეობაშიც“ (გვ. 217). ისე-ს წინ მძიმე აკლია. ამგვარი შემთხვევები წიგნში საკმაოდ ხშირია (იხ. გვერდები: 8, 9, 21, 22, 23, 29, 37, 41, 43, 44 და ა. შ.). 2). მძიმე უადგილოდ არის ნახმარი, მაგ., „აღნიშნული კანონი საშუალებას იძლევა დავადგინოთ თუ რამდენჯერ უფრო მძიმეა მოცემული გაზის მოლეკულა, მეორე გაზის მოლეკულაზე...“

(გვ. 15). აქ ნახმარი მძიმე სრულად ზედმეტია, სხვაგან კი („თუ“-ს წინ) მძიმე აკლია. „ავოგადროს ჰიპოთეზისა და შემდგომ მისი კანონის საფუძველზე, დამტკიცდა, რომ...“ (გვ. 17). პირველი მძიმე აქ ზედმეტია. „...უკანასკნელი განსხვავდებიან მცირე პერიოდებისაგან, ელემენტების მეტი რაოდენობის შემცველობით“ (გვ. 50-51). მძიმე არც აქ არის საჭირო. გ. ზოგჯერ თავის ადგილას არ არის ნახმარი ტირე; მაგ., „ნატრიუმს გაერთა შრეზე აქვს ერთი სავალენტო ელექტრონი, ქლორს — კი შვიდი“ (გვ. 42). ტირე აქ ცვლის „აქვს“ სიტყვას, ჩავსვათ ის ტირეს ადგილას და ვნახოთ, რას მივიღებთ: „...ქლორს აქვს კი შვიდი“. უნდა იყოს „...ქლორს კი — შვიდი (ე. ი. „ქლორს კი აქვს შვიდი“)“. „მას აქვს სამი ელექტრონული შრე, ტყვიას კი ექვსი — რადგან იგი მე-6 პერიოდშია“ (გვ. 55). უნდა იყოს: „...ტყვიას კი — ექვსი, რადგან იგი მე-6 პერიოდშია“. „...მენდელეევის ცელემენტთა პერიოდული სისტემა — შედგება ჯგუფებისა და პერიოდებისაგან“ (გვ. 53). აქ კი ტირე საერთოდ ზედმეტია.

სასვენეი ნიშნების არასწორი ხმარება აბუნდოვანებს, ზოგჯერ კი მთლიანად ცვლის წინადადების შინაარსს. ამდენად, პუნქტუაციის ნორმათა დაცვის მოთხოვნა არ არის ფილოლოგების ჭირვეულობით ნაკარნახევი, იგი აუცილებელია აზრის გაგებისათვის.

განსახილველ სახელმძღვანელოში დასტურდება სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევის არაერთი სხვა შემთხვევაც. ცნობილია, მაგალითად, რომ სალიტერატურო ქართულში ისეთი სიტყვები, როგორიცაა „ზოგიერთი“, „მრავალი“, „ყველა“ მხოლოდით რიცხვში მოითხოვენ როგორც საზღვრულ სიტყვას, ისე შემასმენელს; „ზოგადი ქიმიის მოკლე კურსში“ კი ეს ნორმა, როგორც წესი, დარღვეულია; მაგ., „ზოგიერთი ელემენტები ქმნიან...“ (გვ. 7), „...ზოგიერთი მეტალების...“ (გვ. 9), „...ზოგიერთი ელემენტარული ნაწილაკების ზეგავლენითაც“ (გვ. 39), „...ზოგიერთი სხივებით

დამუშავება...“ (გვ. 218), „ზოგი ნივთიერებანი...“ (გვ. 121), „მრავალი ნივთიერება, რომლებიც ადრე წარმოებდნენ...“ (გვ. 3), „...წარმოებს მოპოვება და გამოყენება ყველა იმ ელემენტებისა და მათი ნერთებისა, რომელთა...“ (გვ. 4).

სახელმძღვანელოში მოპოვება რიცხვში შეთანხმების ნორმის დარღვევის სხვაგვარი შემთხვევებიც; მაგ., „...როდესაც ორ სავალენტო ელექტრონს პარალელური სპინი აქვთ...“ (გვ. 43), „...შეიძლება ეს ჯგუფი მეტალოიდებს მიეკუთვნოს“ (გვ. 50), „ელემენტების სერიას, რომლებიც ხასიათდება სავალენტო ელექტრონების ერთი და იგივე (უნდა იყოს: „ერთი და იმავე“ — ა. ო.) რაცხვით, ჯგუფი ეწოდება“ (გვ. 53), „მრავალფეროვანი ქიმიური პროცესების სიჩქარისა და მექანიზმის შესწავლა მეცნიერებს საშუალებას აძლევს გადაჭრას უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული ამოცანები...“ (გვ. 117).

ზოგჯერ მსაზღვრელის საზღვრულთან ბრუნვაში შეთანხმების თანამედროვე ნორმა დარღვეულია; მაგ., „რეაქციაში შემავალი ნივთიერებათა მასა... ყოველთვის უდრის რეაქციის შედეგად მიღებულ ახალ ნივთიერებათა მასას“ (გვ. 6), „...აირად და თხიერ აგრეგატულ მდგომარეობაში მყოფი ნივთიერებათა მოლეკულები თავისუფლად მოძრაობენ...“ (გვ. 117). უნდა იყოს: „შემავალ ნივთიერებათა“, „მყოფ ნივთიერებათა“. ხშირად მსაზღვრელის საზღვრულთან ბრუნვაში შეთანხმება წარმოდგენილია იმ ტენდენციის შესაბამისად, რომელიც არ არის თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმა; მაგ., „...ატომთა მთელ რაოდენობის პირდაპირ პროპორციულია“ (გვ. 37), „...პირველად ელემენტების ერთმანეთში გარდაქმნის შესაძლებლობა“ (გვ. 27). უმჯობესია იყოს: „მთელი რაოდენობის“, „პირველადი ელემენტების“.

ზოგიერთი სიტყვა არასწორი ფორმით არის წარმოდგენილი; მაგ., „თვისობრივობა“ (გვ. 19 და 20), „რაოდენობრივობა“

ბა“ (გვ. 19), ნაცვლად ფორმებისა: „თეი- სებრიობა“ (ან „თვისობრიობა“) და „რა- ოდენობრიობა“, „შთაინთქმევა“ (გვ. 23), უნდა იყოს: „შთაინთქმევა“, „ინერტიუ- ლი“ (გვ. 41, 42, 43, 172), უნდა იყოს: „ინერტული“, „მიახლოვება“ (გვ. 59), ნაცვლად ფორმისა— „მიახლოება“, „ექ- სპერიმენტალურად“ (გვ. 37, 117), უნდა იყოს: „ექსპერიმენტულად“, „გადინაც- ვლებს“ (გვ. 124) დიალექტური ფორმა, უნდა იყოს: „გადინაცვლებს“, „გაციე- ბა“ (გვ. 157), უნდა იყოს: „გაცივება“, „ამორფული“ (გვ. 217), უნდა იყოს: „ამორფული“ და სხვა.

ამგვარი ორთოგრაფიული შეცდომე- ბის თავიდან ასაცილებლად სრულიად საკმარისი იყო სათანადო ლექსიკონებში ჩახედვა.

ზოგი სიტყვა უმართებულად არის ნა- ხმარი — მნიშვნელობით ან სტილისტი- კურად არ შეეფერება კონტექსტს. ასე- თი შემთხვევები გაუგებრობის ან შეც- დომის წყაროდ იქცევა ხოლმე. მაგ., „აღნიშნული მოძღვრება შეიძუშავა დე- მოკრიტემ, რომლის მიხედვით **სამყარო მატერიალისტურია**“ (გვ. 10). მატერია- ლისტური ან იდეალისტური შეიძლება იყოს მოძღვრება და არა სამყარო. „რ- დგან გაზთა მოცულობები ერთნაირა, **მაშინ** ავოგადროს კანონის თანახმად, ორივე შეიცავს თანაბარ მოლეკულათა რიცხვს“ (გვ. 15). სიტყვა „მაშინ“ აქ შე- უფერებელია, უნდა იყოს: „ამიტომ (ამ- ავე სიტყვის შემდეგ აკლია მიძიმეც, ხო- ლო სამი უკანასკნელი სიტყვა ასე უნდა იკითხებოდეს: „...მოლეკულათა თანაბარ რიცხვს“). „...**მატეროგენული** კატალი- ზის დროსაც არ არის **გამოთიშული** შესა- ძლებლობა წარმოიქმნას უმდგრადი შუ- ალედი ნაერთები“ (გვ. 120). ამ კონტექ- სტში უფრო ბუნებრივი იქნებოდა ყო- ფილიყო: „...არ არის გამორიცხული შე- საძლებლობა...“, რომელიც, მართალია, რუსულის კალკი ჩანს, მაგრამ თანამედ- როვე ქართულში საკმაოდ არის ფეხმო- კიდებული. „...ალუმინის მისაღებად იღ- ებენ რკინისაგან გაკეთებულ... ელექ- ტროლოზერს, რომელიც შიგნიდან **გამო-**

ფენილია გრაფიტით და შემდეგ ნახში- რით“ (გვ. 273). სალიტერატურო ქართუ- ლში სიტყვას „გამოფენილი“ არცაა დასა- მნიშვნელობა, რაც ამ წინადადებაში ეკ- ისრება, ამიტომ გაუგებრობას იწვევს. „ცნობილია, რომ CO არ წარმოიქმნება უშუალოდ ნახშირის დაწვით და **ამისათ- ვის** მისი თბური ეფექტიც არ შეიძლება იქნას დადგენილი ექსპერიმენტის საშუა- ლებით...“ (გვ. 24). „ამისათვის“ სიტყ- ვის ნაცვლად უნდა იყოს „ამიტომ“.

სახელმძღვანელოში ხშირად გვხვდება პასიური კონსტრუქციები; მაგ., „**მათ მი- ერ აღმოჩენილი იყო** მრავალი ახალი ნი- ვთიერება...“ (გვ. 9). ქართულისათვის უფრო ბუნებრივია აქტიური კონსტრუქ- ციები, ამიტომ ჯობდა ახალი ნივთიერე- ბა“^{ქვემოთ}. ასევე, „1748 წელს **მ. ლომონოსო- ვის მიერ ფორმულირებული იყო** ნივთი- ერების წონის (მასის) მუდმივობის კანო- ნი“ (გვ. 10). ხშირად იხმარება აგრეთვე აღწერითი ფორმები, რაც ქართულისათ- ვის არ არის ბუნებრივი; მაგ., „იმის შემ- დეგ რაც **დადგენილი იყო** ქიმიის ძირი- თადი კანონები... დაგროვდა უამრავი ვა- სალა...“ (გვ. 48), „...**მოლეკულების** ერ- თმანეთთან **მიზიდულება წარმოებს**“ (გვ. 47). ყოველივე ეს სხვა ენის გავლენის შედეგი ჩანს. მეშველი ზმნის მესამე პი- რის ფორმის — „არის“ — ნაცვლად მოჭარბებულად იხმარება აგრეთვე კალ- კი — „წარმოადგენს“. ეს კი მთელი წი- ნადადების კონსტრუქციის შეცვლას იწ- ვევს; მაგ., „...**რიც შემთხვევაში უმარტი- ვესი** ფორმულა ამავე დროს ჭეშმარიტ- საც წარმოადგენს“ (გვ. 20), თუ კალკს („წარმოადგენს“) შეცვლით ჩვეულებ- რივი ქართული სიტყვით („არის“), მა- შინ შესაბამისად ხელოვნური კონსტრუ- ქციაც შეიცვლება ბუნებრივი ქართუ- ლით და წინადადება ნორმალურ სა- ხეს მიიღებს: „...**რიც შემთხვევაში უმარ- ტივესი** ფორმულა ჭეშმარიტიც არის“. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ წინადა- დებათა შესახებ: „ერთ-ერთ ასეთ სა- სუქს წარმოადგენს სუპერფოსფატი...“ (გვ. 20), „...**მეშვიდე** ელემენტი ყველაზე

აქტიურ მეტალოიდს წარმოადგენს“ (გვ. 50), „მაღალ ტემპერატურაზე ალუმინი წარმოადგენს ძლიერ აღმდგენელს“ (გვ. 275).

ზოგი წინადადების აგებულება ან წინადადებაში სიტყვათა შეერთება აშკარად ხელოვნურია, უცხოა თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის. დავასახელებთ ისეთ ნიმუშებს, რომელთა არაბუნებრიობა მკითხველისათვის, ვფიქრობთ, უკომენტაროდაც ნათელი იქნება: „აღსანიშნავია, რომ ნაწილაკებს გამოყოფს კათოდი იმის დამოუკიდებლად, თუ რა მასალისაგან არის შემდგარი“ (გვ. 25); „მას აქვს თვისება — ამოტყორცნოს უხილავი სხივები გარეგანი პირობების შეცვლის დამოუკიდებლად“ (გვ. 26); „ამრიგად, ელემენტის ვალენტობა განისაზღვრება ელექტრონთა რიცხვით, რომლებიც მონაწილეობენ ელექტრონული წყვილების შესაქმნელად“ (გვ. 44); „...ერთ-ერთ მოლეკულს (უნდა იყოს: „მოლეკულას“ — ა. ო.) დადებითი პოლუსი მიმართული იქნება მეორე მოლეკულის უარყოფით პოლუსთან“ (გვ. 47); „...მიზიდულობა ატომგულის მიერ სუსტდება...“ (გვ. 54); „...პერიოდის დასაწყისში მდგომ ელემენტს აქვს ერთი სავალენტო ელექტრონი, მეორე მდგომ ელემენტების ატომებში კი ორდება...“ (გვ. 55); „თხევადი ქანგბადი, ნახშირის ან ხის ფხვნილთან ერთად შერეული იხმარება ფეთქებადი ნივთიერების დასამზადებლად“ (გვ. 63); „ჩვეულებრივი თეთრი კალა მდგრადია 18°-ს ზევით, ამაზე უფრო დაბალ ტემპერატურაზე იგი ვადადის ნაცრისფერი ფხვნილის მოდიფიკაციაში ცნობილი კალის „ჭირის“ სახელწოდებით“ (გვ. 278), „...ხოლო სხვა რეაქციაში კი აღნიშნულ თვისებებს კარგავს“ (გვ. 121), „ხოლო“ და „კი“ ერთი ფუნქციით იხმარება, ამიტომ ერთ-ერთი მათგანი აქ ზედმეტია.

წინადადებათა დიდი ნაწილი არ არის ენობრივად დახვეწილი, შეინიშნება სხვადასხვა ხასიათის ნაკლი (ზოგჯერ შეცდომაც).

აზრის სხარტად გამოთქმა (ზეპირად

თუ წერილობით) ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე მრავალსიტყვაობა. რაც უფრო ლაკონიურად და სრულად არის შედგენილი მოცემული აზრი, მით უკეთ ასრულებს ყოველგვარი ნაწერი თავის ფუნქციას. „ზოგადი ქიმიის მოკლე კურსში“ კი მრავალსიტყვაობის არაერთი ნიმუში გვხვდება: მაგ., „რაც შეეხება შეხედულებებს აღნიშნულ ქიმიურ პროცესთა არსის შესახებ და ამ მიმართულებით გამოთქმულ აზრებს და იდეებს, უნდა აღინიშნოს მათი აშკარად არამეცნიერული და სწორად მისტიკური ხასიათი“ (გვ. 9). იგივე აზრი შეიძლებოდა გადმოცემულიყო უფრო მოკლედ და უბრალოდ, ამავე დროს, გასაგებად, ვთქვათ ასე: „აღნიშნულ ქიმიურ პროცესთა შესახებ არსებული შეხედულებები არამეცნიერული (სწორად მისტიკური) იყო“; „ზოგი კატალიზატორი რეაქციის სიჩქარეს ზრდის (დადებითი კატალიზატორი), სხვები რეაქციის მოქმედებას ანელებენ (უარყოფითი კატალიზატორი)“ (გვ. 119), უფრო ლაკონიურად შეიძლებოდა ასე გვეთქვა: „დადებითი კატალიზატორი რეაქციას აჩქარებს, უარყოფითი კი — ანელებს“; „ზემოაღნიშნულ პროცესს ხელს უწყობს დიფუზიის მოვლენა; დიფუზია ხელს უწყობს აღნიშნულ პროცესს, რადგან...“ (გვ. 122), ერთხელ სათქმელი აქ, როგორც ვხედავთ, ორჯერ არის ნათქვამი.

ზოგი წინადადების გასაგებად ზედმეტი ენერგიის დახარჯვაა საჭირო, ზოგი საერთოდ გაუგებარია. ზოგ შემთხვევაში კი მკითხველს არსებითად იმის საწინაღმდეგო ინფორმაცია ეძლევა, რაც ავტორებს სურთ. დავასახელოთ რამდენიმე ნიმუში: „მოცემული რთული ნივთიერება ყოველთვის შედგება ერთი და იგივე ქიმიური ელემენტებისაგან, რომლებიც უერთდებიან ერთმანეთს ზუტად განსაზღვრული წონითი ფარდობით. მაგალითად, სინთეზურად მიღებული წყლის მოლეკულა ან იგი აღებულ იქნება, მდინარიდან და სხვ.“ (გვ. 7). იქნება შთაბეჭდილება — თითქოს სინთეზურად მიღებული წყლის მოლეკუ-

ლის ამოღება შეიძლება ზღვიდან და მდინარიდან. სინამდვილეში, როგორც ჩანს, უნდა თქმულიყო: „...ზღვის, მდინარის ან სინთეზურად მიღებული წყლის მოლეკულა“. „ამრიგად, ალქიმია დასავლეთ ევროპაში არამეცნიერულ მიმდინარეობას წარმოადგენდა და ქიმიის განვითარებას ამუხრუჭებდა“ (გვ. 9). იბადება კითხვა: ვანა სხვაგან ალქიმია მეცნიერული მიმდინარეობა იყო? „XVII საუკუნის მიწურულში დასავლეთ ევროპაში შემუშავდა „ფლოგისტონის თეორია“. რომელიც, მართალია, არამეცნიერულ მოძღვრებას წარმოადგენდა, მაგრამ მისი მნიშვნელობა ქიმიის განვითარებისათვის დადებითი მოვლენა იყო...“ (გვ. 10). გაუგებარი წინადადებაა. „ნივთიერების (ატომის) რაოდენობა გამოსახული გრამობით და რიცხობრივად მისი ეკვივალენტის ტოლი არის გრამ-ეკვივალენტი“ (გვ. 13). ალბათ, სტუდენტს გაუჭირდება ამ წინადადების აზრის გაგება. „მთავარ ქვეჯგუფებში მოთავსებულია ანალოგიური ელემენტები...“ (გვ. 53), რისი ანალოგიური? როგორც ჩანს, უნდა თქმულიყო „...ერთმანეთის მსგავსი ელემენტები“. „თეთრი ფოსფორი წარმოადგენს ცვილივით რბილ, გამჭვირვალე ნივთიერებას დამახასიათებელი (ნივრის) სუნიით“ (გვ. 161), „აირად მდგომარეობაში დარიშხანს ნივრის სუნი აქვს“ (გვ. 168). სასაუბრო მეტყველებაში ასეთი გამოთქმები, მართალია, გვხვდება, მაგრამ სახელმძღვანელოს, ვფიქრობთ, ისინი არ შეეფერება. ნივრის სუნი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ნიორს, ფოსფორს თავისი სუნი აქვს, დარიშხანს კი — თავისი, რაც, როგორც ჩანს, ნივრის სუნს წაავსებს, ამიტომ ამ კონტექსტში უმჯობესა იქნებოდა გვეთქვა „ნივრისებრი სუნი“. „ქიმიური მეწყველობის განვითარებაში ფართო ადგილს დაიჭირა მინერალურ სასუქებსა და სხვა ქიმიურ პროდუქტებზე სოფლის მეურნეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილების პრობლემის გადაწყვეტა“ (გვ. 5), დაუხვეწელი წინადადებაა. „ამის საფუძველზე აღნიშნული სისტემები დაყოფილია 3-ჯგუფად

სუსპენზიები და ემულსიები, კოლოიდური და მოლეკულურ-იონური სხვაობები“ (გვ. 217). ამ წინადადების მიხედვით, მართალია იმის გარკვევა, თუ რომელი ხსნარი შედის თითოეულ ჯგუფში და, საერთოდ, ორი ჯგუფია, სამი თუ ოთხი. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საკმარისი იყო წინადადება ასე ჩამოგვეყალიბებინა: „ამის საფუძველზე აღნიშნული სისტემები იყოფა 3 ჯგუფად: ა) სუსპენზიები და ემულსიები, ბ) კოლოიდური ხსნარები და გ) მოლეკულურ-იონური ხსნარები“. „ალუმინის წმინდა ფხვნილი იზმარება რკინისა და ლითონგრაფიულ საღებავად და აგრეთვე ზოგიერთი ფეთქებადი ნივთიერების — ამონაღის დასამზადებლად“ (გვ. 275). თუ ეს ფხვნილი ფეთქებად ნივთიერებათაგან მხოლოდ ამონაღის დასამზადებლად იზმარება, მაშინ სიტყვა „ზოგიერთი“ ზედმეტია და გაუგებრობას იწვევს, ხოლო თუ ის, ამონაღის გარდა, სხვა ფეთქებად ნივთიერებათა დასამზადებლადც გამოიყენება, მაშინ წინადადების მეორე ნაწილს ასეთი სახე უნდა ჰქონოდა: „...და აგრეთვე ზოგიერთი ფეთქებადი ნივთიერების, მაგ., ამონაღის დასამზადებლად“. „ამიტომაც ამგვარ ნივთიერებებს გრემმა კოლოიდების სახელწოდება მისცა, ე. ი. წებოსმაგვარნი“ (გვ. 217). როგორც ჩანს, უნდა თქმულიყო: „ამიტომ, ამგვარ ნივთიერებებს გრემმა კოლოიდები (ანუ წებოსმაგვარნი) უწოდა“. „სისაღის მიხედვით კორუნდს მესამე ადგილი უკავია ალმასის შემდეგ“ (გვ. 275). ამ წინადადებიდან არა ჩანს: ა) მინერალებს შორის სისაღის მიხედვით რომელი ადგილი უკავია თვით ალმასს, ბ) კორუნდი უშუალოდ მოსდევს თუ არა ალმასს. ამიტომ ეს წინადადება სხვადასხვა მკითხველმა შეიძლება სხვადასხვაგვარად გაიგოს: თუ ვთქვათ, ალმასი არის მეხუთე ადგილზე, ხოლო მას შემდეგ კორუნდი მესამე ადგილზეა, მაშინ ის მეორე ადგილზე ყოფილა. მაგრამ თუ ვიგულისხმებთ, რომ კორუნდი მესამე ადგილზეა ყველა მინერალს შორის, მაშინ გამოდის — ალმასი მეორე ადგილზე ყოფი-

ლა. ხოლო თუ აღმასი პირველ ადგილზეა, კორუნდი კი — მესამეზე, მაშინ ან კორუნდის წინ მდგომი ორივე მინერალი უნდა იყოს დასახელებული, ან — არც ერთი.

წიგნში შეინიშნება ტექნიკური ხასიათის ნაკლოვანებებიც; მაგ., 49-ე გვერდზე ვკითხულობთ, მენდელეევის ელემენტთა პერიოდული სისტემა „იხილეთ წიგნის დასაწყისში“, სინამდვილეში ის წიგნის ბოლოშია მოთავსებული.

ვფიქრობთ, ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ ასეთი ენობრივი ნაკლოვანებები არ შეეფერება მეცნიერების, კულტურისა და ქართული სალიტერატურო ენის განვითარების თანამედროვე დონეს. ამასთანავე უდავოა: ენობრივი თვალსაზრისით „ზოგადი ქიმიის მოკლე კურსში“ არა გვაქვს იმაზე უარესი მდგომარეობა, ვიდრე ბევრ სხვა სახელმძღვანელოში („ზოგადი ქიმიის მოკლე კურსი“ მაგალითად იქცა მხოლოდ იმიტომ, რომ შემთხვევით მოხვდა რეცენზენტის ხელში).

რა შედეგები მოჰყვება სახელმძღვანელოებში ასეთი ენობრივი ნაკლოვანებების არსებობას?

ჯერ ერთი, ასეთი ნაკლოვანებები დამატებით სიძნელეებს ქმნის მოსწავლე ახალგაზრდობისათვის — აძნელებს აზრის გაგებასა და ათვისებას. ვინ იცის, რამდენმა მოსწავლემ აიცრუა გული რომელიმე დისციპლინაზე ამ მიზეზის გამო. მეორეც, სახელმძღვანელოს მიზანი არის არა მარტო რომელიმე სასწავლო კურსის გადმოცემა, არამედ წერისა და მეტყველების კულტურის განვითარებაც. ენობრივად დაუხვეწელი წიგნი კი ამ მიზანს ვერ შეასრულებს. თუ მოსწავლე ვერ ამჩნევს სახელმძღვანელოში არსებულ ენობრივ შეცდომებს, მაშინ ეს შეცდომები მისთვის შეიძლება ორგანული გაჩნდეს, ხოლო თუ ამჩნევს მათ, მაშინ ამათ სახელმძღვანელოზე (შესაბამისად — დისციპლინაზეც) გულის აცრუება შეიძლება გამოიწვიოს.

რა არის სახელმძღვანელოებში ამგვარ

რი ნაკლოვანებების არსებობის მიზეზი? ბევრ სხვა გარემოებასთან ერთად, ჩვენი აზრით, ამის მიზეზად უნდა ჩვენს წინათ ერთი საკმაოდ გავრცელებული (ამავე დროს — მცდარი) აზრი, რომლის მიმდევრები ენობრივ ნაკლოვანებებს ამგვარად ამართლებენ: „ესა და ეს წიგნი არის ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, გეოგრაფიის და ა. შ. სახელმძღვანელო და არა ქართული ენისა“. ეს თვალსაზრისი თავიდანვე აძლევს სანქციას ენობრივ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს. ამის შედეგად სახელმძღვანელოებში გვხვდება ისეთი შეცდომებიც კი, რომელთა თავიდან ასაცილებლად საკმარისია არსებულ ლექსიკონებში ჩახედვა. ამასვე ადასტურებს ისიც, რომ ერთსა და იმავე სახელმძღვანელოში გვხვდება როგორც სწორი, ისე არასწორი ფორმები, რომელთა უნიფიკაცია (არასწორი ფორმების შეცვლა სწორი ფორმებით) არავის მიუჩნევია საჭიროდ.

აღნიშნული გაუმართლებელი აზრის დღემდე არსებობის ერთ-ერთ მიზეზად უნდა მივიჩნიოთ სახელმძღვანელოთა ენობრივი მხარით ნაკლები დაინტერესება ჩვენი საზოგადოებრიობისა, ყველა იმისა, ვინც მოვალეა, ზრუნავდეს ქართული წერისა და მეტყველების კულტურის განვითარებისათვის. დაგვიანებულ რეცენზენტად შეიძლება მივიჩნიოთ თუნდაც ამ სტრიქონების ავტორი. სახელმძღვანელოების ენობრივი მხარე უფრო ადრე რომ გამზდარიყო მსჯელობის საგანი, ამჟამად, ალბათ, ბევრად უკეთესი ვითარება გვექნებოდა. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია ყოველმხრივ მხარდაჭერის ღირსად წამოწყება ქურნალ „ცისკრისა“, რომლის ფურცლებზეც აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაიმართა სახელმძღვანელოთა ენის შესახებ.

ბოლოს უნდა შევნიშნოთ, რომ „ზოგადი ქიმიის მოკლე კურსი“ კეთილშობილური განზრახვისა და დიდი შრომის შედეგია. დარწმუნებული ვართ, რომ ენობრივად დახვეწის შემდეგ იგი უთუოდ კარგი სახელმძღვანელო იქნება.

პიორგი გიგაური

ოქტომბრის რევოლუციის იდეების გამარჯვებამ საქართველოში დიდი სიკეთე მოუტანა მთას, მომავლის საიმედო გზა გაუხსნა და გაუნათა კლდეთა ორწონებში გამომწყვდეულ ფშვლებსა და ხევსურებს. აღორძინდა ცხოვრება. თუ გასული საუკუნის დასასრულს, როგორც ვაჟა წერდა თავის ერთ-ერთ ფელეტონში, თიანეთის მაზრაში მხოლოდ ერთი ქონსამკითხველო იყო და ისიც ვაჭრებსა და ბობოლებს არყის სასმელ ადგილად ჰქონდათ გადაქცეული, დღეს თიანეთის რაიონში 43 კულტურის სახლი, კლუბი და მასობრივი ბიბლიოთეკაა. აქ ხშირად ტარდება კონცერტები, ლექციები, მკითხველთა კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები...

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებების პასუხად მთაში გამოცოცხლდა კულტსაგანმანათლებლო მუშაობა. მტკიცდება კლუბებისა და კულტურის სახლების მატერიალური ბაზა, იზრდება წიგნების ფონდი.

დაბა თიანეთში საძირკველი ჩაეყარა სარაიონო კულტურის სახლის 400 ადგილიან შენობას. ასევე ახლო მომავალში გათვალისწინებულია მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობის რეკონსტრუქცია.

დიდი ხანი არ არის, რაც თიანეთელმა მშრომლებმა მიიღეს კინოთეატრის ნათელი და ლამაზი შენობა.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკები გამოეხმაურნენ ზუგდიდის, გორისა და თელავის მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობას და გადაწყვიტეს, იბრძოლონ სოფლის მცხოვრებთა სულიერი მოთხოვნების სრული დაკმაყოფილებისათვის, წიგნით მოემსახურონ რაიონის ყველა მშრომელს, თვეში ერთხელ მაინც ჩაატარონ საინტე-

რესო მხატვრული ღონისძიება, მონაწილეობა მიიღონ სოფლების კეთილმოწყობაში, ამასთანავე ყურადღება მიაქციონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. მაგრამ ვალდებულება არ უნდა დარჩეს ვალდებულებად, მისი განხორციელება აუცილებელი და ვალდებულები ამოცანაა, რადგან დღესდღეობით, სხვა მხრივ მოწინავე რაიონის კულტურულ ცხოვრებას თუ გადავხედავთ, ძალზე არასასურველი სურათი დაგვეხატება.

დავიწყოთ თვით რაიონული ცენტრიდან. თიანეთში ამჟამად ერთი კულტურის სახლია და არცთუ ისე ცუდად მოწყობილი. მაგრამ მის სცენაზე მეტწილად სიმშვიდე და სიჩუმე სუფევს. წელიწადში 3-4-ჯერ თუ იდგმება ახალი პატარა პიესა. კულტურის სახლის დრამატული კოლექტივი სკეტჩებითა და ფელეტონებით კმაყოფილდება.

15-20 წლის წინათ თიანეთს მრავალი სცენისმოყვარე ჰყავდა. მათი სპექტაკლები მაღალი გემოვნების მათურებელთა მოწონებას იმსახურებდა. დღეს კი ეს საქმე თითო-ოროლას თუ აინტერესებს. ახალგაზრდების ერთი ნაწილი ქუჩაში უსაქმურად დგას და უქმად ფლანგავს დროს.

არც კინოთეატრშია სახარბიელო მდგომარეობა. აქ ორიოდ წლის წინათ გაიყვანეს ცენტრალური გათბობის ქსელი. რკინის მილებით დასერეს კედლები. დახარჯეს ფული. გათბობა კი... მაინც არ არის. ქარიანი და სუსხიანი ზამთარი შეყურებელს დარბაზში არ უშვებს... და თუ რომელიმემ მაინც გადაწყვიტა შესვლა, სეანსის დამთავრების შემდეგ გათოშილი ბრუნდება შინ.

ამიტომ, რამ კინომოყვარულთა ერთი ნაწილი ზამთრობით ცივ დარბაზში ჯდომას თბილ სასადილოებში ბახუსით „ტკბობას“ არჩევს.

ასეთი მდგომარეობაა რაიონის ცენტრში, მაგრამ სოფელში თუ გავედით, იქ საქმე კიდევ უფრო უარესადაა. ისეთი დიდი დასახლება, როგორიც დაბა სიონია, წყალსაცავის მშენებლობის დამთავრების შემდეგ კულტომისახურების გარეშე დარჩა. ბიბლიოთეკა და კლუბი შეუკეთებელი და თვეობით გამოკეტილია. კულტურულ გართობას მონატრული ადამიანები სპექტაკლებსა და კონცერტებზე მართო თუ ოცნებობენ. მათ, რა თქმა უნდა, კარგად იციან კლუბისა და ბიბლიოთეკის ფასი, იციან, რომ ამ დაწესებულებების კარგი მუშაობით ბოლო მოეღება უსაქმურობას, მაგარი სასმელების მოტრფიალეთა გაბმულ ღრეობებს, მაგრამ...

ზომ უნდა დაიმსხვრეს დუმლის ყინული. სიონის სადაბო საბჭოს აღმასკომმა, პირველადმა პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, დაბის მთელმა აქტივმა გაბედული ნაბიჯი უნდა გადადგან, რათა ბოლო მოეღოს უმოქმედობასა და სიზარმაცეს.

ყურადღება სჭირდება სიონის ზღვასაც. მის ნაპირებს კაცის ხელი არ ეტყობა. ტურისტები და ექსკურსანტები უკმაყოფილოდ ტოვებენ მთებში ჩახვეულ სიონის ზღვას. მნახველებს, რა თქმა უნდა, ვერ გაუწევს სათანადო მომსახურებას წყალსაცავში „დოსაფის“ მიერ ჩამოგებული ერთი ნავი და საცხენქსის დირექციის ორიოდე კატერი.

მნახველის ფიქრში იხატება სიონის ზღვის მომავალი დღე, როცა მის თვალწარმატ მიდამოებს პანსიონატები და დასასვენებელი სახლები დაამშვენებენ, როცა მარადმწვანე მცენარეების ტყე აშრიალდება ზღვის ნაპირებზე...

არაფერს ვიტყვით თიანეთის რაიონის სხვა სოფლების კულტურულ ცხოვრებაზე, მხოლოდ გავიხსენებთ ორხევის კოლმეურნეობის ერთ-ერთი წევრის ნაამბობს:

— შარშან სოფელში მხოლოდ ორჯერ უჩვენეს კინოსურათი, ისიც დიდიხვევებითა და ვაივაგლახით, რადგან დაწყებითი სკოლის პატარა შენობა კინოსურათის ნახვის ყველა მსურველს ვერ იტევს. კლუბი კი არასდროს გვექონია ორხეველებს. სოფლის სამკითხველოც უხეირო მოზინადრესავით წელიწადში ორჯერ იცვლის მისამართს. საყუთარი ბინა არც მას გააჩნია. სპორტულ შეჯიბრებებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. სოფლის ახალგაზრდობას უმიზნო ხეტიალში უღამდება ყოველი დასვენების დღე...


თუ სხვები არაფერს აკეთებენ, სად არიან კომკავშირული ორგანიზაციის მეთაურები? ნუთუ ისინი ერთხელ მაინც არ დაფიქრებულან თავიანთი სოფლის ავკარგზე? ხომ შეიძლება კლუბის აშენება თვითონ წამოიწყონ და ეჭვი არ არის, კარგი საქმის თაოსნებს კოლმეურნეობის გამგეობაც დაუჭერს მხარს.

სხვაც ბევრი რამ არის გულდასაწყვეტი. მაგალითად, თიანეთის რაიონში საკმაოდ განვითარებულია საცხენოსნო სპორტი. პირტიტველა ჭაბუკები მკვირცხლი რაშებით თავზე ევლებიან მწვერვალებს. თიანეთელებს ტრადიციად ჰქონდათ დღესასწაულის დღეებში საცხენოსნო შეჯიბრებების ჩატარება. დროთა ვითარებაში ეს სანახაობაც თვალთახედვიდან გაქრა.

რაიონული ცენტრის კულტურის პარკი, რომელიც ვაჟა-ფშაველას სახელს ატარებს, სასაუზმეებითა და სახინკლეებით კი არ უნდა ავავსოთ, არამედ საჭიროა ავაშენოთ ესტრადა, კარუსელები, ჟურნალ-გაზეთების კიოსკები და სხვა საჭირო კულტურული გასართობები.

მთებში ჩაუქრობი შუქია ჩაღვრილი. ამ შუქს ჩრდილებით ნუ დავებურავთ, ჩვენი უინიციატივობისა და მოუხდომელობის ჩრდილებით.





ბედნიერების ბაღი

ბედნიერება მოვიდა ჩემთან,
უფლისწულივით მოვიდა ჩემთან,
წამით მაჩუქა ნატვრისთვალი და
ვიღრე ამ გულმა რაღაც ინატრა,
ბედნიერება გაუჩინარდა...

უცებ წაიღო ნატვრისთვალი და
მე სულისმოთქმაც აღარ მაცალა, —
დიდი ოცნების გზას გამარიდა,
არც უღარდია, ისე გამცვალა...

ვიფიქრე: მაღლა, თავის სატახტოს
თუ დაუბრუნდა მეუფედ ახლა...
ვხედავ, ეზოში, ჩემს გოგონებთან
ზის და სილაში გვირაბი გაჰყავს.

ჩვენ და გავშვივი

ბავშვები ყველგან მიჰქრიან, —
რაა ახლო და შორი...

ბავშვისთვის თოვლი ფიქრია
და თამაშია თქორი.

დარბიან, სად არ დარბიან,
ვზღუდავთ და ვეღარც ვზღუდავთ,

უკმაყოფილო არიან
იმით, რაცა აქვთ მუღამ.

ჩვენ კი, თუმცა ჟამი ჩვენია,
ო, ჩვენ ვმშვიდდებით ზღვისებრ...
და ვამბობთ, არაფერია,
სუსველაფერზე ისევ.

ბავშვები რას არ მღერიან,
ბავშვებს უსმენენ ხარბად,
ბავშვებში არაფერია
იჭვმისატანი ალბათ.

ბავშვები მიღი-მოდიან,
დრო აქვთ, ხარობენ მრავლად...
ისევ ბავშვობა სჯობია
ჩვენს ბრძენკაცობას ალბათ.

გაორთქლილ მინაზე

ბავშვივითა ვარ ხანდახან, —
გაორთქლილ მინაზე
ჩემს სახელს ვწერ...
შორს, თეთრი ეზოს გადაღმა
თეთრი ზამთარი
ლურჯად იღებავს წვერს.

თოვლი ფიქრების დღიურს შლის,
ქარი ქუჩებში მიიკვლევს გზებს...
ცაში, ვით აქვარიუმში
ოქროს თევზივით დაცურავს მზე.

ბავშვივითა ვარ ხანდახან, —
გაორთქლილ მინაზე
ჩემს სახელს ვწერ...

ს ი ც ი ლ ი

სიცილი, როგორც სუფთა პაერი,
მე მინდა ახლა... სიცილი მინდა, —
სიცილი წრფელი, სულ სხვანაირი,
სიცილი ცხელი, ცხოველი, წმინდა.

და მე ვიცინი, როგორც ჩანჩქერი,
გადაყრუებულ ტინებს ვემსხვრევი,
და ძაგძაგებენ მათარებლები, —
შავი შპალები, თეთრი რელსები...

და შორს გარბიან სასახლეები,
ვით გაყინული ქარში გორები,
მკაცრი თვალებით და სახეებით
აალებული სემაფორებით.

მე კი ვიცინი, ისე ვიცინი, —
გზად მავთულები უცებ წყდებიან.
და მეცოდება გულით ისინი,
ვისაც სიცილი დავიწყებია.

ვისაც არ უნდა, რომ გაიცინოს,
როცა ჭინკები ფერხულს უვლიან,
ის, ვინც ჩურჩულებს: — როგორ იქნება,
აზლა სიცილი უხერხულია!

მე კი ვიცინი, გულის ფიცილით
გუხმობ ამქვეყნად მხნეს და ჟინიანს,
ყველას, დღეს ვისაც უნდა სიცილი
და ამ სიცილის არ ეშინია!

რამდენი უნდა ვიღეღვო

რამდენი უნდა ვიყვირო,
რომ გაიგონონ ჩემი;
რამდენი უნდა ვიტირო,
რომ დაიჯერონ ჩემი.

რამდენი უნდა ვირბინო,
რომ მომასვენონ წამით;
მდინარედ უნდა ვიდიხო,
რომ გაიმეტონ წყალი.

რამდენჯერ უნდა ვიმღერო,
რომ ავამღერო სხვები;
რამდენი უნდა ვიღეღვო,
რომ დავაწყენარო სხვები.

რომ სიკვდილის წინ გულდაგულ
ვთქვა სიამაყით, ლხენით:
— ჩემო ლამაზო სიცოცხლე,
კმაყოფილი ვარ შენი!

ნ ა ძ ვ ი ს ხ ე

ოცნების ხეო, შენ ხარ ნაძვის ხე,
ახალწლის ღამით რომ გვახალისებ
და გვასაჩუქრებ ყრმობის წუთებით,
ოცნების ხეო, შენ ხარ ნაძვის ხე,
სულ რომ გივლით და გესათუთებით...

შენ ხარ ნაძვის ხე და შენს გარშემო
ვტრიალებთ ახლა, როგორც ბავშვები,
ჩვენ თუ ვარსებობთ, შენთვის ვარსებობთ,
შენს გაშლილ შტოებს ვეთამაშებით.

შენია ყველა ახალი წელი,
ყველა კეთილი სახის ნიღაზი,
შენ ხსნი პირველად ყველა ჩვენს წერილს
კაცის სიბრძნით და ბავშვის სიხარბით.

შენ ხარ ნაძვის ხე, შენ ხარ ნაძვის ხე,
მოწყენილობის წამებს გვაშორებ,
დიდ-პატარებად შენ გვახარისხებ,
ვით თოვლის პაპა — სათამაშოებს...

კიდევ გვაცეკვებ, კიდევ გვამღერებ,
ლექსებსაც ვიტყვით, როგორც მტრედები...
შენ სხვა ბედი გაქვს, — რა დაგაბერებს,
შენ იყავი და ჩვენ დაებერდებით.

რატომ მეგონა


რატომ მეგონა, აიმიღეროდი,
შენ, სიყმაწვილის ცაო, ნათელო,
რატომ მეგონა, გამიწყდებოდი,
ფიქრო, ძაფივით ამოსართველო?!

რატომ მეგონა, გაგიყდებოდი,
გულო, იშვებით აღლეგებულო,
რატომ მეგონა, გახშირდებოდი,
დარდო, ცეცხლივით გახელებულო?!

რატომ მეგონა, დაიშლებოდი,
სახლო, ტირილით გამწარებულო,
რატომ მეგონა, დამიშრებოდი,
თვალო, ცრემლთაგან გაწყალებულო?!

რატომ მეგონა, არ ითქმებოდი,
სიმართლევ, ყველა მწარე დროისავე,
რატომ მეგონა, ჩამიქრებოდი,
მზეო, პატარა მეგობრობისა?!

თუ ერთი წუთით განცდილ სიხარულს
შეეძლო წაშლა ჩემთა ტკივილთა —
რატომ მეგონა, რატომ ვიფიქრე
არსადფიქრალი, რა მომივიდა?!



კოლო



მოთხრობა

რეპორტი არ უნდა იხტუნო,
შენს თავს მერ გადაახტმები.

კოტე კვინიკაძის
პირადი გამოცდილებიდან.

კოკით ხტომა სხვა ხტომებისაგან განსხვავდება იმით, რომ ხტომა სრულდება მოძრავი საყრდენით, რომელიც თვით მხტომელს უპყრია ხელთ.

კოკით ხტომა შედგება სამი ნაწილისაგან: პირველი ნაწილისაგან, მეორე ანუ შუა ნაწილისაგან და მესამე და უკანასკნელი ნაწილისაგან. სხვანაირად: ახტომისა, დახტომისა და ჰაერში ყოფნისაგან.

კოკით ხტომის დროს აუცილებელია კოკი.

არსებობს კოკის ხელში დაჭერის სამი ხერხი: დაბალი, საშუალო და მაღალი. ანდა, პირიქით: მაღალი, საშუალო და დაბალი.

კოკით მხტომელ ადამიანს სჭირდება სამი რამ: სპრინტერის სისწრაფე, მოკრივის შემართება და აკრობატის გაბედულება.

სიმაღლის გადალახვა დამოკიდებულია სისწრაფეზე, ტანის მოქნილობაზე, კოკის ხარისხზე, რაზედაც მხტომელია პასუხისმგებელი, გრუნტზე და თვითონ სპორტსმენზე (დედამიწის მიზიდულობის ძალა მხედველობაში არაა მიღებული). კოკით შეჯიბრება ტარდება საგანგებოდ გამოყოფილ ადგილზე.

წვიმის შემთხვევაში შეჯიბრება გადა-

ტანილი უნდა იქნეს მეორე დღისათვის იმ შემთხვევაში. თუ მეორე დღესაც მოწვიმა, შეჯიბრი ჩატარდება მესამე დღეს. თუ მესამე დღესაც ავდარია მოსალოდნელი, შეჯიბრება გადატანილი იქნება მეოთხე დღისთვის და ასე შემდეგ. ეს წესი არ ვრცელდება დახურულ შენობაზე. დახურულ შენობაში აგრეთვე არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ზურგის ქარი.

ეს არის კოკით ხტომის ზოგადი, თეორიულ-მეთოდური ნაწილის სექმატური მიმოხილვა (მასალები ავტორს თვითონ კოტე კვინიკაძემ მიაწოდა და მადლობაც თავის დროზე მოხსენდა).

კოტე კვინიკაძემ ფიზკულტურის ინსტიტუტის სრული კურსი დაასრულა. ოთხი წლის მანძილზე ფიზკულტურაში, კერძოდ მეჭოკეობაში, სპეციალდებოდა. განსაკუთრებით კარგად ერკვეოდა თეორიაში, მაგრამ არც პრაქტიკას იყო მოგლეჯილი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა და იქ განაგრძო ნაყოფიერი მუშაობა. ასწავლიდა ფიზკულტურას სკოლაში და ქალაქის კოკით მხტომელთა სექციას ხელმძღვანელობდა. დღიდან ჩამოსვლისა ქალაქის უცვლელი რეკორდსმენი იყო და

არც რესპუბლიკურ პირველობებზე შეურცხვენია მაინცადამაინც თავი. სპორტის ეს სახე, რომელიც აქამდე ქალაქში არავის აინტერესებდა, შესამჩნევად აღორძინდა. ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე აბელ ობოლაძე ყველა საანგარიშო მოხსენებაში კოტე კვინიკაძის მუშაობას აუცილებლად ხაზგასმით იხსენიებდა: „...დაბოლოს, ჩვენს ქალაქში აღიზარდა მეჭოკეთა მთელი არმია, რომელთაც სათავეში უდგას ცნობილი მეჭოკე კოტე კვინიკაძე და სხვა“...

იმ ზაფხულს მძლეოსანთა საქალაქო პირველობამ საკმარისი მასურებელი და მონაწილე მიიზიდა. ჭოკით ხტომაში მონაწილეობაზე ათმა სპორტსმენმა თქვა დასტური, მაგრამ ბოლოს ორი უქეიფოდ შეიქნა და ერთმა ყოვლად დაუსაბუთებელი მიზეზით გამოსვლაზე უარი განაცხადა. დარჩენენ სულ შევიდნი. აქედან ოთხი კოტეს მოწაფე იყო.

კოტე შეჯიბრების ფავორიტად ითვლებოდა და პირველი ადგილი თითქმის უკონკურსოდ განაღებულ იქონდა. ასე ეგონა ყველას, კოტეს გარდა. მან იცოდა, რომ ახლა იგი ის კოტე კვინიკაძე აღარ იყო. წლებს მაინც თავისი მიჰქონდა. თმა მხოლოდ საფეთქლებთან შერჩენოდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, თვითონ იგი თავის თავს ახალგაზრდებს აღარ აკუთვნებდა. კაცმა რომ თქვას, ოცდათოთხმეტი წლის ადამიანი ხსნიერად რატომ უნდა ჩაეთვალათ. ეს თვით კოტესაც უკვირდა. მაგალითად, რატომ იყო ორმოცი წლის შოთა ჩიჩუა ახალგაზრდა, ომედის შომცემი მსახიობი და ოცდარვა წლის გენო მიქაშავიძე ბებერი ფეხბურთელი? ამაზე ფიქრი კოტეს თავს ტყენდა. თავადაც კარგად იცოდა, რომ წლები სპორტში ბევრს ნიშნავს, მაგრამ პოზიციების დათმობას ჯერ კიდევ არ აზიარებდა; ტექნიკის, გამოცდილების და თეორიული მომზადების იმედი ჰქონდა. ფიქრობდა, რომ დაფნის გვირგვინი იმ დღესაც მას შეხვდებოდა.

ჭოკით სახტომი ორმო სტადიონის მივარდნილ კუთხეში იყო.

სახტომი ორმოს ირგვლივ, მსაჯთა მა-

გიდასთან და სარბენი ბილიკის გაყოფილებით მასურებლები პატარ-პატარა ჯგუფებად იღვანენ და ყველაფერს ინტერესით სით ადევნებდნენ თვალს.

კოტე კვინიკაძეს გრძელი ტრუსი და თეთრი მაისური ეცვა. იგი კალათბურთის ფარის რკინის ჩონჩხს მიყრდნობოდა და ნაცნობებს ელაპარაკებოდა. შეჯიბრი დაწყებული იყო, მაგრამ კოტე მოგვიანებით აპირებდა ასპარეზოებაში ჩაამხას. ამის შესახებ მსაჯები ინფორმირებულნი იყვნენ და როდესაც თამასა სამ მეტრს აცდებოდა, კოტესაც მაშინ გამოიძახებდნენ.

ლერწმის თამასამ სამ მეტრსა და ორმოც სანტიმეტრზე აიწია.

— ...გადმოხტება იური შავდია, მოემზადება კოტე კვინიკაძე! — გამოაცხადა მსაჯმა.

— ეტოვებ! — დაიძახა კოტემ.

— ...მოემზადება შალამბერიძე ჯიბო... — პაუზის გარეშე გააგრძელა მსაჯმა-ლიქტორმა.

— ჯერ ჩემთვის ცოტა ადრეა... — გაიცინა კოტემ და ნაცნობებს შეხედა.

— რამდენია საქართველოს რეკორდი? — ჰკითხა მალალმა, ულვამიანი კაცმა.

— არაა დიდი.

— მაინც?

— ოთხი და ოცდაათი.

— შენი პირადი რეკორდი რამდენია? — გაიცინა თავგადაპარსულმა, პირმრგვალმა ბიჭმა.

— ოთხი და ათი... ოთხ მეტრზე სტაბილურად ვხტებოდი... — თქვა კოტემ.

— კარგი შედეგია, — გაიცინა პირმრგვალმა.

პირმრგვალმა კოტესთან ერთად დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი. ახლა სადღაც მუშაობდა. ლაპარაკის დროს იყო თუ არა საჭირო, ყველაფერზე იციანოდა. იცინოდა არა იმიტომ, რომ სასაცილოს ხედავდა რამეს. უბრალოდ ასეთი ჩვეულება ჰქონდა.

— თამასის სიმალეა სამი მეტრი და სამოცი სანტიმეტრი. ხტება იური შავ-

ღია, მოემზადება კოტე კვინიკაძე! — მო-
ისმა ხმა ხელის რუპორიდან.

— ვტოვებ! — დაიძახა კოტემ.

— საერთოდ, მსოფლიო რეკორდი რა-
მდენია? — ჰკითხა კოტეს უღვაშიანმა,
გამხდარმა კაცმა.

— მსოფლიოსა და კავშირის რეკორ-
დები მაღალია... ხუთ მეტრს გადაცდნენ.
ახლა კი არ სტებიან, ფრინავენ. ეს ყვე-
ლაფერი გამოიწვია ფიბერგლასის ჭოკმა.
— არისმა ჭოკმა? — ვერ გაიგო მა-
ლაღმა.

— ფიბერგლასის... — აუხსნა ფიზკულ-
ტურის ინსტიტუტდამთავრებულმა თავ-
გადაპარსულმა და გაიცინა.

— სინთეზური მასალისაგან დამზად-
ებული ჭოკია... ახლა ნეილონისაგანაც აკ-
ეთებენ... — თქვა კოტემ.

— გაგაყდნენ სულ? — გაუკვირდა მა-
ლაღს.

— ასეთი ჭოკების პირველი თვისე-
ბაა... — განაგრძო კოტემ, — ელასტუ-
რობა... ამ ჭოკით ფაქტიურად ხტომა კი
არ გამოდის, ადამიანის კატაპულტირება
ხდება.

— ამასობაში თამასა სამ მეტრსა და ხა-
მოცდათ სანტიმეტრზე გაჩერებულიყო.
კოტე ისევ მოიხმეს:

— ...გადასახტომად მოემზადება კოტე
კვინიკაძე.

— ვტოვებ! — ხელი აწია კოტემ.

— მე რე ეს ფიბერგლასია თუ რაღა-
ცა, ჩვენში რატომ არ არის? — იკითხა
მაღალმა.

— ჩვენში როგორ არ არის... ახლა თუ
ჩვენს ქალაქს გულისხმობ, მე რომ მას-
წავლებელი მასწავლიდა: ატომი განუ-
ყოფელია, მისი დაშლა არ შეიძლებაო,
ხიროსიმაში ატომის ბომბი იყო ჩამოგ-
დებული და დაშლილი და დანგრეული
იყო ყველაფერი... — თქვა კოტემ და
თვითონაც გაეცინა.

თამასა სამ მეტრსა და სამოცდახუთ-
მეტ სანტიმეტრზე გადაეს. ამ სიმაღლეზე
სამი მონაწილე დაჩრენილიყო. თუ არ
ჩავთვლით იმ ერთს, რომელიც საერთოდ
არ გადახტარა და რატომ მოვიდა და რა-
ტომ გაიხადა, კაცმა ვერ გაიგო. დაწარ-

ჩენები სამი და სამოცდაათი დაკვირ-
ვილდნენ.

— გადახტება კოტე კვინიკაძე...
ნელს ძე! — დააყოლა მსაჯმა.

— ვტოვებ! — იყვირა კოტემ.

მაყურებლებმა კოტესაკენ მიიხედეს.
კოტე შეკრთა, რადგან მოეჩვენა, რომ
აქედანვე შეიძლებოდა დაწყება და თავი
ტყუილად შეიკავა. ხალხს ისედაც მოთ-
მინება დაელოა. ყველანი კოტესღა უც-
დიდნენ. კოტე ამას მიხვდა და აღელდა.
სულ არ უნდოდა, ასე ნაადრევად შეიქ-
ცია ყურადღება. გარეგნული სიმშვიდე
შეინარჩუნა და წყნარად განაგრძო დაწ-
ყებულ საუბარს.

— ...აღრე, მთელი ორმოცი წელი ხის
ჯოხებით სტებოდნენ. ასეთი ჯოხები მძი-
მე იყო და არაელასტური... ტყდებოდა
კიდეც.

— უბედური შემთხვევები ხომ არ ყო-
ფილა? — ჰკითხა მაღალმა.

— არა მგონია... ამის მერე შემოვიდა
ბამბუკი. თითქოს რა უნდა ბამბუკის მო-
ძებნას, მაგრამ ეს ახლა გეჩვენება
იოლად. ბამბუკის შემოტანამ კი სწრა-
ფად გაზარდა სიმაღლე...

— აჰა რას იზამდა! — უთხრა მაღა-
ლმა.

— ზოგს ჰგონია, რომ ბამბუკი იელის
უნევერსიტეტის პრივატ დოცენტმა გილ-
ბერტმა შემოიტანა...

— ვინ?

— გილბერტმა.

— აჰა... — თქვა მაღალმა.

— არ არის სწორი, გილბერტს ბამბუ-
კი არ შემოუტანია...

— ჭორები დაუყარეს... — დაუმოწმა
თავგადაპარსულმა.

— გასაგებია... — მიხვდა მაღალი.

— ბამბუკის ჯოხი შექმნეს ამერიკაში,
ნიუ-ჯერსის შტატში, ქალაქ ჰიბიკენში...

— ნამდვილად, — თქვა თავგადაპარ-
სულმა.

— ბამბუკის ჯოხს პირველად ხმარობ-
და ბატონი ფინერანი. იგი 1909 წელს
წარმატებით ხტებოდა, ნიუ-იორკში მე-
ხუთე და მეექვსე ავენუებს შორის რომ
წმინდა ჟოზეფის ეკლესიის მოედანია.

სამზე და სამოცდასთმეტზე დარჩენილი სამი მონაწილე თავისუფლად გადახტა.

ახალგაზრდა, თექვსმეტი წლის ბიჭმა ოთხი მეტრი მოითხოვა. პირველ ცდაზე ვერ გადახტა. დარჩენილმა ორმა სიმძლავს აღარ დაუწია და პირველივე ცდაზე ჩამოაგდეს თამასა... კოტე მიხვდა, რომ სიმძლავემ კატასტროფულად აიწია, მაგრამ ნაკლების მოთხოვნა აღარ ღირდა. მით უმეტეს, როდესაც წინა დღით წვრთნაზე უფრო მაღლაც გადახტა. სიმძლავის დაკლებას არაკომპეტენტური მაყურებელი უკანდახედავად, ყოველ შემთხვევაში, არასწორად გაიგებდა და კოტემ იფიქრა, რაც იქნება, იქნებაო.

კოტე მოეშადა. ჭოკი ოსტატურად დაიჭირა ხელში. მაყურებლები ორმოსთან შეუჯგუფდნენ.

...როდესაც კოტე შემართული ჭოკით საბტომი ორმოსაკენ მირბოდა, უკვე მა-


შინვე ფიქრობდა: რაღა დროს ჩემი ჭოკით ხტომნაო.

კოტე არა თუ ვერ გადაახტა ამ ცდაზე, არამედ ცალი ძელი წააქცია და ჭოკი მსაჯთა მაგიდაზე დაუვარდა. მთავარ მსაჯს, რომელსაც ჩეჩუნსის კოსტუმეცვა და გულზე უნივერსიტეტის დამთავრების დიდი რკინის ნიშანი ეკიდა. შარვაზე მელანი გადაესხა. ჩეჩუნსიანი შეწყუხდა, იფიქრა: ზედ მარილს დავაყრო. მაგრამ მარილი იქ არსად იყო და მერე გაახსენდა, რომ ეს ხერხი მხოლოდ ღვინოგადასხმულ მატერიაზე მოქმედებს.

არეულ-დარეულობაში კოტე გასახდელისაკენ გაიბარა.

როდესაც მისი გვარი ხელმეორედ გამოაცხადეს, იგი აღარსად იყო.

სტარტზე თექვსმეტი წლის ბიჭი იდგა. კოტემ ადრევე იცოდა, რომ ეს ბიჭი ოთხ მეტრს გადაეცლებოდა.



სტელუს ლეუკვა

მოთხრობა

ქუთაისიდან შაორის წყალსაცავამდე მშენიერი გზაა. თვითონ გზატკეცილი დიდი ვერაფერი შვილია, მაგრამ რაკისკენ მიმავალ კაცს ურჩევნია მაინც ამ გზით იაროს, ვიდრე გუმათ-მეჭვანას გავლით გაყვეს საავტომობილო შარას.

ქუთაისიდან დილით გამოსული შავი „ვოლგა“, რომელშიც ორი მგზავრი იჯდა, ახალასიცხებულზე გასცდა ტყიბულს და აღმართს შეუყვია. მანქანა მსუბუქად კეცავდა გზას და ზევით მიიწევდა. უკან და ქვემოთ გობელენივით მოქსოვილი

მიდამო რჩებოდა. მუქი ლურჯი და მწვანე ფერის რბილი ტონებით შეზავებული გორები და ტაფობები თვალნათლივ ჩანდა. ამ მხარეს რკინიგზის ლიანდაგი თითქმის ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფდა.

მანქანას ავთანდილი მართავდა. გვერდით თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გამხდარი, წვრილი ბიჭი უჯდა. ამ ბიჭმა წყნარი, დაკვირვებული ლაპარაკი იცოდა. გრძელი ხელის თითები ჰქონდა და თავზე სულ ქუდი ეხურა. უყვარდა ახალი დაუთოებელი პერანგები.

მანქანამ გაანახევრა აღმართი.

— მიდი, სტელა! — თქვა ბიჭმა და თხელ, მოგრძო ცხვირზე თითი გადაისვა.

— რა იყო, თამაზია უბედურო? — ჰკითხა ავთანდილმა.

— არაფერი არ ყოფილა...

თამაზი ავთანდილის მეზობელი იყო. ავთანდილის „ვოლგა“ საკუთარივით უყვარდა. პატრონს მანქანის მოვლა-შენახვაში ეხმარებოდა და სამაგიეროდ სულ შიგ იჯდა. ამ საქმეში ბევრად უფრო მეტ დროს ხარჯავდა, ვიდრე საჭიროა და თანატოლების ირონიულ შენიშვნებსაც იმსახურებდა. ავთანდილი, მართალია, უკვე კაცური კაცი იყო, მაგრამ თამაზი ხშირად უფროსებთან მეტ საერთოს ნახულობდა, ვიდრე თავის ტოლებთან.

აღმართის დასასრულს მანქანა სხვა ხმაზე ახმაურდა. ეტყობოდა, მძღოლმა სიჩქარე გამოცვალა. შავმა სტელამ (ასე ეძახოდნენ მანქანას ჩვენი გმირები) მარცხნივ გაუხვია და ცხრაჯვარისაკენ გაივარა. გზის მარცხენა მოწიშვლებულ მხარეს იგრძნობოდა, რომ ქვევით მაღალი კლდე იყო. კლდეში შეჭრილი გზა, რომელიც მაღალი ქვის შენობის კარნის ჰგავდა და ქვევიდანაც კარგად ჩანდა, ავთანდილს იმთავითვე არ მოეწონა. მარჯვნივ, გზის გაყოლებით, მთის უსწორმასწორო კალთები ეშვებოდა. გზა არცთუ დიდი ხნის წინათ გაეფართოვებინათ და შეჭრილ-შემოჭრილი მთის ფერდერ ხან ზევით აღიოდა, ხან ქვევით ჩაღიოდა. ფერდობზე შეფენილ ნაძვნარში ფოთლოვანი ხეებიც იყო. შარა ლარივით სწორი ჩანდა. უეცრად ასფალტი გათავდა და მანქანა მოხრეშულ გზაზე გავიდა.

— აქეთ სად მივდივართ? — იკითხა თამაზმა.

— რატომ მეკითხები?

— აქეთაა ჩვენი გზა?

— ასე არ გვითხრეს ტყიბულში? — შეეჭვდა ავთანდილიც.

— მე მგონი, ცოტა აღრე ავუხვით.

— მართალი ხარ, მგონია.. კი ვარ ნამყოფი, მაგრამ არაფერი მახსოვს... — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ავთანდილმა.

— იქით ვილაყვები ჩანან, ხომ არ გვეკითხა?

— მივიდეთ და ვკითხოთ, ალბათ გზას აკეთებენ.

ასი მეტრის იქით გზის სატყეველი ქტორი და რამდენიმე მუშა ჩანდა. სანამ ტრაქტორს მიუახლოვდებოდნენ, ავთანდილმა მანქანას ცხვირი მთისკენ უქნა, წყაროსთან გაჩერდა, ჩამოვიდა.

— გაღმოდი, ბიჭო. — უთხრა თამაზს.

— გაღმოვიდე?

— გაღმოდი, წყაროა ავერ...

— წყაროა?..

თამაზი ზარმაცი არ იყო, მაგრამ იქ შეყოვნების საჭიროებას ვერ ხედავდა და მანქანიდან გაღმოსვლა ეხარებოდა.

— დაიღუვა მერე? — იკითხა დაეჭვებით. კარი მაინც გამოაღო და ძირს ჩამოვიდა. დიდი ქუდი, რომელიც სახეს უზატარავებდა, ცხვირს უგრძელვებდა, მოიხადა და ისევ დაიხურა. წყაროს გულგრილად ჩაუარა, გზის მარცხენა მხარეზე გავიდა და ფრიალო კლდეს ბოლომდე ჩააყოლა თვალი; შეეშინდა, უკან დაიხია.

ავთანდილმა წყაროზე წყალი დალია, ხელები დაიბანა. სველი ხელები ჯერ თავზე გადაისვა, მერე ცხვირსაზოციით შეიმშრალა და რცხილის ქვეშ დაჯდა. ქვევით გაშლილი, ნათელი სივრცე გამოჩნდა. მზე კირჩხიბამდე ასულიყო და მწვანე მიდამოს სიციხის აღმური დაღვამოდა. ავთანდილმა ნიავე იგრძნო, ესია-თენჯა.

თამაზი დაფიქრებული დაბრუნდა.

— გახედე, აქედან მთელი ოკრიბა მოჩანს! — უთხრა ავთანდილმა.

— ოკრიბა კი არა, კლდეა იმხელა...

— კლდეა?

თამაზმა ხელი დაისველა, ქუდი მოიხადა და სველი ხელი მუბლზე მოისვა.

— დალიე, ბიჭო, ცივი წყალი, — უთხრა ავთანდილმა.

— არ მინდა, — თქვა თამაზმა და ქუდი დაიხურა.

— მაშინ სიგარეტი დამრჩა მანქანაში და მომიტანე.

— რად გინდა?

— მომიტანე და გეტყვი, — გაეცინა ავთანდილს.

— სიგარეტი აგერა მაქვს ჯიბეში, — უთხრა თამაზმა.

— მომეცი.

თამაზმა გადაწვებული, კაკაოსფერი პერანგის გიბიდან „პრიმა“ ამოიღო. ავთანდილმა გამოართვა. გამხმარი ღერი შეარჩია, ასანთს გაკრა და ვააბოლა. „პრიმა“ პატრონს დაუბრუნა. თამაზმა უფრო დიდხანს არჩია ღერი, როგორც იყო, ორი თითით ამოაცოცა, მოუკიდა და ძალიან ფრთხილად ქვაზე დაჭდა.

შავი სტელა მოულოდნელად გზიდან დაგორდა და თავდაღმა წაევიდა. ავთანდილმა მაშინვე შეამჩნია, მაგრამ პირველად ვერ მიხვდა, რატომ მიდიოდა მანქანა უკან. ამ ფიქრში დაყოვნდა, მერე დაფეთებული წამოვარდა, პაპიროსი გადააგდო და გაიქცა. მართალია, დაფრთხა, მაგრამ არც ისე შეეშინებია, რადგან იმ ცუდ ამბავს, რომელიც მერე მოხდა, სულ არ ელოდა და ისე სწრაფად აღბათ ვერც გაიაზრა, რით შეიძლებოდა დამთავრებულიყო ყველაფერი. მანქანამ ცალი ბორბლი გადაჰყო კლდეზე და ქვევით დაიხზა. ავთანდილი და თამაზიც იმწამსვე მიცივიდნენ, მაგრამ გვიანდა იყო. ავთანდილმა კარის გაღება მაინც დააპირა და მანქანას კინალამ გადაყვა. სტელა თავიდანვე არ გადაბრუნებულა, რადგან გზიდან გადასვლისას წინა ბორბლები ჩაკბილულ კლდეზე მოიკიდა, შედარებით ნელა დაგორდა და ჯუჯა ხეებს გამოედო. ზევიდან ისე ჩანდა, თითქოს გაჩერდყო, მაგრამ ნაშალმა მიწამ და ღორღმა უკან დაიხზა, თვლებმა ტკაცუნით გადაწია ბუჩქები, მანქანა ჩაცურდა, უცბად შეტრიალდა და ცხვირით წაევიდა. იქვე ქიმს გამოედო, ყირაზე დადგა და გაფრინდა. ავთანდილმა თვალები დახუჭა. სადღაც ქვევით ყრუ ჯახანი მოისმა. ავთანდილმა თვალები გაახილა. მანქანა ძირს დავარდნილიყო და ახლა ფერღზე მიგორავდა. თითქოს შორს უნდა წასულიყო, მაგრამ მოულოდნელად გაჩერდა და გვერდზე დაწვა. „კიდევ კარგი, შიგ რომ არ ვიჯექით!“ — გაიფიქრა თამაზმა, რომელსაც ერთხანს თავი კინოში ეგონა.

სწრაფად მოიბრინეს საგზაო მუშებმა.

— იჯდა ვინმე შიგ? — იკითხა წელ-

ზევით შიშველმა ახალგაზრდა მუშამ.

— შიგ არავინ არ იჯდა, — უპასუხა გაფითრებულმა თამაზმა.

— კიდევ კარგი...

— აბა როგორ დაგორდა? — იკითხა გაკვირვებულმა ტრაქტორისტმა.

ლაპარაკის დროს სამიყენი ქვევით იხედებოდნენ.

— არ ვიცი, როგორ დაგორდა, — თქვა თამაზმა და ავთანდილს შეხედა. ავთანდილი მანქანას აღარც უყურებდა, სადღაც სხვაგან იხედებოდა.

— აქედან გადასულა! — ფეხი დაადო საბურავების ნაკვალევს ახალგაზრდა მუშამ.

— კი, აქედან გადავიდა, — დაემოწმა თამაზი. იგი გაოგნებული იყო და არც იცოდა, რას ლაპარაკობდა.

გზაზე დიდი საბარგო მანქანა გაჩერდა. კაბინიდან მოსული ტანის მძღოლი გადმოხტა. გზის პირას გაჩერდა და ძირს ჩაიხედა. მერე ვაზნარული ხმით იკითხა:

— ვინ იყო შიგ?

— შიგ არავინ არ ყოფილა, — უთხრა მეორე მუშამ.

— აბა მანქანა მარტო მოდიოდა?

— გზიდან დაგორდა, — უთხრა ახალგაზრდა მუშამ.

— თვითონ დაგორდა?

— თვითონ დაგორდა... — უთხრა თამაზმა.

— აუ, როგორაა ჩახლევწილი!.. შენი იყო? — ჰკითხა მძღოლმა ავთანდილს.

— ჩემი იყო.

— კი მაგრამ, როგორ დაგორდა?

— რა ვიცი, როგორ დაგორდა!..

— აქედან წამოვიდა? — იკითხა მძღოლმა და წყაროსაკენ შეტრიალდა.

— აი აქედან... — ფეხით მიანიშნა და ფიქრებულმა ავთანდილმა.

— აქ მდგარა პირველად... — თქვა მძღოლმა და მიწას დააჩერდა.

— მანდ იდგა, კი...

— სიჩქარეში გყავდა?

— არა, გამორთული იყო ყველაფერი, ხელის მუხრუჭი არ მიხმარია...

— რატომ, შე კაი დედამამიშვილი?

— აბა მანქანა თუ აღმართში თავისით მიდიოდა, მე რა ვიცოდი?

— აქეთ აღმართი კი არა თავდაღმართია... — უთხრა მძღოლმა.

— საიდანაა თავდაღმართი... — გაუკვირდა ავთანდილს.

— მე ვიცი, თავდაღმართია, რად გინდა მაგაზე ლაპარაკი... დააკვირდი თუ გინდა ან რა დაკვირვება უნდა!.. — თქვა მძღოლმა და ისე შეწუხდა, თითქოს მისი ბრალი იყო, ეს ამბავი აქამდე რომ არავის გააგებინა.

— მართლა აღმართი გეგონება, — გაეცინა ტრაქტორისტს, — მაგრამ თავდაღმართია...

— ხო გითხარი, — თქვა მძღოლმა.

— ახლა აქ რომ წყალი დასხა, იქით წავა, საითაც შენი მანქანა... — უთხრა ახალგაზრდა მუშამ ავთანდილს. ავთანდილი მუშას დააკვირდა და გაიფიქრა: „რამ ვაშავა ეს კაცი ასე, როგორ უბრალებს კანი“.

— ეს დაბრეცილი ფერდი ატყუებს კაცს, თორემ ისე თავდაღმართია... — კიდევ გაიმეორა მძღოლმა დანჯღრეული ხმით. მოულოდნელად სიჩუმე ჩამოვარდა.

ავთანდილს მოეჩვენა, რომ მისთვის აწ აღარავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, საით იყო თავდაღმართი და საით აღმართი. ამ ლაპარაკმა თავი მოაძულა.

— შენ ტროსი არ გაქვს? — ჰკითხა მძღოლმა ტრაქტორისტს.

— კი გვაქვს, თუ ჩაწვდა ბოლომდის... — უთხრა ტრაქტორისტმა.

— ვნახოთ შაინც...

— ვნახოთ კი.

— ქვევით საიდან უნდა ჩავიდეთ?! — იკითხა თამაზმა.

— გზაწვრილი ჩადის, მხოლოდ ცოტა ზემოდან... — უთხრა მეორე მუშამ, რომელიც ლაპარაკის დროს ყველას თავს არიდებდა, თითქოს რცხვენოდა.

— საწყალი სტელა! — გაეცინა ავთანდილს.

ყველამ ავთანდილს შეხედა. ავთანდილმა პაპიროსს მოუქცია.

— ახალი იყო? — ხმადაბლა ჰკითხა მძღოლმა თამაზს.

— ახალი იყო... — ხმადაბლა უპასუხა თამაზმა.

ყველანი თანაგრძნობით უყურებდნენ დაზარალებულს. მათ გულწრფელობაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ ავთანდილს მოეჩვენა, რომ თამაზის გარდა დანარჩენები რაღაცით გახარებულიც იყვნენ. გახარებული იყვნენ არა იმიტომ, რომ ავთანდილი დაიღუპა და დაიქცა, არამედ ისე, უბრალოდ.

...ავთანდილი გზის პირას დარჩა. იგი ქვაზე იჯდა და რცხილის ჩრდილს ეფარებოდა. ახალგაზრდა მუშა და თამაზი ქვევით ჩასულიყვნენ. მძღოლმა ბოდიშები იხადა, მეჩქარებოდა, მაგრამ ავთანდილი მაინც ნაწყენი დარჩა. თუმცა იცოდა, რომ უცნობი კაცი სულ არ იყო ვალდებული მთელი დღე მისი გულისათვის გაეცდინა.

თამაზი მალე ამოვიდა. ავთანდილის პიჯაკი ამოიტანა.

— ეს გამოვიღე მანქანიდან...

— რათ მინდოდა, რომ წამომიღია.

— ჰა, გამომართვი.

ავთანდილმა პიჯაკი შეათვალიერა. ხეს წვრილი ტოტი შეატეხა და ზედ მიაკიდა.

— კარი იღება?

— უკანა კარი გვაღე.

— ძალიანაა დამტვრეული?

— ისე რა... — თვალი მოარიდა თამაზმა.

— მაინც?

— მაინც რა... გაკეთდება.

ავთანდილს კიდევ უნდოდა რამე ეკითხა, მაგრამ იცოდა, ცუდის მეტს ვერაფერს გაიგებდა და გაჩერდა. გაკეთდებოდა, თამაზმა რომ უთხრა, ამ სიტყვამ გაახარა. რატომღაც შეგზავა ივრძნო.

— კიდევ კარგი შიგ რომ არ ვიჯექით, — გაიღიმა ავთანდილმა.

— აჰა!.. — დაეთანხმა თამაზი და იმწამსვე მიხვდა: ეს ამბავი სწორედ იმიტომ მოხდა, რომ შიგ არ ისხდნენ. ინატრა, ნეტავი არ გადმოგსულიყავითო, მაგრამ თავი ვერც მანქანაში წარმოიდგინა და დაიბნა...

შორიდან ტრაქტორი მოდიოდა. მეორე მუშაც ტრაქტორზე იჯდა.

— „ტროსი“ ჩააბით? — ჰკითხა ავთანდილმა თამაზს.

— კი ჩავაბით.

— მაგრად?

— კი.

— ამ ხალხს პატივი უნდა ვცე, ძალიან დაგვეხმარნენ... — თქვა ავთანდილმა.

— კი, ძალიან, — დაეთანხმა თამაზი.

ამასობაში ახალგაზრდა მუშამ ჯალამბარის მეორე ბოლო ზევით ამოიტანა. დაღლილი იყო და ცოტა აღგზნებულიც.

სინის ჯალამბარი ჯერ წვეტიანი კლდის ქიმს გამოსდეს, მერე ტრაქტორს დაუბეს. ტრაქტორი აჭიხინდა და პირდაპირ წავიდა. სტელა წამოდგა. ჯალამბარს მოეპორწიალა. ტრაქტორი დინჯად მიიწევიდა წინ. ჯალამბარი კლდის ქიმზე ჰრიალებდა. სტელა ნელა ამოდიოდა.

ავთანდილი უყურებდა მანქანას და ახსენდებოდა, როგორი წვალეებით შეიძინა იგი; როგორ აგროვებდა წლიდან წლამდე ფულს. რამდენ რამეს იკლებდა, რამდენ კარგსა და სასიამოვნოს არიდებდა თავს. ამხანაგები დასციროდნენ, უშაქრო ჩაის სვამსო. ავთანდილი მოთმინებით აგროვებდა ფულს. ბოლოს ცოტა ისესხა. რაც დააკლდა, მშობლებმა და ნათესავებმა დაუმატეს, იქნებ მოსივენოს, დაწყნარდესო. ავთანდილი ამბობდა: ერთადერთი სურვილია მაქვს და ეს თუ არ ავიხდინე, რა ვიქნებიო. ჩემმა ამხანაგებმა უმადლესი დაამთავრეს; ყველა საქმეს ეწია. მე არ გამიმართლა. უმადლესში ვერ მოვეწყვე. ვერ მოვინდომე და, ალბათ, ამიტომ ვერ მოვეწყვე. თავი მაინც არ მომიკლავს. როგორც ჩანს, ყველა აღამიანს თავისი ჭია ჰყავს და ყველამ ის ჭია უნდა მოკლას და კმაყოფილი დარჩებაო. ავთანდილმა მარათლა მიღწია მიზანს და ასე დაიბადა შვიი სტელა. აღამიანი აღამიანს ისე არ მიხედავს, როგორც ავთანდილი თავის მანქანას. სტელაც ერთგულად ემსახურებოდა.

...ახლა მისი კარგი სტელა დაბეგვილი, დასახიჩრებული მოადგა მოხვიწყულ შარავზას. ამოსვლას თითქმის აღარაფე-

რი უკლდა, როდესაც უანგინი ჯალამბარი გაწყდა და მანქანა ისევ უკან გადავარდა. სინის ჯალამბარი ცეცხლში ჩაიშენდა და იქვე გაჩერდა. კიდევ კარგი, არავის მოხვდა. ტრაქტორმა შვება იგრძნო და წინ გავარდა. თამაზი და გზის მუშები გაციებისაგან აყვირდნენ.

— შეიხსნა? — დაიძახა ტრაქტორისტმა. ტრაქტორისტისათვის ხმა არავის გაუცია. მუშამ ჯალამბარი აიღო.

— კი არ შეიხსნა, გაწყდა ეს უპატრონო!..

— დაყანგული ყოფილა... — თქვა მეორე მუშამ.

— გაწყდა? — იკითხა შეშინებულმა თამაზმა.

— გაწყდა, — უთხრა ახალგაზრდა მუშამ.

— რატომ უნდა გამწყდარიყო ახლა ეს? — თავისთავს ჰკითხა ტრაქტორისტმა, რომელიც მოგვიანებით მოვიდა და პირველად ჯალამბარს დაწვდა.

— მშენებლობაზე უნდა მივიდეთ... იქა აქეთ კარგი „ტროსი“. ამის ნდობა არ შეიძლება, — თქვა ახალგაზრდა მუშამ.

— შორსაა მშენებლობა? — იკითხა თამაზმა.

— არც ისე შორსაა...

— შენ დანამდვილებით იცი, რომ იმათ აქეთ ამხელა „ტროსი?“ — ჰკითხა მეორე მუშამ.

— კი ვიცი, დანამდვილებით ვიცი...

ავთანდილმა ხეზე მიკიდებული პიჯაკი ჩამოიღო, დასვრილი კალთა ხელით გაწმინდა, ჩაიცვა და წავიდა. თამაზი დაუფიქრებლად გაჰყვა. ავთანდილი უცბად მოტრიალდა და მუშებს დაუძახა:

— კარგად იყავით, მადლობელი ვარ ყველასი!

— სად მიდიხარ? — ჰკითხა თამაზმა.

— შინ... — გზა განაგრძო ავთანდილმა.

— სად შინ?

— ქუთაისში...

— მერე ეს?

— რა ეს? შენ რჩები თუ რა გინდა?

— მანქანა?

ავთანდილმა ხმა არ გასცა. თამაზი უცბად მიხვდა ყველაფერს. რატომღაც ტანში გააყრყოლა.

— მე არ წამოვალ! — თქვა გაუბედავად.

— წამოდი ჩქარა! — დუძახა ავთანდილმა და ნაბიჯს მოუმატა. თამაზი თითქმის სირბილით გაჰყვა.

— ჩავიდეთ, რადიო მაინც მოვხსნათ... ბორბლები დავაძროთ... წვრილ-წვრილი რალაცეები მაინც დავაძროთ... ინსტრუმენტები წამოვიღოთ... ჯერ ერთი ის მანქანა სულ არაა გადასავდები... — სწრაფად ლაპარაკობდა თამაზი. ღორღიან გზაზე ბორბიკობდა, კოლბოხებზე ფეხი უსხლტებოდა. — სამახსოვროდ მაინც ავაძროთ რალაცა, თუმცა ან მანქანა რატომ უნდა დატოვო...

— ფეხი გამოადგი, ბევრს ნუ ლაპარაკობ! — ყრუდ უთხრა ავთანდილმა.

ასე იარეს პატარა ხანი. ბოლოს თამაზი გაჩერდა და დაიძახა:

— არ წამოვალ, მე არ მოვდივარ!..

— წამოდი, გეუბნები! — მოტრიალდა ავთანდილი.

— არ წამოვალ! — ატირდა თამაზი. ბიჭს ეგონა, ყველაფერში მე ვარ დამნაშავეო და გული ამოუჭდა. ავთანდილმა კლდის ჩამონატეხი ქვა აიღო.

— წამოდი თუ არა, თავს გაგიტეხავ!

— მესროლე, მესროლე! — ზღუქუნებდა თამაზი.

ავთანდილი თამაზს მიაშტერდა. პატარა ხანი უყურა. მერე ქვა დაავდო, შეტრიალდა და ნელა წავიდა. თამაზი შორი-ახლო გაყვა. იგი აღარ ტიროდა, მხოლოდ დროდადრო სლოკინებდა.

ტყიბულამდე შემთხვევით დამგზავრებულ ავტობუსს გაჰყვნენ. ავტობუსი სულ თავდაღმართში მიდიოდა და უხეიროდ რახუნებდა. მზე შუბის ტარამდე გადახარდიოყო. გზის მარჯვენა მხარეს ხეთა ჩრდილი ადგა. ავტობუსის ფანჯრებს მზე არ ადგებოდა და გრილოდა.

— იქით სადღაც მეთვე წყაროა. —

თქვა კარგახნის სიჩუმის შემდეგ ავთანდილმა და ფანჯრიდან გადაიხედა.

— სად? — უგულოდ ჰკითხა.

— მგონი იქით, იმ გორის გადაღმა, ერთხელ ვიყავი ბავშვობაში.

— ვინ წამოგიყვანა?

ავთანდილმა პასუხის გაცემა საჭიროდ არ ჩათვალა, რბილ სკამზე გასწორდა და წინ რალაცას მიაჩერდა. ტყიბულამდე მეტი აღარაფერი უთქვამს.

ქუთაისის მატარებლის გასვლას კარგახანი აკლდა და ავთანდილი და თამაზი იმ სასადილოში შევიდნენ, რომელიც სადგურის ახლოს პირველად დაინახეს. სასადილო სარდაფში იყო და გრილოდა. დახლიდარი ბუჩებს იგერიებდა. მაგიდებს სალათისფერი, სქელი მუშამბა ჰქონდა გადაფარებული. სანამ მომტანი შეკვეთილს მოიტანდა, ავთანდილმა დახლიდარს ჰკითხა:

— აქ შახტში ძნელია მოწყობა?

— გააჩნია რად?

— ვთქვით მუშად...

— თუ იმუშავებ, ვინ დაგიშლის?.. — გაეცინა დახლიდარს, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ მუშტარი არცთუ ისე თავაზიანად ამასხარაგებდა.

ავთანდილმა ჰიქები ღვინით შეავსო.

— ეს გაუმარჯოს ჩვენს სტელას, მისი სულის საცხონებელი იყოს. მართალია, ცოტა ხანს, მაგრამ ერთგულად მემსახურა... ღმერთმა იცის, გლახად არც მე ვეჰცეოდი...

— ხსოვნა იყოს სტელასი! — თქვა თამაზმა.


— დალიე ბოლომდე! — უთხრა ავთანდილმა.

— ხომ იცი, რომ მე არ ვსვამ... ამ ჰიქას კი დავცლი... — თქვა თამაზმა, ნახევრად სავსე ჰიქა ისევ აიღო და ბოლომდე დაცალა.

— შენ აწი ნელ-ნელა უნდა დაიწყო ღვინის სმა... — უთხრა ავთანდილმა.

თამაზმა თავი დახარა და ჰამას შეუდგა.





სეზონი



მზე

ლოცვა ცისკრისას

რა სინათლეა, თეთრო ჩიტებო,
ვის აუნთიხართ, თეთრო ალვეებო,
ფეხებს ითრევს და წელში იმტვრევა,
ყველა ცოდვა და ყველა წვალება...
და ყვაფილების ღიმილის ცრემლი,
არის მაღალი მზის მოწყალება,
სადღაც აგდია სიკვდილის ცელი
და ბიბინებენ მზეზე ყანები...
ვიღაცა მიცდის, ვიღაცა მელის,
რომელიც ალბათ შემიყვარდება.

მ ზ ე ს ტ ა ნ

ერთი შემხედე რა ახლოსა ვარ,
რა ახლოსა ვარ, ერთი შემხედე,
ხელში მიჭირავს ატმის რტოსავით
მზე, რომლის სევდა ტვინში მეზლება.
მე დაღლილი მზე მიჭირავს ხელში,
ჩემს მეტი კაცი ვერ შეეხება,
შემოდგომის მზე ტირის და კვნესის,
ხელში მიჭირავს ატმის რტოსავით...
ასე თავდება დიდ მზეზე ლექსი —
ერთი შემხედეთ, რა ახლოსა ვარ.

აყვავებული მზე...

გვაქვს ხანჯლებივით გაყრილი მზერა
ზურგში და თვალში, ძარღვში და ტვინში...
ის გვათამაშებს, მე ასე მჯერა.
და დაბნელება გულში გვაქვს შიშად.

ის ათამაშებს ბურთივით მიწას,
უგზავნის წვიმას, თაკარა სიცხეს,
პურით და წყალით ჰორფლავს და წინწკლავს
და ცაზე ხატავს დროთა აღმრიცხველს.
ეჰ, ჩვენი ბრალი, შენ რომ არ გვყავდე,
რა გვეშველება, მზეო მაღალო,
იგანთიდა, ნუში აყვავდა,
მე კიდევ შენზე ფიქრმა დამღალა.

ჩასულ მზეზე

ჩრდილები ყრია,
ჩრდილები ყრია
და დედამიწას სძინავს...
თეთრი ოზობა ქსელსა ქსოვს ყვითელს,
ნელა და მძიმედ...
დინჯად და მძიმედ...
ჩვენ უშენობას,
რა ეუყვით, ვითმენთ
და დედამიწას
ლოგინში სძინავს...
თეთრი ოზობა ქსელსა ქსოვს ყვითელს,
ნელა და მძიმედ,
დინჯად და მძიმედ.

თ ო ვ ლ შ ი

აქ თეთრად იწვის შენი სხეული,
აქ ყველაფერი შენთვის ანთია,
ისე სათნო ხარ და შეჩვეული,
რომ შემოგხედონ, ფიფქად ჩაგთვლიან.
სიმღერა უთქვამს უთვალავ სანთელს,
უთვალავ სანთელს უთქვამს სიმღერა.
თოვლშია შენი თვალების მაღლი
და შენს თვალეში მთვარე ირხევა.

ფ ლ ა კ ა რ ი

აქ ვინ დაგტოვა
პატარა მაკა,
ყვითელ ფერებში
აქ ვინ დაგტოვა,
ჩამოგიქროლებს
არწივი, მაკა,
და თავის ლამაზ
ფრთას დაგატოლებს...

რა ცეცხლისფერი
ყვავილებია,
რა უცებ ქრება
ბაბუაწვერა...
ნუ გეშინია,
ზღაპარს ყვებიან,
ზღაპარს, რომელიც
არავის სჯერა...

მე და მწვანე ტბა,
მე და მწვანე ტბა...
მაღალი ქვეყნის ფერისცვალება...
სად გეჩქარება, დიღო სინათლე,
საით მეწვევი,
საით მიმართე...
ჩემი გაქცევა ქვეყნად ვინა თქვა,
ო, არა, შვილიც რომ მომინათლო,
ვერ წაგყვები და ვერ აგენთები,
მომეშვი, მზუო,
მე აქ თბილად ვარ,
მე აქ გაგჩნდი და აქ დავბერდები.
მე და მწვანე ტბა,
მე და მწვანე ტბა,
და მწვანე ტბაში წვანან ქედები.

ტ შ ე

შავი ნაბღები მიჰქრიან ცისკენ,
ცისკენ მიჰქრიან შავი ნაბღები
და ვარსკვლავების სიმღერას ისმენს
მთვარე მსუბუქი და გაბადრული.
ჭახჭახა თვალი უჩანს ფათერაკს,
შავი ნაბღები მიჰქრიან ცისკენ,
ლამის სიმღერას მღერის აფთარი
და მთვარეს ფარავს ღრუბელთა სისქე.

ხ ო მ ა ლ ღ ი

ამხელა წყალში,	ტალღაზე უფრო
ამხელა წყალში,	მაინც იჩქარე,
როგორ გაბედე,	რომ არ ჩაგძიროს
თეთრო ხომალდო.	თეთრმა ქარებმა...
დაგეჯახება ვრიგალი,	უნდა გაგაქროს,
დაგშლის,	უნდა მიგჩქმლოს,
ვრიგალი დაგშლის	მოდის ვრიგალი
და გამოგადგებს...	და... გეზმანება.

კატარა სევდა

შენ მცხეთის ჯვარზე ღრტივინავ და ოხრავ
და ეჯახები ანანურს შუბლით.
არა მგონია, რომ ისევ მოხვალ
სიცოცხლეცავით ბატარა შუბლით.

არა მგონია, რომ ისევ მეტყვი,
გახმაურებულ ფიქრსა და სევდას,
რადგანაც შენი ცხოველი სვეტი,
სიცოცხლესავით თვალებში მედგა...
რადგანაც შენი ცხოველი სვეტი,
მთვარისკენ მიდის და მზისკენ მიდის,
და არავგს მიაქვს პატარა სევდა,
და არავგს მიაქვს პატარა ხიდი.

ვ ა ლ მ ბ ა

ასე ანთია ჩუმად და წყნარად.
დიდი ქალაქი მთებში ანთია,
იღვრება თეთრი, კამკამა წყალი
და უხარია ცისფერ განთიადს...
და წყალში ჩანან მწვანე ნაძვები
და ამოდინან წყლიდან თევზები,
წყლის ზედაპირზე ფიქრი დაძვრება...
ცაში დაკარგულ სატრფოს ეძებენ...
და პოულობენ, და პოულობენ,
მერე ხმამაღლა, ერთად გალობენ —
კვლავ ერთდებიან სასწაულები
და მუხლს უყრიან შთამომავლობას.

აკაზისფერი საღამო

არმაზო, ნეტა შენს სილამაზეს,
არმაზო, ნეტა შენს სიღიადეს,
პირველად ვნახე შავი ავაზა
და ჩემი შორი მთები ვინატრე.
პირველად ვნახე შენი საღამო,
ასე მაღალი და გულზევიადი,
რომ გადამრიე და რომ დამლაღე.
არმაზო, ნეტა შენს სიღიადეს.

პარსკვლავები

ყვითელ საღამოს
თანდათან ანთებს,
მწიფე ვაშლებით დახუნძლული
ფერმკრთალი ზეცა.
სიცოცხლის სევდა მთვარეში გათბა,
მერე გადიქცა სიცოცხლის სვეტად...
ისე კარგი ხარ და ისე სათნო,
ასე მგონია, რომ მარტო დღეს ხარ...
ატმის რტოსავით გასულხარ ცაში,
რომ უამრავი ვარსკვლავი გესხას.

გ ა ზ ა მ ხ უ ლ ი

რა ახლოსა ხართ, ხეებო, მზესთან,
რა ახლოსა ხართ მზესთან, ზარებო.
გაუხელია თვალები ნესტანს
და მოდის თამარ მეფის ზმანებად...
ჩვენი სიმღერა უთუოდ დღეს ვთქვათ,
რა დროს შიშია და მოკრძალება...
ეს სიყვარული საუბრობს ღმერთთან
და ალბათ მალე ჩამობრძანდება.

გედის სიმღერა

ლამაზი ღამით იწვის ბეთლემი
და ცეცხლში იწვის ცისფერი მკერდი
ვისია თეთრი ქალი ეთერი,
ვის დაჰკარგვია სიმღერა გედის...

გამოგზავნილი არის ღმერთების,
როგორც ჩუმი და ლამაზი სევდა.
და ვიცი სულში ამომენტება,
უკანასკნელი სიმღერა გედის.

ს ი ლ ა მ ა ზ ე

სულ ზევით. ზევით,
მალა და მალა,
ნაცრისფერ გუბებზე
შენს თვალებს ვუმზერ,
სინათლის ფერი
მობრუნდა წალმა,
დაუბნევია
მიხაკი გულზე.

ათასი კვირტი,
ათასი ნალმი
და აფეთქება
ასი ათასი...
გამოღმით მე ვარ,
შენა ხარ გაღმა
და გაზაფხულის
გაქვს სილამაზე.

ოქროს ჩქერები

ქარის წისკვილებს
და თივის ზვინებს,
თივის ზვინებს და
ქარის წისკვილებს
სიცხეში სძინავთ,
სივრცეში სძინავთ
და მზე ლურჯ ტბაში
სხეულს იგრილებს.

ლამაზო ჩქერო,
და ოქროს ჩქერო,
კიდევ მიმღერე
და მიგალობე,
ქვეყნად სიკვდილი
ვერ დამაჯერონ,
რადგან სიცოცხლე
შენ მიწყალობე.

გააქვთ კისკისი დაბნულ მიხეებს
და ლულუნებენ თეთრი მტრედები...
ჩემი ვენახის ფესვი და ძირი,
სიცოცხლესაკით მიემდეგა...

ეს სიცილია, ვაზი რომ ტირის
და საქართველო რომ არ ზერდება...
მზეო, მოგვეცი ათასი გმირის
ათასი დიდი შემოქმედება.

ი ა ღ ო ნ ე გ ი

ყავისფერ მზეზე ღრუბელი გალღვა,
სულში ძვრებიან იადონები...
თეთრი ქარები იწვევენ მაღლა
და უცხო მხარეს მიაქვთ ომები.

სალამი ქვეყნად სამოთხის ბაღნარს,
სალამი ჩიტებს ასიათასებს...
გამოღმით მე ვარ, შენა ხარ გაღმა,
და გაზაფხულის გაქვს სილამაზე.

ი ს ე ჯ ტ ყ ე

თეთრი ფიფქები მღერაან ტყეში
და ტყის სიჩუმე მთვარისკენ მიაქვთ,
ტყეშია შიშის ლამაზი ეშვი,
რასაც სიჩუმის სიმღერა ჰქვია...
ტყეა სიცოცხლე და ტყეა ჩრდილი,
ტყეა აკვანი და ტყეა კუბო...

ტყეა საღამო, ტყე არის დილა
და ტყეა მიწის ცისფერი უბე.
ჩვენი სიმშვიდეც ტყე არის, მაკა,
სიმშვიდე, სადაც არ მოგწყინდება...
ეს გაუმარჯოს, მაკა, შენს აკვანს
და შენს ხვალინდელ გამოღვიძებას!

ა რ წ ი ჯ ი

მზე როცა ჩადის,
მზე როცა ჩადის...
და სწორედ მაშინ გაღმომიქროლებს.
ამქვეყნად დამაქვს მე ჩემი დარდი,
არწივზე რატომ უნდა ვფიქრობდე.
მზე როცა ჩადის,
მზე როცა ჩადის —

ფრთას ყურისძირთან გამიტყლაშუნებს.
რადგანაც ვიცი არწივის ყადრი,
პაპის ნაჩუქარ ადათს ვასრულებ.
მოგზიდე მშვილდი, ისარი ვტყორცნე,
მიწაზე გღია ზეცის პატრონი...
მე დაჭრილ არწივს თვალეზში ეკოცნი,
მერე ფრთებს ვუშლი და მხრებს ვატოლებ.



სამეგრეო



გოთხე

მოთხრობა

დილიდანვე წვიმდა. ეზოში პატარ-პატარა გუბეები იდგა და ზედ წვიმის წვეთები როკავდნენ.

ბოლოდახრილი ქათმები ხან საქათმეს შეეფარებოდნენ, ხან ეზოში დაბორილობდნენ. ღორები დილით ბადრიამ გარეკა ტყეში, მერე დაბრუნდა და ახლა სკოლაში გაიქცა. ესტატემ კი ფრონტიდან ჩამოყოლილ ყავარჯენს წამოავლო ხელი და მეზობლებს გაჰყვა აბუსალათინის ასაღებად.

ბოთვერამ საღორის წინ მშრალი ადგილი მონახა, მიწა გამოქეჭა, დატრიალდა და ჩაწვა. სახლში აღარავინ დარჩა და კარმიდამო უკაცრიელმა სიჩუმემ მოიკვა. მარტო წვიმის შხაპუნი ისმოდა.

ბოთვერა მოგორგლილი იწვა, მაგრამ არ ეძინა. იწვა და ალბათ რალაცაზე ფიქრობდა.

* *

ბოთვერა მაშინ ლეკვი იყო. სამუშაოდან დაბრუნებული ბიჭები ხმაურით ავსებდნენ ეზოს. ბოთვერა მათ ჭიშკართან ეგებებოდა კულის ქიცინით. ბიჭები ლეკვს ეთამაშებოდნენ: ხან ერთი ძმა გააკორიალებდა მიწაზე, ხან მეორე. ბოთვერა გაცხარდებოდა, წამოხტებოდა, მაგრამ ახლა კულზე ექაჩებოდნენ აქეთ-იქით. ლეკვი გავდებოდა, გადაირეოდა, ძმები გაეჭყეოდნენ. გათამამებული ლე-

კვი გამოეკიდებოდა, დაეწეოდა, მიახტებოდა და შარვალს ჩამოახვედა. გადარჩენილი ძმები აროხროხდებოდნენ, იცინოდნენ მანამდე, სანამ გულს არ იჯერებდნენ.

იცინოდა ბიჭების მამა ესტატეც. მარტო ქალთაშე იტყოდა საყვედურს: საცოლშვილო ბიჭები ხართ, ბაღლობა აღარ შეგვერითო. ყოველდღე თქვენი ტანსაცმლის კერვას ვერ ავუღივარ. ან მსგ მგლის კერძ ლეკვს ახევიანებო, ან ერთმანეთს ეჭიდავებით და იბადებებითო.

ზოგჯერ ესტატესაც აიყოლიებდნენ შვილები და ეზოში შიგჭიდილას გამართავდნენ. ამვლეღი და ჩამომვლეღი ყველა მათ ჭიშკარს მოადგებოდა.

ხმამალა იცინოდნენ, მთელ უბანს ესმოდა მათი როხროხი.

ბოთვერა კი ფეხებშუა დაძვრებოდა და ხან ერთს ექაჩებოდა შარვლის ტოტზე, ხან მეორეს.

— კაცო, შენ რაღამ წამოგვიარა, რამ გამოგაჩერჩეტა. რაღა დროს შენი ჭიდაობაა? აგერ მთელი ქვეყანა თქვენ გიყურებთ, — ეტყოდა ხოლმე ქალთაშე.

- მიყურონ, რა!
- სირცხვილია, კაცო!
- რა არის სირცხვილი?
- დაბერდი და ახლა მოგიინდა ჭიდაობა?!

— ვინ დაბერდა, ქალო, შენი ესტატე? ესენი თუ გინდა, ორი დამაჭიდე ერთად!

ციკლიდან „ომის დღენში“.

ბოლოს ვახშმად დასხდებოდნენ და დამწვინდებოდა ბინდაკრული ეზო.

ნავახშმევს მთვარე ამოანათებდა. ბოთვერა სახლის წინ იწვა და გროვად დაყრილ ძვლებს ახრამუნებდა.

მერე ბიჭები ომში წავიდნენ. მალე მათ კვალს ესტატეც გაჰყვა. გაიკრიფნენ ჯეგლები. სოფელში აღარ ისმოდა სიმღერები, აღარ იმართებოდა ქორწილი...

გაზაფხულზე კი ხან ამ უბანში, ხან იმ უბანში ქალების შემაზრუნენი კივილი ამოენთებოდა და ბოთვერა ყმუილს მორთავდა. თვალცრემლიანი ქალთაშუე უჯავრდებოდა, შენ თავსამც ამოიჭამო.

ზაფხულის მიწურულს ესტატე დაბრუნდა და ჭიშკარში მარცხენა ფეხის მაგიერ ყავარჯენი შემოიყოლა.

ეზოში მარტო ბადრია მიეგება მამას.

— დედა სად არის? — ჰკითხა დაღლილმა ესტატემ.

— ავად არის, წევს, — თვალეზზე ცრემლი მოადგა ბიჭს.

დადგა ფოთოლთცვენა.

აგრილდა.

ერთ დღეს ქალთაშუეს აღარ უკითხავს. ბიჭებისა ხომ არაფერი ისმისო. მთელი დღე გულადმა იწვა გაუნძრევლად. მზის ჩასვლისას გვერდზე გადაბრუნება ითხოვა. ესტატე მოეხმარა, გადააბრუნა კედლისკენ. ქალმა დაღლილივით მშვიდად ამოისუნთქა, ამოისუნთქა და გათავდა.

ეზოში დარჩა სიცივე, სევდა და სიმატოვე.

ბოთვერას იმ დღიდან ცხელ წყალში აღარ უყრიან ფქვილს. დღეში ერთხელ აჭმევენ ცივ წყალში ადგეფილ ქატოს. ახლა რა უჭირს, ზაფხულია, ზამთარში იყო ძნელი: ქატო კარდალაში უტეებ დაილექებოდა და ბოთვერას ყინულივით ცივი წყალი უნდა ეთქვლიფა, ვიდრე ქატოსაც არ მისწვდებოდა. მერე სიცივე აიტანდა, ააკანკალებდა და მთელი ღამე ძვლებს ველარ ითბობდა.

გაზაფხულზე ქატოც გაქრა. ფქვილს აღარ სტრიდნენ — უბარაქოვდებო. სადამოს ვარცლის ნარეცხს გამოუდგამდ-

ნენ და ბოთვერა იმით უნდა ვასტყვიოილაღ მეორე საღამომდე.

და ბოთვერა კადრულობდა მჭადის მოპარვას, ფქვილის კასრში ცხვირის ჩაყოფას, თუ სადმე დაივლებდა, თუ სადმე მოიხელებდა. რამდენჯერ წაუსწრიით და ზურგზე ჯოხიც გადაუმტვრევით, მაგრამ...

სული ტკბილი ყოფილა.

სული კბილით მიიტანა ზაფხულამდე.

საღამო ხანს წვიმამ გადაიღო, ნისლები აიჭრა, ცა მოიწმინდა, მაგრამ მზეს აღარ გამოუხედავს — უტეე ჩასულიყო.

ბოთვერას შიოდა და შესასველთან წრიალებდა. მერე ადგა და მეზობლის სანაგევებს ერთხელ კიდევ ჩამოუარა. სხვა ღროს ძვლებისა და ნამცეცების გულისთვის მეზობლის ეზოში ფეხსაც არ შეადგამდა, მაგრამ ახლა...

საკბილო ვერაფერი ნახა, შინ ისე დაბრუნდა. რას ნახავდა, რა გადაურჩებოდა სხვების გაწუწუებულ ძაღლებსა და კატებს!

ბოთვერა დაწვა, თავი თათებზე დაიდო და ნაღვლიანი თვალეზით მიაშტერდა მოხურულ კარს. ვინ იცის, როდის გაიხსენებდნენ, როდის გამოუდგამდნენ საჭმელს.

ბადრია დაჩეხილი შეშისათვის გამოვიდა და დამწვარი მჭადის სუნი გამოჰყვა. ბიჭს ნამტირალევი თვალეზი ჰქონდა, შინ კი გაუცინარი ესტატე რალაცაზე ჯავრობდა.

ძალი იწვა და ღრიჭოდ დარჩენილი კარიდან შიგნით იჭვრიტებოდა. ჩაბნელებულ სახლს მხოლოდ ბუხრის ცეცხლი ანათებდა სევდიანად.

ბიჭი შეშის შეტანას მორჩა და კარი მოხურა.

ბოთვერა შესასველთან იწვა, თავი თათებზე დაედო და ნაღვლიანი თვალით უყურებდა კარს. შიოდა, გულ-მუცელი ეკაწრებოდა და საჭმელს ელოდა.

...და, როგორც იქნა, გაიღო კარი. ბადრიმ კარდალა გამოიტანა. ბოთვერა ზეზე წამოხტა. მან იცოდა, შიგ ვარცლის ნარეცხი იყო და გახარებული ბიჭს აატო-

ტდა, ჩქარა დამიდგო. ალბათ მკვიდრად არ ეჭირა, ძაღლის თათი მოხვდა თუ არა, ბიქს ჩაღხანა ხელიდან გაუვარდა და მიწაზე პირქვე დაემხო.

ბიჭი დაიხარა. ბოთვერამ წყმულით მოკურცხლა. ბადრიმ ქვა ვერ იპოვა და ძაღლს ნიშნის მოგებით უთხრა:

— შენი ულუფა ეგ იყო, მშვიერი თუ დარჩი, თავს დააბრალებ, — კარდალა აიღო და შინ შევიდა.

მიწა ნაწვიმარი იყო, მაგრამ დაღვრილი მღვრიე წყალი მაინც სწრაფად შეიწოვა. დარჩენილი ქატო, ვარცლის ნაღბეკები და დამწვარი მჭადის ქერქები ბოთვერამ ერთიანად ალოკა, მაგრამ შიმშილი ოდნავადაც ვერ დაიოკა. მერე ისევ სახლის წინ დაწვა, ისევ დაიდო თავი თათებზე და ნაღვლიანი თვალებით მიაშტერდა კარს. ძაღლს იმედი ჰქონდა, პატრონი გამიხსენებს, კვლავ გამომიდგამს საჭმელსო და მოთმინებით ელოდა იმ ბედნიერ წამებს.

ორღობეში რაღაც ხმაურს მოჰკრა ყუბრი. შუა ეზომდე გაიქცა ყფით. არც გაუფია, ვინ იყო და რა იყო. ისევ საჩქაროდ მობრუნდა; ეგონა, რომ მისი ხმის გაგონებაზე პატრონი გამოვიდოდა და საჭმელს გამოუტანდა...

ბოთვერა სიბნელეში იწვა და ბუხრის ცეცხლით წითლად განათებულ ფანჯარებს სევდიანი თვალებით უყურებდა. ხანდახან ლაპარაკს მოჰკრავდა ყურს და კუდს ააჩიციენებდა. მერე ის ხმაურიც მიწყდა, ფანჯრებმაც დახუჭეს თვალები და ბოთვერას საბოლოოდ გადაეწურა იმედი.

ნავახშმევს სავსე მთვარემ ამონათა. მოწმენდილი ცა ვარსკვლავებით იყო მოწინწკლული. ბოთვერამ ერთხელ კიდევ ჩამოუარა მეზობლების სანაგვეებს, კატების ჯოგი დააფრთხო და ისევ ხელმოცარული დაბრუნდა.

არსაიდან ხმა აღარ ისმოდა. ნიავიც კი არ იძროდა. გაქვავებულს ჰგავდნენ ხეები. ძაღლმა მთვარეს შეხედა, ბალანი აეჯაგრა და შეეყმუვლა.

ძაღლის ტირილი ყმულიაო, თუ ეს

მართალია, მაშინ ბოთვერა ტიროდა: ტიროდა? ხსენს თუ საკუთარ თავს, არ იცოდა, მაგრამ ყმული უნდოდა. მერე კარი გაიღო და ესტატემ ძაღლს ყვარჯენი აუქნია:

— რა თავსა სტირი, შე სამგლევ, დაიკარგე, აქედან! — დაუყვირა.

ბოთვერას პატრონის დანახვა გაუხარდა, კუდი ააჩიციენა და ახლოს მიუცუცქდა.

ესტატემ კარი მიიხურა და ძაღლი ისევ სიჩუმეში დარჩა. ერთხანს ისევ მთვარის შუქით განათებულ კარს უყურებდა, მერე ეზოს ბოლოში ჩაძუნძულდა. იქ, ღობეში, გასაძრომი ეგულეზობდა. გაძვრა. მეზობლის ეზოც გაიძუნძულა, ღობეში კიდევ ერთხელ გაძვრა და სიმიინდის აქოხრილ ყანაში აღმოჩნდა.

აქ ყველაფერი ნაცნობი იყო მისთვის. მას შემდეგ, რაც ტაროს მარცვალი გაუჩნდა, რაც მარცვალი რძე ჩადგა, ბოთვერა ყოველ ღამე აქ მოდის. ღეროს გადაამტვრევს, დაწვება და კბილებით ქიჩინის ტაროს. ქიჩინის და ხრავს, ტეხს და ხრავს რძიან ტაროებს, ვიდრე შიმშილს არ მოერევა.

ბოთვერამ ახლაც გადაამტვრია სიმიინდის ღერო, დაწვა, ტარო თათებში მოიგდო და ქიჩნა დაუწყო.

სავსე მთვარე სიმიინდის ქეჩიჩხე იჯდა და ბოთვერას მისანივით უყურებდა.

მერე უეცრად თითქოს რაღაც გასკდა, თითქოს ცა და დედამიწა გაირღვა, — საშინლად იქუნა. ბოთვერას წელში ელვამ დაჰკრა; წამოიწია, მაგრამ ტანი ვეღარ აიყოლა.

აყმუვლდა. ვილაყამ პატრონის დედა შეაგინა და თოფის ლულამ ისევ იელვა.

ბოთვერას განწირული ყმული ღამეს ჰკაწრავდა, შველას ითხოვდა, ვილაყას მოუხმობდა... მერე ხმა ჩაუწყდა და ახლა ჩუმად ებრძოდა სიკვდილს: — იკლანებოდა, იზმოვებოდა... შემდეგ გაირინდა...

სავსე მთვარე ისევ სიმიინდის ქეჩიჩხე იჯდა და ბოთვერას უყურებდა. მერე ნელ-ნელა გაიცრია, გაუფერულდა და ჩაქრა...

გმლოდ ორი გაზაფხული

რომანო

ეზო დერეფანივით გრძელი და ვიწრო იყო. ჩვენს ბინას ქუჩისკენ ჰქონდა ფანჯრები და ალაყაფის კარის თავზე ხიდივით იდო. ქვევით, კარის გაყოლებაზე დარჩენილი სივრცე გვირავს წაგავდა. ამ გვირავის ერთ მხარეს თეთრადეები ცხოვრობდნენ, მეორე მხარეს — ნამორაძეები.

ალაყაფის კარი დიდი და ლამაზი იყო. მეზობლები ამ კარით იშვიათად სარგებლობდნენ. ვინმე ურმით შემას თუ მოიტანდა, მხოლოდ მაშინ გამოალბდნენ. სამაგიეროდ ეზოს ბიჭებს გვიყვარდა იგი. ამოვწევდით ბეტონის ბუდეში დამაგრებულ საკეტს, ტკიპებივით მივეწეებოდით კარში ჩამოქლონებულ ფიგურებს და ჰაიდა! — დაქვანობდით წინ და უკან. ეზოს მხრიდან ყველა ბინას ხის მოჯირბანი ღია აივანი ჰქონდა. ექვსკუთხედად გამოთლილი ბოძები ზედ სართულის კოჭთან ფიცრის ფრთებით მთავრდებოდა. ყველა ბოძი ერთფრად იყო შედებილი. მარტო რუხაძეების ბინა ბზინავდა სხვაგვარად მეორე სართულზე. წინათ იმ ბინაში ვირსალაძეები ცხოვრობდნენ. რუხაძეების გადმოსვლა ყველას გვახსოვდა. ათსგვარი

ავევით დატვირთული უშველებელი საბარგულებით მოვიდნენ. საბარგულებში ცხენებიც უშველებელი ება. სწორედ იმ დღეს გაუგონარი აყალ-მაყალი ატყადა: ვირსალაძეები ბინის დაცლას აგვიანებდნენ. ქვედა სართულის ნახევრად ბნელ ოთახში უნდა გადასულიყვნენ, სადაც აღრე ლოთი აღექა ცხოვრობდა და... ერთი კვირის წინ მოკვდა. ყველას უკვირდა, როგორ მოათავსებდნენ ვირსალაძეები ამდენ ბარგს საუკუნაოსმავლარ ოთახში. მერაბის დედამ თქვა, ბატონო, ცოტა ხანს გვაცალეთო. ამაზე ცოტნეს ბიძა აყვირდა, ბატონები მტკვარში ბანაობენო. ცოტნეს ბიძა „დიდი კაცი“ იყო. ეს მერე გავიგეთ ცოტნესაგან. მაშინ კი სულგანაბული შევეცქეროდით შავულვაშიან კაცს. მას ტყავის ქუდი ეხურა, ტყაისავე მოკლე პალტო ეცვა, ხისბუდიანი მაუზერი ეკიდა. ბრაზობდა, ვირსალაძეებს ლანძღავდა და ზურკუეებს ეძახდა.

ჩვენ ბურკუეები ურჩხულებად წარმოგვედგინა. ამიტომ ვირსალაძეების ბურკუობაში ეჭვი გვეპარებოდა. ან კი როგორ უნდა დაგვეჭერებინა, — მერაბი მთელი დღე ჩვენთან თამაშობდა, ერ-

თი მორცხვი, გაუბედავი, დედასბიჭი იყო; მტკვარზე საბანაოდ ის არ დადიოდა და ქათმის დაკვლა რაა, ისიც კი არ შეეძლო. მერაბის დედა, ალერსიანი და კეთილი ქალი, ყველას გვიყვარდა.

მთელი დღე მოვუნდით ბარგის გადაზიდვას: ჯერ მერაბისა და მზიას საწოლები, ლეიბები, ზეწურები და საბნები ჩაეიტანეთ, მერე მერაბის დედისა და მამის ხის საწოლები, მაგრამ ოთახში მხოლოდ ერთი საწოლი დავდგით, — მეორე აღარ დაეტია. ოთახში პატარა მავიდაც დავდგით, რომელსაც ვირსალაძეები აღრე სამზარეულოში ხმარობდნენ. დიდი სასაღარიფო მაგიდა შუა ეზოში დავეტოვეთ — მამ სად წაგველო! მერე, როცა ცოტნეს ბიძა წავიდა, მეზობლები დეიდა ნინოს შეჰპირდნენ — თითო-თითო რამეს შეგინახავთო. ვინ რა დამალა და ვინ რა, მაგრამ ამას უხმაუროდ აკეთებდნენ, იცოდნენ, ბურკუების დახმარება დანაშაულად ჩაეთვლებოდათ. მერე გამოირკვა, რომ ეს თურმე არც ისე დიდი დანაშაული ყოფილა, თვითონ ცოტნეს ბიძამ შესთავაზა დეიდა ნინოს: თუ გინდათ, პიანინო და სასტუმროს მოწყობილობა დაგვიტოვეთო. ვირსალაძეებს არ უნდოდათ რუხაძეებისაგან დავალებული ყოფილიყვნენ, მაგრამ სხვა გამოსავალი არა ჰქონდათ: პიანინო და წითელი ხის ავეჯი დაუტოვეს.

მერაბის მამა თავაზიანი და ნაკითხი კაცი იყო. ყოველთვის სუფთა და ლამაზი ტანსაცმელი ეცვა: ზაფხულობით აბრეშუმის ხალათს იცვამდა და ჩალის ქუდს იხურავდა, ზამთრობით — შავ ხალათს, კრაველისსაყელოიან პალტოსა და კრაველისავე ბოხოსს ატარებდა. ფურცელამის ქუჩაზე ბუკინისტური მაღაზია ჰქონდა და წიგნით ვაჭრობდა. ხშირად დავდიოდით მასთან: გვიყვარდა ძველისძველი წიგნებით გამოჭედილი გრძელი დუქანი, რიყის ქვით მოკირწყულ ეზოში რომ გადიოდა. ეზო პატარა იყო. გარშემო ძალიან მაღალი სახლები ერტყა და ამომშრალი ჰის ფსკერს ჰკავდა. დუქანს ეზოსთან ვიწრო დერეფანი აერთებდა. დერეფანს ოღრო-ჩოლ-

რო იატაკი ჰქონდა. მოაჯირის ფიცრები ჰქიებს დაეხრათ, ძელი და ბოძები დროს დაეღია და წაღმა-უკუღმა დაეხრებოდა. ზაფხულობით, როცა გახურებულ ქვეფენილს ბული ასდიოდა, „ჰის ფსკერზე“ სასიამოვნო სიგრილე იდგა. ვისხედით და ლობე-ყორეს ვედებოდით, ვინ რას ჰყვებოდა და ვინ რას...

მერაბი ეშმაკი ბიჭი იყო: რაც ზევეითაა, ორი იმდენი ქვევითააო, ამბობდნენ მეზობლები. ბარე ასჯერ გამოათრია „გლეხიკაცის ისტორია“, მაგრამ წიგნი მოსაწყენად იწყებოდა და ასჯერვე ხელი აუყვართ. მაინც არ მოისვენა, იმდენი ქნა, ეს უზარმაზარი წიგნი თავიდან ბოლომდე წაგვიკითხა. სოსონ თქვა, განგებ მოიქცევა ეგრეთ, ვითომდა, ნახეთ, საფრანგეთში მეწვრილმანენი და წიგნით მოვაჭრენი რევოლუციონერები იყვნენო.

ყველას გვინდოდა რევოლუციონერები ცყოფილიყავით, ბურკუები და კაპიტალისტები ჰირივით გვძულდა. ჩვენი ყველაზე დიდი ოცნება კომკავშირი იყო. ეზოში ორი კომკავშირელი გვყავდა: ვახტანგ თეთრაძე და მისი ბიძაშვილი — დათა თეთრაძე. დათას მამა ომში დაღუპულიყო, დედა უფრო აღრე გარდაცვლიდა და ობოლი ბიჭი ბიძის ოჯახში იზრდებოდა. ბიძაშვილები ტოლები იყვნენ, ჩვენზე ოთხი-ხუთი წლით თუ იქნებოდნენ უფროსები. ჰო, რა ბიჭები იყვნენ! ხაკის ხალათებს იცვამდნენ. ტყავის განიერი, თითბრისბალთიანი ქამრები ერტყათ და აშურმები მხრებზე მარჯნიდან მარცხნივ ირიბულად ჰქონდათ გადაჭიმული. მკერდზე მიბნეული კომკავშირული ნიშნები თვალისმომკრეღად უელავდათ. ამ ნიშნების ბრწყინვა და აშურმას ტყავის მძაფრი სუნი გვხიბლავდა. მიხრა-მოხრაში, სიარულში, ლაპარაკში, თვალის ჭუტვაში, — ყველაფერში მათ ვბაძავდით. ისინი კი არც ხასიათით ჰკავდნენ ერთმანეთს და არც გარეგნობით. მე უფრო ვახტანგა მომწონდა, უფრო მისკენ მიწევდა გული, მაგრამ რატომღაც დათას ვბაძავდი. ვცდილობდი, ისეთი ცყოფილიყავი, რო-

გორიც ის იყო, — შეუპოვარი, პირდა-პირი, მოუღრიდებელი... მიზიდავდა და-თას ხასიათის სიმტკიცე, თუმცა ბუნე-ბით ლომობიერი ვიყავი და, უბედურება, ვისაც არ უნდა დასტყდომოდა თავზე, მაწუხებდა.

ვახტანგი ქარხანაში მუშაობდა. და-თაც ქარხანაში მუშაობდა, მაგრამ ჩვენი სკოლის პიონერხელმძღვანელიც იყო. გუშინდელივით მახსოვს პიონერულ ორგანიზაციაში ჩვენი მიღების დღე: ფიზკულტურის დარბაზში კედელთან ორ რიგად ჩამწკრივებულები ვიდექით. წინ, მაგიდასთან, მასწავლებლები და მშობლები ისხდნენ.

ცერემონიალი უკვე მთავრდებოდა, როცა დათა თეთრადემ მერაბ ვირსალა-ძეს მოჰკრა თვალი. ნელა მიუახლოვდა, ახედ-დახედა და მკაცრად ჰკითხა:

— შენ აქ რას აკეთებ?

მერაბმა თავი დაღუნა.

— შენ გეკითხებიან, აქ რას აკეთებ? თავჩაღუნული მერაბი დუმდა.

— რას უნდა აკეთებდეს? — იკითხა მშვიდად ფიზკულტურის მასწავლე-ბელმა.

— ვირსალაძის მამა ვაჭარია.

— მერე?

— ვაჭრის შვილს პიონერთა რიგებ-ში რა უნდა!

— მერაბი კარგი ბიჭია.

— ვაჭრის შვილია.

მასწავლებელი გაწითლდა, მერე გრძელ სკამზე ჩამომსხდარ მშობლებს გადახედა და, თითქოს თავს იმართლებ-სო, თქვა:

— ბუკინისტური სავაჭრო აქვს, წიგ-ნსა ჰყიდის.

— სულ ერთია, რითაც უნდა ივაჭ-როს, ვაჭარი ვაჭარია! — შეედავა დათა.

— წიგნის ქურდი ქურდი არააო! — დაიძახა აქლემამ.

აქლემა ჩვენს შორის ყველაზე დიდი გახლდათ ხნოვანებითაც და ტანითაც. მართლა აქლემს ჰგავდა: გრძელ კისერ-ზე პატარა თავი ება. სამჯერ იყო ერთსა და იმავე კლასში დარჩენილი. ამ ბაყ-ბაყდევისა ყველას ეშინოდა, წარმოიდ-

გინეთ, დათაც კი ვერ უსწორებდა თვალს.

დათამ მერაბს წითელი ყელაწიმიანი შეხსნა და მაგიდაზე დადო. მერაბმა ტი-რილი მორთო. შევხედე და მეც ცრემ-ლი მომერია; თან მეშინოდა, დათამ არ შემამჩნიოს-მეთქი. მაგრამ კაი შვილი ხარ, რამეს გამოაპარებდი! ნიკაპში წა-მავლო ხელი, თავი ვადამიწია და ზინ-ლით ჩაილაპარაკა:

— პიონერთა მებრძოლ რიგებს ქალა-ჩუნა ინტელიგენტებით ვავსებთ!

ცეცხლი მომევიდა და მივახალე:

— მე არც ქალაჩუნა ვარ, არც ინ-ტელიგენტი!

— მამაშენია ინტელიგენტი!

— მამაჩემი ექიმიია.

— ჰოდა, ინტელიგენტია.

— მამამისი ოცდაერთში დაჭრილ წი-თელარმიელებს ჟურნავდა, — თქვა აქ-ლემამ.

დათა აქლემას მიუბრუნდა:

— ოცდაერთამდე კი მენშევიკებს კუ-რნავდა ქეცისაგან.

— ექიმი, — ისევ ჯიუტად თქვა აქ-ლემამ.

— პიონერული რაზმი კომკავშირის ღირსეული შემცვლელი უნდა იყოს. გა-ნა თქვენ ბრძოლა შეგიძლიათ?! — ახ-ლა ჩვენ მოგვიტრიალდა.

ჩვენ ვდუმდით.

— შეგიძლიათ? — გაიმეორა დათამ.

— შეგვიძლია, — წამოიძახა აქლე-მამ, — ძალიან კარგადაც შეგვიძლია!

— შენ, შენც შეგიძლია? — ისევ მე მკითხა დათამ და ისევ ნიკაპში წამავლო ხელი, თავი ვადამიწია.

ბოლმა მომავლა ყელში, ცრემლი მო-მეძალა.

— გეყოფა ნებისყოფა მოხვიდე და გვითხრა, მამაჩემი თეთრგვარდიელს ტრილობას უხევესო? ჰა, თქვი!

გაკვირვებული შევცქეროდი. იმაზე ეფიქრობდი, ცრემლი როგორ დამეოკე-ბინა, მეშინოდა ამდენ ხალხში არ ავქ-ვითინებულყავ. უცებ ხელი გამიშვა, გატრიალდა და ახლა აქლემას დაუდგა წინ.

— აი შენ, შენ მიპასუხე!
— მამაჩემი კალატოზია, — თქვა აქლემამ.

— მაგას არ გეკითხები, ნავში სხედხარო, შენ და კიდევ ორნი, ერთი ქართველი, ერთიც სხვა ეროვნებისა. ერთ-ერთი თუ არ მოიცილე, სამივე დაიღუპებით. რომელს გადაადგებდი? ვის გადაადგებდი, აბა მიპასუხე!

აქლემამ ფეხი შეინაცვლა, შუბლი შეიჭმუნა.

— მიპასუხე! — აჩქარებდა დათა.

— ვინაა ის დანარჩენი ორი? — იკითხა აქლემამ.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

— სწორედაც რომ აქვს, — გაჯიუტდა აქლემამ, — ჯერ მითხარი ვინაა?

— თუნდაც ერთი ვირსალაძეა, მეორე — აი, პოლოსოვი. რომელს გადაადგებდი?

— პოლოსოვს, — მიახალა აქლემამ.

— საქმეც ეგაა! — ნიშნისმოგებით თქვა დათამ.

— ვირსალაძემ ცურვა არ იცის, პოლოსოვი კატასავითაა, სადაც გინდა გადაადგე, გამოცურავს, — თქვა აქლემამ და გაიღრჩია.

პოლოსოვი მართლაც კატასავით ცურავდა, მუხრანის ხიდიდან ტებოდა მტკვარში და რიყეზე ამოდიოდა ხოლმე. კეთილი ბიჭი იყო, საძმო და სამეგობრო.

ჩვენს ბინას სადარბაზო ჰქონდა, მაგრამ ამ შესასვლელით შინაურები იშვიათად ვსარგებლობდით, რადგან შუადღიდან თითქმის ყოველთვის ხალხით იყო სავსე. მამაჩემი დღისით საავადმყოფოში მსახურობდა, ნასადილევს კი შინ იღებდა ავადმყოფებს. ღამ-ღამობით თუ გამოიძახებდნენ, ოჯახებშიც დადიოდა.

სკოლიდან ნაშუადღევს დაებრუნდი. სადარბაზო უკვე ხალხით იყო გაჭედილი. მთელი გზა ერთი ფიქრი მაწვალებდა — მართლა მკურნალობდა თუ არა მამაჩემი მენსევიკებს. მერე მოჩვენება-

სავით ამეკვიტა, თითქოს მამა ჭრილობას უხვევდა ციხიდან გამოქცეულ თერთგვარდიულს: მე კარებში ვდგავარ და შევეცქერი; გაფითრებული მამა ხელით მანიშნებს, კარი მიხურეო, თან გაფაციცებით ახვევს ბანდს ტყვიისაგან გაგლეჯილ მკლავზე. „ვინ არის ეს კაცი?! ვინ არის?“ — ვეკითხები დედას. დედას მკვდრის ფერი ადევს და ათრთოლებული ტუჩებით ძლივს ლულულდებს რაღაცას.

ქრუანტელი მივლის, ცივი ოფლი მასხამს სახეზე, ზურგზე, მთელ ტანზე... თავპირისმტკრევით ავრბივარ კიბეზე, ვაღებ კარს — ერთს, მეორეს, მესამეს და... მამის კაბინეტში ქვაძქეულივით ვშეშდები: სკამზე წელსეგით გაშიშვლებული ბავშვი ზის, დახრილი მამა მაჯას უსინჯავს. იქვე თალხებში ჩაქმული ქალი მავდრებელი თვლებით მისჩერება მამას. ქალს გაფითრებული სახე და დაწითლებული ქუთუთოები აქვს.

შეგებით ამოვისუნთქე, გარეთ გამოვედი და კაბინეტის კარი ფრთხილად მივხურე.

— მოგშივდა, დედა გენაცვალოს? — შემომგეგბა დედა.

— არა მშობა.

— ავად ხომ არა ხარ?

— დედა, იცი, დღეს პიონერი ვავხდი.

— მომილოცავს!

— მთელი ჯგუფი მიგვიღეს.

— უკეთესად უნდა ისწავლობ, შვილო.

— მარტო მერაბი არ მიიღეს!

— მერაბი?! რატომ?! მერაბი კარგი ბიჭია!

— ვაჭრის შვილიაო.

— სისულელეა, მერაბის მამა ბუკინისტია, წიგნს ავრცელებს, სასარგებლო საქმეს აკეთებს.

— დათამ თქვა, ვაჭრის შვილიაო.

— მერაბი ალბათ ნაწყენია.

— იტირა.

— საცოდავი ბიჭი! დაბრუნდა შინ?

— არ მინახავს, მარტო წამოვედი.

— ასე არ ვარგა. არ უნდა მიგეტოვებინა, — მითხრა დედამ. რა იცოდა, რომ

გამხნეება და ნუგეში მე თვითონ მჭირდებოდა, რომ ჩემს გულშიც ბუდობდა პატარა ბოლმა და ეს ბოლმა მკერდში უცნაურად ფუთფუთებდა, ბობოქრობდა და ექვით მღრღნიდა.

სახელდახელოდ ვისადილე და მერაბთან გავედი. ვირსალაძეები ჯერ ისევ ჩვენს გვერდით, მეორე საართულზე ცხოვრობდნენ. თვალებდაწითლებული მერაბი ტახტზე მიწოლილიყო და იბღვირებოდა. დეიდა ნინოს ბრდღვილა ლამფა მაგიდის კიდესთან მიეჩოჩებინა, ფლოსტებში წაყოფილი ფეხები პატარა სკამზე შეეწყო და მთელი გულსყურით რაღაცას ქარგავდა. დედის პირდაპირ დასკუბებულ პატარა მზიას წიგნი გაეშალა, იდაყვებით მაგიდას დაყრდნობოდა, მოკლე ნაწნავები თითებზე დაეხვია და კბილით ხან ერთი ნაწნავის ბოლოს წიწკნიდა, ხან მეორისას. უშველებელი კედლის საათი თითქოს ნიშნისმოგებით აქანავებდა ენას, — ხმამალლა ტიკტიკებდა. ოთახში თეთრი, სასიამოვნო სინათლე იდგა.

— მოხვედი, შვილო? — თქვა დეიდა ნინომ.

— პიონერი! — ჩაიხიბითა მზიამ.

ახალა შევნიშნე, რომ წითელი ყელსახვევი ისევ ყელზე მეკეთა და თეთრი პერანგიც ისევ მეცვა. სხვა დროს სკოლიდან მოსვლისთანავე ვიცვლიდი, — შინ სხვას ვატარებდი, თალსსა და ათასგან დაკერებულს.

— ნაწნავის ბოლოში წიწკა წაისვი, ძენებ გადაეჩვიო წუწნას, — ისე ვთქვა, თითქოს ყველაფერში მზია ყოფილიყოს დამნაშავე, — არადა, თხის კუდივით დაგიმოკლდება ეგ თმა.

— ქორიანი ბიჭი! — თქვა მზიამ.


თმაზე ხელი გადავისვი და მერაბის გვერდით ტახტზე ჩამოვჯექი. მერაბი გასწორდა, ტახტიდან ფეხები გადმოაწყო და თავი ჩალუნა.

მზიამ ცალი თვალთ გამომხედდა და წაიბუტბუტა:

— დიდი ამბავი!

— ენა გაჩერე! — შეუტია მერაბმა.

„ნუ მარცხვენ ყაჩაღს, გამეცა, წადი...“

შენ, ძმავე, ყაჩაღად არ ვარგებულხარ, შენ დედაკაცად დაბადებულხარ. 
კითხულობდა მზია.

ვარკენული
გინჯილიძე

— ენა გაჩერე-მეთქი!
— დედა, დამანებოს თავი, ხელს მიშლის!

— მოისვენეთ! — მკაცრად თქვა შუბლშეკრულმა დეიდა ნინომ.

ერთხანს ჩუმად ვისხედით. მზია კი განაგრძობდა:

„ემაე შერცხვენილ ხმლისა პატრონი ჩემთან მოსვლასა როგორ ბედავდი.

ნუ მარცხვენ ყაჩაღს, გამეცა, წადი!...“

— ახლა პიესაშიც აღარ მათამაშებენ! — მარტო ჩემს გასაგონად თქვა მერაბმა.

— პიესაში? — გავიკვირვე მე, — პიესაში რატომ არ გათამაშებენ?

— დათა არ იზამს.

— ერთი შენც, პიესა რა შუაშია!

— როგორ თუ რა შუაშია?!

— თუნდაც მასე იყოს, — ვუთხარი მე, — შენც ადექი და ვაჭრის როლი ითამაშე. ვაჭრის როლს ხომ მოგცემენ?

მერაბს სახე გაუბრწყინდა.

— ყველაზე დიდი როლია.

— ვაჭარი სქელი უნდა იყოს.

— ეგ ადვილი საქმეა. ბალიში და მისი ჯანი. ეგეც არ იყოს, სავალდებულო როლია... — თავი შევიკავე, თორემ მინდოდა მეთქვა, აი, მამაშენს დიბი სულაც არა აქვს-მეთქი.

— მოქმონდეს მაინც რამე! თვიდან თვემდე თავი ძლივს გაგვაქვს, პურის ფულის მეტი არაფერია. სადაც არ უნდა იმუშაოს, ადამიანმა პურის ფული ხომ უნდა იშოვოს? — თქვა დეიდა ნინომ.

— ჭადრაკი ხომ არ გვეთამაშა? — წაფურჩულე მერაბს.

— ვითამაშოთ.

სანამ მერაბი ჭადრაკის დაფას იპოვიდა, მზიამ სკამი მოაჩოჩა და საინტერესო თამაშის მოლოდინში ტახტის წინ მოიკალათა. ის იყო ფიგურები დავაწყეთ და გვერდით ოთახიდან მერაბის მამაც შემოვიდა. ლურჯი სატინის ხალვათად შეკერილი, ჩაშვებული ხალათი

ეცვა. ქუსლებზეავეცილ ჩუსტებს მოაფლასუნებდა. სათვალე შუბლზე აეწია, ხელში გაშლილი გაზეთი ეჭირა.

— მოდებამე სახელმწიფო სამსახურში ჩადგა და... ახლა გაცილებით უკეთესად ცხოვრობენ, — ამბობდა დეიდა ნინო, — მისი ქალიშვილი ყოველთვე ახალ კაბას იკერაჲს, მერე რა კაბებს!

— მოდებამე სახელმწიფო ქონებას ქამს, — თქვა მერაბის მამამ.

— კარგად ცხოვრობენ.

— ადამიანს სინდისი უნდა ჰქონდეს.

— რა ვიცი, ჩარჩს მაინც შენ გეძახიან და...

— მე ხომ ვიცი, პატროსანი რომ ვარ, ჩემთვის ესეც საკმარისია.

— შენი შვილებისთვის?

— ჩემი შვილებისთვისაც. ვერავინ უკეთინებს, მამათქვენი თაღლითიაო.

— ყველა შეეგუა ამ დროს, მარტო შენ ჯიუტობ. მთელი შენი წუთისოფელი ჯიუტობ.

— კანის გამოსაცვლელი არაფერი მჭირს. მშრომელი ხალხის დრო დადგაო, მეც ეს მინდა. მუქთანორა და ჩარჩვაჭარი თვითონვე მძულს.

დეიდა ნინო ისევ ქარგავდა, ძია კონსტანტინე გაზეთს ათვალერებდა.

— ჯიუტი კაცი ხარ, ჯიუტი, — გაიმეორა დეიდა ნინომ. — მე ხომ გამაუბედურე შენი სიჯიუტით, ახლა ბავშვებიც გინდა გააუბედურო?

ძია კონსტანტინე ფეხზე წამოდგა, წინ და უკან სიარულს მოჰყვა.

ეზოდან დედის შემფოთებული ძახილი შემომესმა. გული გადამიქანდა. ვირსალაძეებს დავემშვიდობე და გარეთ გამოვედი. თუმცა ვირსალაძეების გვერდით ცვხოვრობდით, ერთმანეთთან უშუალო გასასვლელი არა გექონდა, — ჩვენს დერეფნებს ტიხარი ჰყოფდა. მისასვლელად ვირსალაძეების კიბით ეზოში უნდა ჩავსულიყავი და მერე ჩვენი კიბით მაღლა, მეორე საართულზე ავიდოდი. სინნელეში გულისფანცქალით ვიკვლევდი გზას, ფეხი მერეოდა. კიბეზე რომ არ დავგორებულიყავი, მოაჯირს ვეჭიდებოდი, სუნთქვა შემეკრა, ვიფიქ-

რე, ალბათ, რაღაც უბედურება დაატყდა-მეთქი ჩვენს ოჯახს.

კიბეზე ავედი, ოთახის კარი გამომეღებოდა. საკინძეგაღელილი მამა დივანზე იყო მისვენებული. დედა იოდისფერი შუშიდან ჭიქაში წამალს აწვევებდა. ვხედავდი, როგორ უთრთოდა ხელი. მამასთან მივედი და ფერხით ჩავუტყუქდი. გადმომხედა და გამიღიმა. სანთლის ფერი დასდებოდა, აჩქარებით სუნთქავდა. თეთრი პერანგი მკერდთან სწრაფად აღიოდ-ჩაიღოდა.

ბოლო დროს მამა ხშირად უჩიოდა გულის ტკივილს; სუნთქვა უჭირდა, ჰაერი არა ჰყოფნიდა. დედა ამბობდა, გადაღლის ბრალიაო. მამა მართლაც ბევრს მუშაობდა.

დედამ წამლიან ჭიქაში წყალი ჩაასხა და მამას მიაწოდა:

— ნუ გეშინია, ეს დალიე და ფანჯარას გავაღებ, გრილი ჰაერი მოგაცოცხლებს. ხომ უკეთ ხარ?

— კი, უკეთესად ვარ, ჩემო კარგო! — თქვა მამამ.

ფეხზე წამოვდექი და ის იყო საწოლ ოთახში ვაპირებდი ვასვლას, რომ ზარის გაბმული რეკვა გაისმა.

— ავადმყოფი თუა, უთხარი, ექიმო შეუძლოდაა-თქო! — მკაცრად თქვა დედამ.

მამინვე გავაღე კარი: ოთახში ჭრელკაბიანი ქურთი ქალი შემოვიდა. არა, კი არ შემოვიდა, შემოვარდა. შეშფოთებული მხერა ჯერ მე მომაპყრო, მერე დედაჩემის განრისხებულ სახეს წააწყდა და შეკრთა.

მამა ისევ სავარძელში იწვა. ხელები სავარძლის სახელურებზე დაეყრდნო. სახეზე ჯერ ისევ სანთლისფერი დაპკრავდა, თუმცა ახლა უფრო მშვიდად და თანაბრად სუნთქავდა. არ შებრუნებულა, მხოლოდ თვალის კაკლები შეატრიალა და ისე გახედა ქალს.

— მოშოლე, ექიმო! შენ გაიხარე ექიმო! ჩქარა მიშოლე, ექიმო!

— ექიმო შეუძლოდაა და ვერ წამოვა! — თქვა დედამ.

— რა მოხდა? — იკითხა მამამ.

— მიშოლე, ექიმო! ჩემი შული ისრ-
ჩობა, ექიმო! შენი ჭირიმე, ექიმო!

— ექიმი შეუძლოდაა, — გაიმეორა
დედამ.

— რა დაემართა შეილს? — ჰკითხა
მამამ.

— ისრჩობა, ექიმო! ვორა სუნთქავს,
ყელი საუსეა და ვორა სუნთქავს.

— რამდენი წლისაა?

— ოქსისა, ექიმო.

— ყელი სტკივა?

— ტკივა.

— დიდი ხანია?

— ბევრი, ექიმო! სომი დღე, ექიმო!
დედამ მე გადმომხედა, შეშინებულ
თვალები ჰქონდა. მერე შუბლი შეკრა
და მიყვირა:

— ახლავე წადი აქედან!

გარეთ გვედი. ღრიჭოდ დარჩენილ
კართან ავიტუზე.

— ჩალი აფთიაქში და შრატი გამოარ-
თვი, რეცეპტს ახლავე გამოვწერ, — დე-
დას უთხრა მამამ, — ალბათ, მანამდე
შეც სულს მოვითქვამ.

— სახეზე კაცის ფერი არ გადევს,
როგორ წახვალ! — დედამ დივანს შე-
მოუარა და მამის წინ გაჩერდა.

— აბა რას ამბობ, ძვირფასო, განა
შეიძლება?!

— სული ხომ არ უნდა ამოგხდეს!

— ფეხსაცმელები მომაწოდე! ოთარს
უთხარი მოემზადოს, ოთარს გავიყო-
ლებ.

— რას ამბობ, არჩილ, ბავშვის წამო-
სვლა როგორ შეიძლება!

— მაშინ მარტო წავალ.

— მოკვდები, ქუჩაში უბატრონოდ
ამოგხდება სული! — სასოწარკვეთილე-
ბით წამოიძახა დედამ.

— მამა, მე მზად ვარ! — ოთახში შე-
ვედი და კართან ჯარისკაცით გავიჭიმე.

ჭრელკაზიანი წინ მიდიოდა, სამიოდე
ნაბიჯის დაშორებით მამა მისდევდა. მე
მამას გვერდით მივყვებოდი. შენზარა-
ვად კიოდა მარტის ქარი და ქვაფენილი.

დან ასვეტილ ქვიშასა და მტვერს სახე-
ში გვაყრიდა...

ჩაბნელებულ ქუჩას ფანჯრებთან
მოსული შუქი გვინათებდა. ზოგიერთი
ფანჯარა დაბლა იყო და მე ინტერესით
ვიჭვრიტებოდი შიგ. ქარი ქროდა და მა-
მა მთვრალი კაცივით მიბარბაცებდა.

იმ საღამოს ათასნაირი ფიქრი მიტ-
რიალებდა თავში:

„რატომ არ არის მამაჩემიც ისეთი
ბრგე და ძლიერი, როგორც ბიძია უჩაა.
რატომ მასაც უჩასავით სქელლანჩიანი
ჩექმები არ აცვია და ტროტუარზე ისე
არ მიბოტებს, რომ მიწა ზანზარებ-
დეს!“

ქალმა ბნელ მოსახვევში გაუხვია, მე-
რე შეჩერდა და დაგველოდა.

მე უკან მივდევდი მამას და ვფიქრო-
ბდი: „რა კარგი იქნებოდა, რომ მამაჩე-
მი გიორგი თეთრადქსავით ძველი რე-
ვოლუციონერი იყოს. მასზედაც, ისევე
როგორც ძია გიორგიზე, ლეგენდები და-
დიოდეს; ჰყვებოდნენ, როგორ აკრავდა
მამა ქუჩაში პროკლამაციებს, როგორ
მონაწილეობდა არალეგარული სტამბის
მოწყობაში და როგორ გამოიქცა ციხი-
რიდან, ერთხელ კი არა, — სამჯერ, ოთ-
ხჯერ, ხუთჯერ“.

თავჩალუნული მივბიჯებდი ბნელ ქუ-
ჩაში. ამ წუთს მხოლოდ ერთი ნატვრა
მქონდა: მამაჩემი საქვეყნოდ ცნობილი
გმირი გამხდარიყო. ის კი ძლივს მილას-
ლასებდა ფილაქანზე.

— აი, აქ არის, ექიმო! — თქვა ქალ-
მა და ერთ დარბაზე მივეითთა. ჩვენს
ქუჩაზე ასეთ დარბებში სავაჭროებია
მოწყობილი, ზოგან საბაყლო, ზოგან სა-
წვრილმანო ან საყასბო. ერთ-ორ ადგი-
ლას ხალხიც ცხოვრობს. ერთგან ნამდ-
ვილად ცხოვრობს ვიღაც გრძელწვერი-
ანი სტუდენტი. დილას სკოლაში მიმავა-
ლი შევხვდები ხოლმე: დარბის წინ
დგას, წვერულვაშში პურის ნამცეცები
აქვს ჩარჩენილი... ისეთ შთაბეჭდილებას
ტოვებს, თითქოს პირდაუბანელიაო.

— დამიცადე, მალე გამოვალ, — მი-
თხრა მამამ და ქალს შეჰყვა.

იქვე, გვერდით, სადარბაზოს ქვის კი-

ბეზე ჩამოვყეჭი და ოცნებას მივეცი თავი.

ოცნება ჩემთვისაც მეორე სამყარო იყო: დავხუჭავდი თვალს და ოცნებაში ხაკის ხალათ-შარვალში და კრიალა ჩექმებში გამოწყობილი შემოვიდოდი. წელზე ბალთიანი ქამარი მერტყა და გვერდზე ლამაზი პისტოლეტი მქონდა მიკრული. არ გეგონოთ, გოლიათად ან მხეცბაბუკად მეხატებოდა თავი. არა, მონერხებითა და ჭკუით ვიხვეჭდი გმირის სახელს. ოცნებით თეთრგვარდიელები-სა და შავრახმელების უამრავი ლეგიონი დამიმარცხებია. ვინ მოთვლის, რამდენჯერ ამიფრიალებია მტრის ზურგში წითელი დროშა...

მამა გამოვიდა. ის ქალი და ვიღაც ვრძელლუღვაშიანი კაცი მამას ხელებს უკოცნიდნენ და უკან მოსდევდნენ. მამა ხელებს აჩნევდა და გამორბოდა, პალტოს კალთებს ქარი უფრიალებდა.

— წავიდეთ, ოთარ! — დამიძახა და არ გაჩერებულა, ისე წავიდა. უკან ავედევნე.

მამა წინ მიდიოდა. ცალ ხელში ჩანთა და ქული ეჭირა, მეორე ხელს ხან თმაზე გადაისვამდა, ხან სახეზე მოისვამდა, შეზარხომებული კაცივით მიიჩნეოდა. ფილაქანზე გრძლად გაწოლილი საკუთარი ჩრდილი ფეხებში ებლანდებოდა.

ვიწრო შესახვევი ჩავლიეთ და ფართო ქუჩაში გავედით. მამა ისევ წინ მიდიოდა, მე უკან მივდევდი. ვცდილობდი, მამაჩემის ნაფეხურებზე დამედგა ფეხი, მაგრამ ვერ ვახერხებდი, რადგან მამას გრძელი ნაბიჯი ჰქონდა და თანაც უცნაური სიარული იცოდა. უცებ შეჩერდა და აგურის კედელს ხელით მიეხვინა, მერე საყელო შეიხსნა და თავი უკან გადასწია.

— მამა, რა დაგემართა, მამა?! — შეშინებული მივევარდი და სახეში შევხედე. პირი გაეღო და ქოშინებდა.

— მამა, როგორა ხარ, მამა?

— არაფერია, ცოტაც და გაივლის.

— მეშინია, მამა!

—მე კი მეგონა შვილი წამომეზარდა-მეთქი, — რაღაც უცნაურად გაიციხა.

— ხომ არაფერი გინდა?

— არა, არაფერი. აი, აქ ჩამოვსდეთ; არ გინდა, ჩამოვსდეთ?

სადარბაზოს ქვის კიბეზე ჩამოვსდებით. მე ხშირად ვმჯდარავარ ქვის კიბეზე. მამა პირველად იჯდა ჩემს გვერდით. ეს რაღაც უცნაურად მეჩვენებოდა — კიდევ მისაროდა, კიდევ მწყინდა, რაღაც სასაცილოსაც ვხედავდი იმაში, რომ სადარბაზოს ქვის კიბეზე ვისხედით მე და მამა. ვისხედით და ერთმანეთს შევცქეროდით.

— ორი ავადმყოფი დამრჩა უნახავი, — სინანულით თქვა მამამ. ახლა უფრო მშვიდად სუნთქავდა.

— ცუდადა ხარ, მამა? — ვკითხე.

— ახლა უკეთესად ვარ. სიყმაშვილები აქვე ცხოვრობენ, აგერ, იმ კუთხის გადასახვევში, ათ წუთში მივალთ.

— დედა გაჯავრდება, — ვთქვი მე, — შეშინდება კიდევ.

— აქვეა, ახლოს, მეორეც გვერდითაა. სამაგიეროდ, მშვიდად დამეძინება.

— ხომ შეიძლება ხვალ ნახო?

— ექიმი რომ ნახავს, ავადმყოფი გამოჯანმრთელებულად გრძნობს თავს, ჭირისუფალსაც იმედი ეძლევა, ოჯახში სიმშვიდე იბუდებს... იცი, რას ნიშნავს სიმშვიდე?

გადასახვევში შევუხვით და ის ქუჩა გავლიეთ, მერე კიდევ შევუხვით და მეორე ქუჩაც გავლიეთ. მამა ჯერ ერთ ავადმყოფთან მივიდა, მერე მეორესთან. მე დაბლა, ქუჩაში ვიცდიდი. ავადმყოფების გასინჯვას რომ მორჩა, უკან წამოვედი. მამაჩემი კვლავ წინ მიდიოდა. მე უკან მივდევდი. მისი არეული ნაბიჯები აღარ მეხამუშებოდა; პირიქით, თითქოს მომწონდა კიდევ, რაღაც თავისებურ სილამაზეს და მიმზიდველობას ვხედავდი ასეთ სიარულში. სხვათაირად მეჩვენებოდა მამა, მთვარის შუქით განათებული მისი სხეული, მაღალი და ოდნავ წელში წახრილი, მისი შეჭადარავებული თმა. ათას რამეს ვფიქრობდა, ვგრძნობდი რაღაც გამოუცნობს, ბუნდოვანს, რისი სიტყვით გამოთქმაც არ შემეძლო. მაგრამ ვგრძნობდი კი, ნამ-



დვილად ვგრძნობდი. ამ გამოუცნობი გრძნობებიდან ყველაზე გარკვეული მამის სიყვარული იყო... და კიდევ ბუნდოვანი შეგნება იმისა, რომ ნამდვილი გმირი ის არის, ვინც თავს არ ზოგავს და რაც გააჩნია, ყველაფერს ხალხს აძლევს.

2.

ცოტნე რუხაძე არც ისე ცუდი ბიჭი გამოდგა. ეს კია, ლაქლაქი უყვარდა. ბიძამისზე ათასგვარ მოგონილ ამბავს გვიყვებოდა და ტრახანით გვიკლებდა. თუმცა მისი ნათქვამიდან ერთი სიტყვაც არა გვჯეროდა, მაინც ვუსმენდით.

ცოტნეს მამაზე ამბობდნენ, კერძო მოიჯარადრე იყო და მერე არტელს შეაფარა თავიო. ასეთი ძმის პატრონი ვირსალაძეებს ბურჟუებს ეძახდა და იმათ ბინაში თვითონ რომ გაიჭიმა, ძმაც გააპარაშა. მაგრამ მთავარი მერე მოხდა: ნამორაძეები ჩვენი ეზოდან გადავიდნენ. ცოტნეს ბიძამ იმავე დამეს გახსნა დალუქული კარი და ცარიელ ბინაში თავისი საწოლი და საწერი მაგიდა შეიტანა. დანარჩენი ბარგი მერე დღეს გადაზინდა. ზოგიერთი წვრილმანი ავეჯის გატანაში ჩვენ ვეხმარებოდით, წიგნებს თაროებზე ვალაგებდით და უცებ... გოცებისაგან პირი დავალე: ოთახში მამა შემოვიდა! მამას მეზობლებში სიარული არ უყვარდა და, ახლა ამ უცხო კატან მოსული რომ ვნახე, გავვოცდი. მამას წინ გიორგი თეთრაძე მოუძღოდა. ძია გიორგი ვახტანგის მამა იყო, ბოლო ხანს ავადმყოფობდა და სამსახურს თავი დაანება. მეზობლები ამბობდნენ, გიორგის დიდი პენსია დაუნიშნესო. მე არ ვიცოდი, რა იყო პენსია, მაგრამ ძია გიორგი ძველი ბოლშევიკი რომ იყო, ეს კი ვიცოდი, — ამაზე მთელი ეზო ლაპარაკობდა.

— გამარჯობათ! — მოგვესალმა ძია გიორგი.

ცოტნეს ბიძამ წიგნები მაგიდაზე დაიწყო. არც შებრუნებულა, ისე გახედა კარს და გაგიმარჯოთო, უხალისოდ უპასუხა.

— მე თეთრაძე ვარ, ეს ექვში ვანდიერია.

— მე თავს მშვენივრად ვგრძნობდი ვაიცინა ცოტნეს ბიძამ.

— ვხედავთ, — თქვა ძია გიორგი.

— ბოდიში, თქვენი სახელი? — ჰკითხა მამამ.

— დომენტი, დომენტი რუხაძე... სხვაც ხომ არაფერი გნებავთ?

— სხვა რამესაც მოგახსენებთ, — უპასუხა ძია გიორგი.

— რისთვის შეგიწუხებიათ თავი?

— ვერ ხვდებით?

— ვერა.

— რა უფლებით დაიკავებ ბინა?

— თქვენ თვითონ რა უფლებით მუკითხებთ?

— რასაბჭოს გადაწყვეტილებით ბინა ბერძნულს ეკუთვნის.

— აჰ, გადაწყვეტილებით! ძალიან კარგი, გადაწყვეტილებაც კი საქმეა.

— შვიდი სული ცხოვრობს ერთ პატარა ოთახში, თანაც კედლებიდან წყალი ჟინავს, — თქვა მამამ.

— მერე?!

— იქ ცხოვრება არ შეიძლება, ბავშვები დასენულდნენ.

— თქვენ, მგონი, ექიმი ხართ, არა?

— ცოლიცა და ქმარიც თამბაქოს ფაბრიკაში მუშაობენ, თხუთმეტი წელი გაატარეს ფაბრიკაში.

— თამბაქოც საჭიროა, — ცოტნეს ბიძა ისევ მაგიდასთან იდგა და ხამუშ-ხამუშ ისროდა შხამიან სიტყვებს.

ძია გიორგი ასეთი განრისხებული არასოდეს მენახა: სახე აღეწოდა, თვლები ნაკვერჩხლებივით უელავდა. სოსო ბერიშვილი კი გაკვირვებული ხან დომენტის მისჩერებოდა, ხან მამას, ხან ძია გიორგის.

დომენტი რუხაძე მოულოდნელად გაბრაზდა, ყბა აუქანკალდა, აყვირა:

— ვინ გგონივართ თქვენ! მე, მე... მეც ვიბრძოდი!.. — ენა დაება, ჭარბალივით გაწითლდა, თითქოს ყელში თოკი წაუჭირესო.

მამა ადგილზე წრიალებდა, ხელებს ასავსაუბდა. ჩხუბი არ უყვარდა, ამი-

ტომ ყოველთვის მშვიდობიან გამოსავალს ეძებდა. მე მეგონა, გამბედაობა აქლდა. გული საშინლად მტკიოდა, რადგან თვითონაც ასეთი ვიყავი. ვფიქრობდი, სიმბდალე შთამომავლობით დამყვა-მეთქი. ამის გამო ლამეები არ მეძინა. აი, ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი უბედურება.

— თქვენი დამსახურება ვინ არ იცის, — მშვიდად თქვა მამამ, — ამას წინათ ჩემი ბიჭი ამბობდა, თითქოს ჩრდილო კავკასიაშიც იბრძოდით დენიკინის წინააღმდეგ.

— შენ ეგ თქვი, სად აღარ ვიბრძოდი! ჩემი წარსული იციან ხელმძღვანელმა ამხანაგებმა.

დომენტი რუხაძე ისევ უცებ დაცხრა, როგორც აენთო. ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე სკამი აიღო და მამას დაუდგა:

— დაჯექით.

მამა დაჯდა. ძია გიორგიმაც მონახა სკამი. დომენტი ფეხზე იდგა, ბოლთას სცემდა.

— დიდი ბრძოლები გადაიტანა რუსეთმა, — თქვა მამამ.

— ვლადიკავკაზში ნოე ბუაჩიძის მარჯვენა ხელი ვიყავი, — დომენტი გაჩერდა, თვალები დახუჭა და გაიტრუნა, თითქოს განვლილ ბრძოლებს იხსენებოდა, მერე განაგრძო, — ოქროკაცი იყო. უბრალოდ კი დაიღუპა.

— ბევრი კარგი ადამიანი დაიღუპა, — თქვა მამამ.

— ბელოუხას რაზმში ვიბრძოდი, თერგს გაღმა, შვილივით ვუსყვარდი. აი, ვინ იყო ნამდვილი გმირი. დენიკინის რაზმებს შიშის ზარს სცემდა. სიბრაზისაგან ყურები თოვლივით უთეთრდებოდა ხოლმე, ამიტომ შეარქვეს ბელოუხა. „ეშმაკის გაგდებულო“ თუ გეტყვოდა, რაზმიდან უნდა წასულიყავი, იქ აღარ გედგომებოდა. ერთხელ...

— დაიხ, — ისევ თქვა მამამ.

— დიდი შტერი ვინმე ყოფილა, თქვენისთანა რაზმელი თუ ჰყავდა! — ფეხზე წამოვარდა ძია გიორგი.

— ვის უბედავ შენ ამას! — შეჰყვი-

რა დომენტიმ და ბზრიალსავით დატრიალდა: ჯერ თუძოზე იტაცა ხელი, მერე საწოლს ეცა, მერე კარადას. მუხტელებს ეძებს-მეთქი, ვიფიქრე და შიშით გული გადამიქანდა.

ძია გიორგი წინ წადგა, დომენტის საყელოში წაავლო ხელი, შეაჯანჯღარა, კედელზე ააყუდა:

— გაეთრიე აქედან, შე ეშმაკის გაგდებულო! — იმისთანა ხმით უყვირა, მეგონა, ჰერი ჩამოინგრეოდა.

გაფითრებული დომენტი ჯარისკაცის ვაჭიშული იდგა კართან და ვერხვის ფოთოლივით თრთოდა. მერე არაფერი უთქვამს, თავი ჩაღუნა, გატრიალდა და კუდამოძებულები წავიდა. მე მაშინ ძია გიორგის შევხედე: ყურები გათეთრებოდა ძია გიორგის.

— წაღო, მამაშენს უთხარი, მუშები მოიყვანოს და ეს ბარგი გაზიდოს აქედან, — მშვიდად უთხრა სოსოს ძია გიორგიმ. — აპა, ეს ორდერიც მიუტანე, — ჯიბიდან ქალაღლი ამოიღო და მიაწოდა.

ბერიშვილები იმავე დღეს შესახლდნენ ნამორაძეებისეულ ბინაში.

ცოტნე მელიასავით ეშმაკი იყო, სახით კი კურდღელს ჰგავდა, ზედა ტუჩი მოკლე და შუაზე გაყოფილი ჰქონდა. ათას საქმეს წამოიწყებდა ცოტნე და მერე ისე აორთქლდებოდა, ასავალ-დასავალს ვერ გაუგებდით. იმ დღესაც ატყდა, მტკვარზე საბანაოდ წავიდეთო. მე ცოტა გული მეთანადრებოდა, რადგან ფიზკულტურის გაკვეთილს გაცდენა არ მინდოდა, მაგრამ ოთხი საათი ფრანგული ენის მოსმენაც აუტანლად მიმაჩნდა. იმ დღეებში ქართულის მასწავლებელს ფეხი ეღრძო და სკოლაში არ დადიოდა. მის ნაცვლად ფრანგული ამოვიყვანეს ყელში. ფრანგულს მაღამ ბოვიზაყი გვასწავლიდა: ერთი ანჩხლი ვინმე გახლდათ. როგორც ყველა შინაბერას, მასაც ხასიათი ჰქონდა გაფუჭებული. უბრალო რამეზე დასასმენად ვარბოდა დირექტორთან და სანამ რომელიმე მოწაფეს სამაგალითოდ არ დასჯიდნენ, გაკვეთილზე შესვლას ვერც უხსენებდით. უბედურება ისიც იყო, დამ-

ნაშევს ვერ იმახსოვრებდა, — სკლეროზი სჭირდა. არ დაგიდევდა, ვინ ისჯებოდა, დამნაშავე თუ უდანაშაულო, ოღონდ კი ვინმე დასჯილიყო.

მეორე გაკვეთილის შემდეგ ჩანთები ამოვიღლიავეთ, სკოლიდან სათითაოდ გავიპარეთ და ერთმანეთს მენახშირე ვანუას დუქანთან შევხვდით. დუქანთან ტომრებაკიდებული სახედრები იდგნენ...

ვანუასაგან ბევრი სიკეთე გვახსოვდა: დუქნის წინ ზამთარ-ზაფხულ გაღვივებული მაყალი იდგა. ზამთრის სუსხიან დღეებში გათოშილები შევეჭურებოდით იმ მაყალთან და ვეხუხებოდით.

— გათბით, გათბით, შვილებო! — გვეუბნებოდა ვანუა და თუნუქის ნაგლეჯით მაყალს უნიავებდა, ნახშირი შუშხუნასავით ყრიდა ნაპერწკალს. ზამთრის პირქუშ საღამოს, დუქნის ნახევრადბნელ დარბაზში ნაღვერდლის დღურწყითელი ლიცლიცი უცნაურ ელფერს აძლევდა მზისა და ნახშირისაგან ჩაშავებულ მის სახეს, ზღარბის ეკლებივით აფშეკილ ჭადარა თმას, მორგევივით სქელ კისერს...

— აბა, ერთი კული აუწი! — გვითხრა აქლემამ, ცალი ტომარა ასწია და სახედრიდან დაბლა, ტროტუარზე გადმოაგდო. სახედარმა ტლინიკი შეჰყარა, გვერდზე გადავა, — აუწი-მეთქი! — ისევ დაიძახა აქლემამ და ტომარა ზურგზე მოიგდო. ტომრები ერთმანეთზე იყო გადაბმული. ჩვენ სამმა მეორე ტომარა ავწიეთ და რის ვაი-ვაგლახით შევათრიეთ დუქანში. მერე სხვა ტომრებიც შევზიდეთ. ვანუა გვახალისებდა, გვაქეზებდა, ბოლოს სპილენძის შაურიანები ჩამოგვირიგა. ქუჩის თავში მეწვრილმანე ბახჩოსაგან მარილში მოხალული გოგარის თესლი ვიყიდეთ და გზა განვაგრძეთ. მოედანზე, ჩაიხანასთან, ბორჩალოელმა თათრებმა სიცილი დაგვაყარეს. ახლავა დავინახეთ: ნახშირის მტკვრში ამოვანგალულები ეშმაკებსა ვგავდით. ჩაიხანადან ოფლის სუნი და ორთქლი გამოდიოდა. მაგიდებს მზეზე გარუჯული ხალხი უჯდა, ფაიფურის ლამბაქებიდან ქაფქაფა ჩაის ხვრებდნენ და

სახეზე მომდგარ ოფლს ჭრალი ცხვირსახოცებით იწმენდნენ. საჩაიეს გვერდით, სოლომონას სასაუზმეში დღმწმ უკრავდნენ, ზურნას აკენესებდნენ და ვილაცა საამოდ მღეროდა.

— მედლოე ბაგრატანაა, აი, — თქვა სოსომ.

— შენ რა იცი?

— ვიცი, აქვე ცხოვრობს, კუთხეში. მაგნაირ მომღერალს ქალაქში ორს ვერ ნახავ.

— ბაგრატა განთქმულია, — დაადასტურა აქლემამ.

„...ჩემ ტანსაცმელს უჩემოთა

ჰკერამენ,

არ ვეტევი, შიგ ძალათი

მტენამენ...“ —

დოლის რიტმულ ბაგაბუღზე მღეროდა მედლოე. მეზურნეც გულისგამაწვრილებლად აკენესებდა ზურნას.

— ბაზარზე წაიდეთ, გუშინ იქ ჩინელი „ფოკუსნიკი“ ვნახე, — წამოიძახა სოსომ, მერე დიამატა: — „ფოკუსნიკი“ ანუ მიმოსი!

— ვნახოთ! — თქვა მერაბმა. მარტო სოსოს კი არა, ეშმაკსაც დაუჭერდა მხარს, ოღონდ მტკვარში არ გვებანავა. მე ცურვა მიყვარდა, მაგრამ დედისა მესინოდა, მტკვარში ჩასვლას მიკრძალავდა. ამიტომ მეც მიმოსის ნახვა ვარჩიე.

მტკვრის სანაპიროს მიღრეცილ-მოღრეცილი ქონხანები მისდევდა. ქუჩაში მუხლებამდე იდგა ტალახი, თუმცა უკანასკნელად როდის გაწვიმდა, არც გვახსოვდა. გოჭებივით ტალახში ამოსვრალი ტიტლიკანა გოგო-ბიჭები წინ და უკან დარბოდნენ. ბნელ, ჭუჭყიან შესახვევში, უღვაწეებიანი კაცები ყომარბაზობდნენ. მათ აზარტიან თამაშს პატარა შავგვრემანი ბიჭი თვალბდაჭყეტით შესცქეროდა. ყომარბაზები ერთმანეთს ძვალზე წაკიდებული ძაღლებივით უღრენდნენ.

თოქმაჩების უბანში სპილენძის კლარნი და ჩაქუჩების რიტმული კაუნჩი ისმოდა: აქ არყის სახდელ ქვაბებსა და სპილენძის საწყაოებს აკეთებდნენ. ვიდევით და ოსტატებს შევეცქეროდით. იქით, სოროსავით პატარა დარბაზში, გა-

მურული ლეკი ქვაბებს კალავდა. ბაყ-
ბაყდევით ქშინავდა საბერველი. და-
რბის წინ სპილენძის უშველბელი მო-
კალული ქვაბები ეწყო. გარედან ჩა-
შავებული ქვაბები შიგნიდან ვერცხ-
ლისფრად კრიალებდა. მეთუნეულებთან
უარესი გნიასი იღვა. თუნუქის ფურც-
ლების ქლარუნი და ხის ჩაქუჩების ბრა-
გუნის იქაურობას აყრუებდა. ცოტა იქ-
ით მეორე სამჭედლო იყო. სამჭედ-
ლოს იქით მუხრანის ხიდი ჩანდა, რომე-
ლიც გვიანტურ კუსავით გადაიმხობდა
მტკვარს.

ხიდის შემდეგ ბაზარიც გავიარეთ და,
როგორც იქნა, მივავენით ჩინელ მი-
მოსს. თვითონ ჩინელიც ჩვენთვის საო-
ცარი რამ იყო. ასეთი ადამიანი ჯერ არ
გვენახა.

ისინი ორნი იყვნენ: სახედანაოჭებუ-
ლი, ზაფრანასავით გაყვითლებული მო-
ხუცი და პატარა, რეზინივით მოქნილი
გოგონა... მოხუცსა და იმ ლამაზ გოგო-
ნასაც გრძელი და ვიწრო თვალები ჰქო-
ნდათ. მოხუცს ეყვნებოთ, ლითონის
რგოლებით, ზანზალაკებით და ბაფთე-
ბით მორთული გრძელი ჯოხი ეჭირა.
ამ ჯოხს მოხდენილად, სხარტად ათამა-
შებდა: ხან მაღლა შეაგდებდა და ზურ-
გზე გადაიტარებდა, ხან მკერდიდან მუ-
ცელზე ჩამოიგორებდა, ხან ისევ მაღლა
აგდებდა და ისევ დაიჭერდა. ამ თამა-
შის დროს ეყვნები ქლრიალებდნენ და
რალაც სასიამოვნო, ჩემთვის უცნობ მე-
ლოდიას გამოსცემდნენ. სანამ მოხუცი
ქლარუნა ჯოხს ათამაშებდა, გოგონა ყი-
რაზე გადადიოდა და იმისთანა გასაოცარ
სალტო-მორტალეს აკეთებდა, მსგავსი
ჩვენს სიცოცხლეში არ გვენახა.

მოხუცმა ქარქაშიდან ამოღებული
ხმალი პირში ჩაიდო, ტარამდე ჩაირჭო
გულმუცელში. მერე გოგონას მკლავში
ნემსი გაუყარა. გოგონა წრეში დადიოდა
და ხალხს აჩვენებდა მკლავში გაყრილ
ნემსს; ჩემთანაც მოვიდა, მკლავი გამო-
მიწოდა, შევხედე და ქრუანტელმა და-
მიარა. გოგონამ გამიცინა, ხელი დამიქ-
ნია და კარავში მიიმალა. ბოლოს ყველა-
ზე საკვირველი რამ მოხდა: მოხუცმა

გოგონა მუყაოს ყუთში ჩასვა, სახურავი
დააჭედა და ყუთს ყოველი მხრიდან და-
ნჯლები გაუყარა. შიშისაგან კინაღამ გუ-
ლი წამივიდა, კინაღამ ყვირილი მოვრთე,
მაგრამ... მიმოსმა ყუთს ხანჯლები დააძ-
რო, სახურავი გადახადა და იქიდან სალ-
სალამათი გოგონა ამოვიდა, ამოვიდა და
გაიცინა. მე კი სახეზე ფერი აღარ მედო.
მოხუცმა ისევ თავისი ჯოხი ააქლარუნა,
გოგონამ კი ოქროსფრად მოხატული ჯა-
მით წრეს ჩამოუარა და ფულის შეგრო-
ვებას მოჰყვა. სპილენძის გროშები ხმა-
ურით ცვივოდა ჯამში. ერთმა გადაქლა-
ქებულმა, გულმკერდშიშვლებულმა
ქალმა გოგონას წითელი ვარდების თაი-
გული აჩუქა. ჩვენთან რომ მოვიდა, მე-
ნახშირე ვანუას მოცემული შუარიანე-
ბი ჩავუჩხრიალეთ ჯამში. ცოტნემ ერ-
თი მუჭა გოგონის თესლი ჩაუყარა. გო-
გონამ გაიცინა და ვარდების თაიგული
მიართვა.

მიმოსმა მიწაზე გაბნეული იარაღი აკ-
რიფა და კარავში შევიდა. მას გოგონაც
შეჰყვა.

ხალხი დაიშალა. ჩვენც წამოვედით.

ვიწრო ქუჩის ერთ მხარეს ბოძი იდგა.
ბოძზე ჭრელ-ჭრული აფიშები იყო გაკ-
რული. ერთ, ყველაზე დიდ აფიშაზე
დოინჯუმოყრილი კაცი ეხატა. კაცს ხო-
ტორა თავი, ამობურცული მკერდი და
სქელი კისერი ჰქონდა. შიშველ მკერდ-
ზე ცისფერი ლენტე ჰქონდა გადაჭერი-
ლი. ლენტზე აუარებელი მედალი უბრ-
წყინავდა...

ქუჩის კუთხეში, მეპაპიროსის ჯიხურ-
თან, ვილაც უსაქმურები აყუდებულოყ-
ვნენ, პაპიროსს აბოლებდნენ და იპურ-
წყებოდნენ. როცა მიუუახლოვდით, ერ-
თმა ცოტანეს თავზე ხელი დაადო და
ბზრიალასავით დაატრიალა.

— ვაჰ, „ბუკეტს“ დამიხედეთ და! —
თქვა იმ კაცმა.

— რა გნებავთ?

— შენი კარგად ყოფნა.

— ჰა!

— დვთის ცეცხლი! — თქვა მეორემ, —
ვგ „ბუქტი“ სად გიშოვია?

— ჩემია!

— იყო, — თქვა პირველმა, სწვდა
და თაიგული ხელიდან გამოჰკლიჯა.

— ერთი წაუთაქე კიდევ, — ურჩია
მესამემ.

იმ კაცთან აქლემმა მივიდა, კისერი წა-
იგრძელა და ლოყა მიუშვირა:

— აბა, ერთი სცადე და წამითაქე! —
კაცს ნირი შეეცვალა, შეიშმუნა, მა-
ინც თქვა:

— წაგითაქო, თორემ, მამა გიცხონდა,
შემეშლება, აი!

— არ შეგეშლება და ესეც ჩემი ლო-
ყა! — აქლემამ უფრო წაიგრძელა კისე-
რი.

— გაიარე, ძმაო, შენთან საქმე არა
გვაქვს, — თქვა მეორემ.

— არიფები ნახეთ? — თქვა აქლემამ
და მუშტი ცხვირწინ დაუტრიალა.

— ხელი ჩასწი!

— თაიგული!

ის კაცი, ვისაც თაიგული ჰქონდა, ჯი-
ხურს ამოფარებოდა. გამოვიდა და თაი-
გული ცოტნეს დაუბრუნა:

— აჰა, რა თავში ვიხლი, გქონდეს.
შენზე უპრიანია, — და ორჯერ ზედიზედ
მაგრად დააცემინა, — ხომ ვთქვი, უპ-
რიანია-მეთქი.

წამოვედით. ჯერ ცოტნემ დააცემინა
სამჯერ ზედიზედ, ახლა მერაბს აუტყდა
ცხვირისცემინება, მერე სოსოს.

აქლემამ თაიგული შეათვალიერა და
თავი გააქნია:

— ბურნუთი დაუყრია იმ მკვდარ-
ძალს?!!

სკოლის დერეფანში შევდგით თუ არა
ფეხს, მაღამ ბოვიზაჟი შემოგვეფეთა.

— დავილუბეთ! — წაილულულა სო-
სომ.

— სულ ერთია, ვერ გვიცნობს, —
თქვა აქლემამ.

ფრანგულის მასწავლებელი ბეცი თვა-
ლებით მოგვჩერებოდა, გვათვალიერებ-
და.

— მაღამ, ეს თქვენთვის დავკრიფეთ
ბაღში, — ცოტნემ რვეერანსისმაგვარი

რალაც გააკეთა და თაიგული ბოვიზაჟს
გაუწოდა...

ამ თაიგულის გამო მეორემ ^{მასწავლებელი} ~~მასწავლებელი~~
თი ამბავი ატყდა.

კვლევა-ძიება დაიწყო. მაღამ ბოვი-
ზაჟს არ ახსოვდა, ვინ მიართვა ბურ-
ნუთმოყრილი თაიგული. ჩვენი ჯგუფის
დამრიგებელი და დათა თეთრადე სათი-
თაოდ იბარებდნენ მოსწავლეებს სამას-
წავლებლოში...

მალე ჩემი ჯერიც დადგა.

— გუშინ თუ იყავი ფრანგული ენას
გაკვეთილზე? — შემეკითხა დამრიგებ-
ლი.

— არა.

— რატომ?

— შეუძლოდ ვიყავი.

— ფიზკულტურის დაესწარი?

— თავი ჩავლუნე.

— მიპასუხე, დაესწარი?

— დავესწარი-მეთქი, — ვთქვი.

— მაშ ფრანგულს რატომ აღარ და-
ესწარი?

— გაკვეთილი არ ვიცოდი.

— სად იყავი?

— შინ.

— დედა დაგემოწმება?

— დედამ ტყუილი არ იცის, — და-
თას შეგხედე და მტკიცედ ვთქვი, თით-
ქოს ვინმე საწინააღმდეგოს ამტკიცებდა

— დაგემოწმება? — ისევ შემეკითხა
მასწავლებელი.

— არა.

— აბა, სად იყავი?

— ბაზარში.

— ბაზარში რა გინდოდა?

— ჩინელ მიმოსს ვუყურებდი.

— ვინ იყო შენთან ერთად?

— მარტო ვიყავი.

— სტყუი!

— მარტო ვიყავი.

— მე კი ვიცი, რომ მარტო არ იყა-
ვი, — თქვა ფიზიკის მასწავლებელმა, —
ერთ-ერთმა თქვენგანმა უკვე გაგვით,
ყველა დაგასახელათ. ისიც ვიცი, ვინ
შეაპარა მაღამ ბოვიზაჟს ბურნუთმოყ-
რილი თაიგული.

— პიონერმა სიცრუე არ უნდა

თქვას, — დამრიგებელმა ყელსახვევზე წამავლო ხელი.

— პიონერმა არც ამხანაგი უნდა გასცეს, — თქვა დათამ.

მასწავლებლებმა გაკვირვებით შეხედეს თეთრბაძეს.

ჩემს შემდეგ აღარავინ დაუტოხავთ. რა მოხდა სამასწავლებლოში ჩემი გამოსვლას შემდეგ, ვერ გავიგეთ. დათამ სამასწავლებლოდან ვარდების თაიგული გამოიტანა, კომკავშირის უჯრედის ოთახში ჩაქეტა და წავიდა.

— გასაღები ორჯერ გადატრიალა, ეშინია, არ მოვიპართო. — გაიცინა აქლემამ.

— რისთვის ინახავენ? — იკითხა მერაბმა.

— ნივთიერი საბუთია, — გამოცდილი კაცივით განმარტა სოსომ.

— მაგის აწაბნას რა უნდა! — თქვა ცოტნემ, — ფანჯრიდან შეიძლება გადაპარვა.

გაკვეთილები რომ დამთავრდა, სხვებთან ერთად ჩვენც გავედით სკოლის ეზოდან, მაგრამ შინ არ წავსულვართ, მენახშირე ვანუას ვესტუმრეთ. ვანუა გულდინჯად მოგვისმინა და გვიჩიო, თაიგულს ნუკი მოიპარავთ, გამოიტანეთ, კარგად გარეცხეთ და ისევ თავის ადგილას დადეთო. ვარდს ბურნუთის სუნი რომ არ ექნება, ეგ „საქმე“ თავისთავად მოისპობაო.

შებინდებამდე დუქანში ვისხედით, მერე ყველანი გამოვედით, სხვადასხვა ვზით წავედით და ათი წუთის შემდეგ სკოლის პირდაპირ, ბაღში შევიყარეთ თავი. თაიგულის გამოსატანად აქლემამ და სოსო წავიდნენ. აქლემას სოსო ფანჯარაზე უნდა შეესვა, მერე სოსო თაიგულს გამოიტანდა და აქლემამ ახლა ჩამოსვლაში მოეხმარებოდა. ჩვენ ბუჩქებს უყან, ბაღსში ვიწეჩით და გულისფანქვალთ ვადევნებდით თვალს.

მთვარიანი ღამე იყო. აქლემამ და სოსო თვალისდახმამებში გადაახტნენ მესერს და მიწაზე გაწოლილები სკოლის შენობისაკენ გაფოფხნდნენ. კომკავშირის

უჯრედის ოთახი პირველ სართულზე იყო, მაგრამ ფანჯრები იმდენად მაღლა ჰქონდა, რომ სოსო მხრებზე შეაღებდა ლემას და ისე გადაფოფხნდა რაფაზე. სუნთქვაც კი შეეწყვიტეთ, სულგანბულები მიეჩერებოდით გახსნილ ფანჯარას. ასანთის მკრთალმა ციმციმა შუქმა ორჯერ გაანათა ფანჯრის შავი ჩარჩო. მერე ბნელ ფანჯარაში სოსოს თავი გამოჩნდა. აქლემამ თაიგული გამოართვა და სოსო დაბლა ჩამოსვა.

ვანუას დუქნის უკან, ეზოში, ონკანი გახსენით და თაიგულს იმდენი წყალი ვასხით, ბურნუთი კი არა, მგონი, ფერიც აღარ შევარჩინეთ. ისევ სათითოდ გამოვედით ვანუას დუქნიდან და ბაღში შევიყარეთ.

— თავის ადგილას უნდა დადო, ხომ იცი? — გააფრთხილა სოსო აქლემამ.

— ვიცი, — თქვა სოსომ, — ლარნაკში იდო.

ისევ გადაფოფხნენ მესერზე და აქლემამ სოსო ისევ შეიყენა მხრებზე. მერე ფანჯრიდან სოსო ჯობდარტყმულ კატასავით გადმოვარდა. აქლემამ არც გაუფრთხილებია, ისე გადმობტა. მიწაზე დაეცა, მაშინვე წამოვარდა და გამოიქცა. აქლემამ უკან დაედევნა. მესერს გადმოვევლნენ. ბაღში შემოცვივდნენ.

— რა მოხდა? — ვიკითხეთ შეშინებულებმა.

— ლარნაკი გამიტყდა.

— აუუ! — ამოიგმინა მერაბმა.

— ეს კი ცუდია, — თქვა აქლემამ.

— ხელიდან გამივარდა, — სოსო სინანულს ვერ მალავდა...

ბაღი გადავეკრით და სახლებისკენ ბნელი ქუჩებით წავედით. ჩვენი ქუჩის გადასახვევთან აქლემამ დაგვეშვიდობა, თან გავგაფრთხილა, რაც არ უნდა მოხდეს, კრინტი არ დასძრათ, ჩვენ არაფერი ვიცითო.

მეორე დღეს ერთი ამბავი დატრიალდა. შუადღის შესვენებაზე შეგვიკრიბეს და დათამ მოგვმართა: სკობია დამნაშა-

ვემ თვითონ აღიაროს თავისი დანაშაუ-
ლიო.

კაციშვილს ხმა არ ამოუღია.

დიდხანს ვიდრეით რიგში ჩამწკრივე-
ბულბი. დათა ყვიროდა, ჩვენ ვლუმ-
დით. ზარი დაირეკა, ჩვენ კი ისევ ვიდე-
ქით. მერე მოვიდა გამგე და დათას უთხ-
რა, ესენი ახლა გაკვეთილებზე გაუშ-
ვიო...

მოწაფეები უჯრედის ოთახში სათი-
თაოდ შეჰყავდათ დასაკითხად. დანარჩე-
ნები დერეფანში ვიდრეით და გულს და-
გა-დღუგი გაჰქონდა.

უჯრედის ოთახიდან ცოტნე გამოვიდა.
გამარჯვებული კაცივით იღიმებოდა.

— რაო? — მივეარდით.

— არაფერი ვიცი-მეთქი.

— მერე?

— პიონერული სიტყვა მივეცი, არა-
ფერი ვიცი-მეთქი და, წადიო, მითხრეს.
ვიღაცამ ჩემი გვარი დაიძახა. აქლემამ
მუჯღუგუნო მკრა. თავში კეტდარტყმუ-
ლივით ვიყავი დარეტიანებული, მუხ-
ლები მეკვეთებოდა.

— ოთარ, ჩვენ ვიციო, რომ შენ ამ სა-
ქმის ჩამდენი არა ხარ, — დაყვავებით
მითხრა გამგემ.

დათამ დამცინავედ ჩაილაპარაკა:

— მაგან იცის ყველაფერი.

— არაფერი არ ვიცი, — მივახალე.

— მე რომ არ ჩავრეულიყავ, გუშინვე
იტყოდი, — თქვა დათამ.

— არ ვიტყოდი!

— მაშ არ იცი, ვინ მოიტანა თაიგუ-
ლი?

— რომ ვიცოდე, მაინც არ ვიტყო-
დი, — ჩემი სითამამე თვითონვე მიკ-
ვირდა.

— შენ გავიწყდება, სად ხარ, — მით-
ხრა დათამ, — გაისად კომკავშირში შე-
სვლას აპირებ!

თავი ჩავლუნე.

— აბა, იცოდე, კომკავშირში არავინ
მიგიღებს, პიონერთა ორგანიზაციიდანაც
გაგრიცხავთ, გასაგებია? — განაგრ-
ძო მან.

— პატიოსანი სიტყვა მოგვეცი, რომ
არაფერი იცი, — მითხრა გამგემ.

— პიონერული სიტყვა უნდა მოგე-
ცეს, — თქვა დათამ.

— პიონერულ სიტყვას ვერ მოგვცემას,
ვერც პატიოსანს, — თავი ავწიე.

— იცი, ვინ გატეხა ლარნაკი? — შე-
მიკითხა გამგე.

— ვიცი.

— ვინ?

— არ ვიტყვი.

— იტყვი! — დაიყვირა დათამ.

— არ ვიტყვი! — მტკიცედ ვთქვი და
დათას ჯიუტად შევხედე. უცებ სიმსუ-
ბუქე ვიგრძინე, თავისუფლად ამოვისუ-
ნთქე, — არ ვიტყვი! — გავიმეორე მე.

ჩვენი რაზმეული ფიზკულტურის და-
რბაზში ერთ მწკრივად იდგა. მე, თავ-
ჩალუნული და გაბრუებული, მწკრივის
წინ ვიდექი. რაც ჩემს გარშემო ხდებო-
და, შორეულად და ბუნდოვნად მეჩვენ-
ებოდა, თითქოს არც მეხებოდა.

დათა ლაპარაკობდა. მე მხოლოდ მი-
სი ცალკეული სიტყვები მესმოდა, მაგ-
რამ სიტყვების აზრს ვერ ვიგებდი.

— ამის გამო, არის წინადადება, ოთარ
ჯანდიერი პიონერთა რიგებიდან გავრი-
ცხოთ. ვინაა მომხრე? გთხოვთ ასწიოთ
ხელი.

გაუბედავად, მძიმე-მძიმედ, მაგრამ
მაინც მრავლდებოდა აწეული ხელების
ტყე. სკოლაში ყველას ვუყვარდი, მაგ-
რამ აწეული ხელების რიცხვი სულ მა-
ტულობდა და მატულობდა. თავებს ღუ-
ნავდნენ და ხელებს სწევდნენ.

— აფციაურო, შენ წინააღმდეგი ხარ?

იქით გავიხედე, სადაც აქლემა მეგუ-
ლებოდა. ხელებჩამოშვებული აქლემა
თავჩალუნული იდგა. მწკრივის მეორე
ბოლოში ცოტნე და სოსო დავინახე.
ცოტნეს ხელი აწეული ჰქონდა. ჩემს
მხერას რომ წააწყდა, მაშინვე დაუშვა.

— გვერდით ხომ არ გინდა ამოუდ-
გე! — დაემუქრა აქლემას დათა.

დათამ ყელსახვევი შემხსნა.

შინ მარტო წამოვედი. სკოლის ეზო-
ში ბიჭები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, ქვეშ-



ქვეშ იმზირებოდნენ. აქლემა, სოსო და ცოტნე გაპარულიყვნენ. მენახშირის დარბაზს რომ ჩავუარე, იქით არ გამიხედავს. არ მინდოდა, ვანუა გამომლაპარაკებოდა. არავისთან არ მინდოდა ლაპარაკი. გული გამალეობით მიცემდა, დარდი ყელში მაწვებოდა და სუნთქვას მიშლიდა.

შებინდა თუ არა, თავის ტკივილი მოვიმიზეზე და ლოგინში ჩავწექი. არ დამეძინა, ვბორგავდი: ხან ერთ გვერდზე ვწვებოდი, ხან მეორეზე. თავს ვარწმუნებდი, სწორად მოვიქეცი-მეთქი. ეს ცოტა ხნით თითქოს მართლაც მიმსუბუქებდა გულზე მოწოლილ სადარდელს, მაგრამ წარმოვიდგენდი თუ არა ყელსახვევისკენ გამომწერილ დათას თითებს, ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

დედის ფეხის ხმა შემომესმა. მე თავი მოვიმძინარე. იგი მომიახლოვდა, შუბლზე ხელი დამადო, მომიალერსა და წავიდა.

იმ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს.

3.

ტექნიკუმის შენობიდან მე და მერაბი ერთად გამოვედით. ივლისის მზიანი დღე იყო. ჩუმად მივიდიოდით. მინდოდა, რამე სანუგეშო მეთქვა, მაგრამ ვერაფერს ვიკონებდი, ბოლოს ვთქვი:

— რაღაც უნდა მოვიფიქროთ.

— მე უკვე მოვიფიქრე, — მითხრა მერაბმა.

— მოიფიქრე?!

— დიდი ხანია, მოფიქრებული მაქვს.

— რა?

— კაკაბაძე შემპირდა, თუ მოახერხებ და ერთ წელიწადში მერვე და მეცხრე კლასის პროგრამას გაივლი, გაისად მეთაუში დაგსვამ და ატესტატს მოგცემო.

კაკაბაძე ჩვენი სკოლის გამგე იყო და სიტყვას ქარს არ ატანდა.

— მერე? — შევეკითხე მე.

— მერე რა, ამ ზაფხულს ვიმუშავებ სადმე, მოსამზადებელ კურსებზე ვივლა და გაისად მეთაუში დაგვადებო.

— შენ გგონია, ასე იოლია?

— ვიცი, იოლი არაა.

მერაბს ყოველთვის ყველაფერი ადვილი-დაწონილი და მოფიქრებული ჰქონდა, შორეულ გეგმებს ადგენდა და ანხორციელებდა კიდევც.

— ვიმუშავებ, ჩემს თავს მაინც შევინახავ, — თქვა მან.

— სად აპირებ მუშაობას?

— ვახტანგი შემპირდა, მექანიკურ სახელოსნოში მოგაწყობო, თვითონაც იქ მუშაობს.

— დათა?

— დათამ ყოჩაღო.

— მუშაობაც და სწავლაც ძნელი იქნება.

— მთავარია, დროს როგორ გაანაწილებო...

შინ რომ მივედით, მაშინ მითხრა:

— მოიფიქრე, იქნებ შენთვისაც ასე სჯობდეს...

არც ისე ადვილია, ორი წლის პროგრამა ერთ წელიწადში გაიარო. ეს რომ დაისახო მიზნად, მერაბივით ჯიუტი უნდა იყო.

შინ სასიხარული ამბავი დამხვდა: რაქიდან ბიძაჩემი უჩა ჩამოსულიყო. ოცი წლით ჩემზე უფროსი გახლდათ, მაგრამ უბრალოდ უჩას ვეძახდი... მახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა იგი რაიმილიციაში მუშაობდა, დედას ამბროლაურში ვყავდი. მთელი კვირის განმავლობაში უჩა არ გვენახა, სადღაც იყო წასული. მერე ჩამოვიდა, ყელმოღერებული, წაბლისფერი რაში შემოაგელვა ენოში. იმ გადარეულ ცხენზე უჩას მეტი ვერავინ ჯდებოდა, ვერც ახლოს ეკარებოდნენ. ჩვენი ნახვა გაუხარდა უჩას, გადაგვკოცა, მოგვიკითხა. სადილობისას ცოლის მიერ ჯამით მიერთმული ლობიოს შეჭამანდი ჯერ ჩანახევრებულიც არ ჰქონდა, სოფლის თავში რომ თოფების ბათქაბუთქი ატყავდა. უჩამ ჭამა მიატოვდა აივანზე გავარდა. დედა უსაყვედურებდა, მუდამ ასე იცი, დავგიბარებ და მერე თავს მოგვანატრებ ხოლმეო.

— ისინი არიან! — აღმოსავლეთისკენ

იყურებოდა უჩა და ულვას იკვნიტდა.

— ხომ შეიძლება გძინებოდა და თოფის ხმა არ გაგეგო? — უთხრა დედამ.

— საკმელი მაინც გაგეთავებია! — ჩაილაპარაკა ბიცოლამ, — თავს ვინ აკლავს ვილაღ ოხრებს?!
ისევ გაისმა თოფის ხმა. უჩამ ნაგანი ქამარში გაირჭო და ცხენს მოახტა.

დედაც ტიროდა, ბიცოლაც...

იმ ღამეს ამბავი მოგვიტანეს, ჩვენი სოფლის თავში ყაჩაღები დაუჭერიათო და... მხარში დაჭრილი უჩა საავადმყოფოში წაიყვანესო.

ასეთი იყო ბიძაჩემი.

მე ის ძალიან მიყვარდა და ნამდვილ გმირად წარმომედგინა. მის თავგადასავალს ზოგჯერ ბიჭებს ვუყვებოდი და ისინიც ტრაბახში არ მართმევდნენ.

ახლა წინ მედგა და მიცინოდა.

— შენზე ამბობენ, დავაუკაცლო.

— მართალია! — ეუბასუხე მე.

— შეიდგლასდამთავრებულებს წინათ კანცელარიას ანდობდნენ. იქნებ წამოხვიდე სოფელში, მოგვეხმარო.

— კანცელარიაში? — გავიცინე.

— რატომ კანცელარიაში! კოლმეურნეობა უნდა ჩამოყალიბდეს. იცი, რა არის კოლმეურნეობა?

— ტექნიკუმს დაამთავრებს და მერე წამოვა, — უთხრა დედამ.

— მერაბი მოსამზადებელ კურსებზე შედის, ასე ამბობს, ერთ წელიწადში ორი წლის კურსს გავივლიო. კაკაბაძე შებირებია, გაისად მეთათეში დავსვამ და ატესტატს მოგცემო.

— მერაბი ყოჩალი ბიჭია.

— ოთარიც ყოჩალია. — შემაქო უჩამ.

— მერაბი ამბობს, თან ვიმუშავებ, თან ვისწავლიო.

— მერაბი ნებისყოფიანია.

— მეც ვიმუშავებ და ვისწავლი კიდევ, — ვთქვი მე.

— ნუ სულელობ! — გამიჯავრდა დედა.

— რატომ უწყრები, კარგი აზრია, — თქვა უჩამ.

— ინდუსტრიულ ტექნიკუმში ჩარიცხეს, — თქვა დედამ.

— ასე ურჩევნია, თან იმუშავებს, თან ისწავლის.

— მერე ინსტიტუტში შევაღწეოთო.

— ხედავ, საღ უმიზნებს?! — გაიცინა ბიძაჩემმა.

იმ საღამოს მხოლოდ ჩემი ამბროლაურში წასვლა გადაწყდა. წამოვიდეს, ამ ზაფხულს დაისვენოს და სექტემბრიდან, როგორც ურჩევნია, ისე მოიქცესო, — თქვა უჩამ.

მატარებელმა დილაადრიან ჩაგვიყვანა ქუთაისში. გაკვირვებული ვიყავი: გამგელ-გამომგელთა უმეტესობა უჩას ესალმებოდა და ზოგი ხელისჩამორთმევითაც კი მოიკითხავდა ხოლმე. რამდენი ნაცნობი ჰყავდა!

ქუთაისიდან საბარგო ავტომანქანით წავედი. ბიძაჩემს უჩას შოფრის გვერდით დიდი თავაზიანობით დაუთმეს ადგილი; მერე ის ადგილი მე დამითმო. თვითონ კი ძარაზე ავიდა. ძარა ხალხით იყო სავსე; ზოგი იჯდა, ზოგი ფეხზე იდგა.

რამდენიმე გაჩერების შემდეგ მგზავრების უმეტესობა ჩავიდა და მანქანას ტვირთი შეუშლუბუქდა, თავისუფალი ადგილი ხომ იყო და იყო!

საქეს უწვევრულვასო ბიჭი უჯდა. ერთი შეხედვით ჩემი ხნის გეგონებოდათ.

— რაქაში მოდიხარ? — მკითხა მან.

— ამბროლაურში.

— უჩა რაა შენი?

— დედლიძეა.

— მავარი კაცი!

— დიდი ხანია ამ გზაზე მუშაობთ? — შევეკითხე.

— წელიწადი იქნება.

— აბა ეს რა გზაა.

— მართალია, ცუდი გზაა, თუმცა დღედაღამ ამის შეკეთებაზე მუშაობენ.

— არ მიყვარს ოღრო-ჩოღრო გზა.

— არაფერია, ღმერთი შეგვეწვევა, შინ მშვიდობით მივალო.

გამეცინა.

— ასე იტყვიან, თორემ, შოფრის შემ-

წე მისი თვალი და მკლავია, — სიცი-
ლით თქვა მან.

— და მანქანაც, — დავამატე.

— მანქანამ დალატი იცის, მთავარია
თვალი. თვალი და მკლავი, — საჭეს თა-
ვისუფლად ატრიალებდა, იღიმებოდა.

— სკოლაში არ გისწავლია? — შევე-
კითხე.

— სამი წლის წინათ დავამთავრე შვი-
ლი კლასი. მერე საჭეს მიეუფაქი, მიყ-
ვარს შოფრობა.

— კარგი ხელობაა.

— კარგი არაა, მაგრამ გატაცება კი
იცის. საჭეს ხელი თუ მოჰკიდებ, ვეღარ
შეეღვი. სწავლობ?

— ჰო, ტექნიკუმში.

— რომელში?

— ინდუსტრიულში.

— კარგია, — თქვა შოფერმა.

ავტომანქანა მიჰქროდა: კრამიტით
დახურული სახლები, ფარდულები, ხეე-
ბი და ტელეგრაფის ბოძები უკან რჩე-
ბოდა. მოტორი თუხთუხებდა, კაბინა კა-
ნკალეზდა.

— კარგია, — გაიმეორა შოფერმა, —
მეც მინდოდა სწავლა, მაგრამ მამა გარ-
დამეცვალა. ავადმყოფი დედა და ორი
უმცროსი ძმა ჩემი სარჩენი გახდნენ...
დავდივარ და ორიოდ გროშს ვშოუ-
ლობ.

გული ასე რომ გადამიშალა, მეგონა
მეც ვავიზარდე-მეთქი. წარმოვიდგინე,
როგორ მისავენებდნენ მის მამას; ის და
თავისი ორი ძმა იდგნენ და შესცქერო-
დნენ.

ავტომანქანა ახლა უფსკრულის პი-
რას მიდიოდა. გზა ნიაღვარს დაეხრამა-
ზოგჯერ მანქანა ისე ახლო გაუვლიდა
ხოლმე ხრამს, შიშით გული მეწურებო-
და. შოფერი, ვითომც აქ არაფერიყო,
არხეინად იჯდა.

აღმართზე მოტორი მოულოდნელად
ჩაქრა. შოფერი კაბინიდან გადავიდა და
კაბოტი ახადა. ცოტა ხანს ვიჯექი და მე-
რე მეც გადავედი. ზოგი ძარიდანაც ჩა-
მოვიდა. უჩა ძია და რამდენიმე სხვაც
ჩამოსულიყვნენ და მტკრიან შარაზე და-
აბოტებდნენ.

შოფერი ერთხანს მოტორს ჩაჰკირკი-
ტებდა, მერე ცარიელი ვედრო აიღო და
წყლის მოსატანად წავიდა.

უჩას ვილაც ქალი ესაუბრებოდა. ქა-
ლი ხნიერი არ იყო, მაგრამ თმა მთლია-
ნად გათეთრებოდა:

— რაიონი მთავორიანია, — თქვა იმ
ქალმა, — აქ ტრაქტორს ვერ გამოიყე-
ნებ.

— მონდომების საქმეა, — უპასუხა
უჩამ...

უცებ უცნაური რამ მოხდა: ავტომან-
ქანა დაგორდა და რახრახით დაეშვა
ქვევით. ყვირილი მოვრთეთ. ძარაზე და-
რჩენილმა ქალებმა წივილი ატეხეს. შე-
შინებულმა შევხედე უჩას: იდგა და გა-
ოცებული გაჰყურებდა დაგორებულ მა-
ნქანას. ასევე იდგნენ სხვებიც. ავტო-
მანქანა კი პირდაპირ უფსკრულისკენ
მიგორავდა. საშინელი კატასტროფის
მოახლოებას ვგრძნობდი და გარშემო
მყოფთა უმოქმედობა თავზარს მცემდა.
ეს იყო უძლურების საშინელი განცდა.
დაფეთებული ხან ერთს შევცქეროდი,
ხან მეორეს. დევივით ვაჟკაცები გაშე-
შებულნი, დაბნეულნი იდგნენ. იდგა უჩა-
აც; რომელსაც ჩემს წარმოდგენაში მთე-
ბის შეძგრა შეეძლო.

ვილაც ქალმა შემზარავად იჩივლა: ეს
იყო დასაღუბად განწირული ადამიანის
სასოწარკვეთილი ხმა.

ავტომანქანას გამოვევიდე და მონიკე-
ლებულ წინა ბამპერს ორივე ხელით
ჩავაფრინდი. ჩავაფრინდი და... დამით-
რია. მუხლები გადამეყვლიფა. ხელი გა-
მეშვა... ავტომანქანა კი მიგორავდა. ბე-
ვრი გადმოხტა. სხვები ბორტზე გადმო-
ხრილიყვნენ და კიოდნენ.

შოფერი მორბოდა. თუნუქის ყუთი
გადაედო და ქვას მოარბენინებდა. ავ-
ტომანქანას დაუხვდა, მიწაზე დაეცა და
უჩანა თვალს ქვა შეუყენა. თვალი ქვა-
ზე დასხლტა და შოფერს ხელებზე გა-
დაუარა. ავტომანქანა ერთხანს კიდევ ჩა-
ნდა, მერე კლდეს დაეჯახა.

ეს ყველაფერი თვალის დახამხამება-
ში მოხდა. მე კი მეგონა, მთელმა საუ-

კუნემ გაიარა-მეთქი... რა ვიცი, ცხოვრება, შეიძლება უარესის მოწმეც გავხდე, მაგრამ ეს ამბავი განსაკუთრებით იმიტომ მახსოვს და გული იმიტომ მწყდება, რომ შვიდი დევივით ვაქცადი ერთიანი ძალით ავტომანქანას კი არა, მეწყერს დააკავებდა!

ისინი კი იდგნენ და... დანარჩენი ბუნდოვნად მაგონდება. ის კი კარგად მახსოვს, მაგებლამსხერეული შოფერი ფორნით რომ წაიყვანეს. მერე ხრამიდან ეზიდებოდნენ დასახიჩრებულ მგზავრებს. ბოლოს ჩვენს წასაყვანადაც მოვიდა საბარგო ავტომანქანა, რომელსაც რამდენიმე მგზავრი მოჰყვა. იყო გაუთავებელი წუხილი, ვიშვიში, ათასნაირი მითქმა-მოთქმა...

რომელიღაც სოფელში გავჩერდით. მგზავრები სასადილოში შევიდნენ, მე და უჩა გზის მეორე მხარეს მორზე ჩამოვსხედით. ვლუმდით. ჩვენს შორის უცნაური უხერხულობა ჩამოვარდა. დამღურებულებს ვგავდით. სასადილოს წინ აყალო მიწით მოტყეპნილი მოედანი მოერწყათ და დაეხვეტათ. გადახრილი მზე დუქნის ფარდულს უკანიდან მოსდგომოდა, ჩრდილი მთელ გზას ფარავდა და ჩვენამდე აღწევდა. დუქნის წინ რამდენიმე წვერაგუბარსავი კაცი იდგა. ასე მეგონა, ეს კაცები ყოველთვის აქ იდგნენ და დუქნის ისეთივე ნაწილს შეაღვენდნენ, როგორც დაბრეცილ ასოებიანი აბრა.

— არა გშია? — მკითხა უჩამ.

— არა, — ვუპასუხე ისე, რომ თავი არ ამიწევია.

— დილიდან არაფერი გიჭამია.

— მერე რა, არა მშია.

— შევიდეთ, თითო ლუკმა შევჭამოთ.

— არ მინდა.

კიდევ დიდხანს ვლუმდით. მერე უჩამ მითხრა, წავალ ყელს გავისველებო და წავიდა.

რახრახით ჩამოგორდა ზევიდან საბარგო ავტომანქანა, ზედ ჩემს წინ დაამუხრულა შოფერმა. სასადილოდან კაცი გამოვარდა, შოფერს მიეჭრა:

— ქუთაისში? — ჰკითხა.

— ჰო, — უპასუხა შოფერმა.

— წამიყვანე?

— დაჯექი.

კაცმა ფეხი საბურავზე შედგა და ძარაში გადალაჯა. თვალის დახამხამებაში მეც ავხტო.

ეს იყო ჩემი პირველი თვითნებობა. რომელსაც მთელი აურზაური მოჰყვა. ჩემი დაკარგვის ამბავმა თბილისში ჩამასწრო: მამას გულის შეტევა დამართოდა და ძლივს მოებრუნებინათ. დედა შეშინებული, მოტეხილი და ფერდაკარგული დამხვდა. მაგრამ ყველაფერმა მალე გაიარა, ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა, მღელვარება დავიწყებამ მიეცა. მართო მე გამოვიცვალე: რაჰის გზაზე მომხდარმა საშინელმა ამბავმა დამაფიქრა, დამალონა. იმ დღის შემდეგ ჩემიანები ჩემზე ამბობდნენ, დავაქცადი. შეიძლება მართლაც დავაქცადი. იმას კი ნამდვილად ვგრძნობდი, რომ რაღაც შეიცვალა ჩემში.

4.

დერეფნის ბოლოს, ქუტყისაგან გაშავებულ აბრაზე შავი ტუშით ეწერა: „ღირეჭტორი“. მეორე კარიდან საანგარიშოების ჩხაკუნის და დუღუნის ისმოდა. სადღაც, შორს, უროს ურტყამდნენ და დერეფანი ზანზარებდა, გეგონებოდათ. მიწისძვრააო. ვახტანგმა კარი გამოაღო და გვანიშნა, შემოდითო. ვერცხლისფერთმიანი მაღალი, გამხდარი კაცი ჩვენს შესახვედრად წამოვიდა. ოთხკუთხედი ნიკაპი და მკვეთრად გამოხატული ლაწვეები მკაცრ შესახვედრობას აძლევდა, თუმცა უბებში ღრმადჩამჯდარი თვალეები ალერსიანი შუქით უცემციემებდა, მან ხელი გამოგვიწოდა და გვიტხრა:

— გამარჯობათ, ამხანაგებო! — მერე ვახტანგს მიუბრუნდა: — ორი ვასოსთან მიიყვანე, ერთი ჩარქიშვილთანო და ისევე მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებში ჩარგო თავი. მივხვდით, რომ ვახტანგს ჩვე-



ნი ამბავი ადრევე ჰქონდა ნათქვამი და ჩვენი მოსვლის მიზანიც იცოდა.

ვახტანგმა დერეფანი გაგვატარა და სახელოსნოს შესასვლელთან გაჩერებული დარაჯი გაგვაცნო. მერე კარი გააღო: თავბრუდამხვევ გრუხუნსა და ორომტრიალში შევედით. ორგვლივ ყველაფერი მოძრაობდა, ხმაურობდა. გუგუნებდა. ღრჭილა ჩარხებს, მოძრავ ღვედებსა და მბრუნავ ბორბლებს შორის რომ მივდიოდით, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს მქუხარე მდინარეზე გადებულ ეიწრო ფიცარზე გამეცვლოს. თვალეში მიჭრელდებოდა, თავბრუ მესხმოდა. ასე მეგონა, ფეხი დამიცდებოდა, დავბარბაცდებდი და სწრაფმბრუნავი კბილანები ჩამითრევენ-მეთქი.

მოასფალტებულ იატაკზე ფოლადის ფურცლები და ნაგლინი ეყარა.

ვახტანგმა ცოტენ ერთ შუახნის კაცთან მიიყვანა, ალბათ, ჩარქეიშვილთან, რადგან ძია ვასოსთან ჩვენ მოვხვდით.

ძია ვასო პატარა ტანის, ხანშიშესული, მაგრამ ვერცხლისწყალივით მოძრავი კაცი იყო. გვერდზე ჩაჭრილი ლურჯი სატინის ხალათი ეცვა. ხალათზე ყველა დიდი ნიკამამდე ჰქონდა შეკრული. ნაყელოდან თეთრ-წითელი ნაჭრილობევი მოუჩანდა. ვერცხლის სათვალე ცხვირის წვერზე ჩამოეცვა. ჩვენ რომ მივედით, ჩარხს უტრიალებდა. შეგვნიშნა, თავი დახარა და სათვალეს ზევიდან შემოგვხედა.

— ბიჭები მოგიყვანე, ძია ვასო, — უთხრა ვახტანგმა.

— ჰო, — თქვა ოსტატმა; ჩარხთან იდგა და საჭრის ადვენებდა თვალს. ჩვენი იქ ყოფნა თითქოს დაავიწყდა კიდევ.

ჩვენც მოგვტაცა თვალი ჩარხის ტრიალმა. უხერხულობას არა ვგრძნობდით, თუმცა საკმაოდ დიდხანს ვიყავით ასე, ერთ ადგილას გაჩერებულნი.

ძია ვასომ მაგიდაზე ჩამწკრივებული ლუგებისკენ გაიშვირა ხელი. მე და მერაბმა ერთმანეთს შევხედეთ, მერე ვანტანგს მივაჩერდით.

— მიწოდე, — მითხრა ვახტანგმა. ლუგვი ავიღე და ძია ვასოს გადვუცვლი ძია ვასომ ჩარხზე დამაგრებული დეტალები ჩამოხსნა და მომაწოდა. ჩარხზე ხსნა-ლი დაამატა. გაჩარხული თუჯი იქვე მხადეტალებთან დადევ.

მერე მე და მერაბი საწყობიდან ნაგლის ვეზიდებოდით.

შუადღის შესვენებაზე ოსტატმა ჩარხი გააჩერა. ზეთიანი ჩვრით გაიწმინდა ხელები, სახელოთი შუბლზე ოფლი შეიმშრალა და სათვალის ზევიდან გადმოგვხედა, შეგვათვალეირა.

— შენა ხარ ვირსალაძე? — მკითხა ძია ვასომ.

— არა, ვირსალაძე ესაა. — მერაბზე ვანიშნე.

— კარგი ბიჭები ჩანხართ.

მაგიდის უჯრიდან ხელსახოცში გახვეული საუხზე ამოიღო, მაგიდაზე გაშალა. საუხზე ჩვენც გვექონდა, მაგრამ გვერცხვინებოდა გამოგვეჩინა. ძია ვასო არ მოგვეშვა, დამეწვიეთო. ჩვენც ამოვალაგეთ გამოტანებული საჭმელი და ოსტატთან ერთად დავნაყრდით.

ვახტანგმა ვეითხრა, ძია ვასო ძველი ბოლშევიკიყო, საპროტესტო გამოსვლებშიც მონაწილეობდა, გადასახლებაშიც იყო. გაკვირვებული შევცქეროდი ძია ვასოს. მერე გამბედაობა მოვიკრიბე და შევეკითხე:

— თქვენ რევოლუციონერი იყავით?

— ეყავი, — მიპასუხა.

— ალბათ ციხეშიც იჯექით?

— ციხეშიც.

— ბიძაჩემიც იჯდა ციხეში, თუმცა ის მაშინ სულ პატარა ყოფილა, ჩვენზე უფრო პატარა.

— თქვენც ელა ვიყავი, კალათით ბომბები რომ გამატანეს ჩულურეთში. ეს ცხრაას ზუთში იყო. — თქვა ძია ვასომ.

— მე მეგონა, ძველი რევოლუციონერი ყველა კომისარია ან აღმასკომის თავმჯდომარე მანაც, — ვთქვი და გამეცინა. მერაბმაც გაიცინა.

შინ წასვლა აღარ გვინდოდა, — აქ ყველაფერი კარგი და საინტერესო იყო.

ყველაზე უფრო საინტერესო კი თვითონ ძია ვასო გახლდათ. რამდენიმე საათის განმავლობაში ისე შევეჩვიეთ და შევეთვისეთ, თითქოს მთელი სიცოცხლე მასთან გაგვეტარებინოს. უცებ შეგვიყვარდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, კიდევ გამოიცვალა ჩვენს თვალში: წარმოსადეგი გახდა და აღარც ისე მსუბუქად მოძრაობდა.

ვახტანგმა ერთი წუთით შემოიბრინა, თვალი ჩაგვიკრა და ძია ვასოს გამოსძახა:

— ხომ არ გაბრაზებენ ჩემი ბიჭები!

ოსტატმა ღიმილით შემოგვხედა. ვახტანგი ისევ შეეკითხა:

— როგორ ფიქრობ, ივარგებენ?

— იცოცხლე! — უბასუხა ძია ვასომ, — ოღონდ აი, ამასავით უნდათ გაჩარხვა, — და დაზგაზე თუჯის ლუგვი შემოდო.

მერე დირექტორი მოვიდა. ოსტატის მოწოდებული საჭრისი ხელიდან გამივარდა. მერაბმა ფეხი ფეხზე წამოიღო და კინაღამ თავიური დაიმტვრია. დირექტორი შუბლშეჭმუხენილი შემოგვცქეროდა. ძია ვასომ გაიცინა:

— ამისთანა უფროსისა ნურასოდეს შეგეშინდებათ, — გვითხრა მან, — იცის, ისევ დაზგასთან რომ მოვა. საშიში ისაა, ვინც მაღლა-მაღლა აბლორტებას ცდილობს, — მერე დირექტორს მიუბრუნდა, — რაო, ამბროსი, ახალი რა ისმის?

— მუხრუჭების ბოლო პარტიაც დაგვიწუნეს; — ჩუმი ხმით თქვა ამბროსიმ და უფრო ჩუმად განაგრძო, — გასულ კვირას ავარიის სამი შემთხვევა მომხდარა.

— მერე? — მკაცრად იკითხა ძია ვასომ.

— ეს-ეს არის კომისიის დასკვნა მივიღე, მუხრუჭებს აბრალებენ.

— ახია შენზე, სახელოსნო კულაკების თავშესაფრად აქციე.

— აბა, რას ამბობ, ვასო!

— მავნებლები ვირთხებივით დამე-

რებიან. აი, ნახვ მართალს თუ არ ვამბობ. თუნდაც აგე, გაიხედე!..

კარი სასწველ სამქროში ვერცხვულს ვხვდნენდა. წითლად შეღებილი ფიცრებისა და რკინისაგან შეკრული, დიდი კარი იყო. იქიდან კვამლი, ორთქლი და მწვავე სუნი გამოდიოდა. გასასვლელში ვაგონებზე მიყუდებული ბიჭი თუთუნს აბოლუბდა, ჩვენკენ იხედებოდა. ბამბის გახუნებული შარვალი და შინგამოყვანილი ტყავისწვერიანი ჩუსტები ეცვა. დაკერებულ სატინის ხალათზე წვრილი თასმის ქაშარი ერტყა. იღვა და არხეინად აბოლუბდა. ჩვენკენ თუ იცქირებოდა, უფრო იმიტომ, რომ უცხო ბიჭები შეგვნიშნა და ცნობისმოყვარეობამ დასძლია.

ამბროსიმაც გახედა ბიჭს, გაიცინა. ძია ვასოს მხარზე ხელი დაჰკრა, რაღაც ჩაულაპარაკა და წავიდა.

ოსტატი საჭრისის მოძრაობას დასცქეროდა და დუმდა. ბიჭმა ნაშწვი მიწაზე დააგდო, ფეხით გასრისა, ვაგონეტან მიაწვა და გააგორა.

— აგერ წყალი, საპონიც იქაა, — გერთხრა ძია ვასომ, — ხელ-პირი დაიბანეთ და შინსკენ მოუსვით. ხვალ არ დაიგვიანოთ! — გაგვაფრთხილა.

— შეიძლება იქითა მხარეც დავთვალეერთ? — შევეკითხე და ხელი ღია კარისკენ გავიშვირე.

— რატომაც არა, შეიძლება...

ამბროლაურში ბიძაჩემის მეზობლად ერთი კაცი ცხოვრობდა, მამუკა ერტვე. იმაზე ამბობდნენ კულაკია, დამნაშავეაო. ღიბიანი იყო და ჩასისხლიანებული თვალები ჰქონდა. როცა გაბრაზდებოდა, იმ დროს რომ ვინმე ხელში მოხვედროდა, ალბათ, თავს წააცლავდა. იმ სივრცე ხანჯალი ეყიდა, მარტო იმის წიშით გასძვრებოდა კაცს სული. სამი უღელი ხარ-კამეჩი დახოცა ერთ ღამეს. ხორცი მიწაში ჩაფლა, ტყავი დაბადებს მიჰყიდა. იმ ზაფხულს სულ ამაზე ლაპარაკობდნენ. ზოგი ამართლებდა, საკუთარი ხარ-კამეჩი დახოცა, ვის რა ესაქმებაო. რომელი ერთისათვის დამეჯერებინა არ ვიცოდი.

წვლან, ვაგონეტს რომ მიაგორებდა, იმ ბიჭზე ანიშნა ძია ვასომ ამბროსის, დამნაშავესავით იყურებო. მე ჯერ ნამდვილი დამნაშავე არ მენახა და იმიტომ ვუტკეპრდი გოაცებულნი... ბიჭმა კუთხეში რომ შავი ხრეში ეყარა, იქ მიაგორა ვაგონეტი.

— რა უცნაური ნახშირია? — გავიკვირვე მე.

— ნახშირი კი არა, კოქსია, — თქვა ბიჭმა.

— კოქსი?

— იგივე ნახშირია, ოღონდ საგანგებოდაა გამოყენილი, თუჯის გამოსადნობად ხმარობენ.

— თუჯს აღნობთ?

— მაშა. აგერ, ბოვი.

— ბოვი რაღაა?

— ე, ლითონის გამოსადნობი ღუმელია!

ბიჭმა ქისა ამოიღო, გაზეთის ნახევარზე თუთუნი დაყარა და სიგარეტი გაახვია. მერე ქისა მე გამომიწოდა:

— აჰა, გააბოლე.

— არ ვეწევი.

— შენა! — შეეკითხა მერაბს და ქისა ახლა იმას გაუწოდა.

— არც მე, — უპასუხა მერაბმა.

— ასე სჯობია, — თქვა ბიჭმა, — ფილტვები შეგენახებათ. — თაფლისფერი თვალები ჰქონდა, ნაღვლიანი. — პირველად ხართ? — ისევ მერაბს შეეკითხა ბიჭი.

— ჰო. — უპასუხა მერაბმა.

— თქვენ? თქვენ დიდი ხანია აქ მუშაობთ? — შეეკითხე.

— ექვსი თვეა.

— სადაური ხართ?

— ქიზიყელი.

— კარგი კუთხეა.

— რა?

— ქიზიყი. ქიზიყი ხომ კახეთია.

— კახეთია, მაშა.

მერე ვაგონეტს მიაწვა და წავიდა. იმ ბიჭს ჭიტესა ერქვა, როცა ლაპარაკობდა, სახე სულ უღიმოდა.

ქუჩაში გავედით. ქუჩაში პატარა გონა მიდიოდა, თვალი გავაყოლე და რატომღაც გამახსენდა: ერთხელ წავიყვანილი ბუშტი გამიფრინდა, ქარმა გაიტაცა, მაღლა-მაღლა წავიდა და უცებ თვალს მიეფარა. „აგერ, აგერ სადაა!“ — ყვიროდა მზია და თითს მზისკენ იშვერდა. მზიას თითს თვალი გავაყოლე, მაგრამ უსასრულო სივრცის მეტი ვერაფერი დავინახე. მზია კისკისებდა: „როგორ ვერა ზედავ, აგერ სად მიფრინავს?!“ ცუდი განცდაა: სხვა ზედავს და შენ ვერა. ძია ვასომ თქვა, მივინებლობისათვის კაუტუკის ცოდნა საჭირო არააო. იქნებ მართალიც იყოს. მაგრამ ის ბიჭი ცუდი არ უნდა იყოს, ამაზე თუნდაც თავს დავდებ.

პირი არ დამიბანია, მაზუთიანი და გამურული წამოვედი სახელოსნოდან. მივდიოდი ქუჩაში და მიხაროდა, რომ მალე მუშა ვიქნებოდი, ნამდვილი მუშა, რომელიც ლუქმაპურს ოფლით შოულობს.

დავოსტატდით-მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ ათი თვის შემდეგ დამოუკიდებლად ჩარხვა უკვე შეგვეძლო. ვჩარხავდით კიდევ. ოსტატი ბევრი ჩიჩინით თავს არ გვაბეზრებდა. კაცი შეცდომებზე სწავლობსო, იტყოდა ხოლმე და მეტ დამოუკიდებლობას გვაძლევდა. საქმემ ისე გაგვიტაცა, მერაბის დღის რეჟიმი რომ არა, აღბათ სადილის შემდეგაც სახელოსნოში დავრჩებოდით. ორ საათზე შინ ვიყავით, ვისადილებდით, ცოტას წავითამაშებდით, დავისვენებდით და მერე წინებს ჩავკირკიტებდით.

ერთ კვირა დღეს აქლემმა მოვიდა და იმ დღისათვის წინასწარ დალაგებული გეგმები აგვირია.

კიბის ქვედა საფეხურზე ვისხედით — მე, მერაბი, ცოტნე, სოსო და აქლემი. მზე ჯერ ისევ ანათებდა მეორე სართულის აივნებს. ეზოში გრილოდა. წყალსადენის თითბრის მილიდან წყალი მოთქირალებდა. ონკანის გვერდით მდგა-

რი ბებერი აკაციის კენწერო სახლის სახურავს ასცილებოდა და მზეზე ლივლივებდა. აკაციის ერთ ტოტს ჩვენი შუშაბანდის გახსნილ ფანჯარაში შეეყო თავი. კიბის გვერდით, ბერიშვილების ბინის ქვეშ, სარდაფში ჩასასვლელი კარი ღია იყო და იქიდან შმორის სუნი და სივრილე ამოდიოდა.

კიბეზე ვისხედით და ვსაუბრობდით.

— რამდენს გამოდიხართ დღეში? — მკითხა აქლემამ.

— საქმეზეა დამოკიდებული, — ვუპასუხე დაფიქრებით, — ზოგჯერ ათ მანეთსაც ვაკეთებთ.

— ორივენი?

— ჰე, — ჩავიციინე, — ათ-ათ მანეთს.

— კარგი საქმეა, — თქვა აქლემამ, — თვეში ოცდაათი თუმანი დიდი ფულია. იცხოვრებს კაცი.

— ყოველთვის ვერ ვაკეთებთ ათ მანეთს, — ჩაილაპარაკა მერაბმა, — ზოგჯერ ხუთ მანეთსაც ძლივს გამოვდივართ.

— ეს დასაწყისში იყო, — ვთქვი მე. — ახლა დავოსტატდით.

— ოსტატებს დამიხედეთ! — ჩაიციინა სოსომ.

— სეროფიან წყალზე დაგვპატიყე, — მთხოვა აქლემამ.

— ჩემი თავი გენაცვალეთ!

წამოვიშალენით და წავედით.

ქუჩის ბოლოში, ცალფეხა კაცი ყიდოდა სეროფიან წყალს, ლიმონათს, ლუღსა და პაპიროსს.

— თქვენ ლიმონათი დალიეთ, მე ლუღს დავლევ, შეიძლება? — შემეკითხა აქლემამ.

— ჩვენ რა, ჩვენ კი ვერ დავლევთ ლუღს?! — იწყინა სოსომ.

— დაიკარგე, ლაწირაკო, რა დროს შენი ლუღია!

— მე ვსვამ ლუღს, — თქვა სოსომ.

— მეც, — სოსოს ცოტნეც აპყვა.

— ხუთი ლუდი ჩამოგვისხი! — დავიძახე რიხით და ფული დახლზე გავაჩხრიალე.

გამყიდველმა თავით-ფეხებამდე ატვია თვალიერ-ჩაგვათვალიერა და... თქვა... ლით წამოვიდა ონკანიდან ლ... ხის ფეხზე დაბჯენილი იდგა და ტოლჩებს ქაფით აესებდა.

როცა ხუთივე ტოლჩა დახლზე ჩამომწკრივდა, დავითითოვეთ და ერთმანეთს მივეუჯახუნეთ. ქაფი ერთი ტოლჩიდან მეორეში გადადიოდა.

აქლემამ სულმოუთქმელად დაცალა. სოსოც ასევე მოიქცა. მერე ჩვენც შევუბერეთ ქაფს და ლუდი მოვსვით.

— მშვენიერი ლუღია! — თქვა აქლემამ.

— ცხონება! — ლუდი სოსომაც შეაქო და ტოლჩა მანაც დახლზე დადგა.

ცოტნე იჭყანებოდა და მაინც სვამდა. ძლივს გამოცალა.

მე ლუღს პირველად ვსვამდი და უნდა გამოგიტყდეთ, არ მომეწონა, რალაც უცნაური მწარე გემო ჰქონდა. მაინც დავლიე. ტოლჩა დავდგი და ვთქვი:

— საშინელი დასალევი ყოფილა.

— ასეა პირველად, მერე მიეჩვევი, — დამამშვიდა აქლემამ.

— რა ძალაა, — თქვა მერაბმა, — თუ არ მოგწონს, რატომ უნდა მიეჩვიო! — საესე ტოლჩა დახლზე შემოდგა, ცხვირსახოცი თუჩები შეიმშრალა.

— მოკლას ხარი თივამ! — აქლემამ მერაბის ტოლჩაც გამოცალა.

— კიდევ ხომ არ დალევ? — კვითხე აქლემას.

— საკმარისია, — პირი გააწყაბუნა.

— წამოდით, ბაღში გავიაროთ, — შემოგვეთავაზა სოსომ.

— არა, ბაღში არა, — აქლემამ შეგვათვალიერა, — ერთ ადგილას ერთთან ანგარიში მაქვს გასასწორებელი. წამომკვებით?

— რატომაც არა, — უცბად დათანხმდა ცოტნე.

— რა ანგარიშია? — ფრთხილად იკითხა მერაბმა.

აქლემამ გამოგვიტყდა:

— გოგო მყავს სანახავი.

— გოგო? ვინ გოგო?!

— შეყვარებული.

— ერთი შენც, — გაიცინა მერაბმა.

— სერიოზულად?

შეყვარებული იმისთანა საინტერესო რამ იყო, წაუსვლელობა როგორ შეიძლებოდა?!

აქლემამ მთელი ქალაქი მოგვატარა და ენგელსის ქუჩაზე, სამსართულიან სახლის სადარბაზოსთან მიგვიყვანა.

„სტენოგრაფიის კურსები“, ეწერა კარზე. ჩვენ იქვე, სადარბაზოს კიბეზე ჩამოვსხედით.

— სადაა შენი გოგო? — იკითხა სოსომ.

— რვა საათზე გამოვა.

— რვა საათამდე აქ უნდა ვისხედეთ?

— ამისთანა კიბე სახლშიაც გაქვს თუ? — დააყვედრა მერაბს აქლემამ.

ქუჩის მოპირდაპირე მხრიდან მაღალი ქალი წელში გაშლილი და თავაწეული მოდიოდა, თითქოს ეს ქუჩა მისი საკუთრება ყოფილიყოს. რაღაც უცნაური ფორმის ქული ეხურა. ტყავის გრძელი საფულე ორივე ხელით ეჭირა. ჩვენ რომ დავკვირდებოდით, შეჩერდა, სათითაოდ შეგვათვალიერა. მერე კოჭებამდე ჩამოვსული ვიწრო კაბა ოდნავ აიწია, საფეხურზე შედგა და სადარბაზოში შევიდა.

— გამგეა, — თქვა აქლემამ.

— ვაჰ! — გავიკვირვებ ჩვენ.

— კურსების გამგეა, ჯოჯოხეთის მუგუზალა, — თქვა აქლემამ, რაშიც მალე დავრწმუნდით.

ჩვენს ტროტუარზე, ზედა მხარეს, მილიციელი გამოჩნდა.

მილიციელი ქვევითაც გამოჩნდა. მერე ერთი მოპირდაპირე ტროტუარიდან გადმოვიდა და ჩვენკენ წამოვიდა. სამივე ერთდროულად დავვადგა თავზე.

— არ გაინძრეთ!

— ესენი არიან, — თქვა ჯოჯოხეთის მუგუზალმა, სადარბაზოდან გამოსულიყო და მოჩვენებასავით იდგა კიბის ზედა საფეხურზე.

— აა, მამ ესენი არიან, ა? — ნიშნისგებით იკითხა უფროსმა მილიციელმა.

— გუშინ ფანჯრები ჩამატყვეს, ამას წინათ გოგოები ამიწიოკეს, ახლა ისევ მობრძანდნენ.

— აბა წამოდი!

— საღ! — გავიკვირვებ ჩვენ.

— ლაპარაკი! ქოსროშვილი, წამოიყვანე! — უფროსმა უმცროსს უბრძანა. უმცროსი შეედავა:

— ბედოშვილიც დარჩეს, ხუთნი არიან.

— დარჩეს, — დათანხმდა უფროსი და წავიდა.

ცხვრებივით გავვალაღეს და მილიციის განყოფილებაში მიგვრეკეს, კამერაში ამოგვაყოფინეს თავი. კამერის კარი ეზოში გამოდიოდა. შუა ეზოში წყალსადენი იდგა, ონკანი გაფუჭებოდა და მილიდან წყალი ისევე მოთქრიალებდა, როგორც ჩვენს ეზოში...

ცრემლი მეროდ: „ამალამ თუ აქ დავგეტოვებს, ჩვენები შიშით გადირევიან. რა ეშმაკად აყვეცი აქლემას!“ აქლემმა გალიაში დამწყვედელი ფოცხვერვივით ბორგავდა, წინ და უკან დაბორიალებდა, ხენეშოდა და თითებს იკნენტდა... მერაბი იატაკზე იჯდა. სოსო და ცოტნე ჩემს გვერდით იდგნენ და ჩემსავით თვალებდაჭყეტილები გაჰყურებდნენ ეზოს. უკვე შებინდებულიყო: ეზოში დაფეხილა ელნათურის შუქი და ირზეოდა, გეგონებოდათ, ხელით აქანავებენო.

— გუშინ იქ არ ვყოფილვარ, — მოულოდნელად თქვა აქლემამ.

— შენ იცი, ვინ ჩამატყვია მინები? — ჰკითხა მერაბმა.

— ვიცი, მაგრამ მე მათთან არ ვყოფილვარ. მინები უჩემოდ ჩამატყვიეს.

— მინების ჩამატყვევა თუ დავაბრალებს, პატიმრობას მოგვისჯიან, — თქვა სოსომ.

— გაგიჟდი! — თითქმის ვიყვირე.

— ბიძაჩემს უნდა გავაგებინოთ, — თქვა ცოტნემ.

— ერთ ბიჭს ორი წელი მიუსაჯეს, ვილაცას ხელი დაედო, მუშტი დამარტყაო, — თქვა სოსომ.



— ასე როგორ შეიძლება! — შეშლილივით ვყვიროდი.

— აქლემამ უნდა თქვას, ვინ ჩაამტვრია მინები! — წამოვარდა ცოტნე.

ამ დროს კამერის კარი გაიღო და ვიღაც მთვრალი კაცი შემოგვიგდეს, შემოგვიგდეს კი არა, შემოიტანეს. ის კაცი იატაკზე დაეცა და აღარც განძრეულა, ვიფიქრე, მოკვდა-მეთქი.

კედელზე აკრული ვიდექი და ვითროდ. ფეხის ხმა მიწყდა და კამერაში შემზარავმა სიჩუმემ დაისადგურა. ბიჭები ლანდებს ჰგავდნენ, გაუნძრევლად იდგნენ და შეშინებულ თვალებს უაზროდ აცეცებდნენ. ქამდე შედარებით ვულად ვიყავი, ახლა შიში დამეუფლა, თან უცნაური გრძობა მაწვალებდა — ასეთი რამ სიზმარში განმეცადა: გაქცევა გსურს და ვერ გაქცეულხარ, დაყვირებას ცდილობ და ხმა არა გაქვს, ხელის გაქნევა გინდა და შკლავი არ გემორჩილება! ვიციოდი, რა უბედურებაც ტრიალებდა ახლა ჩვენსას.

— გაცივდება ეს უბედური და მოკვდება, — თქვა მერაბმა.

იატაკზე მიგდებულ კაცს შევხედეთ, გულალმა იწვა და მშვიდად აუნთქავდა.

— არაფერი უჭირს, — თქვა ცოტნემ.

— ნარზე დავაწვინოთ, — წამოვიძახე. ყველა სხვადასხვას ვამბობდით, აზრი კი ერთი გვქონდა: „მე მაგარადა ვარ, ბიჭებო, თქვენც ყოჩაღად იყავით...“ „აქ რომ ვართ, ეს არაფერია, ამისთანა კი გვინახავს!“ გულში კი შიში გვედგა.

მძინარეს დავეჭიდეთ, რის ვაივავლახით ავწიეთ და ნარზე დავაწვინეთ.

— ფუ, ხელი დამესვარა, — ზიზღით წამოიძახა ცოტნემ და ხელი გაასავსავა. სიცილი ავტყეხეთ.

ასე ვართ გატრუნულები და უცებ აქლემამ სიმღერა არ შემოსძახა?!

„ცივ ზამთარში უსახლკაროდ სიცივეში გავატარე“...

— ეი, აქ სიმღერა არ შეიძლება! — გაგავფრთხილა მილიციელმა.

— კიდევ რა არ შეიძლება აქ? — იკითხა ვიღაცამ.

— აბა, აბა! — გაბრაზდა მილიციელი.

— ისაა, ჩვენ რომ მოგვიყვანა, თქვა სოსომ.

— ქოსროშვილია, — დაუძრავა ცოტნემ.

— შენ რა იცი ჩემი გვარი! — გაუკვირდა მილიციელს.

— ხეალ რომ „ბოლტივით“ მოგაძრობენ, მერე გაიგებ, საიდანაც ვიცი.

— ვაპ!

— მოვიდეს ბიძაჩემი!

— ყურებზე ხახვი არ დამაჭრას.

— იქნებ გაგივია დომენტი რუხაძე?

— რუხაძე?

— ხო, რუხაძე დომენტი.

მილიციელმა თავი უნდობლად გააქნია.

ხომ გინახავთ ხაფანგში გამომწყვდეული თავი წინ და უკან დაუსრულებელი სირბილისა და მავთულეზზე ათასგზის შეხეთქების შემდეგ რომ კუთხეში მიჯდება და გაინახება... აი, სწორედ იმხვგავდით. კედლის გასწვრივ ჩაცუტებულებს თავები მუხლებში გვქონდა ჩარეული. მერე შეგვიცადა და კანკალმა აგვიტანა. ერთხანს კიდევ ვიბორიალეთ წინ და უკან, მერე სარკმელს ტკიპებით მივეკარით...

სადღაც იქით, ალბათ, მზე ამოვიდა. პირველმა ტრამვაიმ ჩაირახრახა. მემაწვინის წამლერებული შეძახილი მოგვესმა. აქვე, რკინით შეჭედულ კარსა და აუტურის კედლებს იქით, ჩვეულებრივი დღე იწყებოდა. დიდი ხნის წინათ, როცა ბებია ჯერ ისევ ცოცხალი მყავდა, სწორედ ასე წარმომედგინა იმქვეყნიური ცხოვრება: ვზივარ სადღაც ზევით, ზეცაში, ანგელოსებით გარშემორტყმული, დაბლა კი ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში მიედინება, — ბიჭები სკოლაში დადიან, ლახტსა და გრძელ ვირს თამაშობენ. მოგესხენებათ, სამოთხეში არ ვიყავი, ცხოვრება კი მაინც იქით დამრჩა, ამ კედლებს იქით.

კარგად რომ ვათენდა, მილიციელი მოვიდა და გამომძიებლთან წაგვიყვანა. გამომძიებელი ჩვენზე ოთხი-ხუთი

წლით უფროსი თუ იქნებოდა, თავი კი ისე მოჰქონდა, გეგონებოდათ, რევოლუცია ამან მოახდინაო.

— რატომ ჩაამტვრიეთ მინები? — ვკითხა გამომძიებელმა. ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ ნამდვილად ჩვენ ჩავამტვრიეთ.

— რომელი მინები?! — გავიკვირვებ ჩვენ.

— განა სხვაგანაც ჩაამტვრიეთ?!

— არსად არაფერი ჩაგვიმტვრევია, — ყველას მაგიერ მერაბმა უპასუხა.

— თქვენ ჩაამტვრიეთ ენგელსის ქუჩაზე მდებარე შენობის მინები, რომელშიც მოთავსებულია, ასე ვთქვათ, სტენოგრაფიული კურსები. მინები ჩაამტვრიეთ გუშინწინ, ზუსტად საღამოს რვა საათსა და სამ წუთზე.

— გუშინწინ იქ არ ვყოფილვართ, — ვუთხარი თამამად.

— აბა როდის იყავით?

— გუშინ პირველად მივედიო.

— მატრონა ჭლიკაძე კი ამბობს, რომ თქვენ ჩაამტვრიეთ მინები: თავისი თვალით განახათ და გუშინ დაკავებისას ამოგიცნოთ.

— სიცრუეა! — წამოვიძახე.

— იქნებ არც გუშინ ყოფილხართ იქ? — დაცინვით ვკითხა მან.

— გუშინწინ რომ მინები ჩაგვემტვრია, როგორ გგონია, ვითომ გუშინ ისევ იქ მივიდოდით? — თავის მხრივ შეეკითხა აქლემმა.

გამომძიებელმა ჩაიცინა:

— ხულოგნებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი. მეორედ ჩაამტვრევენ და მესამედაც იქ მივლენ.

— ჩვენ ხულოგნები არა ვართ, — თქვა მერაბმა.

— რაკი მინები ჩაამტვრიეთ, ხულოგნებიც ხართ.

— არ ჩაგვიმტვრევია! — წამოიძახა სოსომ.

— დადგენილია! — გამომძიებელმა დამთქნარა.

— ტყუილია! გუშინწინ ესენი იქ არა

ყოფილან, მართო მე ვიყავი! — თქვა აქლემმა.

გამომძიებელმა დაცინვით შეხედა მათ.

— მართომ ჩალეწე?

— მე არაფერი ჩამილეწია. გუშინ ძმა-კაცებთან მივედი, ვილაც ბიჭებმა ჩხუბი ატეხეს და ქვების სროლა დაიწყეს.

— იმ ბიჭებს იცნობ?

— არ ვიცნობ.

— აჰა, შენ გინდა ეს ზუთხები გავუშვა და ზღვაში ჭიჭყინას გამოვეკიდო. არა? — გამომძიებელმა შუბლი შეიკრა.

თავზარი დამეცა. გამწარებულმა მივიხედ-მოვიხედე, გაქცევა ხომ არ შეიძლება-მეთქი, — გამოსავალს გაქცევაში-ლა ვხედავდი.

— მოაწერეთ ხელი! — გვიბრძანა გამომძიებელმა და ქალაღი დაგვიდო წინ.

— ეს რა არის?

— დაკითხვის ოქმი.

— მინები არ ჩაგვიმტვრევია, რატომ მოვაწერთ!

— მოაწერეთ!

— არ მოვაწერთ! — მტკიცედ თქვა მერაბმა.

გამომძიებელი წამოვარდა, მაგიდას მუშტი დაჰკრა და დაიღრიალა:

— დღის სინათლეს მოგანატრებთ!

ტელეფონმა გაიწკრიალა. დიდხანს რეკდა ზარი. გამომძიებელი ყურადღებას არ აქცევდა, მუშტს აბრაზუნებდა მაგიდაზე და ყვიროდა. მერე აიღო ყურმილი გაბრაზებულმა წაიდუღუნა:

— გისმენთ! — უცებ შეიცვალა. სახე გაებადრა, თვალები აუციმციმდა, — პო, არა. არა, პო, — სახეზე ეტყობოდა, სასიამოვნო რაღაცას ეუბნებოდნენ. ბოლოს ველარ მოითმინა და აღტაცებულმა შესძახა: — მართლა? მართლა ამბობ? პეი, ბიჭო, რა იქნება!..

საუბარი დაამთავრა, ყურმილი დაღო და მოგვიტრიალდა:

— ტყავს გაგაძრობთ, ლაწირაკებო! — შუბლი შეიკრა.

— არაფერი დაგვიშავებია! — შეეყვირე და ცრემლი წამსკდა.

— თქვენ ჩაამტვრიეთ მინები, გუშინ-

წინ, ზუსტად საღამოს რვა საათსა და სამ წუთზე ადგილობრივი დროით.

— გუშინწინ რვა საათზე კინოში ვიყავით, — წამოვიძახე ვახარებულმა.

— მართლა, კინოში ვიყავით! — წამოიძახა მერაბმაც.

— ბილეთებიც მაქვს, აი ნახეთ! — დავფაცურდი, ყველა ჯიბე ერთიანად გადამოვიბრუნე, მაგრამ ბილეთებს ვერ მივაგენი.

— მეორე შარვალი გეცვა, ლურჯი, — გამახსენა მერაბმა.

— მართალია, ლურჯი შარვალი მეცვა, — გავიმეორე მე. მერე გამომძიებელს მივუბრუნდი: — გააგზავნეთ ვინმე ჩემს სახლში და ლურჯი შარვალი მოტანიანთ, ბილეთები იმ შარვლის ჯიბეში იქნება. აი ნახეთ, თუ არა...

გამომძიებელმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

გვერდით მაგიდასთან ხანშიშესული კაცი იჯდა, ღიმილით გამოგვხედა, შემდეგ წამოიღო, გამომძიებელიც ადგა.

— მაშ „პროექტორში“ იყავით? — შემეკითხა ის კაცი. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

— რა ნახეთ? მოგეწონათ?

— დიახ, ძალიან.

— რა გადიოდა?

— „დიდი უსიამოვნება“, ოლგინას მონაწილეობით.

— აა! სწავლობთ?

— ვმუშაობთ და ვსწავლობთ კიდევ.

— ოჰო, მინების ჩამტვრევას როდისღა ასწრებთ! — გაიცინა მან.

— ჩვენ არ ჩავგომტვრევია, დედას გეფიცები, — თავი ავწიე, კანკალმა ამიტანა.

— დამწვიდდი, — მითხრა და თავზე ხელი დამადო, — ნუ გგონია, მარტო დამნაშავეს ვეძებთ, უდანაშაულო ადამიანის გამართლებაც დიდი ამბავია.

თვალში სინათლე ჩამიდგა, ასე მეგონა, გულში ჩამხედდა-მეთქი.

— სად მუშაობთ? — შემეკითხა.

— მექანიკურ სახელოსნოში, რიყეში.

— მოიცა, მოიცა... ამბროსისთან ხომ არა?!

— დიახ, ძია ვასოს შეგორდები ვართ, — ოჰო, მალე ნათესავეებიც გამოვლევებით! — სახე გაუბრწყინდა, შექმნილი თხრა: — ძია ვასო ჩემი ძველი მეგობარია!

კედლის საათისკენ გაიხედა. ჩვენც შევხედეთ კედლის საათს, ცხრა სრულდებოდა.

— რომელზე იწყებთ? — შემეკითხა.

— რვაზე.

— წადით, — თქვა მან, — ოღონდ ქუჩაში ხეტილს თავი დაანებეთ, ათას უბედურებას შეიძლება გადაეყარო კაცი. შენ მოიცადე, — აქლემა შეაჩერა, — შენ მგონი დამნაშავე ხარ. ხომ ასეა?

— მე იქ ვიყავი, როცა ჩამატვრიეს მინები, — ამაყად უპასუხა აქლემამ.

— მერე?

— მე მათთან არ ვყოფილვარ, ამხანაგს ვუცდიდი, ვილაცხვებო მინები ჩაღწეეს და გაიქცნენ.

— იქნებ თქვა, ვინ იყვნენ?

— აი ვიცნობ, ნამდვილად არ ვიცნობ. — თქვა აქლემამ.

— კარგით, წადით. ძია ვასოს უთხარით, ჩუღურეთელმა მოსემ მოგიკითხათქო, — და ყველას ხელი ჩამოგვართვა, დავემშვიდობა.

6.

იმდენი ხალხი დირექტორის კაბინეტთან არასოდეს შენახა. სახელოსნოს კარი წარამარა იღებოდა და ჯახუნით იკეტებოდა. აქლემა დირექტორის კაბინეტში იყო შესული, მასაც ჩვენსავით შეგირდად იღებდნენ. მე დერეფანში ვიდექი და მის გამოსვლას ველოდი. დათა თუთრაძემ გამოიარა და მომესალმა.

— მიტინგი იქნება, იცი? — მითხრა.

— რა მიტინგი?!

— ცენტრალური კომიტეტის სამი სექტემბრის მიმართვას განვიხილავთ, — მერე არც აიღო, არც დაიღო. — მიტინგზე სიტყვით უნდა გამოხვიდე! — ყოველგვარი შესავლის გარეშე მითხრა.

— მე?! — ყურებს არ დავუჯერე.

— ჰო, შენ. ცენტრალური კომიტეტის

დადგენილებას მხარი უნდა დაუჭირო. ხომ იცი, დღეს თუ ხვალ კომკავშირში უნდა მივიღოთ!

ერთხანს შეცბუნებული ვიდექი, მერე ვთქვი:

— მე რომელი ორატორი მნახე?

— აი, — გაზეთი გამოიწილა, — წაიციტხე. მერე გამოდი და რასაც საჭიროდ ჩასთვლი, ის ილაპარაკე: ჩვენს ქარხანაზე, ჩვენს მუშაობაზე, რაც შენ გაწუხებს, ისიც.

დათამ აფორიაქებული დამტოვა. არასოდეს არავითარ კრებაზე არ გამოვსულვარ და სიტყვა არ მითქვამს. ან რა უნდა მე თქვა! სინათლეზე მივდექი, გაზეთი გავშალე: თვალები მიჭრელდებოდა, წინადადებები ერთმანეთში მერეოდ...

„...წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს მემარჯვენე და ტროცკისტულ გამოსვლებს და მუშათა ზოგიერთი ჩამორჩენილი ელემენტების არაჯანსაღ, მტაცებლურ გამოვლინებებს...“

„არაჯანსაღი და მტაცებლური განწყობილებათ“, რომ წერია, ეს ალბათ ჩარეჟიშვილზეა ნათქვამი, — ვფიქრობდი მე, — ჩარეჟიშვილი ცოტენეს ოსტატი. ერთი წუწურაქი, წამგლეჯი და თავკერძა ვინმეა. ყოველ ახალ შეკვეთაზე ვაჭრობს და სულ იმის ცდაშია, რაც შეიძლება მეტი გამოლიტოს შემკვეთს. რასაკვირველია, კარგია ტაციინა თუმანი. ანები, მაგრამ, ჩემი აზრით, ფულს თავი არ უნდა დააჯაბნინო კაცმა. წვრილი ცოლშვილი ჰყავსო? ვის არა ჰყავს ცოლ-შვილი! ჩვენი მუშების უმრავლესობა ოჯახის პატრონია...

...ის კაცი ოცდაორი-ოცდაოთხი წლისა იქნებოდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარო, — ჩარეჟიშვილს ეუბნებოდა, — ძველის-ძველი, გარემონტებული სალენი მანქანა მოგვცესო. ხელახლა შევადგინე და ერთ დილით ბაიარაღებიო და პლაკატებით მორთული საქვეყნოდ გავიტანეთო. მთელი რაიონის კულაკობა შემოგვესია, დონიჩი შემოეყარათ და ბოროტად იკრიბებოდნენ. ტრაქტორმა ერთი დაიფრუტუნა, დაიქოთქოთა და გაჩერდაო. აი, ეს ლილვი გა-

ტუნოდა, ხვალ, დილაუთენია, ახალი თუ არ ჩავიტანე, საქვეყნოდ თავი მომეჭრება. კულაკების დასაცინი გავხდებიო.

— ვისაც არტელი არ მოსწონს, სულ ერთია, ტრაქტორით მაინც ვერ დააბამ, — მშვიდად უთხრა ჩარეჟიშვილმა.

— გაიგე, საავიტაციოდ მინდა! — თქვა თავმჯდომარემ.

— გაფუჭებული ტრაქტორი ვერაფერი ავიტაციაა, — გაიცინა ძია ვასომ.

— იქნებ დაგვეხმაროთ! — შეგვეხვეწა თავმჯდომარე.

ძია ვასომ საათს დახედა. ხელისგულსიტლოა, ძველებური საათი ჰქონდა. თითის სიმსხო ძეწკვი ება და იმ ძეწკვით იმაგრებდა ქამარზე.

— ორის ნახევარია, — თქვა ძია ვასომ. მერე ჩარეჟიშვილს მიუბრუნდა, — შენ ხომ იცი, დღეს არ მცალია; დარჩი. ჩემს ბიჭებსაც დაგიტოვე, დილაშდე გამოჩარხავთ.

— ფულის საქმე არ არის? — თქვა ჩარეჟიშვილმა.

— ფული ჩემზე იყოს, — გაუხარდა თავმჯდომარეს.

— ოცი თუმანი ეღირება.

— რამდენი?!

— ოცი თუმანი.

— გაგიყდი?! — გაცხარდა ძია ვასომ. — ასეთი ლილვი ტარიფით ოცი მანეთი ღირს. ერთითად ახდევენებ?!

— მთელი ღამის სამუშაოა.

— თუნდაც სამი ღამის იყოს!

— თურამეტნახევარი, — დააკლო ჩარეჟიშვილმა, — ხუმრობა არაა ამხელა ლილვი.

— მოგცემ, — ამოიხრა თავმჯდომარემ, — ეს საქმე მთელ სიცოცხლედ მიღირს.

— ყაჩაღობა! — აღელდა ძია ვასომ.

— ყაჩაღობა და თვითონ გამოჩარხე ოც მანეთად.

— გამოვიჩარხავ კიდევ.

— შენ გამოჩარხავ?!

— დიას მე...

— ამაღამ?

— ამაღამ.

— ნუ მომკალი სიცილით.

ძია ვასო ასეთი გაბრაზებული არასოდეს გვენახა. ძალაყინს წამოავლო ხელი და ჩარქიშვილს დროზე რომ არ გაესწრო, ფეხებს შემომატრევედა...

მტრედისფრად რომ ინათა, ლილვი მზად იყო. თავმჯდომარე სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. გულის ჯიბიდან საფულე ამოიღო და ასოთხმოცი მანეთი გადათვალა.

— აჰა, თქვენზე ალალია, — ფული ჩარხზე დადო.

ძია ვასომ ფული აიღო, ხელში შეათამაშა, დასტიდან ერთი ცალი თუმანი ამოაძრო, დანარჩენი უკან დაუბრუნა:

— ეს ერთი თუმანი მასალის ფასია, ბულალტერიას ერგება. ჩემს ვასამრჯელოზე უარი მითქვამს. თუ მაინც და მაინც არ დაიშლი, თითო თუმანი ბიჭებს მიეცი და ეგ იქნება.

— ეგერ როგორ შეიძლება?! — გაცოცდა თავმჯდომარე.

— ამ ღამის საფასურს შენ მაინც ვერ გადამიხდი. — თქვა ძია ვასომ. — წუხელ ქალიშვილის დაბადების დღე მჭონდა.

თავმჯდომარე გაცეხებული შესცქეროდა. უხერხულობისაგან ხელებს ადგილი ვერ მოუწახა. არც მე და მერაბმა გამოვართვით ფული...

იმ დღეებში სულ ძია ვასოზე ვფიქრობდი, სიზმარშიაც ის მეღანდებოდა: მისი დაკოყრილი ხელები, მისი ნათელი სახე და მუხლებამდე ჩამოფენილი თაღბი წინსაფარი.

ღირეჭტორის კაბინეტიდან აქლემა და ვახტანგი გამოვიდნენ. აქლემა თვალებს შეშინებულივით აცეცებდა და თითქოს ფეხებში რაღაც ებლანდებო, ბარბაცებდა.

— მივიღეს? — შევეკითხე მე.

აქლემამ თავი დააქნია. ვახტანგმა თქვა:

— მიიღეს, მხოლოდ თუქსასხმელოში. ახლა იქა მუშახელი საჭირო.

— მე მუშახელი ვარ?! — გაიკვირვა აქლემამ.

გავიციინეთ.

— შენგან შორსაა თუქსასხმელო? — მკითხა აქლემამ, რაც ძალიან მისიხორციუნა, რადგან ამით თითქოს მფარველობას მთხოვდა. ზოგჯერ გაკვეთილს თუ გუკარნახებდი ან ამოცანას გადაეაწერინებდი, თორემ ყოველთვის ის უფროსობდა. ახლა აქაურობას ხამობდა და ჩემთან ახლო ყოფნას ცდილობდა.

— იქვეა, გვერდით, — ავუბსენი, — კარგი ბიჭები არიან.

მერაბი მოვნახეთ და მიტინგზე წავედით.

თუქსასხმელო საამქროში აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. მთელი ქარხნის მუშები, მონაგარიშეები, აღმრიცხველები, ეკონომისტები და სასადილოს მოსამსახურეები შეკრებილიყვნენ. სავაჭრო ფარდულის ნოქარიც კი მოსულიყო.

მიტინგი ჯერ არ დაწყებულყო. ვილაცამ თქვა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსა და ტრაქტორცენტრის წარმომადგენლებს უცდიანო. წარმომადგენლები იგვიანებდნენ. ქარხნის დირექტორი, მთავარი ინჟინერი, პარტუჯერდის მდივანი, ქარხნომი და საამქროს უფროსები მინებჩამტრეული ფანჯრის წინ სახელდახელოდ გამართულ ტრიბუნასთან იდგნენ და საუბრობდნენ.

შეკგუფებული ხალხი გავარდევით და ტრიბუნის წინ გავჩერდით. გარშემო ხმაური იდგა, ვინ რას ღერღავდა, ვერ გაიგებდით.

მერე ვილაცამ დაიძახა, მოდიანო.

— გზა დაუთმეთ!

— აბა, გაიწი!

— შენ გეუბნები!

მუშებმა გაიწი-გამოიწიეს და სტუმრებმა გვერდით ჩაგვიარეს, თავს გვიკრავდნენ და ხელებს მაღლა სწევდნენ. როცა ტრიბუნაზე ავიდნენ, მიტინგიც დაიწყო.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი ლაპარაკობდა. თეთრი აბრეშუმის ხალათზე ფოჩებიანი ქამარი ეტყვა: შორიდან დაიწყო, ბევრი რამ ილაპარაკა ძალიან საინტერესოდ და ყველას ვასავიანდა. სასიამოვნო ხმა

ჰქონდა, ჩვენც დიდი სიამოვნებით ვუსმენდით:

— დაუზოგავად უნდა ვამხილოთ, დავგმომოთ და გავამათრახოთ მემარჯვენე ოპორტუნისტული პრაქტიკის თითოეული შემთხვევა და კონტრეფოლუციონერ-ტროცკისტების ყოველი გამოხველა! — განაგრძობდა ის.

მუშები შიგადაშიგ ტაშისცემით აწყვეტირებდნენ სიტყვას და ისიც ტრიბუნის ფიცარზე ხელებდაყრდნობილი გადმოგვცქეროდა.

რალაც უცნაური წრიალი ამიტყდა. ჩემს სიცოცხლეში ასე არ ამქავებია ენა. ფეხები ტრიბუნისკენ მეწყოდნენ, გული საგულეში აღარ ეტეოდა...

— ცეკა მოითხოვს, — თქვა დასასრულს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელმა, — ბრძოლა გამოეცხადოს მტაცებლურ განწყობილებას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი მუშათა ზოგიერთ ჩამორჩენილ ელემენტში...

ისევ ტაშისცემა ატყდა. გვერდზე შევტრიალდი და ჩარეჟიშვილს მოვკარი თვალი. ჩარეჟიშვილი თავზე ხელს გადამისვამს ხოლმე და მელუნება, შენგელა ტყულები ბიჭები მყავს, ერთად რომ გავივლიან, საუღლე მოხვრებასა ჰკვანანო. მოდი ახლა და უთხარი — მტაცებლურად განწყობილი ელემენტი ხარო.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლის შემდეგ ამიერკავკასიის ტრაქტორცენტრის რწმუნებული გამოვიდა. ქართული ხომ არ იცოდა და არ იცოდა, რუსულსაც ძლივს ამტკრევედა. სიტყვებს ვერ ნახულობდა, თითებს იშფვენეტდა. სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშაობაზე ილაპარაკა. ისიც თქვა, საშემოდგომო თესვის კამპანია ჩაგვეშლება, თუ სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთება დროზე არ დაემათავრეთო...

აქლემა და მერაბი არხეინად იდგნენ, ჩემს გულს კი ბაგა-ბუგი გაჰქონდა. სიტყვების კორიანტელი მიტრიალებდა თავში. შემდეგ ტრიბუნაზე დათა თეთრამე გადმოვდა.

დაიწყო და მთელი საათი ილაპარაკა მისი ნათქვამი ყველა სიტყვა გულსა ხვდებოდა. მარტო მე კი არა, ყველამს ლებურად შევხედეთ ჩვენს საქმეს. უცებ ვივრძინეთ, რომ რალაც დიდსა და მნიშვნელოვანს ვაკეთებდით. უმნიშვნელო რგოლიც კი, რომელიც ყოველდღიურად ასობით იჩარხებოდა დაზგებზე, აუცილებელი რამ იყო, ურომლოსოდაც სოციალიზმი არ აშენდებოდა. ამ რგოლის გარეშე ტრაქტორი არ იმუშავებდა, კოლექტივიზაციის საქმე ჩიშლებოდა და რევოლუციის მონაპოვარი, რომელსაც ჩვენმა მამებმა თავი შესწირეს, წყალში გადაიყრებოდა...

დათამ სიტყვა დაამთავრა და ტაშის გრიალმა იქაურმა გააყრუა, მერე ერთიმეორის მიყოლებით გამოვიდნენ მუშები და ყველამ პირობა დადო, დავალეზას ორმაგად შევასრულებთო. კიდევ ბევრს სურდა გამოსვლა, სიტყვას მოითხოვდნენ, მაგრამ პარტუჯარედის მდივანმა ვიქტორ ჩაღუნელმა ხელის აწევით დააწყწარა ხალხი.

— ძალიან კარგია, — თქვა ჩაღუნელმა, — ასეთი ერთსულოვნებით რომ შეხვდით პარტიის მოწოდებას, მაგრამ მარტო ერთსულოვნებით შორს ვერ წავალთ. მთავარ ინჟინერს მივცეთ სიტყვა და ვთხოვოთ კრებას მოახსენოს, შეძლებს თუ არა მის მიერ აწყობილი დაზგებით ამ დიდი დავალების შესრულებას?

ჩაღუნელმა თმაზე ხელი გადაისვა და მთავარ ინჟინერს მიაჩერდა. საოცარი თმა ჰქონდა ჩაღუნელს, თხელი, მაგრამ ცხენის ძუსასავით ხეშეში. თავზე ხელის გადასმა უყვარდა. ლაპარაკის დროს თავს აჩნევდა და თვალებს ნერვიულად აფახულებდა. ამბობდნენ — მთავარ ინჟინერსა და პარტუჯარედის მდივანს შორის შავმა კატამ გაიზბინაო. ახლა კი მშვიდად შესცქეროდნენ ერთმანეთს. მთავარ ინჟინერ კასრაძეს ისე სიტყვას ვერ წამოაცდენინებდით, „გეთაყვა“ არ დაეყოლებინა. ახლა ის ტრიბუნაზე იდგა და ლაპარაკობდა:

— ყველა პირობას შევასრულებთ, გეთაყვა, ოღონდ თქვენი დახმარება

ავტომანქანაზე დიდ საქმეს აკეთებდა. ჭანჭიკს რომ ვჩარხავდით, გვეჯეროდა — ახალ ცხოვრებას ვჩარხავდით. ეს მართლაც ასე იყო.

ვახეთებში ჩვენზეც წერდნენ. ძია ვასოს სურათიც დაბეჭდეს ერთ-ორჯერ. ჩვენი ბრიგადა სამასი პროცენტით ასრულვდა გეგმას. დღითიღვე ვეუფლებოდით სახარატო საქმეს. არ ვიცი, გითხარით თუ არა და, მერაბი ერთი ჩხირკედელა ვინმე ბრძანდებოდა, საზამთროს ქერქისგან იმისთანა ურემს გააკეთებდა, თვალებს არ დაუჯერებდით. მერე პლანერების გაკეთებაც ისწავლა: ბევრი კი არაფერი უნდოდა — ლერწმის ლერი, პაპიროსის ქაღალდი, წებო და ორი მტკაველი რეზინი. საქალაქო შეჯიბრში მერაბის პლანერმა მეორე ადგილი დაიკავა და ჯილდო დაიმსახურა. ახლა სახარატო დაზგა ამოიღო თვალში, იმ დაზგისმაგვარი მოდელი გააკეთა, ათასნაირად გადააკეთა და გადმოაკეთა. ხან სიჩქარე მოუმატა, ხან დააკლო, ხან იწეა ააწყო, რომ დაზგა ერთდროულად კიდევაც ბურღავდა და კიდევაც ჩარხავდა.

ძია ვასომ რომ მერაბის გაკეთებული მოდელი ნახა, ჩარხანა ფეხზე დააყენა: დირექტორსაც აჩვენა, მთავარ ინჟინერსაც და ვახტანგ თეთრაძესაც. ვახტანგი მაშინ საწარმოთ თათბირის თავმჯდომარე იყო და დირექტორს თანაშემწედაც ითვლებოდა. ბევრი ვიკამათით და ბოლოს გადავწყვიტეთ, საცდელად ერთი დაზგა გადავწყვიტებინა. გადავაკეთეთ და... ჩვენმა იმედმა მოლოდინსაც გადააჭარბა. მერე დანარჩენი დაზგებიც გადავაკეთეთ. ამის შემდეგ ჩვენი ბრიგადა ისე დაწინაურდა, გეგმის სამასი პროცენტით შესრულება ჩვეულებრივ ამბად იქცა. კიდევ უფრო წინ წავიდოდით, მაგრამ სასწმელო სამაქრო ვერ აგვიდიოდა. ნამზადს დროზე ვერ გვისწრებდა.

ჩვენმა გამარჯვებამ ქარხანაში დიდი ზარ-ზეიმი გამოიწვია. გვილოცავდნენ და აღარ იცოდნენ, აღფრთოვანება როგორ გამოეხატათ. ასეთი რამ მოულოდ-

ნელად რომ გეწვევა. თავს უხერხულად გრძნობ, მაგრამ აღამიანები თუ შეუმჩნეველად ეჩვევიან დიდებას ხელს, როგორც ჩვენ შევდიოდით დაეჯიკაცების ასაკში.

მუშები თანდათან შრომისმოყვარე გამარჯე კაცს ხედავდნენ ჩემში და მორიდებით მეპყრობოდნენ. თითქოს ფასი წლებთან ერთად მემატებოდა.

ჩვენი სურათები ქარხნის შემოსასვლელთან წითელ დაფაზე გააკრეს. დაფის ზედა მხარეს, სულ მაღლა, ერთ რიგად ვიყავით ჩამწკრივებულნი: ძია ვასო, მერაბი, მე, ჯემალი და გურამი. მართლა ბედნიერი ვიყავი!

გოგო-ბიჭებმა რომ იციან, გზაზე შავი კატის გადარბენია, მარცხენა ფეხზე ადგომია და სხვა ამგვარი რამეები, არასოდეს არა მწყამდა. მაგრამ ერთი რამ კი მქონდა დაცილილი: რამე თუ გამეხარდებოდა, სულ მალე უღმველად რაღაც უნდა მწყენოდა, თითქოს ეშმაკი მყავდა ჩასაფრებელი, რომ მოულოდნელად სარმა გამოედო და გულაღმა გავეშხლართე. ამის გამო ისე ვიყავი დაშინებული, ცვდილობდი სიხარულის განცდა დამეოკებინა.

იმ დღეს სიხარულიცა და წუხილიც დილიდანვე ამყვა. ადრეული გაზაფხულის დილა იყო. უთენია გამეღვიძა. ღია ფანჯარაში ახლადგვირტებდამსკდარი მოყვითალო-მომწვანო სათუთი ფოთლებით შემუშბლული ჭადრის ტოტი შემომძვრალიყო. ფოთლებს იქით მზის ელვარე სხივებით გაცისკროვნებული ცა ლურჯად კამკამებდა. ჩიტების ყივილიბივილი იდგა. გული გამალებით და სიხარულით ძგერდა. ასე მეგონა, გულის მაგივრად ჩიტი მეჯდა მკერდში, — ისე ფართხალეზდა და გასაფრენად შლიდა ფრთებს... თვალწინ დათას კმაყოფილი სახე წარმომიდგა: ისე მაგრად ჩამომართვა ხელი, თითები მეტყინა. ყველა კითხვაზე ვუპასუხე. ყოჩაღო, მითხრა; თეორიული ცოდნით ქარხანაში პირველი ხარო...

პინკოვ ბილი

მ უ ნ ი ა ნ ი ტ ხ ვ ა რ ი

თანამედროვე პროგრესული გერმანელი მწერლის პინკოვ ბილის მოთხრობა „მუნიათა ცხვარი“ მწერლის აღრეულ ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება. იგი დაწერილია 1951 წელს. იმავე წელს მწერალს ამ მოთხრობისათვის მიეკუთვნა „ჭაფუი 47“-ის პრემია.

გამოგიტყდებით, ბედმა წილად მარგუნა ვიზრუნო იმისათვის, რომ ჩემს თაობაში მუნიათა ცხვარის ჯაჭვი არ გაწყდეს. ერთი ვინმე ხომ უნდა ყოფილიყო ასეთი და სწორედ მე ვარ. მე თუ ასეთი ვიქნებოდი, ფიქრადაც არავის მოუვიდოდა, მაგრამ რაც არის, ეს არის, რაღა გაეწყობა — მუნიათა ცხვარი გახლავართ. ჩვენი ოჯახების უკუაღმადგარი აღამიანები ამტკიცებენ, რომ ბიძაჩემმა ოტომ ცუდი გავლენა იქონია ჩემზე. ბიძია ოტო ხომ წინა თაობის მუნიათა ცხვარიც იყო და, ამავე დროს, ჩემი ნათლიაც. ვიდაცა ხომ უნდა ყოფილიყო ასეთი და სწორედ ის გახლდათ. რასაკვირველია, ბიძია ოტო ნათლიად მანამდე შეარჩიეს, ვიდრე ცხოვრებაში ხელი მოეცარებოდა. წარმოიდგინეთ, მეც გავხდი ერთი პატარა ბიჭის ნათლია; ხოლო მას შემდეგ, რაც მე მუნიათა ცხვარად მთვლიან, შეშინებულები ჩემს ნათლულს ახლოსაც აღარ მაკარებენ. კაცმა რომ თქვას, ჩვენი მადლობელნიც უნდა იყვნენ, რადგან ოჯახი, სადაც მუნიათა ცხვარი არა ჰყავთ, არც არის ტიპიური ოჯახი.

მე და ბიძია ოტო აღრიდანვე დავმეგობრდით. იგი ხშირად მოდიოდა ჩვენ-

თან და იმდენი ტყბილეულობა მოჰქონდა, რომ მამაჩემი უკუდიან იშლებოდა. ილაპარაკებდა ბიძია ოტო, ილაპარაკებდა და ბოლოს იმით დაამთავრებდა, რომ ფულს მოითხოვდა სესხად.

ბიძია ოტო ყოველსმცოდნე გახლდათ; რა დარგი გინდათ, არა სცოდნოდა: სოციოლოგია, ლიტერატურა, მუსიკა, არქიტექტურა, ერთი სიტყვით, ყველაფერი და სინამდვილეში მართლაც იცოდა რაღაც. თვით სპეციალისტებიც კი სინამდვილეში საუბრობდნენ მასთან და ინტელიგენტად და განსაკუთრებულად თავზიან აღამიანად მიაჩნდათ, ვიდრე, საბოლოოდ, ფულს სესხებდას არ შეაპარებდა საუბარში. საოცარი მხოლოდ ის იყო, რომ ბიძია ოტო მართლაც ნათესაობაში როდი აგებდა თავის ვერაჯულ მახეს. — ყველგან, სადაც კი შეატყობდა, რაიმე გამოდნებო.

ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ბიძია ოტოს, თავისი ცოდნის წყალობით, როგორც მისი წინა თაობები იტყოდნენ. შევეძლო ოქროებში ეცურა, მაგრამ ოქროს თავისი ნათესავეების ნერგები ამჯობინა. თუ როგორ ახერხებდა იგი ისეთი შთაბეჭდილება მოეხდინა, თითქოს

არაფრის თხოვნას არ აპირებსო. ეს ბიძია ოტოს საიდუმლოებად რჩება. თხოვნით კი თხოულობდა, მუდამ და ყოველთვის... უბრალოდ, არ შეეძლო არ ეთხოვა, ხელიდან გაეშვა ხელსაყრელი შემთხვევა. მისი სიტყვები ისეთი მიმზიდველი იყო, შინაგანად ისე დაძაბული და აზრიანი, ისე მახვილგონივრული, რომ მტერს ეკლად ესობოდა გულზე, მეგობარს კი მალამოდ ედებოდა; მას ყველაფერზე შეეძლო ელაპარაკა, ელაპარაკა სახეებზე უკეთ და კიდევ ლაპარაკობდა...

ბიძია ოტომ კარგად იცოდა, როგორ უნდა მოეცოთ ძუძუმწოვარა ბავშვისათვის, თუმცა შვილები თავის დღეში არ ჰყოლია; ქალებს მიმზიდველად ესაუბრებოდა, როგორი დიეტა დაეცვათ ამა თუ იმ ავადმყოფობისას, სთავაზობდა სხვადასხვა ხარისხის პუდრს, უწერდა სიცხის საწინააღმდეგო რეცეპტებს, არიგებდა, როდის და რა რაოდენობით დაეღიათ წამლები. იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, თუ ბავშვი იტირებდა. საქმარისი იყო მას ატირებული ბავშვისათვის ხელი მოეკიდა, რომ იგი მაშინვე გაჩუმდებოდა. ბიძია ოტო მართლაც მაგიური არსება იყო. კარგად აანალიზებდა აგრეთვე ბეთჰოვენის მეტყველი სიმონისას, ადგენდა იურიდიულ საქმეებს, ზეპირად ახსოვდა ამა თუ იმ კანონის ნომერი.

მაგრამ სად და რაზეც არ უნდა ყოფილიყო საუბარი, როგორც კი ბიძია ოტო შეატყობდა საუბარი დასასრულს უახლოვდებოდა და გამომწვიდობების უამრავდებოდა, დერეფანშიც რომ ყოფილიყო წასასვლელად გამზადებული და კარიც სანახევროდ გაუკეტა, — ერთხელ კიდევ შემოჰყოფდა თავის გათვთრებულ თავს, თითქოს რაიმე მეორეხარისხოვანი საქმე დაეწყო და შეშინებულ ოჯახის უფროსს მიმართავდა: „თუმცა, ხომ არ შეგიძლიათ...?“

თანხა, რომელსაც იგი თხოულობდა, მერყეობდა ერთიდან ორმოცდაათ მარკამდე; ორმოცდაათი მარკა უმადლესი იყო; ეს დაუწერელ კანონად იქცა, მეტს

იგი არასოდეს თხოულობდა: „ცოტახნით!“ — დაუმატებდა იქვე. „ცოტახნით“ მისი საყვარელი სიტყვებში. შემდეგ ისევ უკან შემობრუნდებოდა, ქუდს ისევ საკიდზე ჩამოჰკიდებდა, კანონს კისერზე შემოიხვევდა და დაიწყებდა იმის ახსნას, თუ რისთვის სესხულობდა ფულს. ყოველთვის რალაც გეგმა ჰქონდა. რასაკვირველია, ფული არავითარ შემთხვევაში სახარჯოდ არ სჭირდებოდა, ამ ფულით თავისი არსებობისათვის, ბოლოს და ბოლოს, საიმედო საფუძველი უნდა შეექმნა. მისი გეგმები მერყეობდნენ: ხან ლიმონათის ფარდელი უნდოდა გაეხსნა, საიდანაც მუდმივ და მტკიცე შემოსავალს მოელოდა, ხან კიდევ პოლიტიკური პარტიის დაარსებას ფიქრობდა, რომელსაც ეცრობა დაღუპვისაგან უნდა ეხსნა.

წინადადება — „თუმცა, ხომ არ შეგიძლიათ...“ შიშისმომგვრელ ფრაზად იქცა; ქალებს — დედებს, დიდებებს, დისწულებსაც კი ამის გაგონებაზე ლამის იყო გულელები მისდიოდათ.

ბიძია ოტო, დარწმუნებული ვარ, ყველაზე ბედნიერი კაცი იყო, როდესაც კი ბებზე გიჟივით ჩაირბენდა და უახლოეს ლუდხანაში შევიდოდა თავისი გეგმების მოსაფიქრებლად. ეს გეგმები მას შემდეგ მოუვიდოდა თავში, რაც ერთ არაყს ანდა სამ ბოთლ ღვინოს დალევდა მოკლედ, ეს დამოკიდებული იყო დიდი ბრძოლის შემდეგ მობოვებულ თანხაზე.

რალა დაგიმალეთ, უნდა გამოვტყდე, ბიძია ოტო სჯამდა. სჯამდა, მაგრამ მთვრალი არასოდეს უნახავთ. ეტყობა, მოთხოვნილება ჰქონდა მარტოს ესვა. იქნებ გგონიათ, სასმელი შეგეთავაზებინათ და ამით ფულის სესხება გადაგეთქმევინებინათ! ნურას უკაცრავად! მთელი კასრი ღვინით ვერას გააწყობდით, რომ გამომწვიდობებისთანავე კვლავ არ შემოეყო თავი კარებში და არ ეკითხა: „თუმცა, ხომ არ შეგიძლიათ ცოტა ხნით...?“

მაგრამ მის ყველაზე სამარცხვინო თვისებაზე ჯერ არაფერი მითქვამს: ხანდახან იგი კიდევ უბრუნებდა მოვალეს ფულს. როგორც ჩანს, ყოფილი რეფ-

რენტი ხანდახან ორიოდ გროშსაც მო-
ულობდა. — ალბათ, იურიდიულ კონსუ-
ლტაციებს იძლეოდა. მოვიდოდა, ფულს
ჯიბიდან ამოიღებდა, ავადმყოფური სი-
ყვარულით ხელს გადაუსვამდა და იტ-
ყოდა: „შენ დიდი თავაზიანობა გამოიჩი-
ნე, ხელი რომ გამიმართე; აქ ორმოც-
დაათმარკიანია!“ მერე დაუყოვნებლივ
წავიდოდა, მაგრამ ორ დღეს არ გადა-
ცილებდა, ისევ მოვიდოდა, რათა თანხა
მოეთხოვა, რომელიც ცოტათი აღემატე-
ბოდა მის მიერ დაბრუნებულ სესხს. ძნე-
ლია იმის თქმა, თუ როგორ მოახერხა ბი-
ძია ოტომ სამოც წლამდე ისე მიეღწია,
რომ არ ჰქონოდა პროფესია, რაც, ალ-
ბათ, ყველა ჩვენგანს გვაქვს. არ გგო-
ნოთ, ბიძია ოტოს სმისაგან ავადმყოფო-
ბა დასჩემდა და გარდაიცვალა. იგი სრუ-
ლიად საღსალამათი იყო, არც გულს უჩი-
ოდა და ძალითაც ჩვილი ბავშვივით ეძი-
ნა, ჩვილივით, რომელმაც მოწოვა ძუძუ
და სრულიად დამშვიდებით სძინავს. არა,
ბიძია ოტო სრულიად მოულოდნელად
გარდაიცვალა: უბედურმა შემთხვევამ
დაუსვა წერტილი მის სიცოცხლეს, ხო-
ლო რაც მისი სიკვდილის შემდეგ მოხდა,
დღემდე სრულ საიდუმლოებად რჩება.

ბიძია ოტო, როგორც უკვე ვთქვით,
უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. შუ-
აგულ ქალაქში სამზადისაბმელიანმა სა-
ტვირთო მანქანამ გადაუარა. ვიღაც პა-
ტიოსანმა კაცმა აიყვანა. პოლიციას გა-
დასცა და ოჯახს შეატყობინა. ჯიბეში სა-
ფულე უპოვეს. საფულეში ღვთისმშობლის
გამოსახულებიანი მედალიონი, ტრამვაის
ბილეთი და ოცდაოთხი ათასი მარკა ნაღ-
დი ფული იყო. აქვე იყო ქვირთის დუბ-
ლიკატი, რომელსაც ხელს აწერდა ლა-
ტარიის ამკრეფი; ბიძია ოტო ამ ფულს
ერთ წუთს, ანდა, შესაძლებელია, უფრო
ნაკლებ ხანსაც ფლობდა. მას სატვირთო
მანქანამ გადაუარა ლატარიის ამკრეფის
კანტორიდან ორმოცდაათი მეტრის მო-
შორებით. რაც ამას მოჰყვა, ოჯახისათ-
ვის თავის მოჭრა იყო. ბიძია ოტოს ოთ-
ახში საშინელი სიღარიბე სუფევდა. აი
მთელი მისი ავლა-დიდება: მაკვდა, სკა-
მი, ლოვინი და კარადა, რამდენიმე ცალა

წიგნი და ერთი დიდი დავთარი, რომელსაც
შიც ზუსტად და უკლებლივ იყო წარწე-
დგენილი, ვისაც ბიძია ოტო ფულის
სესხებოდა; ბოლოს დავთარშიც ისიც კი
იყო მიწერილი, წინა საღამოს ვის გამო-
ართვა ოთხი მარკა. გარდა ამისა, ბიძია
ოტომ დატოვა მოკლე ანდერძი, რომლის
ძალითაც მემკვიდრედ მე ვითვლებოდი.
ვალეების გადახდა, როგორც ანდერ-
ძის შემსრულებელს, მამაჩემს ეკისრებო-
და. დავთრის მეოთხედს ბიძია ოტოს
კრედიტორების სია ავსებდა. პირველი
ჩანაწერი იმ წლებს ეკუთვნოდა, როცა
სასამართლოში რეფერენტის კარიერას
თავი დაანება და მოულოდნელად სხვა
პოლიტიკური გეგმების განხორციელე-
ბას მიჰყო ხელი, რომელთა მოფიქრება-
საც მან ძალიან ბევრი დრო და ფული
მოანდომა. მისი ვალეები, ერთად აღებუ-
ლი, თხუთმეტი ათას მარკაზე მეტს შე-
ადგენდა. კრედიტორთა რიცხვი დაწყე-
ბული ტრამვაის კონდუქტორით, მისთ-
ვის რომ ავანსად ოცდაათ-პფენინგაიანი
ბილეთი მიეცა, დამთავრებული მამაჩე-
მით, რომელსაც ბიძია ოტო განსაკუთ-
რებულად ადვილად ძალავდა ფულს, —
შვილას გადასცილდა. ახლა კი მამაჩემს.
თავისი ორი ათასი მარკა, შეეძლო უკან
დაებრუნებია.

მოხდა სასწაული და ბიძია ოტოს და-
საფლავების დღეს სრულწლოვანი გავხ-
დდი, ესე იგი, უფლებამოსილი შევიქნე, მამე-
ლო მემკვიდრეობად კუთვნილი ათი
ათასი მარკა: იმწუთშივე მივატოვე სწავ-
ლა, რათა სხვა გეგმების განხორციელე-
ბისათვის მომეკიდა ხელი. მშობლების
შეცხადებასა და ცრემლებს ყური არ ვა-
თხოვე, შინიდან წავედი და ბიძია ოტოს
ოთახში გადავბარავდი. დღესაც იქ ვცხო-
ვრობ, თუმცაღა კარგა ხანმა გაიარა და
თმაც დიდი ხანია შემითხელდა. ბიძისე-
ულ ოთახს ავეჯი არც მომატებია და არც
მოკლებია. დღეს უკვე ვიცი: ზოგიერთი
რამ შეცდომით დავიწყე. მაგალითად,
უაზრობა იყო მუსიკოსობა რომ მოვინ-
დომე და რაღაც-რაღაცეების შეთხზვა
ვცადე. ამისათვის ნიჭი არ გამაჩნდა. ამას
დღეს მივხვდი, მაგრამ მუსიკას სამი წე-

ლი გადავაყოლო და უმაქნისის სახელიც დავიმკვიდრე. ეგეც არ იყოს. მთელი ჩემი მემკვიდრეობაც ამ მუსიკოსობას შევწირე; მაგრამ მას უკან კარგა ხანი გავიდა...

ჩემი გეგმების თანმიმდევრობა უკვე აღარ ვიცი. ბევრი გეგმა მქონდა. ამას გარდა, დრო, რომელიც საჭირო იყო იმისათვის, რომ მათ უაზრობაში დავერწმუნებულყავი, თანდათან პატარავდებოდა. ბოლოს, ჩემი გეგმა მხოლოდ და მხოლოდ სამ დღეს საძლებდა. თანდათან ამ გეგმების სიცოცხლის ხანგრძლივობა ისე მცირებოდა, რომ პატარა, წუთიერ აზრებად იქცეოდნენ. მათი განდობა არავისთვის არ შემეძლო, რადგან ჩემთვისაც არ იყო ნათელი. დავფიქრდები და მახსენდება: სამი თვე ფიზიოგნომიკას შევწირე, ვიდრე, ბოლოს, ერთ-ერთი სადილის შემდეგ, უცებ არ გადავწყვიტე, მხატვარი, მებაღე, მექანიკოსი ანდა მეზღვაური გავმხდარიყავი. და მე ვიძინებდი რწმენით, რომ მასწავლებლად ვიყავი დაბადებული, მეღვიებოდა და... საბაჟო ხელოსნის კარიერა! — აი რისთვის ვიყავი მოწოდებული.

ერთი სიტყვით, მე არც ბიძია ოტოს თავაზიანობა მაქვს და არც მისი ასე თუ ისე მაინც გარკვეული თავშეკავება. ამას გარდა, არც მასავით მოლაპარაკე ვარ, ადამიანებთან მუნჯივით ვზივარ, მოწყენილობას ვგვრი მათ და ფულის სესხებასაც ისე უდროოდ დროს ვცდილობ, რომ ჩემი სიტყვები მოძალადისას უფრო ჰგავს, ვიდრე მთხოვნელისას. მხოლოდ ბავშვებთან ვარ კარგ დამოკიდებულებაში. ჩანს, ეს ბიძია ოტოსაგან მემკვიდრეობით მიღებული ერთადერთი დადებითი თვისებაა. მოვკიდებ თუ არა ხელს ატირებულ მეძუტურ ბავშვს, იმ წუთშივე გაჩუმდება, შემომხედავს და იღიმება; რა თქმა უნდა, თუკი, მათ, საერთოდ, გაღიმება შეუძლიათ; თუმცა, ამბობენ, თითქოს ადამიანებს ჩემი სახე შიშს გვრიდეს. გულღვარდლიანი ადამიანები მირჩევენ, საბავშვო ბაღები დავაარსო. მათი აზრით, ამ მხრივ პირველი მამაკაციც ვიქნები და ჩემი გაუთავებელი გეგმების

განხორციელებასაც წერტილს დავუსვამ მაგრამ მე ამას არ ვაკეთებ. რა არის იმის მიზეზი, რომ ბევრი რამ ჩვენთვის უძლებელია? ვფიქრობ ის, რომ ვერ ვიყენებთ ჩვენს ბუნებრივ უნარს, როგორც არსებობის საშუალებას, ანდა, როგორც ამბობენ, პროფესიულად ვერ ვსარგებლობთ ამ უნარით. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: თუკი მე მუნიანი ცხვარი ვარ — თუმცა თვითონ სრულებითაც არა ვარ ამაში დარწმუნებული — მაშინ ბიძია ოტოსთან შედარებით სულ სხვა სახეობის ცხვარი ვარ: მე არა მაქვს ბიძია ოტოს სიმსუქნე, არც მისი მომხიბლაობა ვამაჩნია; ამას გარდა, ვალები მახრჩობს, მაშინ, როდესაც, ბიძია ოტოს, ცხადია, ეს ოდნავადაც არ ამძიმებდა. ბიძია ოტოსაგან განსხვავებით, საზიზღარი ცოდვა ჩავიდინე: ბედს შევურვიდი და სამსახური დავიწყე. ნათესავებს თავი შევავედრე, დამხმარებოდნენ და სამსახური ეშოვათ; ვთხოვე, ნაცნობები დაეტრიალებიათ და ერთხელ, თუნდაც მხოლოდ ერთხელ, გარანტირებული ვყოფილიყავი მტკიცე ხელფასითა და გარკვეული სამსახურით. და მათ ეს შეძლეს. მას შემდეგ, რაც ჩემი თხოვნა გამოეთქვი, ზეპირად და წერილობით ჩამოვაყალიბე იგი, ლოცვითა და დაეინებული ხვეწნა-მუდართით. ვაოცებული დავრჩი, როცა მშობლებმა ჩემი თხოვნა სერიოზულად მიიღეს და შემისრულეს კიდევ. მე ისეთი რამ ჩავიდინე, რაც აქამდე არც ერთ მუნთან ცხვარს არ ჩაუდენია. უკან არ დავიხიე, არ გავაწილე მშობლები და ნათესავები. პირიქით, მათ მიერ ნაშოვნ სამსახურზე დავთანხმდი. მე შევწირე ის, რისი შეწირვაც არასოდეს არ მსურდა: თავისუფლება!

ყოველ საღამოს, როცა შინ დაღლილი ვბრუნდები, ბრაზი მახრჩობს: გავიდა ჩემი ცხოვრების კიდევ ერთი დღე, რომელმაც მხოლოდ დაღლილობა და ნერვიულობა მომიტანა, ამასთანავე — იმდენი ფული, რომ მუშაობის ვაგრძელება შეეძლო, თუკი იმ საქმიანობას სამუშაო შეიძლება ვუწოდოთ, რასაც მე ვაკეთებ: ვახარისხებ ანგარიშებს ანბანის მიხედ-

ვით, ყველა მათგანს ნაჩერტებს ვუკეთებ და ახალთახალ საქალაქში ვაკრავ, სადაც ისინი თავიანთ ბედისწერას მოთმინებით იტანენ — მათ ზომ თავისდღეში არავინ გადაიხდის. ან საქმიან წერილებს ვწერ, რომლებიც უშუადგოდ მოგზაურობენ ქვეყნიდან ქვეყანაში და ზედმეტი ტვირთი არიან ფოსტალიონებისათვის. ხანდისხან ანგარიშებიც უნდა ვწერო, რომლებსაც ზოგჯერ ნაღდ ფულზეც ასწორებენ. აგრეთვე, მევალება, მოლაპარაკება ვაწარმოო ფირმის მოხეტიალე აგენტებთან, რომლებიც ამოდ ირჯებოდნენ, რომ ვინმესთვის ჩვენი შეფის მიერ დამზადებული ხარახურა შეეჩეჩებიათ. ჩვენ შეფს, ამ დაულალავ პირუტყვს, არასოდეს დრო არ ჰქონდა და არც არაფერს აკეთებდა. სამუშაო დღის ძვირფას საათებს უაზრო ლაყბობაში ატარებდა. უტვიწო არსება, რომელიც ვერ ბედავდა თავისი ვალები მოეთვალა, თავის მოსატყუებლად — საპაერო ბურთებით აკრობატობდა. როგორც კი ერთი გასკდებოდა და საზიზღარ რეზინის ჩვრად იქცეოდა, რომელსაც ერთი წამის წინათ ჯერ კიდევ ბრწყინვალეობა, სიცოცხლე და სიმკვრივე ჰქონდა, იგი იმწუთსვე ახალს ბერავდა.

ჩვენი კანტორის გვერდით მდებარე ფაბრიკაში ათიოდე მუშა ფუსფუსებდა და ავეჯს ამზადებდა. ამ ავეჯს მხოლოდ იმისათვის ყიდულობენ, რომ მთელი დღე და მოსწრება გულმოსულებმა იბუზღუნონ, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს არ გადაწყვეტენ და შეშად არ დააბობენ. ფაბრიკა ამზადებდა საპაპიროსე და საკერავ მაგიდებს, პატარა-პატარა სადგამებს ლარნაკებისათვის ანდა ყვავილის ქილებისათვის, მოკლედ — ხარახურას, რომელიც თითქოსდა თავის სილამაზეს დურგლის ხელოვნებას უმაღლოდა. სინამდვილეში კი ამის მიზეზი ცუდი მღებავის საღებავი იყო, რომელიც აქ ლაქად საღებოდა და თავისი ღირებულების კვალობაზე შნოსა და იერს აძლევდა ნაწარმს.

ასე გავატარე თოთხმეტი დღე კანტო-

რაში ამ უგუნურ ადამიანთან, რომელიც თავს სერიოზულ კაცად თვლიდა. ამას ვინ ჩივის და თავი ხელოვანად იმეორებდა, რადგან ერთხელ, ეს ჩემს იქ ყოფნაში მოხდა, — მხოლოდ ერთხელ და ისიც შემთხვევით, იგი სახაზავ დაფასთან ნახეს, — ფანქრითა და ქალაქით რაღაცას ცოდვილობდა და რომელიღაც მორყეული საგნის დახაზვას ცდილობდა, მომავალი თაობების სავალალოდ და ნერვების ასამულელად, საყვავილე ქილები დასადგემლსა თუ ახალ საოჯახო ბარს აპროექტებდა.

ეტყობოდა, შეფი ამ ნივთების გამოუსადეგრობას ვერ ზვდებოდა. როცა იგი ხაზვას მორჩა — როგორც უკვე ვთქვი, ჩემს იქ ყოფნაში ეს მხოლოდ ერთხელ მოხდა — სასწრაფოდ მანქანაში ჩაჯდა და სადღაც გავარდა, რათა შემოქმედებითად დაესვენა; დასვენებამ ერთ კვირას გასტანა, მაშინ, როცა მხოლოდ თხუთმეტი წუთი იმუშავა. ნახაზი ოსტატს მიუგდეს, რომელმაც იგი თავის სადურგლო დაზგაზე გაშალა და კარგა ხანს შუბლშეკრული ჩაჰყურებდა. ბოლოს, ხის დეტალები დაამზადა, რომ ამის მიხედვით გამოეშვათ ნაწარმი. მთელი დღეები ვუყურებდი, თუ როგორ გროვდებოდა სახელოსნოს დამტვერიანებულ ფანჯარასთან — ამ სახელოსნოს შეფი ფაბრიკას უწოდებდა — კედლის თაროები, რადიოს დასადგემელი მაგიდეები, რომლებიც მათზე დახარჯული წებოს ფასადაც ძლივს ღირდნენ.

თუ რაიმე ზერიანი მზადდებოდა სახელოსნოში, ეს იმიტომ რომ იქ შეფის ხელი არ ერია. ამას მაშინ ახერხებდნენ, როცა შეფი რამდენიმე დღე სამსახურში არ მოვიდოდა. მუშები თავის ნებაზე ამზადებდნენ პატარა სკამებს ანდა ზარდახშანებს ძვირფასეულობებისათვის. ეს ნივთები გამძლეობითა და უბრალოებით სიამეს მოგვერდიდათ; მათზე შვილთაშვილებიც კი ფეხით ივლიან ანდა შიგ თავიანთ ხარახურას შეინახვენ. ამზადებდნენ სარეცხის თოკების შესადგამებს, რომლებზეც ვინ იცის, რამდენი თაობა ააფრიალებდა თავის ხალათებს. ასე არალე-

გალურად იქმნებოდა, თუ რამ საამო და გამოსადეგი იყო.

მაგრამ ადამიანი, რომელიც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე მთელი ამ დროის განმავლობაში — ტრამვაის კონდუქტორი იყო. იგი თავისი ტყაცუნა მაშით შლიდა ჩემს ყოველ განვლილ დღეს. აიღებდა ამ პაწაწინტელა ქალაღის ნაგლეჯს — ჩემს ერთკვირეულ სამგზავრო ბილეთს — მაშის ღია ხახაში ჩადებდა და რაღაც ორიოდ სანტიმეტრის სიგრძის ხაზით ჩემი ცხოვრების კიდევ ერთ დღეს წაშლიდა, წაშლიდა იმ ძვირფას დღეს, რომელმაც მე მხოლოდ ნერვულობა, დაღლილობა და ამასთანავე ფული მომიტანა, რომ ეს უაზრო საქმიანობა განვადრო. რაღაც საბედისწერო სიდიადე იყო ამ კაცში, ქალაქის ტრამვაის ამ უბრალო მოხელეში, რომელსაც ყოველ საღამოს შეეძლო ათასობით ადამიანის სიცოცხლის დღეები არარაობად ექცია.

დღესაც ბრაზი მომდის, რატომ არ განუტყხადე ჩემს შეფს სამსახურიდან გამანათავისუფლე-მეთქი, ვიდრე თვითონ არ გამანათავისუფლებდა. ერთ დღეს ჩემმა დიასახლისმა კანტორაში ერთი სახემოკუფრული კაცი მოიყვანა. კაცი გამეცნო, ლატარიის-ამკრეფი ვარო და განმიცხადა, თუ ესა და ეს კაცი ხართ და ლატარიის ბილეთიც ხელთა გაქვთ, 50 000 მარკის მფლობელი გახდებითო. მე ის კაცი გახლდით და ხელთ მქონდა ლატარიის ბილეთიც. არც მითხროვია განათავისუფლება, ისე მივატრევე სამსახური. ანგარიშებიც აუკინძავი და დაულაგებელი მივატრევე. სხვა არა დამრჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ შინ წავსულიყავი, ფული მიმელო და ჩემი ნათესავებისათვის საქმის ახალი ვითარება მეცნობებია.

ცხადია, ელოდნენ, მალე მოგვკვდებოდი ანდა უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდებოდი. მაგრამ, ჩანს, ჯერჯერობით არც ერთი მანქანა არ აპირებს სიცოცხლე მომისპოს; გულიც სრულიად ჯანმრთელი მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ სასმელზე უარს არ ვამბობ. ასე და

ამგვარად, ვალები გადავიხადე და თითქმის 30 000 მარკის პატრონი ვარ. ვალებიც აღარ მაქვს. ახლა სასურველს ვიკრძალებ და ჩემს ნათლულსაც როცა მინდა, მაშინ ვეწვევი. სხვათა შორის, ბავშვებს ვუყვარვარ, შემოძლია მათთან თამაშო, ვუყვიდო ბურთები, დავპატივო ნაყინზე. შემოძლია, მათთვის საპაერო ბურთების უზარმაზარი შეკვრა ვიყვიდო, მხიარული ბავშვებით ავავსო საქანაო ნავეები და კარუსელები.

ჩემმა დამ თავის ვაჟს, ჩემს ნათლულს, მაშინვე ლატარიის ბილეთი უყვიდა. ახლა სულ იმაზე ვფიქრობ და იმაზე ვიმტვრეე საათობით თავს, ვინ იქნება ჩემი მიმღევი. რომელი იქნება მუნიანი ცხვარი, ამ სიცოცხლით სავსე, მოუსვენარი, მშვენიერი ბავშვებიდან, რომლებსაც ჩემი ძმები და დები აჩენენ ქვეყნად? ჩვენ ხომ ტიპიური ოჯახი ვართ და ასეთად დავრჩებით. ვინ ისურვებს მოულოდნელად სხვა გეგმებს შეეწიროს, უტყუარს, უკეთესს... მე მინდა ვიცოდე, მინდა მფარველობა გავუწიო მას, რადგან ჩვენცა გვაქვს ჩვენი გამოცდილება... ესეც არ იყოს, ჩვენი ხელობასაც აქვს თამაშის წესები, რომლებიც შემოძლია გავუზიარო მას, შთამომავალს, რომელიც ჯერჯერობით უცნობია და, როგორც ცხვრის ტყავში გახვეული მგელი ფარაში, ისე თამაშობს მათ შორის... მაგრამ მე ისეთი ცული გრძნობა მაქვს, ვატყობ, იმდენ ხანს ველარ ვიცოცხლებ, რომ მუნიანი ცხვარი გამოვიცნო და საიღუმლოებანი გავანდო. იგი გამოჩნდება, გამოჩნდება, როცა მე მოგვედები... და ცვლა მოვა. სახეზე აღმოდებულ თვისი მშობლების წინაშე წარსდგება და იტყვის, ყველაფერი მომბეზრდაო; მე მხოლოდ იმედი მაქვს, რომ ჩემი ფულიდან იმ დღისათვის კიდევ დარჩება რაღაცა. ანდერძი შევცვალებ, გადანარჩენი ფული იმას ვუანდარძებ, რომელიც პირველად გამოავლენს იმის უტყუარ ნიშნებს, რომ ნამდვილად ღირსია იყოს ჩემი შთამომავალი...

მთავარია მას მევალე არ ჰყავდეს.

ერყინული ქიიიქა

საქართველოს მფერალთა ყრილოზის წინ

ივანე თაკბა.

აფხაზეთის მფერალთა კავშირის თავმჯდომარე.

ს ი მ ნ ი უ ე

აფხაზეთის მფერალთა მეორე ყრილობამ, რომელიც 1966 წლის აპრილში ჩატარდა, შეაჯამა განვლილი გზის შედეგები და დასახა ახალი ღონისძიებანი შემდგომი წარმატებების მოსაპოვებლად.

საანგარიშო პერიოდში გამოჩნდნენ ახალი შემოქმედებითი ძალები. ქართული და რუსული კლასიკური ლიტერატურის მოწინავე ტრადიციებზე აღზრდილმა ახალგაზრდა მწერლებმა თან მოიტანეს ხალასი გრძნობები. საკუთარი ხმა. მათი შემოქმედებითი შთაგონების წყარო თანადროულბაა.

ცხადია, აფხაზური ლიტერატურის დონეს განსაზღვრავს უფროსი თაობის წარმომადგენლების — სიტყვის ცნობილი ოსტატების მიერ უკანასკნელ წლებში შექმნილი ახალი ნაწარმოებები, რომელთა პოპულარობა უკვე გასცდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს.

მწერალმა ივანე პაპასჭირმა, რომელსაც თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის აფხაზური პროზის შექმნისა და განვითარების საქმეში, საბოლოოდ დაასრულა თითქმის ორი ათეული წლის წინ დაწყებული

ბული ებოპეა „ქალის ღირსება“. ამ ერციელი ნაწარმოების მთავარი გმირია აფხაზი ქალი საიდა, აღჭურვილი ახალი ქვეყნის მშენებელი ადამიანის საუკეთესო თვისებებით.

ამ რომანს ნაწილობრივ იცნობს ქართველი მკითხველი. პირველი წიგნი გამოიცა თბილისში 1957 წელს, ხოლო მთლიანად ითარგმნება და გამოიცემა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო თარიღისათვის.

„აფხაზური ნოველების“ ავტორმა, აწ განსვენებულმა მიხეილ ლაკერბაიმ, რომელიც მშობლიური ხალხის ფოლკლორის ნიმუშებს დიდი პროფესიული ოსტატობით ამუშავებდა, დაგვიტოვა ასი გამოუქვეყნებელი ნოველა. ნოველები ცალკე წიგნად იბეჭდება სოხუმში, თბილისსა და მოსკოვში და ამ დღეებში ერთდროულად გამოვა სამივე ენაზე. მ. ლაკერბაის ნოველები მთლიანად თანამედროვეობას ეძღვნება.

აფხაზური პოეზიის უდავო წარმატებაზე მეტყველებს ცნობილი პოეტის ბაგრატ შინკუბას მრავალწლიანი შრომის

ნაყოფი, ახლახან გამოცემული პოემა „კლდეების სიმღერა“. ბ. შინკუბამ აგრეთვე გამოსცა ახალი ლექსების წიგნი „ზაფხული“ და პერიოდულ პრესაში გამოაქვეყნა ლექსების რამდენიმე ციკლი. „კლდეების სიმღერა“ უკვე ითარგმნება ქართულ და რუსულ ენებზე.

გამომცემლობა „ალაშარამ“ ამას წინათ გამოთქვდა პოეტ შალვა წვიყბას ლექსების წიგნი „პორიზონტალი და ვერტიკალი“. ესაა ბეითები — ფილოსოფიური შინაარსის ორტაპეიანი ლექსები. გამოვიდა ქართველი პოეტების მიერ დიდი მონდომებით თარგმნილი შ. წვიყბას წიგნი.

ალექსი ჯონუამ — აფხაზური პოეზიის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა და ყურნალ „ალაშარას“ რედაქტორმა — დიდი ამაგი დასდო ახალგაზრდა კადრების გამოვლენასა და აღზრდას. შარშან გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელმა“ გამოსცა ალ. ჯონუას ლექსებისა და პოემების კრებული. ახლახან კი სოხუმში გამოვიდა პოეტის ლექსების წიგნი „მეორე გაზაფხული“, რომელშიც ნათლად იგრძნობა ჩვენი დროის სუნთქვა და მაჯისცემა.

მკითხველთა ყურადღება დაიმსახურა ჭიჭიკო ჯონუას მოთხრობამ „თფორი კლდე“. ამჟამად ჭ. ჯონუა ამზადებს ახალ წიგნს.

გიორგი გუბლიამ ახალ ლექსებთან ერთად ცალკე წიგნად გამოაქვეყნა მოთხრობები და მინიატურები. ქართველი მკითხველის წინაშე გ. გუბლია წარსდგა ლექსებისა და ბალადების წიგნით „მოქრის კოდორი“ (გამოსცა „ნაკადულმა“).

კირშალ ჩაჩხალიამ სატირული და იუმორისტული ლექსების გარდა ამ ბოლო დროს ლირიკაშიც სცადა კალამი. წელს სოხუმში ქართულ ენაზე გამოვიდა მისი ლექსების წიგნი „მამულის მუხნარებში“, თარგმნილი მირიან მირნელის მიერ.

ნათელი პოეტური სახეებით გამოირჩევა კონსტანტინე ლომიას ლექსები და პოემები. უკანასკნელი წლების მანძილზე მისი რამდენიმე წიგნი გამოიცა რო-

გორც აფხაზურ, ისე ქართულ და რუსულ ენებზე.

ანატოლ აჯინჯალის პოემები და კული ლექსები გვიხატავენ დღევანდელი აღამიანის მდიდარ სულიერ სამყაროს. ვლადიმერ ანქვაბი წარმატებით ქმნის როგორც ვრცელ ეპიურ ნაწარმოებებს, ასევე ლირიკულ ლექსებს და დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს.

ახალგაზრდა პოეტი მუშნი ლასურია გამოირჩევა ორიგინალური მხატვრული აზროვნებით. მისი ლექსების მეორე კრებული „იმედი“ მეტყველებს ავტორის ფართო შემოქმედებით შესაძლებლობაზე. იგი თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს რუსული კლასიკური პოეზიის აფხაზურად თარგმნაშიც.

ბ. ბეზიამ, ბ. ტუტბამ, ნ. თარბამ, კ. გერხელიამ, მ. მიქაიამ, შ. სანგულიამ, შ. ფილიამ, ტ. ქანიამ და სხვებმა შექმნეს მრავალი საინტერესო პოეტური ნაწარმოები.

აფხაზური პროზა, რომელიც წლების მანძილზე ჩამორჩებოდა აფხაზურ პოეზიას, ამჟამად ეროვნული ლიტერატურის წამყვანი ქანრია.

ერთგვარი ძვრები და გამოცოცხლება იგრძნობა დრამატურგიაშიც. სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე დაიდგა აფხაზი მწერლების: მ. ლაკერბის, შ. ჭკადუას, შ. ბასარიას, გ. გუბლიას, დ. ჯონუას, ნ. თარბას, მ. ჩიმაგუას და სხვათა პიესები.

როდესაც ვლადპარაკობთ შედარებით ახალგაზრდა აფხაზურ პროზაზე, არ შეიძლება პირველ რიგში არ აღვნიშნოთ ნიჟიერი ბელეტრისტის ალ. გოგუას შემოქმედება. ქართველი და რუსი მკითხველი აქამდეც კარგად იცნობდა ალ. გოგუას, როგორც ნოველების ავტორს. ახლახან გამოვიდა მისი ვრცელი რომანი.

ლირიკული და სატირული მოთხრობები, პიესები და ნარკვევები — ასეთია შოთა ჭკადუას მრავალმხრივი შემოქმედება. ტყვარჩელის მეშახტეთა ცხოვრება და შრომა ასახული მუშნი პაპასკირის ახალ რომანში „გადარჩენა“.

ახალგაზრდა ადამიანის აღზრდის პრობლემას ეძღვნება შ. აჯინჯალის რომანი „კრილობა“, რომლის პირველი წიგნი შარშან გამოვიდა და საქმით გამოხატულება პპოვა. ამჟამად ავტორი მუშაობს რომანის მეორე წიგნზე.

ალექსი ჯენიას მოთხრობებს ახასიათებს მძაფრი სატირა. ახალგაზრდა ბელეტრისტის ენა ხატოვანია და დახვეწილი. არა ერთი საყურადღებო მოთხრობა დაწერა პროზაიკოსმა ნ. ხაშიგმა, რომლის პირველ რომანს ამ დღეებში მიიღებს აფხაზი მკითხველი.

ახალგაზრდა მწერალი ჯუმეკა ახუბა ორიგინალური შემოქმედია. მისი მოთხრობებისათვის დამახასიათებელია თემატური აქტუალობა და მრავალფეროვნება. საბავშვო მწერლობაში ნაყოფიერად და წარმატებით მუშაობენ ჯ. ტაბალუა, გ. პაპასქირი, ნ. ბარათელია და ვ. ბასარია.

სახუმოში ბევრი ქართველი მწერალი და პოეტი მოღვაწეობს. შარშან გამოცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა ცნობილი ბელეტრისტის მოსე გვასალიას რომანი „ქალიშვილის დღიურიდან“. ამ ნაწარმოებში შესანიშნავადაა დახატული დღევანდელი სოფლის ადამიანთა სახეები. მ. გვასალიამ გამოაქვეყნა მოთხრობები, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „ახალი მოსახლე“ და „ბესირე“.

მრავალი მოთხრობისა და რომანის ავტორი კლიმენტი გოგიავა მალე დაამთავრებს ვრცელ დოკუმენტურ მოთხრობას ილია ჭავჭავაძის ცხოვრებაზე. ცალკეული თავები ამ წიგნიდან დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“, „საბჭოთა აფხაზეთსა“ და ყურნალ „დროში“.

პოეტმა შოთა აკობიამ, რომლის ლექსებსა და თარგმანებს კარგად იცნობს ქართველი მკითხველი, გამოაქვეყნა რომანი „თეთრი ჩრდილი“. ნაწარმოების მთავარი გმირია სამამულო ომის დროს დაობლებული ყმაწვილი, რომელმაც მრავალი სულიერი ტრავმა გადაიტანა. რომან-

ნი გვიჩვენებს შრომისმოყვარე, შემოქმედით ადამიანის ჩამოყალიბების ცესს.

„სოვეტსკი პისატელმა“ გამოსცა მირიან მირნელის ლექსების კრებული რუსულ ენაზე. მირნელმა დაამთავრა და მოამზადა ახალი ლექსების წიგნიც.

ალექსანდრე ჯიქიამ დაწერა ვრცელი პროზაული ნაწარმოები „მწვანე გზა“.

ახალგაზრდა პოეტის ხუტა გავუას ლექსები სისტემატურად იბეჭდება „მნათობში“, „ცისკარში“, „იუნოსტში“.

საინტერესო მოთხრობები გამოაქვეყნა ყურნალისტმა რომან პეტროზაშვილმა. გამოვიდა პოეტ ლევ ლიუბჩინკოს ლექსებისა და პოემების ახალი წიგნი.

მაგრამ სამწუხაროა, რომ ჩვენი კრიტიკა ჩამორჩება ლიტერატურულ ცხოვრებას. თუ მხედველობაში არ მივიღებთ შ. ინალიფას და ო. ჭურღულიას კვალიფიციურ სტატიებს, უკანასკნელი წლების მანძილზე იშვიათად გვესმის სხვა კრიტიკოსების ხმა. მწერალთა კავშირმა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის ინსტიტუტის აფხაზური ენისა და ლიტერატურის განყოფილებამ უნდა დასახონ ღონისძიებანი ლიტერატურული კრიტიკის გააქტიურებისათვის, კრიტიკოსთა ახალი კადრების აღზრდისათვის.

საქართველოს მწერალთა ყრილობაზე უნდა გაჩაღდეს გულლია, პროფესიული პაექრობა იმ ადამიანთა შორის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ერის კულტურის წინაშე. არ შეიძლება დაფუძვთ ნაკლოვანებათა მიჩქმალვა, მაგრამ არც მიღწევების ხელაღებით უარყოფა და ცელკეული ნაკლის გაწვიადება მოვეიტანს სასურველ შედეგს.

რას მოველით ჩვენი ყრილობისაგან? ბრძოლა ხარისხისათვის, მაღალიდებურობისათვის, რის გარეშეც შეუძლებელია ვილაპარაკოთ ნაწარმოების აღმზრდობით როლზე, — აი რა იქნება მომავალი ყრილობის ყურადღების ცენტრში!

აღმავლობა

შეშლილი ლენინური პარტიის სახით თანამედროვე მწერლობას გულითადი მოამაგე და მზრუნველი ჰყავს. ხალხის წიაღიდან გამოსული სიტყვის ოსტატები დიდი შემოქმედებითი შრომით უპასუხებენ ამ ზრუნვასა და ყურადღებას.

მწერალთა ყრილობიდან ყრილობამდე სამხრეთ ოსეთში ბევრად უფრო მეტი ნაწარმოები შეიქმნა, ვიდრე წარსულში, მთელი ეპოქის მანძილზე. ეს ჩვენი ნათელი, საბჭოური ცხოვრების დამახასიათებელი ნიშანია.

ახლა მთელი ჩვენი ქვეყნის მწერალთა მრავალრიცხოვან არმიასთან ერთად სამხრეთ ოსეთის მწერლებიც შემოქმედებითი ანგარიშით გამოდიან ხალხის წინაშე.

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ გიორგი ძეგათის რჩეულ თხზულებათა ერთტომეული, რომელიც მწერლის დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით გამოვიდა. აქ ადრე ცნობილი ნაწარმოებების გვერდით ვხედავთ ახალს, ბოლო წლებში შექმნილს. ერთტომეულში დაბეჭდილია ლექსები, პოემები, მოთხრობები, ზღაპრები და ლეგენდები.

ამ ერთტომეულის გადაკითხვით შეგიძლია კარგად გაიცნო ოსეთი. აი თუნდაც, როცა პოეტი ლაპარაკობს ჭადარაბთების სილამაზეზე, მკითხველის გონებაში თითქოს დინჯად ირხვეიან თეთრი, ქათქათა გოლიათები და გინდა, როგორც წინაპართა წინაშე, ისე მოიდრეიკო მუნღლი მათ წინ.

გიორგი ძეგათიმ მკითხველი ამ ბოლო დროს გაახარა შესანიშნავი მოთხრობებით: „მზე ნაწვიმარზე“, „ღამისთევა“ და სხვ. სულ ახლახან კი გამოაქვეყნა ვრცელი რომანი „დანის პირზე“, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ლეგენდარულ გმირობას ეძღვნება.

თანამედროვე ოსურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ნათე

ჯუსოითს, ამ მეტად ნაყოფიერ და ორიგინალურ მწერალს. მის შემოქმედებას ახასიათებს სილაღე, გამბედაობა. მწერალმა იცის, რაზე წერს და რისთვის წერს. შარშან ცხინვალში გამოვიდა ნ. ჯუსოითის მოთხრობების კრებული „სიცოცხლის ბუნიაობა“ და ისტორიული რომანი „წინაპართა სისხლი“. ძალზე საინტერესოა მისი მებრძოლი, ცეცხლოვანი პუბლიცისტიკა, ასევე ოსური თეატრის სცენაზე დადგმული პიესები: „დავიწყებული სიმღერა“, „ბალათარის ასული“, „ახალ და თაიმურაზი“.

გულდასაწყვეტია, რომ ნათე ჯუსოითსა და, საერთოდ, ოსი დრამატურგების საუკეთესო პიესები იშვიათად ითარგმნება ქართულად. თუ ამ მდგომარეობას ყურადღება მიექცევა, ჩვენი რესპუბლიკის თეატრების რეპერტუარს არა ერთი და ორი პიესა დაამშვენებს.

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს მწერალ დავით ჯიოევს. მისი ავტობიოგრაფიული რომანის („უძლეველი ძალა“) პირველი წიგნის ქართული თარგმანი თბილისში გამოვიდა, მზადდება და ჩვენს დაიბეჭდება რომანის მეორე წიგნი.

დავით ჯიოევმა დრამატურგიაშიც სცადა თავისი კალამი და შექმნა საყურადღებო ნაწარმოები „ფუხათი ილიკო“. სარეცელს მიჯაჭვულ მწერალს ახლა თეატრის ყურადღებაც ამხნევეს და ძალს მატებს.

„ყურანა „ციცკარის“ 1965 წლის დეკემბრის ნომერი თითქმის მთლიანად მიეძღვნა თანამედროვე ოსურ მწერლობას. „ციცკარმა“ ასახა ოსეთის ლიტერატურული ცხოვრების უკანასკნელი დროის ყველა ღირსშესანიშნავი მოვლენა. ამიტომ ზოგი ოსი მწერლის შემოქმედებაზე განმეორებით მსჯელობა საჭიროდ არ მივიჩნევთ.

ოსურ მწერლობას განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებიან საქართვე-

ლოს მწერალთა კავშირი, რესპუბლიკის გამომცემლობები და პერიოდული პრესა. ამ ბოლო ხანებში თბილისში ქართულად გამოიცა ვაფეზის, რევან ასათის, გიორგი ბესთაუთის და სხვათა წიგნები.

ცხინვალის ლიტერატურულ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომა. ქართველმა მწერლებმა ინახულეს თანამოკალმეები, ვაეცნენ მათი ნაწარმოების გმირებს — ოსეთის სახელოვან ადამიანებს.

როცა აფასებენ მოპოვებულ წარმატებებს და მომავლისკენ იყურებიან, იმედოდ ახალგაზრდობა ესახებათ. ასეა ლიტერატურაშიც. ოსური ლიტერატურის წინა ხაზზე გაბედულად დაიკავეს ადგილი გიორგი ბესთაუთიმ, ჰაჯი-მურატ ძუცათიმ, მიხეილ გუჩმაზთიმ. თითოეული მათგანი რამდენიმე წიგნის ავტორია. ახლა კი მათ მზარში ამოუდგენენ მიხეილ ბულკათი, გერსან კოდალათი, ხაჯუმარ ალბორთი, ზინაიდან ხოსტიყოთი, ფელიქს ფლითი...

ახალგაზრდობას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. მართალია, ხალასი ნიჭი თავის გზას მაინც იპოვის, მაგრამ სულ სხვაა, როცა მას თავიდანვე თბილ გულს დააჩახვებ და ამავს დასდებ.

ოსეთის ნიჭიერ პოეტთა შორის დავასახელებთ ჰაჯი-მურატ ძუცათი. იგი კარგი ლირიკოსია. მისი მოქალაქეობრივი ლირიკა ნათლად გამოხატავს ჭეშმარიტი პოეზიის დანიშნულებას. ამ მხრივ დამახასიათებელია ლექსი „სიტყვა“. მართლაც, რამდენი წვითა და დავგვით მო-

აღწია მშობლიურმა სიტყვამ ჩვენს დეისიცი ადამიანივით იბრძოდა, ბრძოლა უფლებებისათვის. მისი პატრონი, ჩვენი იყო, მწერლობა იყო. ყოველი ნამდვილი მწერალი სიტყვის რაინდია, მისი მთავარი იარაღი სიტყვაა. ამიტომ ჰაჯი-მურატ ძუცათიც როგორც მეომრები ხმალებ, ისე იფიცებს სიტყვაზე:

მე კი, ვფიცავ მზეს,
გავიფრთხილდები,
რადგან შენცა ხარ
პური არსობის, —
ყველგან:
ჰაერში,
მიწაზე,
ზღვაზე,
უნდა მჭეროდეს
შენი კაცობის,
შენი დიდების,
შენი სიმათლის,
შენი მომავლის,
შენი სინათლის...

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ კიდევ ერთი თბილი და იმედიანი სახელი — ცხინვალის მკვიდრი მერაბ ელიოზიშვილი. იგი მართალი და მაღლიანი მხატვარია. ეტყობა, მასაც დაუფიცია სიტყვაზე, იცის მისი ფასი. იცის, რომ ხმალი კაცს შესამუსრად ეძლევა და არა უმიზნო ქნევისათვის.

მწერალთა მომავალი ყრილობა იმითაც არის შესანიშნავი, რომ იგი ჩვენი მდიდარი საბჭოთა ლიტერატურის საბრძოლო ძალთა დათვალიერებაა დიადი თარიღების — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის წინ.

უკიდრო ხალაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის ახარის განყოფილების პ/გზ. მდივანი.

ხველინდელი დღე

ქართველ მწერალთა აჰარის რაზმი, თუ გამოცემულ წიგნებს გადავავლებთ თვალს, ყრილობიდან ყრილობამდე განვლილ დროში საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობდა. გაიზარდა ავტორთა რიცხვიც.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია ლიტერატურული პროდუქციის ხარისხი ავტორთა რაოდენობის ზრდით შევაფასოთ, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდა მწერლების გარკვეული ნაწილი რომ უფრო და უფ-

რო დახვეწილ და მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს ქმნის, ეს ნათლად შეიმჩნევა. პროზის გაძლიერებამ საშუალება მოგვცა უფრო ფართოდ, ღრმად და სრულყოფილად აგვესახა ლიტერატურაში საქართველოს უმშვენიერესი კუთხის — აჭარის დღევანდელი ცხოვრება, დაგვიხატა მისი ადამიანების შრომა, ფიქრი, სიყვარული; ახალი თვლით დაგვეჩინა ჩვენი მხარის ტრაგიკული წარსული, გადმოგვეცა ის ცვლილებები, რაც უკანასკნელ ხანს აჭაური მშრომელის ცხოვრებაში, ყოფასა და სულიერ სამყაროში მოხდა.

მე შეგნებულად დავიწყე საუბარი ახალგაზრდობით. ვფიქრობ, საინტერესოა ვიცოდეთ — როგორი ახალგაზრდა კადრები შეემატა ჩვენს ორგანიზაციას ამ ბოლო წლებში, რომელი მათგანი შეგვიძლია დავასახელოთ ქართველ მწერალთა მორიგ ყრილობაზე.

ამ ექვსი-შვიდი წლის წინათ თითქმის არავის გაეგონა ახალგაზრდა მწერლების — ალექსანდრე ჩხაიძის, სულიკო ქლენტიის, ალექსანდრე სამსონიას, ლადო სეიდიშვილის, ზურაბ გორგილაძის, ჯემალ ქათამაძის, ნოდარ მოდებაძის სახელები. დღეს კი ყოველ მათგანს გამოცემული აქვს წიგნები.

დიდი ხანი არაა, რაც თავისი პირველი იუმორისტული მოთხრობა გამოაქვეყნა ალექსანდრე სამსონიამ. მისი პირველი პიესა „ჩემი შვილი სიმონი“ დაიდგა ბათუმის თეატრში, ხოლო ამ ცოტა ხნის წინ გამოვიდა იუმორისტული მოთხრობები კრებული „ზღვა, მზე და სიყვარული“.

ლექსების ორი წიგნი გამოსცა ზურაბ გორგილაძემ. პოეტი განსაკუთრებით ამხავილებს ყურადღებას თავისი კუთხის წარსულისა და დღევანდლობის საჭირობორტო საკითხებზე.

ლადო სეიდიშვილი მხატვარი-გრაფიკოსია, რაც მის შემოქმედებას თავისებურ იერს ანიჭებს. მეთევზეებზე დაწერილ ციკლში გზიბლავთ ჭეშმარიტი პოეტური სახეების მოულოდნელი გაელვება, დეტალების ოსტატური გამოყენება.

მაგრამ ზოგჯერ (და არა მარტო ამ ავტორთან) დეტალებზე ყურადღების ზედმეტი გამახვილება სათქმელს ბოჭავს უნდოვანებს.

ნაყოფიერად მუშაობს მწერალი ალექსანდრე ჩხაიძე. მისმა რამდენიმე საბავშვო მოთხრობამ პრემია დაიმსახურა. მკითხველმა კარგად მიიღო ახალგაზრდა მწერლის ვრცელი მოთხრობა „როცა ბავშვობა მთავრდება“. ახლაბან „ნაკადული“ გამოსცა ა. ჩხაიძის ნარკვევების წიგნი „ზღვის შვილი“, დაწერილი შორეული ნაოსნობის კაპიტანზე, ჩვენს თანამემამულე ელიზბარ გოგიტიძეზე.

უწინაოდ „ლიტერატურულ აჭარაში“ ხშირად იბეჭდება ნოდარ მოდებაძის მოთხრობები. მოდებაძის ყველა მოთხრობას ემჩნევა ავტორის შემოქმედებითი წინსვლა.

ამ წერილში ჩვენ ვერ შევძლებთ ყველა წიგნისა და მოთხრობის დახასიათებას, რადგან ყრილობიდან ყრილობამდე განვიღო დროში თხზმოცი დასახელების წიგნი გამოიცა. ამიტომ შევეცდებით მოკლედ შევხვით მხოლოდ მნიშვნელოვან ნაწარმოებებს.

ჩვეული ნაყოფიერებით მუშაობს მწერალი პარმენ ლორია. მან ამ ბოლო დროს სამი ახალი რომანი გამოაქვეყნა — „შვილები“, „გზები და ბილიკები“ და „საიმედო მომავალი“ პ. ლორიას ახალი რომანი „საიმედო მომავალი“ საკოლმეურნეო ცხოვრებაზეა დაწერილი. ამ რომანში ავტორი კეთილი, პატიოსანი, შრომისმოყვარე ახალგაზრდობის ტიპურ სახეებს ხატავს.

„ლიტერატურა და ხელოვნებამ“ შარშან გამოსცა ნესტორ მალაზონიას რჩეული ლექსების წიგნი — „ქვეყნის სიყვარული“. სამოცდათხუთმეტი წლის ნ. მალაზონია ახალგაზრდული ენერჯითა და გატაცებით მონაწილეობს ჩვენს შემოქმედებით ცხოვრებაში. მისი ახალი ლექსები, ნარკვევები თუ ფელეტონები დღევანდლობის აქტუალურ მოვლენებს ეხმიანება.

კრიტიკამ კარგად შეაფასა პოეტი ქალის ნანა გვარამიშვილის მიერ რამდენიმე

წლის წინათ გამოქვეყნებული საბავშვო პოემა „ზღაპარი დედანაზე“. ამ წარმატებას მოჰყვა მეორე საყურადღებო წიგნი „ლექსები“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964 წ.).

მამია ვარშანიძე ბევრი ახალი ლექსისა და პოემის ავტორია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პოემა „ხიხანის არწივები“. იგი ასახავს აჭარის ისტორიული წარსულის ყველაზე დრამატულ და გმირულ მომენტს — აჭარელთა თავგანწირულ შეტაკებას თურქ დამპყრობლებთან ხიხანის ციხეში.

ბოლო წიგნში „უტუჟნა წვიმა“ პოეტმა უბრალო პეიზაჟების დახატვით შესძლო ღრმადამიანიური განცდების გადმოცემა და აჭარის — საქართველოს ამ მრავალტანჯული კუთხის — ისტორიის ცალკეული მოვლენების დანახვა.

„ვარსკვლავების წვიმა“ და „რა ხანია გათენდა“, ასე ჰქვია პოეტ გიორგი სალუქვაძის ორ უკანასკნელ წიგნს. პირველში ლირიკული ლექსებია, მეორეში — საბავშვო. გ. სალუქვაძემ თარგმნა ს. ესენინის მრავალი ნაწარმოები.

ჯემალ ჯაყელის ბევრ ლექსში (კრებულის „ჩანჩქერები“) აჭარის მთების ბუნების მრისხანე მშვენიერება ენაცვლება ზღვისპირის პეიზაჟების ნაზ ფერადებს და ყოველივე ეს, პოეტის სიტყვას დამორჩილებული, საინტერესო სურათებსა და მელოდიებს ქმნის.

აჭარის მწერლების ერთმა ნაწილმა დიდი ყურადღება დაუთმო დრამატურგიას. ამ ბოლო ორ წელიწადში ბათუმის სახელმწიფო თეატრმა თავის სცენაზე დადგა პიესები: ამირან შერვაშიძის „მღერის ჰავანა“, ალექსანდრე სამსონიას „ჩემი შვილი სიმონი“ და შოთა როყვას „მინდვრის დედოფალი“. ა. შერვაშიძის პიესა უკრაინისა და რუსეთის მრავალ თეატრშიც დაიდგა. დაიბეჭდა ამ ავტორის რამდენიმე კარგი მოთხრობა და ნარკვევი.

იუსუფ ფაღვას რომანი „ქედუხბრელი“ აჭარაში თურქი დამპყრობლების შემოსვლის პირველ წლებს გვიხატავს და

მოგვითხრობს ჩვენი წინაპრების თავგანწირულ ბრძოლაზე.

მაღალმთიანი აჭარის საკოლმეზობლო ახალგაზრდობის დღევანდელი ცხოვრება გახდა საფუძველი კ. რუსიძის რომანის „ჭიდილი მთებში“. მწერალი შეეცადა ეჩვენებინა კონფლიქტები, რაც ზოგიერთ ჩვენს სოფელში ძველისა და ახლის დაპირისპირებისას ჯერ კიდევ შეიძინევა.

ქსენია მყავიამ პირველი კრებულის („მარად შენთან“) შემდეგ ბევრი ლექსი გამოაქვეყნა.

რამში დაღუპული პოეტის შალვა იოსელიანის ლექსების წიგნის გამოცემით ახალი, ცოცხალი ნაკადი შემოიჭრა ჩვენს პოეზიაში და მისი ავტორიც თითქოს კვლავ ჩვენს რიგებში ჩადგა.

სამწუხაროდ, ადრე წავიდა ჩვენგან ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ლევან გელაძე. იგი აჭარის ყველაზე შორეულ სოფლიდან ჩამოვიდა და თავისი ლექსებით თითქოს მთის სურნელი ჩამოიტანა.

ჩვენი მსოფიანი პოეტის, აწ განსვენებულ პარმენ რუტუას წიგნმა „მეხებთ მერცხლებს“, რომელიც შარშანწინ „ნაკადულმა“ გამოსცა, ნორჩი მკითხველების მოწონება დაიმსახურა.

ხალხურობა და ნარინჯოვანი სოფლის კოლორიტი ასაზრდოებს ახალგაზრდა პოეტის ჯემალ ქათამაძის ლექსებს. გამოვიდა მისი პირველი კრებული „ზღვა და სიყვარული“.

უკანასკნელ ხანს დაბეჭდილ ავტორთა შორის თავისი ორიგინალობით, გულწრფელობით ყურადღებას იქცევენ: პროზაში ნ. ძირკვაძე და ნ. ჩხაიძე, პოეზიაში — ბ. მეტრეველი, შ. ზოიძე, ც. ანთაძე.

უნდა ითქვას, რომ ჩამოთვლილ ნაწარმოებთა გარკვეული ნაწილი თავისი მხატვრული ხარისხით ჯერ კიდევ ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე. ჩვენი პროზაიკოსები, ვასნაკუთრებით ახალგაზრდები, რატომღაც გაუბრბიან დღევანდლობის საჭირბოროტო მოვლენებზე წერას. ჩვენი თანამედროვის სულიერი სამყაროს ჩვენება, მისი ყოველდღიური საქმიანობისა და ყოფის ასახვა ისე, რომ

მკითხველმა ავტორის დიდი გატაცება, ცოდნა, შთაგონება იგრძნოს, ჩვენს მწერლებს ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებიათ.

„ლიტერატურული აჭარა“ აქვეყნებს მოთხრობებს, სადაც ზოგჯერ სუსტი, უსაქმური, წვრილმანებს აყოლილი პერსონაჟები მთავარ მოქმედ პირებად გვევლინებიან. ხოლო თუ ნაწარმოებში ჩვენი თანამედროვე კაცია გამოყვანილი და მას ჩვენი სადღესო პრობლემები აწუხებს, ავტორი ხშირად ნაძალადეგ, სქემატურ ჩარჩოში აქცევს ამბავს, ამიტომ გმირის ხასიათი და თვით ნაწარმოების პათოსი ყალბი გამოდის.

ეს ჩვენი შენიშვნა, რა თქმა უნდა, არ ეხება გახურჩეველად ყველას. ყურნალში

არაერთხელ დაბეჭდილა და იბეჭდება ჯანსაღი, იდეურად სწორი, მხატვრული მაღალხარისხოვანი ნაწარმოებები.

აჭარაში სერიოზული ლიტერატურული მუშაობაა გაჩაღებული. ჩვენ იმედი გვაქვს, ყრილობა დაგვეხმარება, რათა ჩვენი ყურნალი „ლიტერატურული აჭარა“ კვლავ პირვანდელი მოცულობით ვიხილოთ და იგი ყოველთვის ორგანოდ გადაკეთდეს.

იმედი, ყრილობა ქართველ მწერლებს ახალ შემოქმედებით გზებს დაუსახავს და ჩვენს ენერგიას წარმართავს დღევანდელი დღის დიდი სახალხო ამოცანების გადასაწყვეტად, დაგვეხმარება ჩვენი ხვალისდელი წიგნის შექმნაში.

დავით კვიციანიძე,

საპარტიო-პოლიტ. მუშაკი საქართველოს კავშირის ქუთაისის განყოფილების პ/მ. მდივანი.

მოლიან ახალგაზრდა ავტორები

ქუთაისის შესანიშნავი ლიტერატურული ტრადიციები აქვს. აკაკი წერეთლისა და გალაკტიონ ტაბიძის ქალაქს არაერთი მაღალნიჭიერი მწერალი აღუზრდია.

აქ მუდამ ჩქეფდა ლიტერატურული ცხოვრება. თაობა თაობას ცვლიდა, მოდიოდნენ და ოსტატდებოდნენ მწერალთა ახალი კადრები და მათი მხატვრული სიტყვა ყოველთვის პოულობდა გზას მკითხველთა გულებისკენ.

35 წელზე მეტია, რაც ქუთაისში მწერალთა ორგანიზაცია არსებობს. ამ ხნის მანძილზე აქ ბევრმა შემოქმედმა აიღო ფეხი. დღეისათვის საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილება მწერალთა კავშირის 15 წევრს, აგრეთვე ბევრ დამწყებ ლიტერატორს აერთიანებს.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი განყოფილება ახლო ქალაქებსა და რაიონებში მცხოვრებ ლიტერატორებსაც ეხმარება.

წინა ყრილობიდან დღემდე ქუთაისში

მომუშავე მწერლების არაერთი საინტერესო ნაწარმოები — ლექსი, მოთხრობა და რომანი მიიღო მკითხველმა. ჩვენი რესპუბლიკის თეატრების სცენებზე ქუთაისელ დრამატურგთა რამდენიმე პიესა დაიდგა.

ჩვეული ენერგიით განაგრძობს შემოქმედებით საქმიანობას სამოქალაქო ომის მონაწილე ანდრია სინაური. იგი 40 წელზე მეტია, სარეცელსა მიჯაჭვული, მადრამ პოეზიამ, მაღლიანი ქართული სიტყვის ძალამ შეუწარმინა მხნეობა. სინაური რამდენიმე წიგნის ავტორია, სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა მისი პოემები „საჩუქარი“, „სიცოცხლის სადღეგრძელო“, აგრეთვე დოკუმენტური ნოველები. 1967 წელს ანდრია სინაურს დაბადებიდან 70 წელი უსრულდება. საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს გადაწყვეტილებით ამ თარიღისათვის გამოიციმა პოეტის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული.

ახლახან გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოსცა გიორგი სა-

მხარაძის ლექსების წიგნი „მწვანე ბილიკები“. ჩვენს განყოფილებასთან არსებულმა კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სექციამ მოაწყო ამ წიგნის საჯარო განხილვა.

გ. სამხარაძე თავისი ლექსებით გულმხურავლედ ეხმაურება ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ ყოველ ღირსშესანიშნავ მოვლენას. დიდი შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს გ. სამხარაძემ უძღვნა ლექსების ციკლი „რუსთაველის ჩირაღდნები“.

ბევრი თბილი, ლირიკული ლექსის ავტორია არჩილ გურჯიძე. მისი ლექსების კრებულზე „ყველგან ჩემი სახლია“, „ვაფთაღე წედლი ლერწამი“, „ლირიკა“ მკითხველთა ყურადღება დაიმსახურა. შარშან ქუთაისში აღინიშნა ა. გურჯიძის დაბადების 50 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იგი საპატიო სიგელით დააჯილდოვა. ა. გურჯიძის ახალი ლექსები იმაზე მეტყველებენ, რომ ფართოვდება მისი შემოქმედების თემატიკა.

თბილისში გამოიცა სერგო ფხაკაძის მოთხრობების კრებული „გზა და გული“. უკანასკნელ დროს ს. ფხაკაძე უფრო ნაყოფიერად მუშაობს. უკვე ჩააბარა გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებას“ მოთხრობების ახალი წიგნი, ხოლო ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის დრამატული თეატრისათვის წერს პიესას ჩვენი ახალგაზრდობის აღზარდის თემაზე.

მრავალფეროვანია რუთა ბერძენის შემოქმედებითი საქმიანობა. იგი ავტორია ლექსების წიგნისა „პირველი ფრენა“. მანვე თარგმნა ლატვიელი მწერლის ვილის ლაცისის ცნობილი რომანი „ახალი ნაპირისკენ“, ლუ სინის მოთხრობები და სხვა. ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრში დაიდგა მისი რამდენიმე საბავშვო პიესა. ახლახან რ. ბერძენიმ ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის დრამატულ თეატრს წარუდგინა პიესა, სადაც ასახულია ქუთაისელ ავტოქარხნელთა ცხოვრება.

ასევე ნაყოფიერად მუშაობს ნუცუბიძე. რესპუბლიკის ყურნალ-გაზეთებში მან უკანასკნელ ხანებში პატრიოტული ლექსი გამოაქვეყნა. მალე გამოვა მისი საბავშვო წიგნიც. თოჯინების თეატრში დაიდგა ლ. ნუცუბიძის პიესა „მძებნი“. ამჟამად თეატრი მუშაობს ამავე ავტორის ახალ პიესაზე.

ლექსების სამი წიგნი — „გაფრენილი წეროები“, „როგორ ვნახეთ ნაკადული“ და „ბროწეულის ცეცხლში“ — გამოსცა ზურაბ კუხიანიძემ. შარშან გამოვიდა მისი პირველი პროზაული ნაწარმოები „რიონის პირას“, რომელიც გულმომხილად მიიღო ახალგაზრდა მკითხველმა. თოჯინების თეატრში დაიდგა ზ. კუხიანიძის პიესები „შარახანო“, „ბიჭები ეძებენ გაზაფხულს“.

„ჩემი მისამართი“ — ასე ეწოდება ლექსების კრებულს, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გამოსცა დომენტი ახობაძემ. ამის შემდეგ იგი სისტემატურად აქვეყნებს ლექსებს. დ. ხუროძე უმეტესად ბავშვებისათვის წერს. თავისი პირველი წიგნიც („ოქროს ხელები“) მან ჩვენს ნორჩ მკითხველებს მიუძღვნა.

სულ მალე მკითხველები მიიღებენ შალვა ტოგონიძის, შოთა ნიჟარაძისა და მინიელ კაკიტელაშვილის ლექსების წიგნებს. გამოსაცემად მზადა აქვს წიგნი ა. ყოჩოღლიანსაც.

შალვა ცანავას მოთხრობები ყურადღებას იქცევენ საკონიურობითა და ემოციურობით. შ. ცანავამ გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებას“ ჩააბარა წიგნი „ხომ მართალი ვარ“.

გრიგოლ ძოწენიძის რომანში „გარბალდის ვოლონტერი“ აღწერილია იტალიელი ხალხის გმირი შვილის გარბალდისა და მისი თანამებრძოლი ქართველი ჯარისკაცის ცხოვრება. ვფიქრობთ, ეს წიგნი უახლეს დროში იხილავს მზის სინათლეს.

რესპუბლიკის თეატრების სცენებზე წარმატებით იღვმება ლ. სანიყიძის პიესები „ქუთათურები“, „მედეა“ და სხვა.

ეთერ ყოჩოღლიანის ჯერ გამოუქვეყნებელი საბავშვო წიგნი მოგვითხრობს

საქართველოს უძველეს წარსულზე, მის აწმყოსა და მომავალზე.

მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებასთან ოთხი სექცია მუშაობს: პოეზიისა — (ხელმძღვანელი გ. სამხარაძე), პროზისა (ხელმძღვანელი ს. ფხაკაძე), კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობისა (ხელმძღვანელი — პროფ. კ. მეძველია) და ახალგაზრდა მწერლებისა (ხელმძღვანელი კრიტიკოსი ს. არველაძე).

მრავალი კრიტიკული სტატიისა და თეორიული წერილის ავტორია ს. არველაძე. მისი წერილები სისტემატურად იბეჭდება რესპუბლიკის ყურნალ-გაზეთებში. ს. არველაძეს ეკუთვნის წიგნი „ვ. ი. ლენინის სახე უცხოურ ლიტერატურაში“. კრიტიკოსი დიდი გულსისყურით ეკიდება ახალგაზრდა მწერალთა აღზრდისა და დაოსტატების საქმეს. სულ მალე მკითხველები გაეცნობიან ს. არველაძის ორ წიგნს: „პოეზია და თანამედროვეობა“ (გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“) და „იდეალი და შემოქმედების თავისუფლება“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“).

შარშან ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა კ. მეძველიამ გამოაქვეყნა წიგნი „თერგდალეული“ კირილე ლორთქიფანიძე“. იგი ავტორია ბევრი საყურადღებო ლიტერატურული ნაშრომისა.

მიხეილ ალავიძემ გამოსცა წიგნები: „ლენინური ზეპირსიტყვაობა“, „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, დაწერა საინტერესო წერილები ლადო ასათიანზე, ლადო ბზვანელზე...

კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სექციაში გაერთიანებული არიან: დ. ბრეგაძე, მ. მახათაძე, ო. გიორგაძე, დ. გეწაძე, ვ. ქუთათელაძე, პ. ხმალაძე, მ. ტუსკია, გ. ახვლედიანი და სხვები. ისინი ზშირად გამოდიან მწერალთა კლუბში მოხსენებებითა და ლექციებით ლიტერატურის თეორიის საკითხებზე.

მეტად საინტერესოა გივი მეფისაშვილის წიგნები „მესხების ოჯახი“, „ბყაყა და ქართული პრესა“ და „ლიტერატურული წერილები“.

ქუთაისის განყოფილებასთან არსებულ სექციასთან შორის ყველაზე მოქმედი ახალგაზრდა მწერლების სექციაა. აქ თითქმის ყოველკვირას ეწყობა ხელნაწერების კითხვა-განხილვა.


სექციამ უკანასკნელ წლებში ბევრი ახალგაზრდა გამოიყვანა ასპარეზზე. მათგან გამოიჩინვიან ს. აბდლაძე, თ. აბულაძე, გ. კახანაძე. ამ ახალგაზრდა პოეტების ლექსებს უკვე იცნობს ჩვენი მკითხველი.

გამოვიდა კრებული „როინი“, რომელსაც საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის დადგენილებით სცემს „ლიტერატურა და ხელოვნება“. შევეცადეთ კრებულში უხვად წარმოგვედგინა ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდები: ჯანსუღ ღვინჯილია, ლეილა მესხი, ნესტან კვიციანი, დოდო ჭუმბურიძე, ამირან გვილავა, ზაალ ებანიძე, მზია შენგელია, რომან წიგწივაძე, ბუხუტი ლონთაძე, დავით იოსელიანი, კლარენს შანფრანი, ნოდარ გედენიძე, თენგიზ გურჯიძე, გუგული დეკანოიძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი...

შარშან ქუთაისში ჩატარდა საქ. მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გამსვლელი სესია, სადაც მოისმინეს განყოფილების ანგარიში.

პრეზიდიუმის გამსვლელმა სხდომამ გადაწყვიტა ყოველწლიურად გამოიცეს „როინის“ სამი ნომერი. ეს მისასალმებელია, მაგრამ ქუთაისში მომუშავე მწერლები, მხატვრები, ხელოვნების მოღვაწეები, მეცნიერ-მუშაეები უფრო მეტს მოელოან მწერალთა ყრილობისაგან. მათი სამართლიანი მოთხოვნაა ქუთაისში გამოვიდეს პერიოდული მხატვრული ჟურნალი ორ თვეში ერთხელ მაინც.

იმედი გვაქვს, ამ მოთხოვნას ჭეროვანი ყურადღება მიექცევა.



**შევემნათ ახალი მსახურული ნაწარმოებები
ჩვენს ახალგაზრდობაზე**

ქუჩნალ «ცინკარის»

კონკურსი

დიდი მატომგების სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით ქუჩნალი „ცინკარი“ აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს საბავთა ახალგაზრდობის ცხოვრების ამსახველ **პროზაულ** ნაწარმოებზე.

ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობა მოუთმენლად ელის მაღალნიჭიერ მოთხოვრებასა და რომანებს, სადაც ნაჩვენები იქნება მათი თანატოლების ურობა, ცხოვრება, სულიერი სამყარო და მისწრაფებები.

კონკურსის ძირითადი თემა, მისი გვირგი უნდა იყოს თანამედროვე ახალგაზრდა — მშრომელი და შემოქმედი, მიმდინავე დ რომანტიკოსი; მუშა, კოლმეურნი, სტუდენტი, მოსწავლე თუ ინტელიგენტი; კომპაგვირადი-პატივისტი, საბავთა მემკვიდრე. — კონკურსის საზოგადოების მხედველობის აპტიური გონაწილე.

პროფესიონალ მწერლებს ზარდა კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სხვა ფარგლის სპეციალისტებსაც.

კონკურსის პირობები:
წარმოდგენილი მოთხრობა უნდა იყოს არა უმცირეს სამი საავტორო თაბახის ორ ცალად, მანქანაზე გადაბეჭდილი.

კონკურსი ჩატარდება დევიზით. ცალკე დახურულ კონვერტში ჩადება ფურცელი ავტორის გვარის, სახელის, ამის სახელის, პროფესიის, მისამართის აღნიშვნით. კონვერტს დაწერილობა დევიზი, დევიზი დაწერილობა ავტორთა ნაწარმოების ორივე ცალს.

წარმოდგენილ ნაწარმოებებს განიხილავს კონკურსის შიური — ქუჩნალის საბავთა ციო კოლეჯი.


პრემიების მიკუთვნება იწარმოებს ფარული კანონიერით.
კონკურსის დამთავრების შემდეგ თითო ცალი შეინახება შიურის სახმეებში, ხოლო მეორე — დაუბრუნდება ავტორს.

საკონკურსო ნაწარმოებთა წარმოდგენის უბანასკნელი ვადაა 1966 წლის პირველი დეკემბერი. შედეგები გამოცხადდება საახალწლოდ.

დაწიებულთა ეჭვისი პრემია.
ერთი პირველი პრემია — 1200 მანეთის ოდენობით,
ორი მეორე პრემია — 800 მანეთის ოდენობით თითოეული,
სამი მესამე პრემია — 500 მანეთის ოდენობით თითოეული.

კონკურსში გამარჯვებულ ნაწარმოებები დანიშნდება ქუჩნალ „ცინკარში“ და მათ ავტორებს, ზარდა პრემიისა და ქუჩნალის საავტორო სიზმლისა, მიმდინავე მაღალი ჰონორარი. ქუჩნალში დანიშნდება ავტორთა ის ნაწარმოებები, რომელთაც შიური კომპოზიციის მისცემს გამოსაქვეყნებლად.

მასალები კონკურსისასტვის უნდა გამოიგზავნოს მისამართით: თბილისი. ალბანოვის პროსპექტი, № 91, ქუჩნალ „ცინკარის“ რედაქციას — კონკურსისათვის.



შალვა ნუსუბიძე

მთლიანი „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკა

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი საიუბილეო გამოცემა რომ ნაკლს შეიცავდა, გასაგებია, რადგან ეს იყო პირველი ცდა. მასში ზედმეტი ადგილებიც აღმოჩნდა — მაგალითად, ინდო-ხატაელთა ამბავი, რაც, ყოველ შემთხვევაში, მთლიანად არ უნდა შეეტანათ პოემის ტექსტში. გარდა ამისა, არ გასწორებულა დროთა ვითარებაში გადამწერთა და გადამკეთებელთა მიერ ტექსტში ჩამატებული ადგილები.

მაგრამ რაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გასწორების პირველ ცდას ებატიებოდა, აღარ ებატიება მეორე საიუბილეო გამოცემას, რომელიც რამდენიმე ათეული წლით გვიან გამოდის. ტექსტზე მუშაობის ვადა 1970 წლამდე ვააგრძელებს, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ტექსტი ჯერ კიდევ საკმაოდ მომზადებული არაა.

მე ერთხელ კიდევ ვაცხადებ, რომ ტექსტოლოგი არ ვახლავართ და ამის გამო არც სხვების ტექსტოლოგიური მუშაობის კრიტიკას ვაპირებ, მაგრამ ერთი ხანია ვეცნობი წარმოდგენილი ტექსტის ტომებს და ვერწმუნდები, რომ მდგომარეობა საგრძნობლად დასწორებულია სასურველს.

მე „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი მთარგმნელი ვარ და ძნელი არაა იმის გაგება, რომ ყველაზე უფრო მესაჭიროება პოეტის შემოქმედებით ლაბორატორიაში ღრმად შესვლა, რათა პოეტის ნაფიქრის და ნათქვამის განსხვავებულად ისე გადათქმა შევძლო, რომ იგი დედნის იგივეობას წარმოადგენდეს.

თარგმნა დიალექტიკას ჩამოჰგავს, მაგრამ არაა სავსებით დიალექტიკური: იგი განსხვავებულის და არა დაპირისპირებულის იგივეობაა. ამ მიზნისათვის კი მთარგმნელს იმდენად სჭირდება სათარგმნელ ტექსტში ჩაღრმავება და მისი ათვისება, რომ მას ვერც ტექსტოლოგი, ვერც ინტერპოლაციისა და ვერც ჩამატება-დამატების ოსტატები გვერდში ვერ ამოუდგებიან. სამ ენაზე — რუსულად, გერმანულად და ფრანგულად თარგმანში უშუალო მონაწილეობამ დამარწმუნა, რომ მთარგმნელს აქვს ორიგინალთან ისეთი ახლო კავშირი, რაც მხოლოდ ამავე ტექსტის თარგმნით მოიპოვება. ეს ეხება, ყოვლის უწინარეს, საერთო სიტუეტური მთლიანობისა და ცალკე ადგილების ნატყუარობის უშუალო გრძნობას.

ამჟამად დგას პრობლემა: ა) გვაქვს თუ არა ხელში მთლიანი „ვეფხისტყაოსანი“. ბ) თუ არა — რა აკლია მას და ვ) შეიძლება თუ არა მისი შესვლა?

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წამუშევარი პოემის სიუჟეტური მოცულობის თვალსაზრისით ტრადიციული ტექსტის ფარგლებს ემყარება, მაგრამ ეს ასე თუ ისე მიუთითებს, რომ სიუჟეტი და, მასთანადამე, მთლიანი პოემა არაა ამ ფარგლებში მოთავსებული. სხვანაირად რომ ითქვას — ტრადიციული ტექსტი ისეთ რამეს მანც შეიცავს, რაც აშკარად მიუთითებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ უფრო დიდი უნდა ყოფილიყო სწორედ სიუჟეტური მოცულობის მხრივ. წინათაც მქონდა შემთხვევა ამ საკითხზე გავკრით მეთქვა, მაგრამ დასაბუქვად წარმოდგენილმა ტექსტმა დამარწმუნა, რომ საკითხი მთლიანი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ კვლავ უნდა დაიხვას.

ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობის 1970 წლამდე გავრძელება იმასაც უნდა გულისხმობდეს, რომ საიუბილეო გამოცემის დაუბრკოლებლად შეიძლება დაისვას ესა თუ ის საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტთან დაკავშირებით. ჩემს მიერ ამჟამად საკითხის წამოჭრაც სწორედ ამგვარად წარმომიდგენია და მას მხოლოდ მეცნიერული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს.

როდესაც აკად. ნიკო მარი თავის ცნობილ ნაშრომს „შესავალ და საბოლოო სტროფებს“ წერდა, სწორედ შესავლის მეორე სტროფზე შეჩერდა და მოკლედ აღნიშნა როგორც მისი შინაგანი აგებულების შეუსაბამოა, ისე მისი ადგილის გაუმართლებლობა. მას არ ეეჭვებოდა სტროფის რუსთველურობა, თუმცა ეს საკითხი სათანადო სიღრმით არ განუხილავს. აღნიშნული სტროფი ზედმიწევნით უნდა იქნეს გაანალიზებული.

უპირველესად ყოვლისა, უნდა დადგინდეს — არის თუ არა ეს სტროფი რუსთველური. საამისოდ საკმარისია მისი პირველი ორი პწკარის ანალიზი. რო-

გორც ცნობილია, ეს ორი პწკარი იგივე ხება ასე:

პე, ღმერთო ერთო, შენ შექმენი სახე
ყოვლისა ტანისა,

შენ დამიფარე, ძლევა მეც
დათრგუნვად მე სატანისა...

დღეს ვიცით, რომ სახე, რომელზედაც აქ ლაპარაკია, არ ნიშნავს გამოსახვას, საგნის ფორმას. ასე შეიძლებოდა გვეფიქრა, ვიდრე დამტკიცდებოდა დიდი ფსევდო-არეოპაგელისა და V საუკუნის ქართველი და მსოფლიო გენიალური მოაზროვნის პეტრე იბერის იგივეობა. უკანასკნელისთვის „სახე“ ნიშნავდა სიკეთის გამოსახულებას, რომლიდანაც იწარმოებოდა სიტყვა „სახიერი“, როგორც ღვთაების ატრიბუტი, რომლის მეოხებით სახიერდებოდა ყოველი ტანი (საგანი) და „უსახო“ არ შეიძლებოდა რაიმე ყოფილიყო. ამასთანაა დაკავშირებული „მითხარ უსახო რა ქმნილა...“ მთავარი ღირებულება, ანტიკური ფილოსოფიიდან მიღებული, იყო „სიკეთე“, რომელიც „სახე“, „სახიერება“-ს ნიშნავდა (ბერძნული „აგათოს“ — რუსული „доброе“ და არა „добро“, როგორც წინათ. არეოპაგიტული წიგნების ქართველი ავტორის აღმოჩენამდე გვეგონა).

ჯერ კიდევ თავისი პოემის პირველ სტროფში რუსთველი ეხება ღვთაების ატრიბუტებს და წერს:

მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა
მის მიერთა.

ამდენად, „ვეფხისტყაოსნის“ პირველსა და მეორე სტროფში სრული დამთხვევაა „სახის“ გაგებაში და ეს გარემოება, უეჭველია, იყო მიზეზი, როცა საკმაოდ გამოცდილმა რედაქტორმა მეორე სტროფად ჩასვა ტექსტში სტროფი, რომელშიაც „ყოველი ტანის სახეზეა“ ლაპარაკი, მსგავსად პირველი სტროფის მიერთებულ ყოველი ხელმწიფის სახიერებისა („სახითა მის მიერთა“).

მეორე მომენტი განსახილველი სტროფის რუსთველურობისა არის მის მეორე პწკარში მოცემული ვედრება:

შენ დამიფარე, ძლიერა მეც
დათრგუნვად მე სატანისა.

რუსთველის კონცეფციით, რომელიც აგრეთვე არეოპაგიტულია, როგორც ყოველი არსის სახიერება, შემქმნელი შექმნილისათვის მტერთა ძლიერად შეძლების მომცემად იგულისხმება, როგორც ნათქვამია 792-ე სტროფში.

ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა
ძლიერად მტერთად.

მამასადამე, რუსთველურობა მეორე სტროფისა უდავოა, რის გამო მისდამი ყურადღებით და სიფრთხილით მოპყრობა სავალდებულოა.

ამ სტროფის მესამე პეკარი პოემის შინაარსის მოცულობას უკავშირდება. აქ რუსთველის ვედრება ეხება უნარის ან ძალის მოცემას, რათა ავტორს მიეცეს საშუალება მიჯნურთა „სიკვდიმდე გასატანისა“. სტროფის ერთგვარი გაუგებრობა, რასაც ნ. მარიც აღნიშნავს, გამოწვეულია იმით, რომ გადამწერს სიტყვა „სურვილი“ ერთი ადგილიდან მეორეზე გადაუტანია და მიუღია პეკარი: „მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდიმდე გასატანისა“, რაც ყოვლად უაზროა, რადგან გამოდის, რომ მიჯნურთა სურვილზეა ლაპარაკი და არა ავტორის უნარზე.

სიტყვა **სურვილი** ადრინდელ ქართულში (XI-XII ს. ს.) იხმარებოდა როგორც დღევანდელი, ისე სხვა მნიშვნელობითაც — ძალისა ანუ უნარისა.

ქართული მოაზროვნე მწიგნობრის პეტრე იბერის (ფსევდოპარკობაგელის) თარგმანში ეფრემ მცირე ლაპარაკობს ადამიანის მიერ უმალესი სინათლის მიღების უნარზე და წერს: „რამეთუ პირველად იგინი სცნობენ ღმერთსა და სურვიელ იქმნებიან ზეშთა მათსა მყოფისა მის საღმრთოჲსა ნათლისა; და პირველ მომქმედ იქმნებიან, რაოდენ ოდენ დასატევენელ არს მათდა მსუავესებასა საღმრთოჲსა ძალისა და მოქმედებისა...“ (პეტრე იბერიელი, შრომები, ზეცათა მღვდელმთავრობისათვის, გვ. 137, ს. ენუქაშვილიან რედაქ-

ციით, თბ. 1961 წ.). აშკარაა, რომ „სურვიელ ყოფნა“ აქ ნიშნავს სამოქმედო ძალის მიღების უნარს (იქვე, გვ. 12 და ცხელი მითხვა და ც ლაპარაკია „სურვიელ ყოფაზე“, როგორც „განუღრეკელობაზე“). ასევე უფარდებს პეტრე იბერი სიტყვა „სურვილს“, „აზრებას“, ცხოვრებას“, „ძებას“ (დას. ნაშრ. გვ. 47).

კიდევ უფრო გარკვეულად მოიხმარს სიტყვა „სურვილს“ იოანე პეტრიწი, როდესაც „ხედვათა“, ე. ი. მსოფლმხედველობის უნარზე ანუ ძალზე ლაპარაკობს, რომელიც მას მისცემდა ძალას „რომელ ენაჲმცა ენისადა გამეწყო და ხედვამცა ფილოსოფოსთა განცდისაჲ მებარისტელურა“... (იოანე პეტრიწი, შრომები, ტომი II, 1937 წ. გვ. 222).

თუ აღნიშნულის გამო „ვეფხისტყაოსნის“ მოყვანილ სტროფში მესამე პეკარს წავიკითხავთ —

მომეც სურვილი მიჯნურთა სიკვდიმდე
გასატანისა, —

მაშინ, ცხადია, არავითარ „მიჯნურთა სურვილზე“ აღარ იქნება ლაპარაკი და პეკარის აზრი ნათელი გახდება.

აქად. ნიკო მარი მართებულად აცხადებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ „მეორედ“ წოდებული სტროფი თავის ადგილზე არაა, მაგრამ საკითხს მიანიც ღიად ტოვებს. ეს კი დაუშვებელია, რადგან თუ „მეორე“ სტროფის მესამე პეკარი ანუ ხანა იკითხება ისე, რომ რუსთველი ევედრება სახეთა შემქმნელს, რათა მას მიეცეს ძალა ანუ უნარი მიჰყვეს თავის გმირებს „მიჯნურთა სიკვდიმდე“, არ შეიძლება იროვებოდეს ამაზე ნათელი საბუთი, რომ რუსთველის მიზანი იყო „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი მიეყვანა გმირთა სიკვდილამდე.

მაგრამ ეს, ცხადია, არ არკვევს და ვერ არკვევს თვითონ ამ სტროფის დაწერის დროს და ადგილს. ცხადია, რომ ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო პოემის შესავლის წერისას, თუ ჩავთვლით, რომ შესავალი პოემის სიუჟეტის გაშლამდე დაიწერა. ნათელია, რომ პოემის დასასრულის და, მით უმეტეს, მისი გმირების

(„მიჯნურთა“) სიკვდილის შესახებ ლაპარაკი მოსალოდნელია სიუჟეტის განვითარების იმ საფეხურზე, როცა სიუჟეტის აღმავლობითი განვითარება უკვე დამთავრებული იყო და მისი დაღმავლობა ისახებოდა. რუსთველის თქმა მიჯნურთა ცხოვრების დასასრულის შესახებ არ ნიშნავს, რომ მიჯნურთა და ცხოვრება ერთიმეორეს ფარავდეს.

მეორე სტროფის „სიკვდიმდე გასატანის“ ამბავი მომავალს გულისხმობს. სიკვდილი ჯერ უადგილოა, პოეტი მას სადღაც შორს, ცხოვრების დამთავრების მიჯნად წარმოისახავს, რაც რუსთველის მიერ ნათქვამის „მუნ თანა წასატანის“ სიღრმეშია დაფლული. რუსთველის „მუნ“ ორმაგი დისტანციის შემცველია — დროისა და სივრცის: პირველი მოძრაეა, მეორე — უძრაე. ისინი გადანასკვულია, მაგრამ ერთად არ არიან. რადგან სიკვდილში დრო გასრულდება და მხოლოდ უარყოფით, ნეგაციით არსებობს, ამიტომაც ვისაც სიცოცხლე ანუ დრო „გრძლად გონია, მისთვისაც არის ერთისა წამისა“, და სწორედ ამაშია „სიმუხთლე ჟამისა“.

ცხადია, რომ „სიკვდიმდე გასატანის“ ამბავი ემთხვევა მომენტს, რომელიც მოცემულია 1665 სტროფში, რომელიც იწყება პწკარით — „გასრულდა მათი ამბავი“, რომლის შინაარსია — „გარდახდეს, განვლეს სოფელი — ნახეთ სიმუხთლე ჟამისა“, მაგრამ ეს დამთხვევა ამ სტროფის უადგილობას ნიშნავს. სხვანაირად რომ ითქვას — „ვეფხისტყაოსნის“ მეორე სტროფი იმიტომ ებრძვის 1665 სტროფს, რომ ეს მისი ადგილია პოემაში, სადაც თავდება სიუჟეტის აღმავლობის ამბავი და დგება საკითხი მიჯნურთა ცხოვრების დასასრულის ანუ სიკვდილის შესახებ.

ამდენად, დიდი მიხვედრა როდია საჭირო, რომ მეორე სტროფი სრულიად დაუმეცხებელია მისთვის მიკუთვნებულ ადგილას, რომ მიჯნურთა სიკვდილზე ლაპარაკი სრულიად გაუმართლებელია იქ, სადაც მიჯნურთა ცხოვრება ეს არის იწყება, ხოლო რამდენადაც ამ ცხოვრე-

ბის აღმავლობა მიღწეულია, სატანის დაძლევისათვის მივედრებელი, უცოდვარა შემსუბუქების“ მაძიებელი პოეტურად უადგილოა ახალ სიტუაციაში მეორეჯერ შემუბრუნდება „სახეთა“ შემქმნელს და „მიჯნურთა სიკვდიმდე გასატანისათვის“ ემზადება, სადაც მას მიეცემა კანონიერი უფლება თქვას — აი აქ „გასრულდა მათი (მიჯნურთა) ამბავი“ და თვითონ პოემაც.

ამით იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა ჩაითვალოს გასრულებულად მიჯნურთა ამბავი იქ, სადაც მიჯნურთა იმარჯვებს და ყველაფერი ბედნიერად სრულდება, — თუ იქ, სადაც მათ გარდასახდელი უნდა გარდახდეთ, მიჯნურთა უკვე „განვლეს სოფელი“ და „სიმუხთლე ჟამისა“ ძალაში შედის და გრძლად მოჩვენებული ცხოვრება ირკვევა — „ერთი წამისად“?

ამდენად, უადგილო ადგილზეა „ვეფხისტყაოსნის“ არა მარტო მეორე სტროფი, არამედ 1665 სტროფიც და პირველის გადაადგილება მეორის გადანაცვლებასაც მოითხოვს. საკვირველია, რომ ამ აშკარა შეუსაბამობას დღემდე ვითმენთ. უშეგლის თუ არა საქმეს 1665 სტროფის ამოღება?

ამბობენ, თითქოს 1165 სტროფის ამოღებას შეიძლება ის მოსაზრება დაედოს საფუძვლად, რომ იგი „ვინმე მესხის“ ინტერპოლაციის შედეგია. მაგრამ საკითხავია — არის კი ეს ასე?

ამ საკითხზე წინათაც იყო ლაპარაკი. ჩანს, საჭიროა ასეთი სრულიად უსაფუძვლო მოსაზრებათა ერთხელ და სამუდამოდ მხილება.

დავიწყეთ „ვინმე მესხის“ ამბით. ცნობილია, რომ პწკარი, რომელშიც ვითომცდა „ვინმე მესხის“ ამბავია მოცემული, სხვადასხვა ვარიანტებითაა ტექსტში, მაგრამ ამას დღეს მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ ადგილის ისეთი წაკითხვა, რაც წინა სათუბილეო გამოცემას შერჩა, ერთბაშად არ დადგენილია. მაგრამ დადგინდა კი როდისმე? რა თქმა უნდა, არა, რადგან რუსთველის აქ მოცემული სტილისტური თავისებუ-

რება არაა სრულიად გათვალისწინებული არც ისტორიულად და არც არსებითად. ამ თავისებურებას კი ძირითადი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაშიც.

როცა საკითხის ისტორიულ მხარეებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა განვლილი გზა, რითაც პირველ საიუბილეო გამოცემაში დამკვიდრდა დღევანდელი გამოსახულება სადავო ხანისა, არამედ რუსთველის მითითებული სტილისტური თავისებურება, რომელიც ინტერროგატიულ-მოკრძალებითი ფორმას შეიცავს. უკანასკნელის ძირი პეტრე იბერის (ფსევდოდონისეს) ასეთივე სტილისტურ თავისებურებამდე მიდის.

ეს დიდი და რთული საკითხია, რაც უკავშირდება პეტრე იბერისათვის დამახასიათებელ სტილისტურ მოვლენას, რომელიც მიმღეობის გამოსახვის სიძინელეს ეხება და კითხვის ქვეშ დამდგარი უნარის განსაზღვრულობას გამოხატავს გამოთქმით: „რაოდენ დასატყვენელ არს“ (იხ. პეტრე იბერის „შრომები“, გვ. 137).

როცა რუსთველმა თვით არეოპაგიტულ ნაწარმოებთა ცოდნის გზით გაიგო და შეითვისა ეს შეკითხვითი — მოკრძალების ფორმულა, იგი შემოქმედების სფეროში გადმოიტანა (იოანე პეტრიწით გაშუალებული) და სხვადასხვა შემთხვევის მიხედვით გამოხატავდა: მაგალითად, ფორმით „მე ვინ ვაქებ?“ „მე ვინა ვწერ?“ ან „ვწერ ვინ მე?“ (და არა ვინმე? — განუმარტველად).

ამ რთულ საკითხზე, რომლის ჩვენებას, ერთი მხრივ, არეოპაგიტულ ნაწერებში და, მეორეს მხრივ, რუსთველის პოემაში საგანგებო ადგილების ჩვენება და მათი განხილვა სჭირდება, აქ მეტს არ შეეჩერდები და დაეუბრუნდები სპეციალურ ნაშრომში „რუსთველის ერთი სტილისტური ხერხის არეოპაგიტული ძირები“. სხვანაირად არ შეიძლება, რადგან მოკლედ მითითებული რუსთველის ინტერროგატიული — მოკრძალებითი ფორმულა ყველაზე უკეთესი დასაყრდენია რუსთვე-

ლის ტექსტის ნამდვილი და არანამდვილი ადგილების გასარკვევად.

ამ შემთხვევაში მოვიყვან „ვეფხისტყაოსნის“ მხოლოდ ერთ ადგილს, სახელდობრ 694-ე სტროფს, რომელიც, თუმცა უძლიერესი ჰიმნია თინათინის მშვენებისა, მაგრამ რუსთველს მის გასაძლიერებლად მაინც გამოუყენებია კითხვა — კრძალვის ფორმულა:

მე ვინ ვაქებ? ათენს ბრძენთა, ხამს,
აქებდეს ენა ბევრი!

მაშასადამე, კითხვა-კრძალვის ფორმულა ემსახურებოდა საქმელოდ სათქმელის გამოსახვას და სწორედ ამით ემთხვეოდა არეოპაგიტულ ნაირობას ან ხერხს გამოთქმისა. კითხვითი ფორმით გამოსახულ მოკრძალებას უნდა აღენიშნა გამოსახვის სიძინელე თუ სილიადე.

ამით პოემის 1665 სტროფის გადმოცემას აღნიშნული სტილისტური თავისებურება ორმაგად ემსახურებოდა: სილიადის გვერდით უკანასკნელ პუკარს მტკიცედ და ორგანულად უკავშირებდა მთელ სტროფს, ურომლისოდაც იგი მოწყვეტილი და მხოლოდ შექანიკურად იყო დაკავშირებული მასთან.

მართლაცდა, საკმარისია უბრალო შედარება ამ მეოთხე პუკარისა მთელ სტროფთან, რომ აშკარა გაჩნდეს: თუ მოყვანილი და რუსთველთან მართლაც ხაზგასმული კითხვითი მეტყველება არ იქნებოდა დაშვებული, არავითარი კავშირი არ მოხერხდებოდა მთელ 1665-ე სტროფსა და მის მეოთხე პუკართან:

ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის
ერთისა წამისა.

ვწერ ვინმე მესხი მეღელქსე მე
რუსთველისად ამისა.

რას ვწერ? ეს მინაწერი აღმნიშვნელია მთელი პოემის ავტორის ვინაობისა თუ დასკვნაა 1665 სტროფის აზრისა? თუ პირველია — ის უადგილოა, რადგან პოემა გრძელდება, თუ მეორეა — ის არავითარ კავშირში არაა უკანასკნელ სტროფთან და ამიტომაც ზედმეტია.

ერთადერთი გამოსავალი მონახა გენი-

ალურმა პოეტმა და კითხვა-კრძალვით
სათქმელის სილიაღეც გამოხატა და პუკა-
რი მთელ სტროფს დაუკავშირა.

ასეთი დიდი ძალა ჰქონდა არეოპაგე-
ლიდან მომდინარე რუსთველის ამ სტი-
ლისტურ თავისებურებას, რაც სრულ
საიდუმლოებას წარმოადგენს დასახე-
ლებული სტროფის ნაწევლებ გადმოცე-
მაში.

საიდან ჩანს ეს ნაწევლებობა (რუსთ-
ველისა და მისა, რუსთავისა და მისა,
რუსთველისად ამისა...)?

ეს ჩანს რუსთველის მეორე თავისებუ-
რებიდან, რომელიც ფორმალურ-პოეტუ-
რი წარმოშობისაა და რომელიც ალიტე-
რაციად არის წოდებული. ალიტერაციას
ხანგრძლივი ისტორია აქვს. რუსთველის
დროისათვის ის საკმაოდ ჩამოყალიბე-
ბული იყო და ზოგიერთ ხაზგასასმელ
გარემოებათა აღსანიშნავად მანაც გამო-
იყენა. ეს არ იყო აზრის გამოსათქმელი
საშუალება და, მასადაამე, სტილისმაგ-
ვარი. მიუხედავად ამისა, ალიტერაციას
მანაც ჰქონდა ერთგვარი მნიშვნელობა
და რუსთველმა ის, ჩვეულებისამებრ,
მოიხმარა ყურადსაღები გარემოების აღ-
სანიშნავად.

ალიტერაცია, როგორც ფორმალური
ხერხი, მათემატიკურ სიზუსტეს საზღვ-
რავს, რაც მტკიცე წესებით გამოიხატე-
ბა. მას ორი ასეთი ძირითადი წესი აქვს.
იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას ალი-
ტერაციული პუკარის შუა ადგილის —
ცეზურის ან მარცხნივ, ან მარჯვნივ, სა-
მი თანაბრად უდერადი ტერფით. მეო-
რე წესით ალიტერაციის ტერფების აღ-
რევა დაუშვებელია. თანაყდერადი უნ-
და იყოს ან დასაწყისი ალიტერაციისა—
მაშინ ის იწოდება ანაფორულად (ე. ი.
წინამარედ), ან მისი ბოლო და მაშინ ის
იწოდება ეპიფორულად (ე. ი. უკუმარ-
ედ).

საკმარისია პირველი საიუბილეო ტე-
ქსტის ამ ადგილს თვალი გადავავლოთ,
რათა ნათელი გახდეს ამ პუკარში ალი-
ტერაციის ყველა წესის დარღვევა:

1) სამის ნაცვლად ოთხი ტერფია —
ვინმე, მესხი, მელექსე, მე.

2) უკანასკნელი „მე“ გადასულია ცე-
ზურის გადაღმა.

3) ვინმე, თუ ის ერთად არის რუსთ-
რული ტერფია, მაშინ როდესაც ორი
სხვა (ცეზურის წინ) ანაფორულა — მე-
სხი მელექსე.

ასეთი დაუშვებელი, უწიგნური, გამა-
ნადგურებელი ფორმა ალიტერაციისა
შეუძლებელი იყო დაეშვა ვინმე ინტერ-
პოლანტს, როგორც ფიქრობენ ამ ადგი-
ლის მწვალკელები. ჩანართების მოსაქ-
მენი, ინტერპოლანტები მომეტებულად
გადამწერლებიდან გამოდიოდნენ და
ისინი იმდენად დაოსტატებული იყვნენ
რუსთველის ტექსტის აღნაგობაში, რომ
ხშირად ძნელი ხდება მათი ნასაქმარის
დიფერენცირება. აქ კი აშკარად იცნობა
მოგვიანო დროის მოფილოლოგო „ვინ-
მე“ მკვლევარი, ან „ვინ მე — მკვლევა-
რი?!“

ამის მთქმელმა, ცხადია, არ უწყის,
რომ მან არა მარტო 1665 სტროფი გაა-
ნადგურა, არამედ ისიც, რომ მან მის ნა-
ნგრევებში რუსთველის მთელი მსოფლ-
გაგება და მასზე აგებული „ეფეხისტყა-
ოსნის“ მთლიანი აღნაგობა დაასამარა. ამ
მსოფლგაგების მიხედვით, ბედნიერება,
რომელსაც ამ სტროფში ასახავს პოეტი.
საფეხური ავისაკენ, რომლის მატარე-
ბელია სიმუხნთლე ქამისა“, რომელიც
„წმი ერთ შემოკლებულია“, როგორც
ამას „ბრძენი დივნოს ვააცხადებს“ ყვე-
ლაზე უფრო არეოპაგიტულ სტროფში
(1492).

მასადაამე, ირკვევა ნათლად, რომ
1665-ე სტროფის სამი პუკარი სავსებით
რუსთველურია, რადგან იგი არეოპაგი-
ტულ ნიდაგზეა აღმოცენებული, რაც
მოითხოვდა მეოთხე პუკარის რუსთვე-
ლურობას. მაგრამ ამ სახით მეოთხე
პუკარს არც მსოფლგაგებით, არც პოე-
ტური ფაქტურით, რუსთველურთან არა-
ფერი საერთო არა აქვს. სინამდვილეში
კი მისი ავტორი ისევე რუსთველია, რო-
გორც ამ სტროფის პირველი სამი პუკა-
რისა.

იმავე დროს ნათელია, რომ სიკეთის
ავისაკენ შემობრუნების მომენტი, რო-

მელიც ბედნიერების, აღმავლობის მომენტით იწყება, რომლის შემდეგ იგი — ბედნიერება — თავის საწინააღმდეგოში გადასვლას იწყებს და წინ ჟამის სიმუხთლის სახით სიკვდილი წარმოუდგება, ბუნებრივი ადგილია ზემოთ აღნიშნული „მეორე“ სტროფისათვის, სადაც გამოთქმულია ვედრება — მიეცეს ავტორს „სურვილი მიჯნურთა სიკვდილმდე გასატანისა“.

რუსთველურად ავი „შემოკლებულია“ და მეორე ნაწილი „ვეფხისტყაოსნისა“ კეთილის შემცველ ნაწილთან შედარებით მოკლეა. თუ ეს ასეა, და ყველა ზემოთ თქმულის მიხედვით ეს ასეა, მაშინ 1665-ე სტროფის ადგილი შემდეგ უნდა ვივარაუდოთ, როცა მიჯნურებს „გარდახდებათ“ ყოველი გარდასახდელი, „განვლენ სოფელს“, „დროის სიმუხთლე“ მის უარყოფაში, ე. ი. „წამერთად შემოკლებით“ თავდება და უარყოფითი ანუ ნეგატიური დიალექტიკა ფსევდო-არეოპაგელისა (პეტრე იბერიისა) „გახდის წამის ყოფით ერთსა ასსად, ასსა ერთად“.

როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ მეორე სტროფის ადგილი მონახულია, ამითვე მიგნებულია 1665-ე სტროფის ადგილი, სადაც იგი უწვალებლად ჩაისმება. საკვირველი ამბავია: თანახმა ვართ ვილაპარაკოთ სოფლის გარდასახადის გარდახდაზე, რასაც სოფლის განვლა სჭირდება და უყურადღებოდა მითოვებული ამ გარდასახადთა თავგადასავალი, რასაც ქართული ენა „თავზეგადასადგდებას“ უწოდებს. ამას თურმე, პოეტის თქმით, „სოფლის განვლა“ ესაჭიროება ვიდრე სიკვდილამდე, და ესეც განზერჩება, თუ მთლიანი „ვეფხისტყაოსნის“ ამოკითხვისათვის არ ვიზრუნებთ, დანართების და ჩანართების საფარქვეშ რომ არის მოქცეული.

„ვეფხისტყაოსანი“ მაშინაა სრული, თუ ბრძოლით მოპოებულ ბედნიერებას მოჰყვება სიავე, რასაც განაგებს „სიმუხთლე ჟამისა“. როცა ეს გადასვლა იწყება, როცა გათავდება აღმავლობა ცხოვრებისა. დიალექტიკურად ახალი თვისო-

ბრიობა, ამ შემთხვევაში პირველის საწინააღმდეგო, იშლებს. აქ არ შეიძლება თავდებოდეს პოემა. ამან გამოიწვიოთ სოფელის ვედრება „— მომეც სურვილი მიჯნურთა სიკვდილმდე გასატანისა“.

აქედან აშკარაა, რომ მიჯნურობის დაგვირგვინებას უარყოფითი, საწინააღმდეგო ხანა უნდა მოჰყოლოდა.

მსოფლიო ლიტერატურამ ვერ შეძლო ისეთი სიტუაციის დასახვა, როგორც რუსთველმა, რადგან ამ ლიტერატურას არეოპაგეტიული ფილოსოფიის მაღლა, რომელსაც ისე თუ ისე იცნობდა, საკმაოდ ვერ უმადვრებდა ნიადაგს. დანტემ და მილტონმაც კი ბედნიერებისა და უბედურების მიმართება, ერთიმეორისაგან განსხვავებით გაშლილი, ვერ მიიყვანეს რუსთველურ გაგებამდე.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მსოფლიო ლიტერატურის დასახელებულმა სანიმუშო მოვლენებმა ერთი რამ ცხადი გახადა: მსოფლიო მასშტაბის ფილოსოფიური პოემა არ შეიძლება დაპირისპირებათა გარეშე შეიქმნას. ეს საერთოა რუსთველსა, ერთი მხრივ, და დანტესა და მილტონს შორის, მეორე მხრივ. მაგრამ სიკეთისა და ბოროტების მიმართება სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი სამი დასახელებული პოეტის მიერ: დანტესა და მილტონს — ორივეს სწამს ბოროტების სინამდვილე სიკეთის გვერდით და მათი შემოქმედება მათი შეფარდების ჩვენებას უნდება.

რუსთველის პოეზია აქ არსებითად განსხვავებულია: სიკეთე მისთვის აბსოლუტურია, მის გვერდით ბოროტება არ არსებობს, რადგან იგი უხანაო და „წამერთ შემოკლებული“, დროის სიმუხთლის მომასწავებელი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რუსთველისათვის სიკეთის გარეშე სიავე უარყოფითი სახით მაინც არ არსებობდეს და ამიტომაც მთლიან პოემას შინაგანი წინააღმდეგობის გამოსახტავი ინსტანცია არ ჰქონდეს, მაგრამ იგი მხოლოდ წამიერია არეოპაგეტიული მსოფლგაგების თანხმად. აქაა უდიდესი საიდუმლოება, რომელიც არ-ყოფნას თან ახლავს და, უხილავად მოცემული,

რუსთველს იგი კითხვა-მოკრძალებით აქვს ნათქვამი, რომ მას — მელექსე მესხს — რუსთველს ამ დიდი სიავის დადებითი მხარის აწვევა განა შეუძლია?

რუსთველს მიეცა „სურვილი მიჯნურთა სიკვდილმდე გასატანისა“ და მეტი პოემას არ ევალებოდა, რადგან იქ ადამიანის გაღმერთების, პეტრე იბერის თქმით. „თეიოზისის“ შესახებ მოძღვრება იწყებოდა, რაც ხელახლად დაბადებას ანუ რენესანსის არეს მოასწავებდა.

მას შემდეგ, რაც მიჯნურებმა სოფლის ვალის გარდახდით ვანჯელს სოფელი, ჟამის სიმუხთლემ თავისი გაიტანა და რუსთველმა დაასრულა „ვეფხისტყაოსანი“: „გასრულდა მათი ამბავი“... და სხვა (სტროფი 2121). ამდენად, მთლიანი „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა არ უნდა იყოს სადავო საკითხი. პოემის ყოფილი მეორე სტროფით, რომელიც ყველა მონაცემის მიხედვით 1665-ე სტროფის ადგილზე გადადის და ყოფილი 1665-ე სტროფის — 2121-ე სტროფის ადგილზე გადასვლით, მოხაზულია საერთო ჩარჩოები სრული „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც მიახლოებით 2000 პუკარზე მეტი უნდა იყოს.

რუსთველის ტექსტის ჩანამატ-დანამატებისაგან გარჩევის საშუალებებზე ბევრი თქმულა, ბევრიც სათქმელია. ერთი მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში არის სიუჟეტური ამბავი, რომელიც ჯერ კიდევ 562-ე სტროფში იწყება:

ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად
რად დამადებინე?
თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა
შემავებინე?

ამ განცხადებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ქორწინებათა შემდეგ პოემის შინაარსის გაგრძელებას სწორედ ამ მხრივ უნდა ველოდეთ. ხვარაზმშა მაშინდელი მორალურ-სადათო ვითარების გამო პირველსავე შემთხვევისას ინდოეთის წინააღმდეგ სისხლის ასაღებ ომს წამოიწყებს. ამას, ცხადია, თავისი პერიპეტები უნდა ჰქონოდა და აქვს კიდევ.

ამდენად, მოთხრობითი, ნარატიული

გარემოების ხაზი მოპოვებულია „მათსამთა გმირთა მნათობთა“ მთლიან ფორნტი უნდა ამუშავებულიყო და მთელი ნიერი ცხოვრების დარღვევის შემდეგ სიმშვიდე კვლავ უნდა აღდგენილიყო. ამას ხანი დასჭირდა, სიბერე მოახლოვდა და „მიჯნურთა სიკვდილმდე გატანება“ გადაუდებელი გახდა. თუ აქ პირველ მონაკვეთს კიდევ ისტორიის, ნარატიულობის ხასიათი აქვს, შემდეგში საამისო არაფერია და წერის ხერხი მძიმე განცდების ქანრის შემცველი უნდა იყოს, რაც არც ელეგიაა, არც აღსარება და არც მისთანა ღრმა განცდათა სახით მოცემული შემოქმედებითი ფორმები, არამედ მათი საშუალებით გადმოცემული მძიმე ამბები ცხოვრების დასასრულის მომასწავებელი.

ეს ფორმა ამბის გადმოცემისა, სიკვდილ-სიცოცხლესთან დაკავშირებული, რუსთველმა ადრეც სცადა და მისთვის ამავე გზის არჩევა შესაფერ სიტუაციაში არც ძნელი უნდა ყოფილიყო და არც მოულოდნელი. ეს იყო „ანდერძი“, რომელიც პირველად ავთანდილის სახელს დაუკავშირდა და მის ამქვეყნიურთან განშორებას უხებოდა. ამ გზაზე სიკვდილიც გამოირიცხული არ იყო და ამიტომ მის ფილოსოფიასაც წარმოადგენდა.

სწორედ ავთანდილის ანდერძშია მოცემული უმაღლესი მწვერვალები სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებისა, მაგ. სტროფი 792.

„ვიწ და მზადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევაღ მტერთაღ“... და სხვ. აქვეა, „რაც ღმერთსა თავსა ჩემსა გარდასავლად... გარდამხდეს“...

აქა სიკვდილ-სიცოცხლის სამრეკლოდან დარეკილი სტროფი: „ვერ დაიქირავს სიკვდილისა“...

აქვეა — სიკვდილის, შესუდრვის და შეწყალების ამბავი (სტროფი 802).

აქა შესანიშნავი ამბავი სამუდამო განშორებისა და იმის აღიარება, რომ „მკვდარსა რალა გარდამხდების!“ (სტროფი 805).

ეს შედეგრი რუსთველს არ შეეძლო



ბულია. „მათ
ა“ მთლიანი
ლოყ და ბედ-
ვევის შემდეგ
დღენილიყო.
ე მოახლოვდა
გატანება“ გა-
ბირველ მონა-
რატულობის
ამისო არაფე-
განდების ეა-
ის, რაც არც
არც მისთანა
ემულე შემო-
მედ მათი სა-
მშიმე ამბები
რომასაყე-
ემისა, სიკე-
ავშირებული,
ა და მისთვის
სიტუაციაში
დყო და არც
დერჩი“ რო-
ლის სახელს
ქვეყნიურთან
ზაზე სიკვი-
ო და ამიტომ
აღადგენდა.
დერჩშია მო-
ვალეები სიკე-
ბებისა, მაგ.
ა მანვე მომ-
და სხე. აქვეა,
სა გარდასავ-
სა სამრეკლო-
ეერ დაჰეი-
სულრების და
ფი 802).
სამუდამო გა-
არება, რომ
არამსდების“
არ შეეძლო

არ გამოეყენებია, როცა საბოლოო გან-
შორებებზე მიდებოდა მიჯნურთა საქმე.
ამ ფორმების გამოყენება „მიჯნურთა სი-
ცივიმდე გასატანისთვის“ აუცილებელ
ხერხად უნდა ჩაითვალოს.
ფრიდონი რუსთაველის გმირების სა-
ერთო მეგობარი იყო და მას უნდა დე-
გვირგვინებინა მათი ამქვეყნიდან გასე-
ვლის ამბავი. ამიტომაც ფრიდონის სიკე-
დილოს შემდეგ პოემა უნდა დასრულე-
ბულიყო და აი აქ არის მოთავსებული
2121-ე სტროფის სახით მეორე სამიჯნო
სტროფი:
გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი
დამისა...
რომელიც დამახინჯებული სახით მო-
ვიდა ჩვენამდე:
ვეწრ ვინმე მუსი მელექსე მე
რუსთაველისა და მისა.
უკანასკნელი სტროფის აქ მოთავსება,
თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული
შემდგომ ხუთი სტროფის საკითხი, იქნე-
ბი იწვევდა და არ იწვევს. ამით რუსთ-
ველმა სრულყო თავისი პოემა სწორედ
ისე, როგორც ეს აღნიშნა პოემის ახ-
ლანდელ მეორე სტროფში, რომელიც
1665-ე სტროფის ადგილას უნდა იყოს.
ყველაფერი აქამდე ნათქვამი, რა-
ოდენ მტკიცე არ უნდა იყოს მისი დასაბუ-
თება, ზოგად ფარგლებს ეხება, რომლის
შიგან მოხვედრილი მასალა დიდ და
ფრთხილ გასინჯვას საჭიროებს, რათა
რუსთაველური მასალა ამოიკრიბოს დანა-
რთი (ჩანართი) მასალისაგან.
რა გზით შეიძლება ეს მონერხდეს?
პირველია სიუჟეტური გადაბმა პოე-
მის თხრობისა, რისი შესაძლებლობაც
ადრეა მოცემული, სახელდობრ, ხვარაზ-
მელი სასიძოს მოკვლასთან დაკავშირე-
ბით ნესტანის მამის ნათქვამი:
ხვარაზმას სისხლი უბრალო სახლად
რად დამადებინე?
ამის დამწერმა რუსთაველმა კარგად
იცოდა, რომ ამ გაკემოების უშედეგოდ
დატოვება არ შეიძლებოდა და როცა სი-
უხეტის განვითარებამ ეს მოითხოვა, რუ-

სთველმა ტარიელის მოულოდნლო დაა-
ვადებით შექმნა პირობა — ხვარაზმას
მეორე შვილის სისხლის აღების ხელსაყ-
რელი შემთხვევისა.
სიუჟეტს თავისი ლოგიკა აქვს, რომ-
ლის დაცვის აუცილებლობას შემოქმე-
დება არა თუ არ აუქმებს, არამედ მით
სუნთქავს. აქ განვითარების ძაფია, მაგ-
რამ მისი გაწყვეტა ჯაჭვის გაწყვეტაზე
ძნელია.
ანდერძი არაა ლირიკული ლიტერა-
ტურული ქანრი, იგი დრამატულობის
გამოხატვის საშუალებაა, სიკვილი-სი-
ციოცხლის მიჯნაზე შექმნილი, ნიშნად გა-
ნშორებისა. მას ორი მისწრაფება ახასია-
თებს: ან ცხოვრებაში შემობრუნება, თუ
საშინაოდ ბედნიერი პირობები მოუწო-
დებენ, ან სიკვილის მიღმა სასტრუქელ
შეხვედრებასა და ბედნიერ სასუფეველზე
რომანტიული დაღადისი.
ამრიგად, ავთანდილს — პირველი ან-
დერძის ავტორს — სიკვილის წინ მეორე
ანდერძი უნდა დაეწერა. ამის გამო
ინტერპოლატორ-ვადამწერლებმა მას
მესამე ანდერძიც დააწერინეს, რაც, ცხა-
დია, შეცდომა იყო, რადგან ანდერძი ამ
ქვეყანაზე ერთია, როგორც სიკვილი.
ფრიდონი, მართალია, ერთ-ერთი მძღუნა-
ფიცია „მათ სამთა გმირთა მნთობთა“,
მიგრამ მას ეკმაბა ტარიელის და ავთან-
დილის „მონობა“ და მისი მსახურება ამ-
თავრებს პოემას.
ასეთი ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ სრუ-
ლი აღნაგობა. იგი ურყევია და ზოგადი
აქ საჭიროა თვითონ შემოქმედებით აბა-
რტში ჩახედვა. ეს, რა თქმა უნდა, შესა-
ძლებელია, რადგან ხელოვნებას აქვს თავისი
მათემატიკა, ესე იგი ზუსტი კანონ-
ზომიერება, რომელსაც ფილოსოფოსები —
იდეალისტი პლატონი და მატერია-
ლისტი სპინოზა მტკიცების გეომეტრი-
ულ წესს უწოდებდნენ. მსოფლიაგების
ნიდავზე, რომელიც მხატვრული შემოქ-
მედების ქარგას იძლევა, მიყენებული და
გამოყენებულია პოეტუკური წესები, ქა-
ნრები, სახეები, პოეტური აქსესუარის
სამი სახე: ფრაზასთან დაკავშირებუ-
ლი — მკაფია, სიტყვასთან დაკავშირებუ-

ლი — ალიტერაცია, ცალკე ხმასთან დაკავშირებული — კონსონანტები, გამოთქმის სპეციფიკა — სტილი. უკანასკნელის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს კიოხვა-მოკრძალებითი (ინტერროგატიული) ფორმა.

ყველა ამას საფუძვლად უდევს მსოფლგაგებასთან (იდეოლოგიასთან) დაკავშირებული ლიტერატურული გამოთქმის ფორმები, რაც სიტყვაწმარებამოცის ხასხე-ბა და ლიტერატურული გაველენის გამოვლენას წარმოადგენს. რუსთველისათვის ასეთია პეტრე იბერის ლიტერატურული გაველენა, ეფერემ მცირეთი და იოანე პეტრიწით გაშუალებული.

თი თქმის ყველა საშუალება, რომლითაც შეიძლება ერთგვარი სიზუსტით გაირკვეს (აჩილის თქმის არ იყოს), ვის რა აღმღვრევი რუსთველის ნათქვამში, რა თქმა უნდა, ეს არაა ადვილი საქმე. სრულად სამართლიანად წერს სოლომონ ყუბანეიშვილი: „ვეფხისტყაოსანში“ ზოგი ჩანართი სტროფი ისე მოხერხებულად არის პოემაში მოხვედრალი, რომ ძნელი ხდება მისი გამორჩევა ძირითად ტექსტიდან“ (ტ. ტ. სამ. აკად. გამ. თბ. 1956, გვ. 09).

ინტერპოლატორებს, ცხადია, კარგად ესმოდათ რუსთველის ლექსის ადნაგობის ზემოთ მოყვანილი ატირებულები და ცდილობდნენ მათ გამოეყენებნენ, მაგრამ სწორად ვერ იცავდნენ პოეტურ ზომიერებას. მათი წარმოდგენით, ვირტუოზობდნენ და ჩანართობას ააშკარაებდნენ, ეს განსაკუთრებით ეხება მაკამებსა და ალიტერაციებს, რასაც დაკვირვებული თვალი ადვილად ხელდავს. აქ დიდი სიფრთხილია საჭირო და განსვენებული აკად. ქ. კეკელიძე მართალია, როცა გვიჩვენებს, თავი შევიკავოთ „მხოლოდ და მხოლოდ მშრალი ფორმალისტური პრინციპით“ ხელმძღვანელობიდან (იხ. მისი ეტიუდები IV, გვ. 15). თუმცა მას თვითონ ძალიან მოსწონს რუსთველის ცნობილი ინტერპოლატორის იოსებ ტფილელის ლექსი „მშვენივლითა არსთა მზე ხარ“, რისი თბილელისათვის მიყვარას. ცაიშვილს საეჭვოდ მაინაია.

რა თქმა უნდა, მთლიანი „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა არაა დღეს-ხვალ გადასაწყვეტი ამოცანა. ის დიდ დაკვირვებასა და შრომას მოითხოვს. ბევრი რამ საინტერესოა მიკვლეული სპეციალისტ-ტექსტოლოგების — განსვენებულ აკად. ქ. კეკელიძის, პავლე ინგოროვას, აკად. ა. შანიძის, აკად. ალ. ბარამიძის, პოეტ-აკად. გ. ლეონიძის, სარგის ციშვილის, სოლ. ყუბანეიშვილის და სხვ. ნაშრომებში, მაგრამ ტექსტებს ფილოლოგიური წაკითხვის გარდა, პოეტური წაკითხვა უნდა და ამ ორი გზის შედგი მივახლოვდეთ „ვეფხისტყაოსნის“ სრულ ტექსტთან.

თუ ზემოთ აღნიშნულ პოეტურ აბრაჯს ზუსტად მივყევნებთ ჩვენამდე მოღწეულ ვეებერთელა მასალას, მაშინ არა მარტო შესაძლებელი ხდება ამ მასალის გადაჩვენება და მეტად თუ ნაკლებად წმინდა რუსთველური ტექსტის გამოვლენა, არამედ, და ეს მთავარია, მთლიანი პოემის ამოხსნაც. მსოფლმხედველობრივად ეს მთლიანობა თავს იჩენს ბედნიერებისათვის აღამიანის ბრძოლის ორმხრივობაში, როცა აღმავლობის გზას დაღმავლობის გზაც უერთდება, რათა მათგან ის მთლიანობა შექმნას, რომელიც ცხოვრების უსასრულო რკალის შემობრუნებას მოასწავებს. ეს მომენტი რუსთველმა დამატებითი სტროფის სახით შეიტანა „ვეფხისტყაოსანში“, როდესაც ცხოვრების იმ ბრუნვაზე ლაპარაკობდა, რომელიც აღამიანის ცხოვრებას მუდამ თანახლავს და რომლისგან მსხნელი მხოლოდ ღმერთია (სტრ. 951).

მომდევნო 952-ე სტროფის დასკვნით ხანაში ტრაგიული გამოითქვამს იმ დიდ საიდუმლოებას, რომლის მიხედვით განმანაწილებელი სიკეთისა აღამიანთა შორის, რაც მათ უთანასწორობას ქმნის. არის ღვთაება. ღვთაებას რუსთველი „დიდი“-ს სახელდებით აღნიშნავს.

კაცი არ ყველა სწორია, დიდი მესკაცით კაცამდის.

რა თქმა უნდა, პოემაში, თუ მას გადასვლები, შემობრუნება, ბრძოლის პერი-

პეტები
ჩერება
არც მინ
რას ავან
ხულობ
სანს სა
ბევრი არ
ვის როლ
ტურის ის
მაგრამ
შემოქმედ
რეს და მ
შასადამე
წვევდებო
შეაჩნია
შენტები

დამსლ
შე
მაგრამ
მოჩენილ
წყარო პ
აზრების
ვორც თ
თავებას
ლიყო, თ
ფხვის მო
დღეს
ლის იღ
დის, იგი

იანი „ვეფხისტყა-
ია დღეს-ბაღალ გა-
ის დიდი დაკვირ-
თხისის. ბევრი რამ
ელი სპეციალისტ-
ნსციენტულ აკად-
ნგროკებს, აკად-
ბარამიძის, პოეტ-
რგის ციშვილის,
და სხვ. ნაშრომე-
ფილოლოგიური
ეტური წაკითხვა
შედევრ მივაგახ-
ნის“ სრულ ტექს-

ულ პოეტურ აბა-
ნებთ ჩვენამდ მო-
ასასალს, მაშინ არა
ხდება ამ მისაღის
რუ ნაკლებად წმი-
ქტის გამოვლენა,
ია, მთლიანი პოე-
მხედველობრივად
ჩენს ბედნიერები-
ოლის ორმხრივი
ბის გზას დაღმავ-
ბა, რათა მათგან ის
ომელიც ცხოვრე-
ის შემობრუნებას
ნტი რუსთველმა
ს სახით შეიტანა
როდესაც ცხოვრე-
ბარაკობდა, რომე-
რებას მულამ თან
ან მსხნელი მხო-
(951).

ტროფის დასკვნით
ტქვამს იმ დიდ სა-
ს მიხედვით განმა-
ა ადამიანთა შო-
ასწორობას ქმნის.
აებას რუსთველი
თ აღნიშნავს.

ბარია, დიდი ძეს
აციით კაცობის.
მაში, თუ მას ვადა-
ა, ბრძოლის პერი-

ბეტები ერთგანზომილებიანი აქვს, შე-
ჩერება შეიძლება სადაც გნებავთ. ეს
არც მაინცდამაინც შემჩნევა და არც
რას აგნებს მომავლდინებლად. ხომ ვკით-
ხულობდით ცალმხრივ „ვეფხისტყაო-
სანს“ საუკუნეთა განმავლობაში. ამით
ბევრი არაფერი დაშავებულა და იგი თა-
ვის როლს ასრულებდა ქართული კულ-
ტურის ისტორიაში.

მაგრამ მაშინ ვამჩნევდით რუსთველის
შემოქმედების მხოლოდ ზოგიერთ მხა-
რეს და მის მსოფლმხედველობას და, მა-
შასადაიშე, ადამიანის ბედის პრუნეს ვერ
ეწვდებოდით. აკად. ნ. მარმა პირველად
შეამჩნია არტოპეიტის რაღაც ფრაგ-
მენტები 884-ე სტროფში —

დამშლიან ჩემნი კავშირნი,
შევრთვივარ სულთა სირასა —

მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო აღ-
მოჩენილი რუსთველის იდეოლოგიური
წყარო პეტრე იბერის გენიალური ნა-
აზრევის სახით. ასეთ პირობებში, რო-
გორც ითქვა, პოემის შეწყვეტა (არა გა-
თავება) შეიძლებოდა ნებისმიერი ყოფი-
ლიყო, ოღონდაც კი სიუჟეტურად რაიმე
ფეხის მოსამკარებელი არსებულებო.

დღეს სხვა მდგომარეობაა. რუსთვე-
ლის იდეოლოგიური ძირები შორს მი-
დის. იგი კლასიკურ მეტყველებობას აც-

რავს და ანტიკური მეტყველებობის მიერ
დაუძლეველ უსასრულობის ცნებას
ფლობს და იყენებს. დღეს ჩვენი მკითხ-
ველისათვის არავითარ სიძნელეს არ წა-
რმოადგენს იმის გაგება, თუ ვინაა „ძალი
უბილივი“, ვინ „საზღვრავს“, ე. ი. საზღ-
ვრულში უსაზღვროსა ხედავს. დღეს არ-
ავის აკვირვებს „ულამო დამე“, რაც ოდ-
ესდაც რუსთველის დიდი მკვლევართაც
აშფოთებდა. თავის დროზეც დიდი ნაი-
რობა პოეტური თქმისა: „დღისით და ღა-
მით ვგედვიდე ცისა ელვათა კართომასა“,
დღეს ახალი შარავანდელით გვევლინე-
ბა, რადგან ცნობილი გახდა პეტრე იბე-
რის „საიდუმლო ღმრთის მეტყველების“
მიხედვით სინათლის ძებნა და პოემა
ბნელი საშუალებით, რადგან — „თვა-
ლთა მისგან უნათლოთა ენტარამცა კვა-
ლად ჩენა“.

„ვეფხისტყაოსნის“ ბედნიერების აღ-
მავლობის შეჩერება ეწინააღმდეგება
რუსთველის მსოფლგაგებას და იგი შე-
იძლება ვათავდეს მხოლოდ იქ, სადაც ძა-
ლაში შედის სიმუხთლე ქამისა, მხოლოდ
არა ერთი (2121-ე) სტროფის წინ,
1665-ე ნომრად ვადატანით, რაც პოემის
სიტყვიერი დასრულება იქნებოდა, არა-
მედ მასთან შემოქმედებითი მიღგომით.
რუსთველს ეს გაკეთებული აქვს და
მას ჩვენც უნდა მივაგნოთ.



ვაჟა გვახაჩია

თაშკარისგადაღებული სპარო გუნიკა

„გარდა ლოში ბაბალთაბან
საგნაურ პის ღა თაჰაჰ
სამხეთაბან“.

თამარის ისტორიკოსი ბასილი გზოს-
მოძღვარი აღნიშნავს: „სახლთა ზედა აკ-
როსტიხურად თამარის შესსხმათა დასწე-
რდეს, ბეჭედთა ზედა... ყოველთა პირნი
ერთბამად მზა იყუნეს, რათა ღირსი რა-
მე თამარის საქებლობისა სიტყუა აღმო-
თქუნან; ყრმანი მემროწყლენი, განებდასა
შინა ორნატათსა თამარის ქებათა მელე-
ქსეობდიან, ერაჱს მყოფნი მეტენნი, გი-
ნა მეჩანგენი, თამარის შესსხმათა მუსი-
კელობდიან: ფრანგნი და ბერძენნი,
ზღუასა შინა მენავენი ნიაფკეთილობათა
შინა თამარის ქებათა იტყოდინ. ესრეთ
ყოველი სოფელი საუცე იყო მის-მიერნ-
თა ქებათა და ყოველი ენა აღიდებდა.
რომელსაცა ოდენ სახელი მისი ასმი-
ოდეს“.

თამარი სილამაზის და სიბრძნის ემბ-
ლემა, თამარი როგორც სახელმწიფოს
ძლიერების სულისჩამდგმელი, აი ის ორ-
სახიზენება, რომელიც ქართველ მემუსი-
კეთა, პოეტთა, რიტორთა, ხელოვანთა
და მემატიანეთა სადიდებელ ჰიმნს წარ-
მოადგენდა.

წმინდანად აღიარებულ ქალ-მეფეზე
ლექგენდებით, სიმღერებით მოიფინა სა-

ქართველოს კუთხეები. „ია და ვარდო
თამარო“ — მღერიან ქართლში, ფშა-
ხეესურეთში თამარის დროსა სალოცავა-
დაა ქცეული, მისი სახელი ბრძოლის
დროს წინ მიუძღვის მიივლთა ლაშქარს.
კახეთში თამარის ძლიერებას აღიღებენ.
მან გაილაშქრა ხონთქარზე, ხომალდში
ჩასხა „ქართველთა ლაშქარი, მრავალს
წყალობას დაჰპირდა“, იმერეთში, მესხე-
თში, გურიაში მღერიან თამარის ქოშზე,
სეანეთში მისტირიან თამარის ძლიერე-
ბას: „თამარ დედოფალო, თამარე? ვინ
გეომა თამარე? ქართლში, როგორც
სახალხო პოეტი გ. ლეონიძე ფიქრობს,
რიტუალ-ფერხულ „შავლეგოში“ ხალხ-
დასტირის თამარის დროის გმირს შალ-
ვა ახალციხელს. თამარის ეპოქამდ აღის
ქართული სუფრულები: „ჩაყრულო“ და
გრძელი „კახური მრავალყამიერი“. ან
ღარბაისლურ სუფრულ ჰიმნში დი-
დებულ სტრუქტურა და სიღრმეა. ამ
სიმღერების კილოების განვითარებას
პირველად ყურადღება მიაქცია პროფ.
შ. ასლანიშვილმა: კილო აქ ფუნქციონა-
ლური თვალსაზრისითაა გამოყენებულ

ევის ს
მეორე
ლოც ს
თოებს
ხლის მ
ნუმენტ
X-XI ს
დებრე
„მეფ
დასაბან
დებოდ
შეხედ
დასხვა
ეს არც
ლი ტრ
საკითხ
ლებას“
მღერა
თემარე
სოფელ
დინად
ქართლ
ველი ს
ოსინდა
რავს სი
ოსნის“
„ვარდა
ბული“
ვი...

ქართ
გრატი
კუთხე
ლინას,
„სწავ
ქეშარი
უპირვე
სასწავ
საგანი
ეხია ძე
ბისა და
პოეზი
ენითა
სამქით
ფოსობა



ისევე, როგორც მას იყენებდნენ ძველი
საბერძენეთის კლასიკური პოეზიის აყვა-
ვების ხანაში. ამ სუფრულში ვხვდებით
მაყარულ მიქსილიდიურ ცილოს, რომელიც
სკეპუნდური მოვლუაციით აფარ-
თოებს პანგის დიამაზონს, დაძაბულს
ხდის მას, სიმღერის ფორმა ისეთივე მო-
წმუნებტური ხდება, როგორც ქართული
X-XI საუკუნეების არქიტექტურის შე-
დეგებზე.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, პოემის
დასაბამიდან, ხალხში სიმღერით სრულ-
დებოდა. საქართველოს ყველა კუთხეში
შეხვდებით ამ დიდებული პოემის სხვა-
დასხვა მელოდეკლამაციურ ვარიანტს.
ეს არც არის გასაკვირი. ძველი ქართუ-
ლი ტრადიციისამებრ, „კითხვა“ გრძელი
საკითხაუებისა ნიშნავდა „ხმით შესრუ-
ლებას“ ანუ დელამირებას. მრავალი სი-
მღერა შეიქმნა რუსთველის შედეგების
თემატების მიხედვით: „ბინდის ფერია
სოფელი“, „ზაფთარი“, „ავთანდილ გა-
დონადირა“, „ნახსენ უცხო მოყმე ვინმე“.
ქართლში ჩაყვრილ „სუფრულში“ პირ-
ველი სტრაფი მთლიანად „ვეფხისტყა-
ოსნიდან“ არის აღებული („ვერ დაიჭი-
რავს სიყვლილსა...“), ასევე „ვეფხისტყა-
ოსნის“ ტექსტზეა აგებული გურული
„გარდასა ჰკითხეს“, გურიაში ფიქსირე-
ბული „მე, რუსთველი“ და სხვა უამრავი...

* * *

ქართველი განმანათლებლის იოანე ბა-
გრატიონის მოძღვრებით „პოეზია“ განე-
კუთვნება იმ რვა სამეცნიერო დისციპ-
ლინას, რომელიც სწავლის ობიექტია,
„სწავლა (კი) არის ცხადი მცნობლობა
ქვეშაობებისა“. იოანე ბაგრატიონი
„უპირველეს სწავლას“ გამოყოფს სხვა
სასწავლო კატეგორიებიდან, პოეზია კი
საგანია ამ „უპირველესი სწავლისა“. პო-
ეზია ძველ ქართულში არის მელოქსეო-
ბისა და მუსიკის მთლიანობა.

პოეზია „არს ხელოვნება გამოთქმად
ენითა ვნებათა თვისთა“. იგი ორგვარია:
საქმიითა და მხედვითი. თუკი ფილოსო-
ფოსობა და მასთან დაკავშირებული „ზე-

ციური ჰარმონიის“ საციოხები განეკუთ-
ვნება „ხედვითი ხელოვნების“ კატეგო-
რიას, „შესაყარობა“, „მოთამაშეობა“
ანუ „მროკველობა“ ეკუთვნის „საქმიით
ხელოვნების“ კატეგორიას. „შიარობა“
თანამედროვე ქართულშიც ამ ძველ-
დაც დაკავშირებული იყო მელოქსეოზი-
სა და მუსიკის სინთეზთან. „ვეფხისტყა-
ოსნის“ პროლოგში ქართულშიც მელო-
ქსის ტრაქტატში შოთა რუსთველი მას
მიიჩნევს „სიბრძნის დარგად“, რომელიც
მისი განმარტებით დასაბამიდან იყო ამ-
გვარ სახედ აღიარებული: „შიარობა პი-
რველადვე სიბრძნისაა ენით დარგია.“
ტრემინი „შიარია“ ქართულში ამ ეპო-
ქაშია დამკვიდრებული, იგი არაბული
წარმოშობის სიტყვაა. ამ სიტყვის ძი-
რია „შდრ“, რომლიდანაც წმარმოე-
ბია სხვა სიტყვები და ცნებები: „ცოდ-
ნის“, „პოეზიის“, „ლექსის“, „პოე-
ზის“, „პოეტის“ და „ლექსის ხელოვნე-
ბის“ აღსანიშნავად.

„პოეზია“ სიბრძნის დარგად ითვლე-
ბოდა უძველეს საუკუნეებში. მისი მეც-
ნიერული არსი წარმოადგენილია ჯერ კი-
დეც არისტოტელეს „პოეტიკაში“. არის-
ტოტელეს „პოეტიკის“ დებულებები
სტრუქტურის, სახეთა დრამატურგიულ
ვარდასახვისა და მოქმედების რაკლური
განვითარების შესახებ გენიალურადაა
გამოყენებული „ვეფხისტყაოსანში“.
პლატონისა და არისტოტელეს იდეების
ხელმეორე აღორძინება მუსულმანურ
აღმოსავლეთში, განსაკუთრებით ბიზან-
ტოასა და ელინური კულტურის ტრადი-
ციების მემკვიდრეთა შემოქმედებაში,
სწორედ X-XIII საუკუნეებში იწყებ-
და აღწევს თავისი განვითარების მწვერ-
ვალს. არაბეთის ხალხურატმა მოგვცა
პლუადა გამოჩენილი მუსიკოს-თეორე-
ტიკოსებისა: თაზიდ-ბენ-ისაკოა აბუბაქ-
რის ბაღში, ალფარაბი, შაფედდინი,
იბნ-სინა, მუჰამედ-იბნ-ისაკ-ბენ-ასბი.

გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი
იოანე პეტრიჭი, ცნობილი ბიზანტიელი
მოაზროვნეების მიქელ ასკლარის და
იოანე იტალისის მიმდევარი, თავის
ცნობილ კომენტარებში „განმარტებაა

ნადა
და ვარდო
თლში, ფშე-
შა სასოლავა-
ლი ბრძოლის
თა ლაქპარს.
ას აღიდებენ,
ე, ხომალდში
არი, მრავალს
ეთთში, მესხე-
მარის ქოშე,
რის მლიერე-
თამარე? ვინ
ში, როგორც
ქე ფიქრობს.
გოში“ ხალხ-
გმისს შალ-
ბოქაშადა აღის
აკრულთა“ და
ყამიერი“. ამ
იბინებში დი-
სილრმეა. ამ
ანანეთარებას
აქცია პროფ.
ფუნქციონა-
მოყენებული

ლოში სამი
ის წარმოდ-
ებული), 2.
ტოლგვერ-
რი). ცოც-
ან ნივთა
ანება ამ ძი-
იტვის ამო-
თორც საწ-
ვითი განზო-
რგანული
პირველი სა-
გვარი რიცხ-
ებს მიმატე-
ამარაგების
5=2+3.

ზონის სამილ დაყოფილ სხეობას წარ-
მოადგენს. „ესეცა სამთა მიერ ფრთონგ-
თ, ვიტყვ სამთა დაბამვთა, რომელთა
მიერ შეინაწიერების ყოველი შეყოველ-
ბული: „მზახრ, ეირ და ბამ, რქმელნი და
რანივე მრთველობანი ძალთა და კმათა-
ნი“. სამი რეგისტრი, სამზმოვანება წარ-
მოადგენს ძირითად საფუძველს კეთილ-
ხმოვანებისა და სწორი ვალობისა. „ამთ
სამთა მიერ შემოქმედობენ კეთილ ფთო-
გოვნებათა, რამეთუ უსწორობისაგან მო-
რთულებათასა მიეცემის სისწორე კე-
თილ დადასვასა მორთულებისასა“. სამი
ერთარსებობა კლასიკური ბერძნული
ფილოსოფიის ტრადიციებზე აღზარდილი
სთანე პეტრიწისათვის, რომლისათვის-
საც ამოსავალი იყო პითაგორეს მიერ
შემუშავებული ბგერათა წყობა, ელინ-
დება კილოთა სამგვარ დაყოფაში: უმაღლ-


ლესი, მაღალი და მაღალზე დაბალი.
ძველ საბერძნეთსა და ბიზანტიაში ეს კი-
ლოები წარმოდგენილი იყვნენ და შესი-
წავლებობდნენ სამი სახით: დიატონურ,
ჭრომატულ და ენჰარმონულ თანამიმ-
დევრობაში, რომელსაც უდიდესი მნიშ-
ვნელობა ენიჭება კლასიკური ბერძნულ
მუსიკისა და მისი შორეული ტრადი-
ციების შემკვიდრებთა მუსიკალური კულ-
ტურის შესასწავლად.
ამ კილოებიდან განვითარდნენ ქართუ-
ლი და ბიზანტიური საეკლესიო მუსიკი-
სათვის დამახასიათებელი კილოები:
ეს კილოები, ცხადია, „ხმები“ არ არის.
„ხმა“ არის კანონიკურად დამკვიდრე-
ბული მელოდიური ფორმულა. ყოველი
გარიაკიცა, დაკლებული ამ კანონიკური
„ხმებიდან“, იწოდება „ჭკერად“. ამ კი-
ლოებსა და ხმებს უერთდებოდა X საუ-

	ქართული	ავონტური	ბიზანტური
	I d e f g a b/h e' d' e'		I d e f g a b/h e' d' e'
	II e f g a b/h e' d' e'	ერთნაირია	II a f g a b/h e' d' e'
	III f g a b/h e' d' e' f'		III f g a b/h e' d' e' f'
	IV g a b/h e' d' e' f' g'	პლაგალური	IV g a b/h e' d' e' f' g'
	V a b/h e' d' e' f' g' a'	განსხვავებულია	V A B/H e d e f g a
	VI b/h e' d' e' f' g' a' b/h e'		VI B/H e d e f g a /h
	VII e' d' e' f' g' a' b/h e'		VH e d e f g a b/h e'
	VIII d' e' f' g' a' b/h e' d'		VIII d e f g a b/h e' d'

კუნის ოქტოვოსებში წარმოდგენილი
ცხრა ვალობა, რომლებიც ლიტურგიკულ
კანონიკას ექვემდებარებოდნენ. სტრი-
ქონს ზემოთ და სტრიქონს ქვემოთ იწე-
რებოდა ოცდაათი ნიშანი, რომელსაც
რიცხობრივი თანაფარობა ედო საფუძ-
ველად. რაიმე თვითმყოფად იეროგლი-
ფებს, როგორც ფიქრობდნენ, ისინი არ
წარმოადგენენ.

გარდა ამ ნიშნების გვხვდება სხვადა-
სხვა პერიოდებისდა მიხედვით პალზა-
ლური ნიშნები: ჯვარი, შავი და წითელი
წერტილები. ვალობაში ყველგან არის
ჰანვის და არა ლექსის მეტრის — (ჰა-
ნიკის) აღნიშვნა. ის ფორმულა, რომე-
ლიც რვა ნიშანს გულისხმობს, უსწო-
როა.

ჯერჯერობით ქართული პროფესიონა-



ნიტიდან ჰე-
თან: დიატო-
მონულ წყო-
ლობა სამგვა-
ს, საშუალოსა
თიანი ღობა-

ლური მუსიკის საწყისები, ქრონოლოგიურად, IX-X საუკუნეებით განისაზღვრება, მაგრამ შესაძლოა ეს ზღვარი საბოლოო არ იყოს. მე-12 საუკუნიდან საქართველოს კულტურის კერებში ვრცელი საკითხავი ტექსტებისათვის მკვიდრდება ეგვონტიკური ანუ პროსოდიული ნიშნები. მათი რაოდენობა ოცდაათია, საკვირველი თანმთხვევა X ს-ის ნიშნითა, ჭრელის და ეგვონტიკურ ანუ პროსოდიულ ნიშნითა რაოდენობის. არა გვგონია რაიმე შემთხვევითობას ჰქონდეს აქ ადგილი.

ბიზანტიურიდან ქართულში შემოტანილია რიგი პროსოდიულ-ეგვონტიკური ნიშნები, რომელთა ჩამოთვლას აქ არ შევუდგებით. ეგვონტიკურ-დეკლამაციური ნიშნები მოცემულია პროსოდიებში და იგი გრამატიკების განუყრელი ნაწილია.

ძველი ქართული მუსიკალური ნიშნები გამოიყენებოდა სამხრეთ-საქართველოს კულტურის კერებსა და სინას მთის ქართველი მონასტრის მგალობელთა შორის, ეგვონტიკური კი—ბიზანტიური ორიენტაციის აკადემიებში: გელათში, იყალთოში, გრემში, შიომღვიმეში, პეტრიწონში და, რაც მთავარია, ათონის იბერთა მონასტერში. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა თვით მოღწეული ძეგლები და მათი აღწერილობანი. მრავალნიშნანი მუსიკის განვითარებისათვის, როგორც იოანე ბგერატიონის და, უფრო ადრე იოანე პეტრიწის შრომების ანალიზმა გვიჩვენა, საემაო დიაპაზონია მოცემული. იოანე პეტრიწთან ეს დიაპაზონი ნიტრიდან ჰიპატრამდეა.

ძირითადი სამაღ დაყოფა. ეს სამი დიაპაზონი იოანე პეტრიწთან იყოლებს: ებერი, ბამი, მზახრი. მრავალნიშნანობა დასტურდება X საუკუნის მუსიკალურ ნიშნებით წარმოდგენილ ჰიმნოგრაფიულ კრებულებშიც, რადგანაც აქ მუსიკალური ნიშნები დაწერილია სინგურით როგორც სტრიქონს ზემოთ, ასევე სტრიქონს ქვემოთ. იმ ხალხებს, რომელთაც ერთხმინი მუსიკა ვაჩნიათ, ძირითადი

ნიშნები უწერიათ მხოლოდ სტრიქონს ზემოთ.

ყოველგვარი მრავალნიშნანობა არ იქონდება პოლიფონიად. პოლიფონიაში ყოველ ხმას უნდა ჰქონდეს თავისი დამოუკიდებელი, თვითმყოფადი განვითარების ბუნება. ქართული მრავალნიშნანობის ნიშნების ნაწილი აღწევს პოლიფონიურობას.

ეკრავულ-მუსიკალურ ლიტერატურაში პოლიფონიური წერის ნიმუშები მრავალია. პროფესიონალურ მრავალნიშნან მუსიკას, რასაკვირველია, გააჩნდა თავისი ხალხური საწყისები, რომლებიც ეკრავის სხვადასხვა ხალხებში დღესაცაა შემონახული.

პოლიფონიური მუსიკის წერის ნიმუშების უძველესი კლასიფიკაცია კილი ახელის გამოკვლევის საფუძველზე Die Notation der Polyphonen Musik (900-1600), Leipzig, 1962) შემდეგია: უძველესი პერიოდი IX-XII საუკუნეები, კვადრატული ნოტაცია: საორგანო-კავალური (1175-1250 წლები), მოტეტები (1220-1240 წლები), წინარე ფრანკონული (1240-1260 წლები), შავი მენზურალური ფრანკონული ნოტაცია (1260-1300 წლები), ფრანგული ნოტაცია (1300-1450 წლები), იტალიური ნოტაცია (1325-1350 წლები), ძველი გერმანული საორგანო ტაბულატურა (1325-1525 წლები), საერთო ნოტაცია (1350-1375 წლები), მენერული ნოტაცია (1375-1400 წლები), თეთრი მენზურალური ნოტაცია (1450-1600 წლები) და ა. შ.

IX საუკუნის მრავალნიშნანი მუსიკის ნიმუშია ორგანუმი, ოთხი საანბანო ნიშნის კომბინაციით აღნიშნული ტონების დასახელება, ყოველი ოთხი ნიშანი ტექტაქორდია, პარალელურ ზაზებზე ტექტი დამარკველია მგლობლის ედერადობის მიხედვით:

„Tu patris sempiternus“ est filius აქ მოცემულია ოთხნიშნანის ნიმუში. მრავალნიშნანი მუსიკის ნიმუშია აგრეთვე გარმაგებელი ორგანუმი. იგი მგლობლური ზაზების ოთხნიშნანი პარალელური

მსვლელობა უკუნეს განსხვავებული ნიშნების სადაც

ტი. სადაც მო ხმების განლაგების აპირად,

და ბიზანტიურიდან შემოტანილის გამოყენებაც. ირკვევა, რომ თამარის ეპოქაში მუსიკის თეორიის საკითხებს განიხილავდნენ ღვთისმეტყველებმაში. მუსიკა, ისევე როგორც ამ ეპოქის ევროპის „კვლევა-რეიკემებში“, ითვლებოდა ძირითად სასწავლო დისციპლინად. ამ ეპოქის თეორიული ტრაქტატებიდან მოღწეულია მხოლოდ ფელდოსაფიური კომენტარები იოანე პეტრიწონელისა, სადაც სათანადო როლი ენიჭება „ხეცეუარე პარამონასთან“ მიმართებაში მუსიკის არსის და თეორიის საკითხთა შეხზოვადებას. ეკვონტიკურ-დღეღამაკური წიწნები მოკეშულია პრუსოდიებში და იგი გრამატიკების განუტრელი ნაწილია. საერო პოეზიის მძლავრი აუდავების ხანას წინ უძღვის ქართული ხელოვნებისა და პინგრაფიის განვითარება, მთელ რიგ გამოჩენილ მოღვაწეთა შემოქმედება, რომელთა შორის გამოირჩევიან: მიქელ მოღრეკელი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდლები, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, დავით აღმაშენებელი, იოანე პეტრიწი, დემეტრე პირველი.

თამარისდროინდელ საქართველოში საგალობლების კრებულები ან ყოველგვარი სასიმღერო ტექსტები წარმოადგენდნენ „მხითა სასწავლი სწავლას“. რაც შეეხება ტერმინებს — მგალობელი და მომღერალი — ისინი საკმაოდ განსხვავებული ცნებები იყო. „ვეფხისტყაოსანში“, თამარის ეპოქის საერო პოეზიის ამ უბრაწყინავალ ძეგლში, არსად ტერმინი „გალობა“ არ გვხვდება, „სიმღერაც“ გაიგება ორგვარი მნიშვნელობით. ერთი თამარის მნიშვნელობით: მაგალითად, „მღერა ნარდლის“ და სიმღერის მნიშვნელობით: „რა ესმოდეს მღერა ყმისა“. ამ ტერმინის შესახებ გამოჩენილი ქართული მეცნიერი თეიმურაზ ბაგრატიონი აღნიშნავს: „მღერა-როკვა, თამარობა, ყრმათა და ვაჟთა შექცევა. თამარა არაბული ლექსი არის, რომელსა ჩვენ თამარობას უხმობთ და ეს ლექსი ჩვენს ენაში დიდი ხანია, რომ შემოტანილი არის. მღერა ჩვენებური ქართულია, თამარობას ნიშნავს, ხოლო სიმღერა საერო გა-

ლობა არის, ანუ სამღერელი რამ, სამღერელი გამოთქამანი. და კვლად სამღერელი ამასაც ნიშნავს, რომ ეციონოდეს კაცოკაცსა, ანუ ხალხში განიციკოდეს კაცო. გალობა მხოლოდ საღმრთოსი არის, საეროს მღერას გალობა არა ჰქვიან. არაბულად თამარა სვლასაც რქვიან და საყურებელი რამ ერთა სახილველი და საიშვიითო. მას ეწოდებენ“ („განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“ გ. იმედაშვილის რედაქციით. 1960 წ. თბილისი, გვ. 6).

ტერმინი „მწყობრი“ იხმარებოდა „ანსამბლის“ მნიშვნელობით. ეს ტერმინი საბა-სულხან ორბელიანის განმარტებით „არს მუსიკა მწყობრი ძალთა და ნესტუთა საყრავთანი და კმოანება ტკბილი გალობათა, თუ სოფლურთა სიმღერათა“.

მეორე ტერმინი ანსამბლის აღსანიშნავად იყო „დასი“. დასის წევრს მოდასე ეწოდებოდა. მწყობრის წევრს მეწყობრე. იხმარებოდა ტერმინი „გუნდი“ და „ხორი“. ანსამბლის ხელმძღვანელი გალობის დროს იყო „მგალობელთა უხუცესი“ და „გალობის მოძღვარი“. გალობის უხუცესი, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, ასწავლიდა გალობას, გალობის მოძღვარი კი ხელმძღვანელობდა მგალობელთა ქორის. ვანთილებული პიროვნება თნად ყოფილიყო „სრული მწიგნობარ-მგალობელი“.

მწყობრის დირიჟორობა ან ხელმძღვანელობა, როგორც ქართული და ძველი ებრაული ბიბლიის პარალელური კონტექსტების შედარებამ დაგვარწმუნა, ქართულში აღინიშნებოდა ტერმინით — „უპირობდათი“. Cantor-ის მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინები: „წინამძღვარი მგალობელი“, „მგალობელთა მოავარი“ და „უხუცესი მგალობელთა“. მაგალითად, გიორგი მთაწმინდელი ათონის იბერთა მონასტერში უხუცეს მგალობლად იწოდებოდა: აკად. ივ. ჯავახიშვილი „ქელოვანთმთავრის“ ტერმინს განმარტავს, როგორც მუსიკალური ჰანგების შემთხვეულ („ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, თბილისი 1938 წ., გვ. 238).

საერო პოეზიაში: მგოსანი ნიშნავს, „მრეწი-იმპროთქმელს. ჩაქმითიდან დეზისი და აედის გახუვორც პ. მ. ლუში“ ად „მგოსნის“ მოქმედი“ (გვ. 554, 555). თვითნავს „სიტყვარსებობდა ვის მგოსანს ლავარისაში მტერთაში სიტყვა: „ტოლღეველს ორდა, ერთობის ფორმის ცეკვავს, მომღერალს მუსიკის შემოთავრალი ეწოდებოდა ნებთან ზახტე ჩამაზია, თის სახობტო მოიყენებოდა „ამკოდეს“. ყოვლას მამს აქედღღ „ზმა“, რომ რაულობს. შესავალში ქლოით იხმამა“ და „მნობრი, როგორც ქობს, უკავს ნიერების ის (გვ. 4-5).

ამ პერიოდ რთულ წერილებულთა მრღება. საფიტი

მელიშვიტით — „მორთა“; სიმთა აწყობას — „მომათია“ („მომართეს“), ამწყობს — „დამრთველი“. „რთვა“ ნიშნავს მღერას და დავკასაყ. „ჰმახ და მორათულებმა“ ერთ კონტექსტში მიუთითებს ხმის და სავარჯის ერთად ქუდრადობაზე. „თხზვანი და რთვანი“ — ნიშნავს კომპოზიტორობას და მესრულეობას. თანახმოვანება აღინიშნება ტერმინით „ერთობმა, შეყოვნებმა“. ვოკალის აღმნიშვნელი სიტყვა ფთონგი ბერძნულიდანაა ნახსენები. „სამუსი“ ნიშნავს მუსიკალურ ხელოვნებას და „სამუსიკოს“. „შეწყობაა სამუსიკოლოთა“ შეესაბამება მუსიკალური ანსამბლის შემმატებლებას, შეწყობას. „მუსიკისათჳს“ ეს ფორმა აღინიშნება ტერმინით „სამუსიკოთა“. საკრავის სიმისათვის იმხარება ორი ტერმინი: „ნართი“ და „ძალი“. ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში დასახელებულია საკრავები: ორსიმინიანი — ორძალი, დამკვრელი იწოდება „მეორძლედ“, სამსიმინი — სამძალი, ოთხსიმინიანი — ოთხძალი, ხუთსიმინიანი — ხუთძალი და ათსიმინიანი — ათძალი. ათძალი შეესატყვისება კითარას, რომელიც იხსენიება იოანე პეტრიჭოთან. სიმის აყდრება იწოდება „ძეგრად ჰმისა“. მუსიკალური ინსტრუმენტის აღმნიშვნელია „საკრავი“. ტერმინი „საკრავი“ ნაწარმოებია, „კრავ“ > „კვრავ“ — დან, რაც მიგვიითთებს მესრულეობის მანერაზე, მისი შესაბამისი მეორე ტერმინია „ძეგრა“. „სიმთა ძეგრა“ მიუთითებს სიმის არა მოზიდვით მესრულეობაზე, არამედ დარტყმით. ჩასაბერ საკრავებზე აღინიშნება ტერმინი „დასაცეს“, იმერეთში ახლაც იხმარება შესაბამისი დიალექტოლოგიური, გადატანითი მნიშვნელობის ფორმა „დასაცეს“.

სიმებანი საკრავებიდან ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება: ჩანგი, ქნარი, ებანი. ჩანგი ფალაური წარმოშობის სიტყვაა, ნიშნავს მოხრილს, ჩანგიდან ნაწარმოებია „ჩანგური“ < „ჩონგური“ ე. ი. ჩანგისმავარი. ჩანგზე დამკვრელი იწოდება მეჩანგედ.

ქნარი შეესატყვისება ძველ ებრაულ „ქინორას“, სირიულ „ქინნარას“, არაბულ

„ქინნარას“, სომხურ „ქნარას“, არაბულ „ქირანას“. არაბულში მეორე ფორმაცაა და აქედანაა ნასესხები თურქულსა და სპარსულში „ქინნარა“, „ქინნრატენ“, ბერძნულში „კინურა“, „კინურა“ — ეს არის ათსიმინიანი საკრავი, რომელიც ქართულში ცნობილია „ათძალი“ და „ქ. ი. წმინდა ქართული წარმოშობის სახელით. ქართულში ვხვდებით ამ საკრავის პარალელურ ფორმას „სახსალმუნეს“, ქნარზე დამკვრელი იწოდება მექნარედ (ჩუბინიშვილის გამოცემით „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 303, 1854, თბილისი). საფსალმუნეზე დამკვრელი და ფსალმუნთ მომღერალი იწოდება „ფსალმუნთ შთქმელად“. ამავე კატეგორიის საკრავებს ეკუთვნის „ბარბითი“. სახელწოდება ბერძნულია, ბარბითი ცნობილია შვიდსიმინიანი, ჩანგისმავარი ინსტრუმენტად და მოსაზრდი საკრავი ჩაღანა. გრ. ჩიკვაძეს — „ებანი“ მიიჩნია სიმებანი საკრავად.

სასულე, ჩასაბერი საკრავებიდან თამარის ეპოქაში ცნობილი იყო: ბუკი, სვერმური, პარალელური ფორმებია: სვერმური, სპილენძმური, სპილენძმური, ცნობილი იყო აგრეთვე: ნესტეი, ოხრი, ნობა-ნობათი, ქარანა, ნაჲ, საყვრი, სტვირი — ყვირისტვირი, ორბანი. „ბუკი“ სპარსული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს სამონადირეო საყვირს, ქართულში იგი იხმარება საყვირის ყველა ფორმისათვის. მაგალითად, გძქლჩასაბერიანი სვანური ბუკი არ შეესაბამება სამონადირეო ბუკს, ის გამოიყენებოდა ხალხის შესაკრებ საკრავად.

ნაჲ არაბული სიტყვაა, ნიშნავს ლერწამს, ლერწმის სალამურს. მისი შესაბამისი ძველი ქართული ფორმაა „სასტვინელი“, უფრო უახლესი — სალამური. იგივე ეს საკრავი უძველესი წარმოშობისაა — არის ენინი და უფრო. სალამური გვხვდება ძველ სამარხებსა და ბარელიეფებზე, ფორმით იგი არის: ერთლერიანი — „მონოკალამოს“ და მრავალლერიანი, ლარქემო ან სონინარი „პოლიკალამოს“.

საყვირის აღმნიშვნელია ნობა, არა-

ბულ-საბასული „შესატყვისება“ საკრავების სახელები „გრეხილი“ „ყვისი“ „ქარანა“ „რინა“ „დამკვრელი“ „საკრავი“ „რი და სის საყვირის საყვირების ტუზე და ბა. ამ პერმეტრივ სტრუქტურა

დასარტყლიანი იყო: სამეტალკი, ეტვანი. ციფი, იგი კი დაარსნავს „წრედაბდელ“ ულს“ — ორდება „მონადირეობის“ დობილი დალოლს ეწოდება „ძველ სალომით ქთანამიდებობა და ტემბულ საკრავები შემდ

წავილულ

არას", არა-
ორე ფორ-
თერქულსა
ქინრა-
ქინრუ-
კრევი, რი-
ნია ათმა-
წარმოშო-
ვლებით ამ
ას, საფსა-
ნი იწოდება
გამოცემით
303, 1854,
დამკვერლო
იწოდება
კატეგორი-
ზარბითი".
ზარბითი
ინგისპეგვარ
დი საკრავი
ბანი" შიჩა-
ბიდან თა-
ბუკი, სხე-
ლებია: სპერ-
ლენდაკერი,
ტეტი, ოხრი,
ა, საყვრი,
ილანი. „ბუ-
სიტყვაა და-
არს, ქართუ-
ყველა ფო-
ძელჩასაბე-
ბაბაზედა სა-
იყენებოდა
შნავს ლერ-
მისი შესა-
კრება, სასა-
სალამუ-
ცესი წარმო-
ა უენო. სა-
მარხებსა და
არის: ერთ-
და შრავალ-
ი „პოლიკა-

ბულ-სპარსულად — „ნუბათუნ“. სპარ-
სული „ნუბათ“, რაც ქართულ ნობათს
შესატყვისება და აღნიშნავს დიდი ფო-
რმის სამხედრო დოლს. ქარანა არის
ვალდობრის უძველესი ფორმის მსგავსი
გრენილი საყრავი, მისი ქართული შესატ-
ყვისია „ძროხაული“. თვით ტერმინი
„ქარანა“ არაბული წარმოშობისაა, „კა-
რანუნ“ არაბულად ნიშნავს რქას. ბუქზე
დამკვერლს ეწოდება მეზუჯე, საყვირზე
დამკვერლს „საყვირის მცემელი“.
სპერმური, სპერტური, სპილენძეუ-
რი და სპილენძტური — დიდი ლითო-
ნის საყვირია. ყოველგვარი ჩასახერი სა-
ყრავების ზოგადი სახელია ნესტვი. ნეს-
ტვზე დამკვერელი მენესტვედ იწოდ-
ება. ამ პერიოდში იხსენიება სტვირი და
მესტვიერი, სტვირის სახეობაა ყვირო-
სტვირი.

დასარტყმელი საყრავებიდან თამარის-
დროინდელ საქართველოში ცნობილი
იყო: სამეფი, წინწილი, ქოსი, ტაბლი,
ტაბლაკი, დუმბული და თვითფერადი—
ეფანი. ცალმხრივ დოლს ეწოდება და-
ფი, იგი კომბალს, ციმბალს შესაბამეა.
დაიარა არაბული სიტყვაა და ნიშ-
ნავს „წრეს“, დაფდაფი — დაბდაბი —
დაბდაფი შესატყვისება სპარსულ „დო-
ულს“ — დოლს. დაფზე დამკვერელი იწ-
ოდება „მედაფედ“, დაფდაფზე — მე-
დაბდაბედ. დაფდაფის და დაფის სინო-
ნიმებია ტაბლაკი და ტაბლი. მცირე
დოლს ეწოდება დუმბული.

ძველ საქართველოში, როგორც წერი-
ლობით ძეგლებში დაცულმა საყრავთა
თანამიმედებობამ დავგარწმუნა, არსე-
ბობადა ტუმბრისდა მიხედვით დაკავშირე-
ბულ საყრავთა ანსამბლები. ეს ანსამბ-
ლები შემდეგი სახისაა:

- წყვილეთუ: ჩანგი — ბარბითი
- ჩანგი — ჩალანა
- ბუკი — ტაბლაკი
- ბუკი — დაბდაბი
- სპერმური — ბუკი
- ორიდანო — ებანი
- დაბდაბი — ნობი
- ქოსი — დაბდაბი
- სამეულთ: ჩანგი — ბარბითი — ნაა
- ნობა — დაბდაბი — ბუკი

ნაა — ჩანგი — დაფი

მრავალწვერა ანსამბლები:
1. ჩანგი — ჩალანა — უდიორდანო — წინწ-
ლი — სპანდარი
2. სპილენძტური — ბუკი — ქოსი — წინ-
წილი.

საკრავთა ასეთი დაჯგუფება შემთხვე-
ვითი არ არის. აქ გათვალისწინებულია
საკრავთა ფორმა, ყურდარობა და გარე-
შო. მავალითად, წყვილეთულებში ერთ-
თურთს უკავშირდებიან სიმებიანი სხვადა-
სხვა ფორმის საყრავები: ჩანგი — ბარბი-
თი, ჩანგი — ჩალანა, მკვეთრი ტუმბრის
ხმურა საყრავები: ბუკი — ტაბლაკი,
ქოსდაბდაბი. ტუმბრი დაცულია სამეგ
შემადგენლობაშიც, მავალითად, ლუსტი
ტუმბრია ბორველ სამეულში: ჩანგი —
ბარბითი — ნაა, მკვეთრი ტუმბრია საზ-
რძოლო საყრავებში: ნობა — დაბდაბი —
ბუკი.

მუსიკალური საყრავები მკვიდროდ
იყო დაკავშირებული ყოფა-ცხოვრებას-
თან. რაინდობის ეპოქის საქართველოში
ისევე, როგორც ევროპაში მინუზინგერე-
ბისა და ტრუბადურებისათვის, ჩან-
გზე დაკვრა და სიმღერა მათი ღირსების
ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი იყო. შემ-
თხვევითი არ არის „ვეფხისტყაოსანში“
ათანდობის შესახებ დაწერილი სტრი-
ქონები:

რა ესმოლეს მღერა ყმისა, სმენად მუცენ
მოკლიან,
მისეგ ხმისა სიტკბოსაგან წყლთ ქვანოცა
გამოსხლიან.

მუსიკა ფართოდ იყო გამოყენებული
სახალხო ზეიმების დროს. მავალითად,
თინათინის გამეფებას შოთა ასე აღწერს:

უყოღდეს და თაყვანი-სცეს მეფემან და მისთა
სპათა,
დლოცეს და მეფედ დასვეს, ქება უბოხრეს
სხვანთი სხვათა,
ბუქსა ჰკრეს და წინწილიან დაატკობდეს
მთათა ხმათა,
ქალი ტირის და ცემულსა აფრტყვის, ჰარის
ყორნისა ბოლო-ფრთათა.

შევედაროთ ეს მონაკვეთი თამარის გა-
მეფების აღწერას.
ჭერ კიდევ გიორგი მესამეს ჰქონდა

გართობა-თამაშობათათვის ნაჭარმაგვესა და მუხრანში აგებული სათამაშო სახლი. „ამირან-დარეჯანიანის“ მიხედვით სასახლეში საგანგებო ზღუდე არსებობდა მუსიკოსებისათვის „სადგომი მებუჯე-მედაბდაბეთა, მოშაითთა“. თვით ზეიმის დროს მგოსნები გარესადგომიდან მღეროდნენ: „გარეთ სადგომი იყო, მგოსნები მუნ იმღერდეს, შაგრამ კმა ესრე გვესმოდა ეითომცა ახლოს დგომილიყვნეს, მოშაითნი მოვიდეს და გვიძღვნის ნადიმი“.

ამ ეპოქის ძეგლებში მოხსენიებული მრავალი საკრავის სახელწოდება აღმოსავლურია, იშვიათად—ძველბერძნული. საერო პოეზიის თემატიკა მკვეთრად განსხვავდება სასულიეროსაგან. მისი იდ-

ეოლოგია შეუთავსებელია ქრისტიანულ მორალთან. სხვაობა ვლინდება ნაწარმოების ფორმაში, ლექსიკაში, ემოციურობაში და, რაც მთავარია, იდეურობაში. ყოველივე ეს, ცხადია, იწვევდა საკულტო მწერლობის ოპოზიციას.

საერო პოეზიის წინააღმდეგ ბრძოლას დიდი ხნის ისტორია აქვს. მიუხედავად ასეთი მტრული დამოკიდებულებისა, საერო პოეზია მაინც იკავავს გზას და თვით კანონიკურ სავალობლებზე ახდენს გავლენას. უცხო ქვეყნებთან ურთიერთობამაც შეუწყო ხელი საერო პოეზიის წარმოშობა-განვითარებას. თამარის ეპოქაში საერო პოეზიამ თავისი განვითარების ზენიტს მიაღწია.



უკვე მეორე სახელობის თემატიკით იღრმავებდა სა „კეისარი დევგენი ზავად წინათ თეატრში მოწაწილეთვეღმა მსახრომლის კლდე აეღვარა პიეს ზარებდა როსის როლის შესრულებით. ტნიორებს პრაკლათ, სპექტლებოდა გვესხვები“. მაგრადით მეღვათ ხილეთ სპექტრული უფლდ კეისარი დეკ ჩენი თეატერეთწოდებო აგერ ნახევარსლავეკის წყალმკვიდრდა ანსტრადიცი, რ

* პროფესორმა ბოლ ჩენი ფერნანდო



აღქმადი პიკსი

ორი პარსკვლავი

უკვე მეორე წელი მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრის სცენაზე დიდი წარმატებით იღმება ბერნარდ შოუს პიესა „კეისარი და კლოპატრა“ (რეჟისორი ევგენი ზავდასკი). არც ისე დიდი ხნის წინათ თეატრის მიწვევით სპექტაკლებში მონაწილეობა მიიღო ცნობილმა ქართველმა მსახიობმა მედეა ჯაფარიძემ, რომლის კლოპატრამაც კიდევ უფრო ააღლვარა პიესა. მანამდე ეს დადგმა გვახარებდა როსტისლავ პლიატის მიერ კეისარის როლის გონიერი და დახვეწილი შესრულებით, და თმცა კეისარის პარტნიორებს პროფესიული ოსტატობა არ აკლდათ, სპექტაკლისათვის უფრო შეიძლებოდა გვეწოდებინა „კეისარი და სხვები“. მაგრამ როცა რ. პლიატის გვერდით მედეა ჯაფარიძე დადგა, ჩვენ ვიხილეთ სპექტაკლი, რომელსაც უკვე სრული უფლებით შეიძლება ვუწოდოთ „კეისარი და კლოპატრა“.

ჩვენი თეატრისათვის უცხოა სცენის ეგრეთწოდებულ ვარსკვლავთა სისტემა. ავტო ნახევარ საუკუნეზე მეტია კ. სტანი-სლავსკის წყალობით ჩვენს თეატრში დამკვიდრდა ანსამბლური სპექტაკლების ტრადიცია, როდესაც პიესას სცენაზე

ძალებს სრული დაძაბვით ხორცს ახამს მთელი დასი. მაგრამ „რეჟისორის თეატრისათვის“ არ კმარა მხოლოდ დამჯერებელი შემსრულებლები, თუმცა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსახიობის ინდივიდუალობას. დადგმას ვერ უშველის ვერავითარი ოსტატური რეჟისურა, თუ მას არ ახლავს თვალსაჩინო აქტიორული მიღწევები.

სპექტაკლში ერთმანეთს შეხვდა ორი არაჩვეულებრივი ინდივიდუალობის მქონე მსახიობი და ამის გამო ბერნარდ შოუს პიესის აზრი უფრო გაღრმავდა.

უპირველეს ყოვლისა, რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა რ. პლიატზე, რომელიც ამ ორი სეზონის განმავლობაში სპექტაკლის ბურჯი იყო. რ. პლიატი სწორედ ბერნარდ შოუს პიესებში ექსცენტრული რეჟიონორების განსახიერებისათვისა დაბადებული და სამუშაოა, რომ ასეთი როლების შესრულება იშვიათად უხდება. ალბათ ამიტომ ჩააქსოვა ამაღნი აზრი თეატრის კეისარის როლის შესრულებაში.

აზიან მსახიობები, რომელთაც შეუძლიათ სცენაზე ჭკვიანად მოგაჩვენონ თავი და აზიან ნამდვილად ჭკვიანი მსახიობები. რ. პლიატი უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის. ამიტომ ქვეყნის სცენიდან ასე უშუალოდ, გულწრფელად მისი სიტყვა-

* პროფესორმა ა. ანიკიტამ ეს სტატია საგანგებოდ ჩვენი ჟურნალისათვის დაწერა.

ბი. ჩვენ ვხედავთ, როგორ აზროვნებს კეისარი, სხვადასხვა სიტუაცია როგორ აიძულებს მას მოიფიქროს და მონახოს საჭირო გადაწყვეტილება. ჩვენს წინაშე დგას არა მსახობი, რომელიც ვაჟებურებულ ტექსტს იმეორებს, არამედ ისეთი კეთსარი, როგორიც ბერნარდ შოუს წარმოგვინა.

მეტად რთულია შოუს კეთსარს სახე. ავტორმა ეს ისტორიული პიროვნება — პირქუში და დაუნდობელი პოლიტიკოსი, ერთმმართველობისათვის მებრძოლი პატიმრობაზე ადამიანი, თავისებურად დახატა. დრამატურება დაუტოვა კეთსარს ისტორიულად ცნობილი ყველა თვისება, მაგრამ თავის მხრივ მიაწერა უდიდესი სიბრძნე, შორსმჭერტელობა. კეთსარს სურდა განეგო ხალხების, სახელმწიფოების ბედ-ილალი. ბერნარდ შოუ ცდილობს დაამტკიცოს, რომ კეთსარს ჰქონდა ამის მორალური უფლება, რადგან ქუთა-გონებითა და მოვლენათა არის წილობის უნარით იგი თავის თანამედროვეებზე მაღლა იდგა. უფრო ნათლად რომ გააოქმეთა კეთსარის დაღებით მხარეები, შოუმ მას სხვა პერსონაჟები ამოუყენა გვერდით.

ლავრონების უფროსი რუფელი (მ. პოგორეუსკი) ტიპური რომელი ჯარისკაცია — სიტყვაძუნწი, პირდაპირი, გულმოდგინე, შეუღრეკელი. ბრიტანუნი, კეთსარის მდივანი (მ. ლავროვი) ქედ-მაღალი, გულცივი ადამიანია. მისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძალაუფლებასთან დაკავშირებულ გარეგნულ ბრწყინვალეებას. იგი ყალბი რესპექტაბელობის განსახიერებაა, რაც ეთითობა რაღაც მნიშვნელობას ანიჭებს ძლიერთა ამა ქვეყნისათა. ორივე ევროპული ტიპის პოლიტიკოსია.

ფტატტიტა, კლემპატრას ძიძა (ს. ბირმანი) და პოტონი, ჭებუკი მეფის პტოლომეს მეურვე (მ. ივანოვი) — ამოსავლური ტიპის პოლიტიკოსები არიან. ორივენი ერთგულად ემსახურებიან თავიანთ ბატონს, რაყი ერთგულება განდიდების საშუალებად მიანიჭათ; თავიანთი მპრძინებლების სახელით რომ მოქ-

მედებენ, საკუთარ ინტერესებზე უფრო ზრუნავენ. ისინი არც ისე პატივმოყვარენი არიან, რომ თავიანთი ძალუფლებდა საჯაროდ გამოხატონ. მათთვის საცხებითი საკამარისია სხვისი ნების შემსრულებელთა, მსახურთა როლი. მაგრამ კლემპატრასა და პტოლომეს კარნახობენ იმას, რისი გაკეთებაც თვით მიანიჭათ საჭიროდ; თავიანთი ინტერესებისათვის არავითარ ბოროტებას არ დაეირიდებიან.

კეთსარი მათზე მაღლა დგას. უპირველესად იგი საღად მოაზროვნე ადამიანია. იგი მოქნილი დიპლომატია და იცის, რომ სახელმწიფოს მართვისას უნდა დეკრდინოს არა ძალას, არამედ გონებას. ეგვიპტის დალაშქრისას კეთსარი მხოლოდ სამხედრო ძლიერებით არ იმარჯვებს. იგი ერთხანს სახიფათო მდგომარეობაშიც კი ჩავარდა: გარემოცული იყო მტრულად განწყობილი ხალხითა და მის ლაშქარზე უმრავლესი ჯარით. კეთსარმა მაინც იბოვა გამოსავალი, რადგან ჯეროვნად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა, გამოიჩინა საზრიანობა და სამხედრო ემაცობით აცობა მოწინააღმდეგეებსაც და თავის თანაშემწეებსაც, რომლებიც თავიანთი ბრმა ერთგულებით არანაკლებ ზიანს აყენებდნენ.

კეთსარს კარგად ესმის: იმისათვის, რომ სახელმწიფო ძალადობის საშუალებით მართო, დიდი ჭკუა არ არის საჭირო. ქეშმარიტი საზოგადო მოღვაწე ადლებს რეალურ ვითარებას, შეიძლება გაუგოს იმ ხალხს, ვასთანაც აქვს საქმე და მათ თავისი სურვილებისამებრ ამოქმედებს ისე, რომ უმბრალო მუქარაც არ დასჭირდება.

შოუს კეთსარი ის ადამიანია, ვისაც ემორჩილებიან გარემომოყონი, რადგან სჯერათ მისი გონიერება და თუ არ სჯერათ, იმსტინქტურად მაინც გრძობენ მის უპირატესობას. კეთსარი უფრო ჭუმინისტი პოლიტიკოსია, ვიდრე დამპყრობელი დიქტატორი. მ. შოუ გვიჩვენებს, რომ ისინი, ვისაც ხელთ უყვრიათ ძალაუფლება, უპირველეს ყოვლისა, პირადი ინტერესებისათვის იბრძვიან. მათ-

გან გამსხვებლობას ზევაი, თავის, მაგრამ მშვიდად რი დასწევთ თვის მთავთს როგორცალები, მტრი დიდებს კეთსარს ერი გზით ერთხელაალობა. თუნდუს ებრძვი იგი — მკვე იყო (საქმეთაძაშობს). უნის მკვლსათვის ვადიძულბულ მკვლელობას კეთსარე არგებლა. ყველაზე კლემპატრჩინდა. მათი ნტიებით მოდა, რომ ხედი ადგილთველ შემთხვევით გარუთი და აზრით, ძლსხვევაში კონპიესაში იმში მდგომკეთსარისა დთიერთობა ინტრიგად უსკამს: თუ გამოიყურევიყვება, არ არის, საბგანსაზღვროპატრას მიჯნგულკრება, გულკრებლის მიმართ



რეგისტრზე უფრო
პატრემოკე-
ბითი ძალაუფლ-
ებითის საყუ-
ნების შემსრუ-
ბლო. მაგრამ
იმის კარნახო-
ვით მიიჩნე-
ვნიერესისათ-
ვის არ დაერიდ-

დავს. უბირვე-
ფენ აღამიანია.
და იცის, რომ
უნდა დაეყრდ-
ნებანს. ეგვიპ-
ტის მხოლოდ სა-
მარჩვეებს. იგი
გამარტობაშიც
იყო მტრუ-
და მის ლაშ-
კის. კეთსარმა მა-
დაღან ჯეროვ-
მდგომარეობა
სამხედრო ემ-
დგეგმვასა და
რომლებიც თა-
ბით არანაგლებ

მისათვის, რომ
საშუალებით
საპირო. ქე-
ფეაწე ადლოს
მას, შეეცდებო-
ბო დაქვს საქმე-
ისამებრ აამო-
მუქარაც არ

მიანია, ვისაც
ოფნი, რადგან
და თუ არ სწე-
ნეც გარბობენ
თი უფრო ჰუ-
ბილიერ დამკე-
შოუ გვიჩე-
ვლთ უპყრით
ყოვლისა, პი-
ბობრძვიან. მათ-

გან განსხვავებით კეთსარი საკუთარ სარ-
გებლობაზე არ ფიქრობს, არ არის გულ-
ზეგი, თავისი თავის ფასი კარგად იც-
ის, მაგრამ არ დიდებულობს: შეუძლია
მშვიდად მოისმინოს საწინააღმდეგო აზ-
რი და ასევე მშვიდად გააბათილოს. მის-
თვის მთავარია საქმის არსი და არა ის,
თუ როგორ უყურებენ ამას სხვები. არა
ყალბი, მოჩვენებითი, არამედ ქეშმარი-
ტი დიდებულება იჭრანობა მასში.

კეთსარს ძალაუფლება მთლიან კანონი-
ერი გზით არ მოუპოვებია. პიესაში არა-
ერთხელა ნახსენები პომპეუსის მკვლე-
ლობა. თუმცა კეთსარს, რომელიც პომპე-
უსს ებრძოდა, თვითონ არ მოუტკავს
იგი — მკვლელი ლუციუს სეპტიმიუსი
იყო (სამეტყველო ამ როლს ა. ზუბოვი
თამაშობს). კეთსარი ედილობდა პომპე-
უსის მკვლელობა მთლიანად ლუციუსი-
სათვის გადაეხრებოდა. მაგრამ შემდეგ
იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ
მკვლელობისათვის პასუხისმგებლობა
მას ეკისრება, ვინც ამ მკვლელობით ის-
არგება.

ყველაზე ნათლად კეთსარს ხასიათი
კლეოპატრასთან შეტაკების დროს გამო-
ნტყით მოსილი. საერთოდ შოუ თელი-
და, რომ ხელოვნებაში სიყვარულს დი-
დი ადგილი არ უნდა მიეკუთვნოს. ყო-
ველ შემთხვევაში, იგი უარყოფდა სიყვარ-
ულთი გამოიწვეულ ტრაგედიას. მისი
აზრით, ძლიერი გნება საუკეთესო შემთ-
ხვევაში კომპეტურად უნდა აისახოს.

პიესაში არის კიდევ ეს კომიზმი. იგი
იმაში მდგომარეობს, რომ ხანდაზმული
კეთსარისა და ნორჩი კლეოპატრას ურ-
თიერთობა „ნორბალურ“ სასიყვარულო
ინტრიგად არ გამოდგება. ბ. შოუ ხაზს
უდგამს: თუ კეთსარი ოდესმე სასაცილოდ
გამოიყურებდა, ეს მხოლოდ მაშინ, როცა
აფიწყებდა, რომ კლეოპატრა მისი ცალი
არ არის. სამედნიეროდ, კეთსარს ძალუძს
განსაზღვროს, რომ არ შეზღუდოს კლეო-
პატრას მიჯნობობა. მაგრამ არ შეუძლია
გულგრილი დარჩეს მომხიბველი ქა-
ლის მიმართ, სანამ არ დარწმუნდება:

კლეოპატრა არ არის ისეთი, როგორც
მის სურს.

კეთსარს უნდოდა კლეოპატრა ქვეყნი-
ილიაღური მმართველი ყოფილიყო, ნამ-
დვილი დედოფალი, ბრძენი და სამართ-
ლიანი: დედოფალი, რომელსაც ხელის-
უფლება არა მხოლოდ მეგვიდერეობით,
არამედ კონტროლი უზარატესობით ეკ-
უთვნის. კეთსარი თანდობდა დარწმუნდა,
რომ მისი ცდა ამაო გამოდგა.

როგორია კლეოპატრა, როგორ დავეი-
ხება იგი ბ. შოუმ? კლეოპატრა არ არის
ის ბიჭიერი არსება, როგორსაც გვიხა-
ტვენს მისი და რომაელი სარდლის, ან-
ტონიუსის სიყვარულის ამსახველი ლე-
გენდები. ამ ლეგენდებმა შთააფრენს შე-
ქსპირიცა და პუშკინიც.

ისეთი მომხიბველი მსახიობისათვის,
როგორიც მეღა ჯაფარიძეა, დიდი ცთუ-
ნება იყო (რაც ბევრ კარგი გარეგნობის
მსახიობს ახასიათებს): უბრალოდ, ეფექ-
ტურ პოზებში ეყვალუნა მაყურებლის
წინაშე. მეღა ჯაფარიძის ტრანტი სწო-
რად იმაში გამოიძლეოდა, რომ მან უარ-
ყო ყველა საშუალება გარეგნული ეფექ-
ტის მოსახდენად. ამის სანაცვლოდ მან
შექმნა დრამა შინაარსიანი სახე, ბოლო-
მდე გახსნა კლეოპატრას ხასიათის შოუ-
სიული ინტერპრეტაცია.

მსახიობმა ძალიან მაკაოიოდ გვიჩვენა
პიესაში კლეოპატრას ხასიათის ჩამოყა-
ლიბების პროცესი. კლეოპატრას ყველა-
ზე მნიშვნელოვანი თავისებურება ის
არის, რომ მოწიფულობაშიც ინარჩუნ-
ნებს ძალაღ ბეშეფერ და, ამასთანავე,
არც მთლად საუკეთესო ბავშვურ თეი-
სებებს.

კლეოპატრა ჭკვიანია, ცბიერი, ანგა-
რიზიანი, ძალაუფლების მოყვარული,
თავნება და ჭირვეული. იგი სასტიკია და
ეს სისასტიკე მის არსებაში ძალიან აღბრ-
იენს თავს. თავდაპირველად ეს არის სი-
სასტიკე გულუბრყვილო ბავშვისა, შემ-
დეგ კი მბრძანებლისა, რომელიც არად
ავდებს სხვათა სიცოცხლეს.

უღაბნოში, სფინქსთან პირველ შეხ-
ვედობისას, კეთსარს კლეოპატრა ბავშვი
ეგონა. მას მოეჩვენა, რომ ამ ბავშვს თა-

ვისი სურვილისამებრ გარდაქმნიდა. ამიტომ დაეხმარა განთავისუფლებულიყო ფტატატიკის მეურვეობისაგან (ფტატატიკის ძალიან გამომსახველად თამაშობს სცენის ვეტერანი სერაფიმა ბირმანი). მაგრამ კლვობატრას სულში უყვე დაუსაღდგრებდა მანკიერ ღესპოტიზმს და მპრძანებლის ახირებულობას: ფტატატიკის მეურვეობისაგან განთავისუფლებული კლვობატრა ახლა თვითონ გახდა ტირანი.

მედია ჯაფარიძემ ძალიან ფაქიზად ვახსნა ღესპოტიკის ფსიქოლოგია, გვიჩვენა, რომ კლვობატრა ვერ წვდება კეისრის ღრმა აზროვნებას, არ შეუძლია სახელმწიფო მოღვაწეებად იაზროვნოს. და საერთოდ, თუ მის წმინდა ადამიანურ თვისებებს შევადვებთ, იგი პრიმიტიული პიროვნებაა. თანდათან იზრდება მისი ძალაუფლება. ის კი გონებით ბავშვი რჩება. მაგრამ გულმბრყვილო და გულკეთილი როლია, ავგული და უზნეო ბავშვი, რომლის ჰირვეულობა სრულიადაც არ არის უწყინარი. ბ. შოუ მაყურებელს აიძულებს ჩაუფიქრდეს იმას, თუ რა საშინელებაა, როცა ხალხების ბედი გონებრივად მოუწყიდებელ ადამიანებს ახარია; ადამიანებს, რომელთაც ძალაუფლება მხოლოდ საკუთარი განდიდების, ახირებული სურვილების შესრულების იარაღად მოიჩინათ.

ასეთი კლვობატრას ხილვა არ უნდოდა ბ. შოუს კეისარს. კეისარი მოთმინებას ასწავლიდა, ასწავლიდა სახელმწიფოს მართვას სისხლისღვრის გარეშე, მან კი ვეტრავულად მოკლა უმწეო მძევალი. მაშინ კეისარმა უთხრა მას: „შენ მათ ბეგლადი მოუტალი და იმათ უფლებას აქვთ მოკლან შენ. მაშინ იმავ უფლებით მე უნდა დაგოცო ისინი თავიანთი აღდგომის მკვლელობისათვის. ისინი კი მომკლვენ მე, რადგან მი შევიტეო მათ ქვეყანაში. შემდეგ კი რომს მოუხდება მათი გავლენა, რომ მთელმა ქვეყანამ ნახოს, თუ როგორ იძიებს რომი შუასათვისი შვილების სისხლისა და შელა-

ხული ღირსებისათვის. და ასე იქნება ქვეყნის დასასრულად — მკვლელობა წარმოშობს მკვლელობას, და ეს ყოველთვის მოხდება უფლებების, ღირსებისა და მშვიდობისათვის, სანამ დიქროტებს სიახლი არ მომზადდება და არ შექმნიან ადამიანებს, რომლებიც გაიგებენ, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება“.

ამ სიტყვებშია არსი ბ. შოუს შესანიშნავი, ტემპარიტი ჰუმანიზმით გამსჭვალული პიესისა. დამპყრობელი კეისარბ. შოუმ ძალადობის საწინააღმდეგე პოლიტიკის მქადაგებლად გამოიყვანა. პიესა კიცხავს მკვლელობაზე დამყარებულ პოლიტიკას. პოლიტიკა გონებს და სამართლიანობას უნდა ემყარებოდეს — ასეთი იყო ბ. შოუს რწმენა.

ბ. შოუს პიესის წერისას მხედველობაში ჰქონდა XIX საუკუნის მიწურულის იმპერიალისტური ინგლისი, მისი სისხლისმძღვრელი პოლიტიკა დამორჩილებული ხალხების მიმართ. პიესა ახლაც ეხმარება საკიბოროტო საიუთებს.

შახტარამ ე. სტენბერგმა მახვილგონიერულად გააფორმა სექტაკლი: ძველი გეგობტის პირამიდების ქვეში მან იგროგლიფებისა და ლურსმული წარწერების ნაცვლად ინგლისური გაზთების ტექსტით დაფარა. და ვერ გაარკვევა ეს ინგლის-ბერების ომისდროინდელი გაზეთები თუ თანამედროვე „ტაიპის“.

სექტაკლის ელვარადობას ამოიერებს ე. გოლიშევის თარგმანი. შოუმ ამ პიესაში გამოიყენა მრავალი გამოთქმა, რომლებიც გასული საუკუნის მიწურულში სავაზეთო პოლიტიკური ეარგონისთვის იყო დაზამასათხებელი.

ბ. შოუ სიცოცხლეშივე იქნა მიჩნეული კლასიკოს მწერლად. „კეისარი და კლვობატრა“ ნამდილად კლასიკური პიესა იმ გაეგებით, რომ იგი დრამატურგის შედევრია. სექტაკლის შემქმნელთა მუშაობამ და განსაკუთრებით კი როსტისლავ პლიატისა და მედეა ჯაფარიძის ბრწყინვალე თამაშმა ეს კლასიკური პიესა ცხოველი და თანამედროვე გახადა.



ქია ჯან

— ხე
ღვთ მკ
რადში. ბ
განსხვად
საგან?
— სა
წარსულის
ისმუდგო
დენად, ა
მის მხატ
შემოქმედ
და იღუტრ
დენა მათ
— რ
შემოქმედ
— ის
დამზასია
— ჩ
ში ისეთ მ

მეზობელი

ჩვენი ჟურნალის თანაშრომელი ეწვია საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარს უჩა ჯაფარიძეს და სთხოვა ეპასუხა რამდენიმე შეკითხვაზე. ფერწერის სახელოვანი ოსტატი სიამოვნებით დაეთანხმა მას და გაუზიარა თავისი მოსაზრებანი. ვაქვეყნებთ ამ საუბრის მოკლე ჩანაწერს.

უჩა ჯაფარიძე:

„მეზობლის ტანაცმის“ მემ მასპრობებ...

— ყველა ჩვენგანისთვის ცნობილია ის ამაგი და ღვაწლი, რაც თქვენ მივიძღვით ხელოვნების უმშვენიერესი დარგის — მხატვრობის ახალი კადრების გამოზრდაში. ბუნებრივია, გვიანტერესებს თქვენი აზრი: რა სიახლე მოაქვთ მათ, რითი განსხვავდება მათი შემოქმედება თუნდაც ომამდელი მხატვრების შემოქმედებებისაგან?

— ახალი თაობის მონაბოვარი მაშინაა დასაფასებელი, თუ ის წარმოადგენს წარსულის მოწინავე ტრადიციების შერწყმას ახლის ძიებასთან. რამდენადაც ომის შემდგომი პერიოდი განსხვავდება წინა ათეული წლების სინამდვილისაგან, ამდენად, ახალი სინამდვილის ამსახველი მხატვრობაც განსხვავდება უფროსი თაობის მხატვრების შემოქმედებისგან. მოვიდა ბევრი ნიჭიერი ხელოვანი, რომელთა შემოქმედების დასაწყისი გეზაზრებს და იმედს გვაძლევს, რომ მათი ოსტატობისა და იდეური მიმართულების განვითარება სწორი გზით წარიმართება, განმტკიცდება მათი ხელოვნების კავშირი ცხოვრებასთან.

— რომელი ნაწარმოები მიგაჩნიათ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანად თქვენს შემოქმედებაში?

— ის, რომელიც ასახავს ჩემი ქვეყნის ბუნების სილამაზესა და ჩემი ხალხის დამახასიათებელ სამაგალითო თვისებებს.

— ჩვენი მხატვრებიდან ვინ მიგაჩნიათ ფერწერაში, გრაფიკასა თუ ქანდაკებაში ისეთ შემოქმედად, რომელმაც საკუთარი კვალი დააჩნია ქართულ ხელოვნებას?

— წარსულში ქართული ფერწერის უცნობი ოსტატები, მონუმენტური მხატვრობის შედეგები რომ შექმნეს. თანამედროვეთაგან: გიგო გაბაშვილი, სანდრო მრეკლიშვილი, მოსე თოიძე, იაკობ ნიკოლაძე, დავით კაკაბაძე, დიაშვილი...

— როგორც ხელოვანი, ვის თვლით თქვენს მასწავლებლებად?

— უშუალოდ ჩემი მასწავლებლები იყვნენ: მოსე თოიძე, ევგენი ლანსერე, ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, იოსებ შარლემანი.

— რით გამოიხატება მხატვრის ეროვნულობა?

— ეროვნული ხელოვნების ტრადიციასთან სიახლოვეთ და საკუთარი ხალხის თანამედროვე ცხოვრების ღრმა ასახვით.

— პიკასო მსოფლიოში აღიარებული მხატვარია. რა არის მასში ისეთი განსაკუთრებული, რითაც აღიარება მოიპოვა?

— პიკასო თანამედროვეობის დიდი მხატვარია; აღიარება მოიპოვა თავისი მაღალი ოსტატობით, არტისტული შემართებითა და დაუცხრომელი ძიებით.

— რითი არის გამოწვეული და რას მიეწერება პიკასოს შემოქმედებითი მრწამსის ხშირი ცვლა?

— უკეთესი იქნებოდა გვეთქვა — გამომსახველ საშუალებათა ხშირი ცვლა. ეს კი გამოწვეულია მსოფლიო ხელოვნებაში მხატვრობის მიმართულებათა ევოლუციით და გარკვეული მრწამსის თანდათანობითი შემუშავებით.

— რომელი ქვეყნის ფერწერა უფრო მოგწონთ და რატომ?

— ყველა ქვეყანას აქვს თავისებური მხატვრობა და ეს თავისებურებანი შეადგენენ მსოფლიო ხელოვნების მშენებარებას. ზოგიერთ ერს გარკვეულ ეპოქაში გააჩნია მოწინავე, მაღალოსტატური, თავისი დროის დიად მისწრაფებათა საუკეთესოდ გამოხატველი ხელოვნება; მაგალითად — საბერძნეთს, იტალიას, ნიდერლანდებს, ესპანეთს, საფრანგეთს, რუსეთს...

— რა შეხედულებისა ხართ აბსტრაქტულ ხელოვნებაზე; აქვს თუ არა მას მომავალი ან რა წვლილი შეიტანა მხატვრობის განვითარებაში?

— იმისდამოუხედავად, ესა თუ ის მხატვარი როგორი ოსტატობით ქმნის ნაწარმოებს, შეიძლება მხატვრული ტექნიკის თვალსაზრისით მისი ქმნილება საინტერესო აღმოჩნდეს.

— აქვს თუ არა ანტიკურ ხელოვნებას გავლენა თანამედროვე მხატვრობაზე?

— ანტიკური ხელოვნება რჩება მიუღწეველ ნორმად, მაგრამ არც ერთი თანამედროვეობის გრძნობით აღპურვილი ოსტატი არც ყოფილა და არც იქნება ამ ნორმის ბრმად მიმბაძველი.

— ჩვენი ახალგაზრდა მხატვრები ხშირად არაპროპორციულ ნაკვეთებს უკეთებენ, ვთქვათ, მამაკაცის ფიგურას. ამით ან სიძლიერეს უსვამენ ხაზს, ან უძლურებას. ასეთი რამ ანატომიური თუ ბიოლოგიური თვალსაზრისით სიმანხინჯედ ითვლება. მხატვრობის თვალსაზრისით რამდენად გამართლებულია ეს?

— მხატვრობაში დასაშვებია ხაზგასმით გამოხატვა რომელიმე დეტალისა, მაგრამ ეს უნდა იყოს დამაჯერებლობის და ზომიერების ფარგლებში.

— როგორ გავიგოთ პრიმიტივისტის სიდიადე. აქედან: რუსო და ფიროსმანიშვილი. რამ განაპირობა ფიროსმანიშვილის საყოველთაო აღიარება?

— პრიმიტივისტის შემოქმედება თითქმის იგივეა, რაც ხალხური შემოქმედება. ხალხურ შემოქმედებაში არის გენიალური მიღწევანი, როგორცია, მაგალითად, „მზავი ვეფხისა და მოყმისა“. ასეთივე ხასიათისაა ნ. ფიროსმანიშვილის ქმნილებანი, რომლებიც თავისებური უშუალობით ასახავენ ქართველი ხალხის ყოფას და ორიგინალურად გადმოგვცემენ მისი ბუნების კოლორიტს. პრიმიტი-

ვისტა შორის ნიკო ფიროსმანიშვილი არის ყველაზე ხალხური, ყველაზე უმუ-
ალო და, შეიძლება, ყველაზე დიდიც. ამიტომ იმსახურებს მსოფლიო სარბიელზე
გასვლას. და დარწმუნებული ვარ, რომ ნიკო ფიროსმანიშვილი ამ შემთხვევაში
ში იქნება ქართველი ხალხის დიდი შემოქმედებითი პოტენციალის გამოხატ-
ველი.

— რა გაკეთდა ახალი, რაც ოფიციალური ხასიათი მიეცა თბილისის მხატვ-
რულ გაფორმებას?

— თბილისი თანდათან მშვენივლია. ამ ბოლო წლებში ამ მხრივ ბევრი რამ გა-
კეთდა, მაგრამ უნდა ვიქონიოთ ზომიერების გრძნობა, ვერიდოთ მოდურ გატაცე-
ბას... თბილისის თავისებურებას ანგარიში უნდა გავუწიოთ.

— რუსთველის საიუბილეო დღეები ახლოვდება. როგორც გავიგეთ, ამჟამად
„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე მუშაობთ. „ვეფხისტყაოსნის“ დღემდე ცნო-
ბილი ილუსტრაციებიდან რომელს თვლით საუკეთესოდ?

— დიდი ხანია სურვილი მაქვს „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებას მოგვიდო-
ხელი. მოყრდნობით შევეუდექი ამ საქმეს. ძვირფასია „ვეფხისტყაოსნის“ დასუ-
რათების მემკვიდრეობა, განსაკუთრებით — მამუკა თავაქარაშვილის მხატვრობა.
რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნის თავისებური ოსტატია. დიდია დამსახურება უნ-
გრელი მხატვრის მიხაი ზიჩისა. მან მალამხატვრულად შეასრულა მრავალი სუ-
რათი და ამით თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიოსათვის „ვეფხისტყაოსნის“ გა-
ცნობაში. ქართული მხატვრობის აღმავლობა საბჭოთა პერიოდში აღინიშნა ლადო
გუდიაშვილის, სერგო ქობულაძის, ირაკლი თოიძის, თამარ ბაკელიას ილუსტ-
რაციების შექმნით. მეჩვიდმეტე საუკუნიდან მოყოლებული მნიშვნელოვანი ტრა-
დიცია არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებისა, რაც ძალზე შთამაგონებე-
ლია.

— ამ ბოლო დროს ჰედური ხელოვნებით გატაცებას აქვს ადგილი. რესტო-
რან-სასადილოებიც კი, ასე ვთქვათ, ჰედური ხელოვნების ნიმუშებით გაივსო. რამ-
დენად მიზანშეწონილია, რომ მოკლე დროის განმავლობაში მან ასეთი გაქანება
მიიღო?

— ჰედურ ხელოვნებას ჩვენი ქვეყანაში დიდი ტრადიცია აქვს. თბილისის
სამხატვრო აკადემიის დამსახურებაა, რომ ეს დარგი აღორძინდა. ყურადღება,
რითაც ჰედური ხელოვნება სარგებლობს, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას
აკისრებს ამ დარგში მომუშავე ოსტატებს.

— თბილისში ახლა მრავალსართულიანი შენობები შენდება. ამით ხომ არ
კარგავს იგი თავის კოლორიტულობას?

— თბილისი, მართალია, უძველესი ქალაქია, მაგრამ მის მშენებლობაში თა-
ნამედროვეობამ თავისი შემოქმედებითი წვლილი უნდა შეიტანოს. ამიტომაც,
ბუნებრივია, ახალ მოთხოვნილებასთან შეფარდებით მრავალსართულიანი შენო-
ბებიც შენდება. იმედი უნდა ვიქონიოთ, ეს სიახლენი შეერწყმება ჩვენი დედაქა-
ლას თავისებურ და ძველ ხუროთმოძღვრებას.

— ახლასან გაზეთები წერდნენ: უნგრეთში გამოიგონეს მანქანა, რომელიც
ნებისმიერი ადამიანის ბიუსტს აკეთებსო. რას იტყვით ამაზე?

— ჩემი რწმენით, მანქანა, რაგინდ გონიერიც არ უნდა იყოს, ვერ შეცვლის
ადამიანის მალალნიჭიერებას და შემოქმედებით შთაგონებას.

— ვინ არის თქვენი საყვარელი მწერალი და რა გიზიდავთ მის შემოქმედე-
ბაში?

— შოთა რუსთველი. სიმღერა ძმობასა, მეგობრობასა და სიყვარულზე.

— თქვენი საყვარელი მსახიობი, კომპოზიტორი?

— უშანგი ჩხეიძე, ზაქარია ფალიაშვილი.

— როგორც ცნობილია, ამ ზამთარს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით ბაკურიანში ჩატარდა ახალგაზრდა ხელოვანთა შემოქმედებითი სემინარი, სადაც თქვენც ბრძანდებოდით. რას იტყვით ამ სემინარზე?

— „საბჭოთა მხატვრის მოქალაქეობრივი ვალი!“ — აი თემა, რაზედაც მიმდინარეობდა სჯა-ბაასი ბაკურიანის სემინარზე. უნდა ითქვას, ასეთი საუბარი მართლაც დროული იყო. უპირველეს ყოვლისა, მე გამახარა ჩვენი ახალგაზრდობის თამამმა აზრებმა, შემართებამ, საქმის ღრმა ცოდნამ. ბევრი იმედისმომცემი ახალგაზრდა გავიცანი სემინარზე. გულანდილმა, პირდაპირმა საუბრებმა ბევრ რამეში ახალი სინათლის სხივი შეიტანა. იმედი მაქვს, ამგვარი სემინარები ბუნებრივ ხასიათს მიიღებს, ესე იგი, სისტემატურად ჩატარდება, რაც ჩვენ, უფროსი თაობის შემოქმედებს, საშუალებას მოგვცემს ახალგაზრდობის საქმიანობის კურსში ვიყოთ.

— რას პირდებით უახლოეს ხანში ხელოვნების მოყვარულთ?

— ახლოვდება რუსთველის დაბადების 800 წლისთავი, ოქტომბრის რევოლუციის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი. ამ დიდი თარიღებისათვის სხვებთან ერთად მეც დიდი მონღომებით ვემზადები.

1500 ნომერი


სამ ათეულზე მეტი წლის წინათ დაიბადა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო — გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. მიმდინარე წლის 6 მაისს გამოვიდა გაზეთის მეათასსუთასე ნომერი.

განუზომლად დიდია „ლიტერატურული საქართველოს“ დამსახურება ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში. მის ფურცლებზე დავაჟაკადა არა ერთი თაობა მშობლიური მწერლობისა. არ ყოფილა ჩვენი ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ იგი ცოცხალი სიტყვით არ გამოხმაურებოდეს; არ არსებობს ჩვენი კულტურის არც ერთი დარგი, რომელზეც თავისი მაღალი, ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვას ჩვენს საყვარელ გაზეთს.

პარტიის XXIII ყრილობამ ახალი საბრძოლო ამოცანები დაუსახა ჩვენს მწერლობას. უეჭველია, „ლიტერატურული საქართველოც“ თავის წვლილს შეიტანს ამ ამოცანების ღირსეულად შესრულებაში.

ჟურნალი „ცისკარი“ მსურვალედ მიესალმება გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“, მის სარედაქციო კოლეგიას, გაზეთის ყველა — ძველსა და ახალ — მუშაკს და უსურვებს ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებას.

დაე, მუდამ ხმამაღლა ისმოდეს „ლიტერატურული საქართველოს“ მებრძოლი, პრინციპული, პირუთვნელი სიტყვა!



აღიქსნარეა გოგოვსკი

წარსულის საკვირველი სიზნალები

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ალექსანდრე გორბოვსკი ძირითადად მუშაობს ისტორიის ჯერ ამოუხსნელ და საიდუმლოებით მოცულ საკითხებზე. მისი ნაშრომები ხშირად იბეჭდება სხვადასხვა სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალებში. მის ერთ-ერთ ნაშრომს — „ისტორიის ძველთაძველი გამოცანები და ახალი ჰიპოთეზები“ ქართველი მკითხველი პირველად გაეცნო 1963 წელს („ცისკარი“ № 12). აქ წარმოდგენილი ნაშრომი მკვლევარმა პირადად გადასცა მთარგმნელს. ეს არის დღემდე გამოუქვეყნებელი ნაწილი, ერთი თავი ა. გორბოვსკის წიგნისა, რომელსაც წელს გამოსცემს „ზნანიე“.

ავტორს საჭიროდ მიიჩნია რამდენიმე სიტყვა წარუმძღვაროს ქვემოთ ნათქვამს. მას აზრად არ ჰქონია ამ წერილში რაიმე კონცეფცია ან თეორია განევითარებინა. მისი სურვილი მხოლოდ ისაა, ცნობებისა და ფაქტების რიგი წარმოადგინოს და თვალი გაადევნოს, თუ როგორ ითხზება ეს ყოველივე ერთ გარკვეულ სურათად. ხოლო ამ მიმართებით წამოჭრილი კითხვები ავტორს საგულისხმოდ ეჩვენება და ამის გამოა რომ კადნიერდება და მკითხველთა ყურადღებას მიაპყრობს მათ.

მრავალი ძველი ტექსტი შეიცავს საყურადღებო ცნობებს, რომელთა თანახმადაც უშორეს წარსულში ერთობ დიდი ცოდნა უნდა არსებულიყო. ზოგნი ნა-

რთულად გვაუწყებენ ამას, სხვანი პირდაპირ გვეუბნებიან. ამის თაობაზე ხშირადაა ლაპარაკი ქვეყნიერებისთვის თავს დამტყდარ რაღაც კატასტროფისთან დაკავშირებით. ამ კატასტროფამდე კი ვიღაც ხალხი ცდილობდა არსებული ცოდნა მომავალი თაობებისთვის გადაერჩინაო. ასე, ბაბილონელი ქურთუმი და ისტორიკოსი ბეროსი მოგვითხრობს: ბაბილონის ერთ-ერთმა მმართველმა, ქსისუთროსმა, მოსალოდნელი კატასტროფის ამბავი რომ აცნობეს, ბრძანა დაეწერათ „ყველა ამბის დასაბამის, მდინარეებისა და დასასრულის ისტორია“ და ეს ტექსტი მზის ქალაქში — სიფარში დაეფულათ. წარღვნის შემდეგ გადარჩენილმა ქსისუთროსმა ბრძანა მოეძებნათ ის

ჩანაწერი და წარღვნისაგან თავდახსნილ-
თათვის ეჩვენებინათ.

ეგვიპტელი ისტორიკოსი მანეთონი
გვაუწყებს: როცა კატასტროფის მოახ-
ლოება ცნობილი შეიქნა, სვეტებზე დი-
დმნიშვნელოვანი ცოდნის შემცველი წა-
რწერები გააკეთესო. ეს წარწერები
იეროგლიფურად შეუსრულებიათ ტოტ-
პომის (ბერძნულად ჰერმესის) საღმრთო
ენაზე, კატასტროფის შემდეგ კი საიდუმ-
ლო ენიდან უთარგმნიათ და ტაძრის წი-
გნებში ჩაუწერიათო.

ისტორიკოსი და სწავლული იოსებ
ფლავიუსი მოგვითხრობს იმ ხალხის ამ-
ბავს, „რომელთაც შექმნეს ციური სხეუ-
ლებისა და მათი აღნაგობის მეცნიერე-
ბა“. იმის შიშით, მოახლოებული კატას-
ტროფა დაგროვილ ცოდნას დაგვიკარ-
გავსო, მათ ორი სვეტი აღუმართათ —
ავსოსი და ქვისა. მათზე წაუწერიათ თა-
ვიანთი ცოდნა იმ იმედით, რომ, „თუკი
ავსურის სვეტმა ვერ გაუძლო და წარღვ-
ნის დროს წაიღეკა, ქვის სვეტი მაინც
გადარჩება და ხალხს ამცნობს, რაც ზედ
არისო წარწერილი“. ფლავიუსის სიტყ-
ვით, ქვის სვეტი მის დროს ჯერ კიდევ
მდგარა.

არაბი ისტორიკოსი მასუდი ჩვენამდე
მოუღწეველ წყაროებს ემყარებოდა და
წერდა: „წარღვნამდე მცხოვრებმა ერთ-
მა მეფეთაგანმა — სურჰიდმა ორი ვეება
პირამიდა ააგებინა და ქურუმებს უბრძა-
ნა: აქ გადაამალეთ ჩანაწერები თქვენი
ცოდნისა და იმისაც, რაიც სხვადასხვა
ხელოვნებისა და მეცნიერების დარგში
მოგიპოვებიათ, რათა ეს ცნობები იმთ-
თვის მაინც გადარჩეს, ვინც შემდგომში
მათს გაგებას შეძლებსო. მანვე ჩააწერი-
ნა ვარსკვლავთა განლაგება, მათი ციკ-
ლები...“

შესაძლოა, ამ ცნობებში უნდა ვეძებ-
დეთ ახსნას ძველად მცხოვრებ ხალხთა
მოულოდნელად დიდი ცოდნისა, კერ-
ძოდ, ასტრონომიის დარგში. ამ ხასია-
თის მრავალგვარი ცოდნა, რომელიც თა-
ნადროულმა მეცნიერებამ ხანგრძლივი
და ტანჯული გზებით მოიპოვა, უძველეს
დროს დასრულებული, მზა სახით ხელთ

ქონიათ უკვე და ჩვენ ვერაფრით მიგ-
ვიკვლევია იმ წყაროებისთვის, რომლებ-
ბიდანაც უნდა მიეღოთ ეს ცნობები.

1600 წელს, სულ რაღაც სამნახევარი
საუკუნის წინათ, ინკვიზიტორებმა კო-
ცონზე დაწვეს ჯორდანო ბრუნო. მხო-
ლოდ იმიტომ დაწვეს, რომ იმ დროისათ-
ვის ფანტასტიკურად მისაჩნევი აზრი გა-
მოთქვა — სამყარო უსასრულოა და მრავ-
ლის უმრავლესიაო ჩვენი დედამიწისაი-
რი დასახლებული ქვეყნიერება. ოღონდ
ბრუნომდე ათასობით წლის წინათ ეს
იდეა გამოთქმული იყო (თანაც ვარაუ-
დად კი არა — უუქველ ქეშმარიტებად)
ძველი ინდოეთისა და ტიბეტის საღვთო
წიგნებში. ძველ სასწავლებელ წიგნში
„ვიზნუტურანაში“ ნათქვამია, რომ ჩვენი
დედამიწა მხოლოდ ერთ-ერთია მის
მსგავს მილიონობით დასახლებულ ქვე-
ყნიერებას შორის, რომლებიც სამყარო-
ში არსებობს. ბუდისტური ტექსტების
თანახმად, „ყოველი ამგვარი ქვეყნიერე-
ბა ცისფერი ჰაერის ანუ ეთერის გარსით
არის გარემოცული“ („ტიბეტური მიც-
ვალეულთა წიგნი“).

როგორც ცნობილი არქეოლოგი ა. მა-
სონი გვაუწყებს, ძველ პერუსშიც არსე-
ბულა გადმოცემა — შორეულ ვარსკე-
ლავებზე აღამიანის მაგვარი არსებანი
ცხოვრობენო. მისი აზრით, ეს გადმოცე-
მა ინკებამდე პერიოდში უნდა იღებ-
დეს სათავეს.

ქვეყნიერებათა სიმრავლე ძველიუდე-
ურ ფილოსოფიურ-მაგიურ წიგნში „კა-
ბალაშიც“ მოიხსენიება.

ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ,
თუ როგორ მკვიდრდებოდა სხვა ქვეყ-
ნიერებათა დასახლებულობის იდეა ევ-
როპულ ასტრონომიაში. ამ იდეის დამკ-
ვიდრება დაკავშირებულია ისეთ სახე-
ლებთან, როგორცაა გალილეი, ჯორდა-
ნო ბრუნო, კოპერნიკი, კეპლერი. საუკუ-
ნეთა მანძილზე მრავალი მსხვერპლის,
ინკვიზიციის კოცონთა ფასად, დიდი გა-
ჭირვებით მიიკვლევდა გზას ეს იდეა, ვი-
დრე საყოველთაოდ აღიარებული შეიქ-
ნებოდა. ძველად მცხოვრებ ხალხებს კი

როგორღაც მზა სახით გაუჩნდათ ამგვარი წარმოდგენა.

ასევე მოულოდნელი და აუხსენელია ზოგიერთი ძველი ცივილიზაციის ცოდნის უჩვეულოდ მაღალი დონე ასტრონომიის დარგში.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში ერატოსთენ ალექსანდრიელს დედამიწის ეკვატორი 39818 კილომეტრის სიგრძისად მიაჩნდა. ამგვარი მასშტაბებისთვის ეს თითქმის ზუსტი ციფრია. ერატოსთენ ალექსანდრიელი სულ რაღაც 257 კილომეტრით ცდებოდა.

ფრანგი ასტრონომის ტ. მოროს აზრით, ხუ-ფუს (ხეოპსის) პირამიდის სიმაღლე იმაზე მეტყველებს, რომ მის შემქმნელთ — ძველ ეგვიპტელებს უნდა სცოდნოდათ მანძილი დედამიწიდან მზემდე. პირამიდის თავდაპირველი სიმაღლე (148,208 მეტრი) დედამიწიდან მზემდე მანძილის ზუსტად ერთი მემილიარდეა.

ეს თუ დამთხვევა არაა და პირამიდის სიმაღლე თუ მართლა მზემდე მანძილს გამოხატავს, განსაკვიფრებელ ფაქტთან გვექონია საქმე! თანადროულმა მეცნიერებამ გრძელი გზა განვლო, ვიდრე ამ ციფრს მოიპოვებდა. ჯერ კიდევ კოპერნიკსა და ცნობილ ასტრონომს ტიხო ბრაგეს ეს მანძილი სულ 9 მილიონი კილომეტრი ეგონათ. კეპლერი ამტკიცებდა — 58 მილიონი კილომეტრიაო. XVII საუკუნეში მრავალი ასტრონომი ამბობდა 219 მილიონ კილომეტრს. და, ბოლოსდაბოლოს, მხოლოდ გასული საუკუნის დამლევს გაზომეს უფრო ზუსტად ეს მანძილი: იგი 148,66 მილიონი კილომეტრი გამოდგა.

საქმე ისაა, რომ ამ მანძილის გაზომვა ერთობ ძნელი რამ ყოფილა. ორი დამკვირვებელი დედამიწის ორ საპირისპირო კიდევ უნდა იმყოფებოდეს და მზის დგომის კუთხეს ერთდროულად უნდა ზომავდეს. სულ ერთი გრადუსით გადახვევასაც კი თითქმის 2 მილიონ კილომეტრამდე შეცდომა მოჰყვება. ნუთუ შესაძლოა წარმოვიდგინოთ, რომ ესოდენ შორეულ ხანაში, ესოდენ რთული მეთოდით,

ვიღაც ხალხს ასეთი დიდი სიზუსტისათვის მიეღწიოს? თუ ეს მანძილი განისაზღვრა რაღაც სხვა მეთოდით, რა მანძილის შესახებაც ჯერჯერობით არაფერი ვიცით?

ასევე აუხსენელია ის ფაქტიც, რომ ეგვიპტურ ტექსტებში არის ცნობები მეხუთე სიდიდის ვარსკვლავთა მოძრაობის შესახებ, ესე იგი ისეთ ვარსკვლავთა შესახებ, რომელთა დანახვა შეუიარაღებელი თვალით, როგორც წესი, შეუძლებელია.

აწინდელი მექიკის ძველ მკვიდრთ — აცტეკებს სცოდნიათ დედამიწისა და ციურ სხეულთა სფეროსებურობა. ოღონდ აცტეკებს არ მოეძვევებოდათ არავითარი ასტრონომიული ხელსაწყო, რომლის მეშვეობითაც თვითონვე შეძლებდნენ ამგვარ დასკვნამდე მისულიყვნენ. არც ეგვიპტელებს ჰქონიათ ეს ხელსაწყო, მაგრამ მათაც კარგად მოეხსენებოდათ, რომ დედამიწა სივრცეში მოძრავი სფეროა. „მზის ქალღმერთი იტყვის: წინაშე ჩემსა მიწა ღვთისა, ვითარცა ბურთი მრგვალი“ („ლეიდენის დემოტური პაპირუსი“). სხვა პლანეტებსაც სფეროებს უწოდებდნენ ეგვიპტელები, ხოლო მზე მათთვის იყო „ქალღმერთ ნუს წიაღში (ცაში) მკურავი სფერო“.

ძველმა ბერძნებმაც უწყოდნენ დედამიწის სიმრგვალის ამბავი. მითები მოგვითხრობენ, რომ ატლასი, რომელსაც ცის კაზადონი ემყარებოდა, შორს, დასავლეთ მხარეს იმყოფებოდა, „სადაც მზე მასწინაც ბრწყინვალეობს, როცა საბერძნეთში ჩასულია უკვე“.

წარსულიდან მოღწეულ ჩვენთვის უცნობ წყაროებს და არა თავის თანადროულ პრაქტიკულ გამოცდილებას ემყარება პლატონიც, როცა ამბობს — დედამიწა მრგვალი სხეულიაო, სფეროა, რომლის ბრუნვაც არისო დღე-ღამის მონაცვლეობის მიზეზი.

იგივეს ამოკითხვა შეიძლება „კაბალაში“: „მთელი დასახლებული ქვეყნიერება წრისებურად ბრუნავს. ერთნი რომ ქვემოთ არიან, სხვანი ზემოთ იმყოფები-

ან... ქვეყნიერების ერთ ადგილას რომ ღამეა, სხვაგან დღეა მაშინ“.

XVIII საუკუნეში ცხოვრობდა ერთი საინტერესო კაცი, რომელსაც ჩვენ მწერალად უფრო ვიცნობთ, „გულივერის მოგზაურობის“ ავტორად. ოღონდ ცნობილია, რომ ეს კაცი დიდად იყო დაინტერესებული ძველთაძველი მოძღვრებებით და ძველი წიგნებით თუ ხელნაწერებით. ამ წიგნებში ხომ არ მიაკვლია მან ცნობებს მარსის ორი თანამგზავრის შესახებ, რომლებიც „გულივერის მოგზაურობაში“ აქვს მოხსენიებული?

სვიფტმა ისინი მოიხსენია დიდი ხნით ადრე მანამდე, ვიდრე იმდენად მძლავრი ტელესკოპები შეიქმნებოდა, რომ საერთოდ შესაძლო გამხდარიყო მზის სისტემის პლანეტათა თანამგზავრების დანახვა, 156 წლით ადრე ამ თანამგზავრების აღმოჩენამდე. ამასთან, სვიფტისეული მონაცემები ამ თანამგზავრთა პლანეტებიდან დაშორებისა და ბრუნვის დროის შესახებ საოცრად უახლოვდება სინამდვილეს. ერთი იმ სხეულთაგანი, ფობოსი, პლანეტისავე მიმართულებით ბრუნავს, ოღონდ გაცილებით უფრო სწრაფად. ამიტომ დამკვირვებელს უნდა მოეჩვენოს, თანამგზავრი დასავლეთით ამოდის და აღმოსავლეთით ჩადის, ესე იგი ცარგვალის მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით ბრუნავსო. სვიფტს ეს თავისებურად უნიკალური ამბავიც ჰქონდა მოხსენიებული. ცხადია, ამგვარი რამ მხოლოდ დამთხვევით ვერ აიხსნება. ერთობ ბევრი რთული შესატყვისობა იყრის თავს საიმიხოდ, რომ შემთხვევითობისა თუ დამთხვევის გამო შეიძლებოდადეს სიტყვის ჩამოგდება. ამავე დროს კი არც ის ვიცი, თუ სად უნდა ვეძებოთ სვიფტისეულ ცნობათა წყაროები.

ამ რამდენიმე წლის წინათ ანდების პლატოზე აღმოჩნდა ეგრეთწოდებული არხები ანუ „ინკების გზები“. აეროფოტოგადაღებამ ცხადყო, რომ ეს იმდენად გზები არ უნდა ყოფილიყო, რამდენადაც უზარმაზარ, სწორ გეომეტრიულ ფიგურათა და სხვა გამოსახულებათა სისტემა. ოღონდ ეს გეომეტრიული ფიგურები

თუ გამოსახულებები მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული სიმაღლიდან იხილებოდა. ყველაზე უკეთ 300 მეტრის სიმაღლიდან ჩანს. ამ ფიგურების ზოგიერთი ხაზი უდიდესი სიგრძისაა — 15 კილომეტრს აღწევს. ამასთან, ამ ხაზების საოცარი სიზუსტე სრულებით არაა დამოკიდებული ნიადაგის უსწორმასწორობაზე. მკაცრი სიზუსტით კვეთს ეს ხაზები კლდოვან ფერდობებს, ველებს, მდინარეთა დამშრალ კალაპოტებს. ზოგიერთი სურათი მეორდება პირველისდაგვარი თანმიმდევრობით, თითქოს გიგანტური ტრაფარეტის ანაბეჭდები ყოფილიყოს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ეს უნდა იყოს გამოფიტვისა და ბუნების ძალთა მოქმედების შედეგი. სხვები აეროფოტოგადაღებათა შესწავლის საფუძველზე ამტკიცებენ, რომ ანდებში უნდა გვქონდეს მსოფლიოს უდიდესი ასტრონომიული კალენდარი, რომელზეც ხაზების მიმართულება და სიგრძე სხვადასხვაგვარ ასტრონომიულ კანონზომიერებებსა და ვარსკვლავთა მოძრაობის გზებს უნდა აღნიშნავდეს.

ის გარემოება, რომ ეს ფიგურები მხოლოდ მაღლიდან ჩანს და რომ მათი შესწავლა მხოლოდ აეროფოტოგადაღებათა მეშვეობით მოხერხდა, გვიძულებს გავიხსენოთ წარსული დროის მიერ მოწოდებული ზოგიერთი უცნაური ცნობა. მხედველობაში გვაქვს რაღაცნაირი საფრენი აპარატები და გამანადგურებელი იარაღი, რომლებიც თითქოსდა უნდა არსებულებოდა უშორეს წარსულში.

ცხადია, ჩვენ გვესმის, თუ რარიგ ფანტასტიკური ჩანს ერთი შეხედვით ამგვარი მოსაზრებები.

ხალხს ფრენა შეეძლო?

სხვადასხვა ხალხს მრავალი გადმოცემა შემოუნახავს იმგვარ ღვთაებათა და გამირთა შესახებ, რომელთაც ძველისძველ დროს უცხოვრიათ და ფრთოსანი ეტლის მეოხებით ჰაერში გადაადგილება შეძლებიათ. რასაკვირველია, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ლეგენდებში

ასახა ხალხის პოეტური ოცნება ჩიტი-
ვით ფრენისა.

მაგრამ ისეთი ცნობებიც შემონახუ-
ლა, რომლებიც რამდენადმე გამოირჩევა
სხვებისგან. ეს არის ძველი ინდური და
კელტური გადმოცემები. მათში მოიბო-
ვება არა მარტო საკმაოდ დაწვრილები-
თი და რეალისტური აღწერა საფრენი
აპარატის შესახებ დაობისა, ამ აპარატების
შინაგან მოწყობილობაზეც არის ნათქვა-
მი ცოტა რამ. ვიდრე ჩვენს ცაზე პირვე-
ლი თვითმფრინავი გამოჩნდებოდა, ამგ-
ვარ აღწერას მხოლოდ დიმილი შეეძლო
გამოეწვია. მაგრამ ახლა ეს ყოველივე
გვაძლევს კარგად ჩაუფიქრდეთ
მსგავს ამბებს.

ფ რ ე ნ ი ს დ რ ო ს ძ ლ ი ე რ ი ხ მ ა
გ ა მ ო ს მ ო დ ა. „რა გათენდა, — ვკი-
თხულობთ ძველინდურ ებოს „რამაიანა-
ში“, — რამა ჩაბრძანდა პუშპაკას მი-
ერ ბოძებულ ციურ ეტლში და გასაფრე-
ნად გაემზადა. ეს ეტლი თავისთავად იძ-
ვროდა. ვეება იყო და ფერადოვანი. ორი
სართული ჰქონდა, მრავალი ოთახი და
სარკმელი... როცა ჰაერში მიემართებო-
და, ერთგვაროვან ხმას გამოსცემდა“. ის
ხმა მიწაზე ძლივს გასაგონად ისმოდა.

ოღონდ აფრენის დროს ხმა სხვაგვარი
იყო: „რამას ბრძანებაზე ის მშვენიერი
ეტლი დიდი ხმაურით ავიდა ჰაერში“. სხვაგან
ვკითხულობთ: მფრინავი ეტლი
ჰაერში რომ აღიოდა, „ქვეყნის ოთხივე
კიდე გრიალმა შეძრა“. ერთ ძველ სანსკ-
რიტულ წიგნში ნათქვამია, აფრენის
დროს ეტლი „ლომივით ღრიალებსო“.

ფ რ ე ნ ი ს დ რ ო ს ც ე ც ხ ლ ი მ ო
ჩ ა ნ დ ა. ძველინდურ ებოსში ნათქვამია,
ციური ეტლი ისე ანათებდაო, „როგორც
ცეცხლი ზაფხულის ღამით“, „ცაში ვარ-
სკვლავმორბედს ჰგავდა“, „ცეცხლივით
წითლად იყო აალებული“ („რამაიანა“),
„მისი გადაფრენისას მთელი ზეცა ნათ-
დებოდა“, „მას ფრთოსანი ელვა ამოძრა-
ვებდა“ („მაჰაბჰარატა“).

კიდევ უფრო საკვირველია ინდურსა
და კელტურ გადმოცემებში დაცული აღ-
წერა ს ა ფ რ ე ნ ი ა პ ა რ ა ტ ე ბ ი ს შ ი
ნ ა გ ა ნ ი მ ო წ ყ ო ბ ი ლ ო ბ ი ს ა. სანს-

კრიტული პოეტური ძეგლი „სამარანგა-
ნა სუთრადჰარა“ 230 სტროფს ანდომებ
საფრენი აპარატების მოწყობილობაზე და
მათი გამოყენების აღწერას. ოღონდ
წინასწარ ამგვარი შენიშვნა გვხვდება:
„მფრინავი ეტლის ნაწილები როგორ
მზადდება, ამის თაობაზე არაფერს ვამ-
ბობთ, იმიტომ კი არაა, თითქოს არ ვი-
ცოდეთ, იმიტომ, რომ საიდუმლოდ და-
ვიცვათ ეს ცოდნა. მისი მოწყობილობის
ამბავს ვერ ვამხელთ, რადგან, ყველასთ-
ვის რომ ცნობილი შეიქნეს, იმ მანქანას
ბოროტად გამოიყენებენ“.

მაგრამ, აი, რა არის ნათქვამი შემდეგ
საფრენი აპარატის საერთო მოწყობი-
ლობის შესახებ: „მსუბუქი მასალისაგან
ნაგები მისი ტანი მძლავრი უნდა იყოს
და მტკიცე, დიდი ფრინველის მსგავსი.
შიგნით უნდა მოთავსდეს ვერცხლის-
წყლოანი მექანიზმი, რომლის ქვეშაც გა-
მასხურებელი რკინის მოწყობილობა უნ-
და იდგეს. იმ ძალის მეოხებით, რომე-
ლიც ვერცხლისწყალშია დაფარული და
რომელიც მიმქროლავ გრიგალს ამოძრა-
ვებს, ეტლში მყოფ კაცს შეუძლია საოც-
რად გადაიფრინოს ცაში დიდ მანძილ-
ზე... ვერცხლისწყლის ოთხი მტკიცე ჭუ-
რჭელი შიგნით უნდა მოთავსდეს. როცა
რკინის მოწყობილობის ცეცხლი ჭურჭ-
ლებს შეათბობს, ვერცხლისწყლის მეო-
ხებით ეტლი მეხის ძალას შეიძინს და მა-
შინვე „ზეციურ მარგალიტად“ იქცევა“.

მეორე სანსკრიტული ძეგლი „გვატო-
ტრაჩაბადმა“ ასე აგვიწერს საფრენ აპა-
რატს: „ეს იყო შავი რკინისაგან ნაგები
ვეება და საზარელი საჰაერო ეტლი... სა-
ნდო აღვიღას მოთავსებული მოწყობი-
ლობა ეყენა. არც ცხენებს მიჰყავდათ ის
ეტლი და არც სპილოებს, ოღონდ სპი-
ლოსოდენა მანქანები კი ამოძრავებდ-
ნენ“. სხვა ძეგლში ნათქვამია, ამგვარი
აპარატის შესაქმნელად იყენებენო სპი-
ლენძს, რკინასა და ტყვიას („სამარანგა-
ნა სუთრადჰარა“).

ვედურ ლიტერატურაში სპეციალური
ტერმინებიც კი არსებობს ამ აპარატების
აღსანიშნავად: „ვიმანა“ და „ანვიპოთ-

რა. „აგნიპოთრა ცად აღმავალი ხომალ-
დია“ („სატაპაპოთა ბრაჰმანა“).

ძველ კელტურ თქმულებებშიც არის
ლაპარაკი რაღაც შინაგანი მექანიზმების
მქონე საფრენ აპარატებზე. მათ ამოძრა-
ვებდნენ „მაგიური ცხენები“, რომლებიც
გარეგნულად სულაც არ ჰგვანებიან ცხე-
ნებს. ისინი „რკინის ტყავით იყვნენ და-
ფარულნი“, საკვებს არ საჭიროებდნენ
და არც ძვლები ჰქონიათ და არც ჩონჩხი.
ცხადია, რეალური ცხენები კი არ იგუ-
ლისხმება, არამედ მეტალის ზედაპირის
მქონე რაღაც აპარატები.

ამ საფრენი აპარატების მოწყობილო-
ბა ნახსენებია კელტურ თქმულებათა
გმირის — კუჩულანის ჰაერში მტერ-
თან შერკინების აღწერისას. ბრძოლის
დროს კუჩულანი იმარჯვო და მოწი-
ნააღმდეგის ეტლიდან გადმოავლო „დო-
ლაბისოდენა“ ორი თეთრი სავანი. ხო-
ლო უამსავნებოდ მტრის საჰაერო ეტლი
„გრილით დაასკდა მიწას“.

ამრიგად, კელტურ თქმულებებშიაც
და ძველინდურშიაც მოიხსენიება რა-
ღაცგვარი საფრენი აპარატები შინაგანი
მოწყობილობითურთ, რომლს მეშვეო-
ბითაც მანქანა ჰაერში ადიოდა და ურ-
ომლისოდაც მიწას ენარცებოდა.

საფრენი აპარატების მომხსენიებელ
რიგ ძველინდურ ნაწარმოებებში ფ რ ე-
ნ ი ს ი მ ა დ ლ ე ე არის ხოლმე მინი-
შნებული. იმის საჩვენებლად, თუ რო-
გორ მაღლა აფრინდა გმირი თავისი სა-
ჰაერო ეტლით, ნათქვამია — „ქართა სა-
მეუფოს“ ასცილდაო („სამსაბატაკაბაღ-
ჰა“).

მეორე სანსკრიტული ტექსტი გვიმტ-
კიცებს — საჰაერო ეტლებს „მზის მხა-
რემოც“ შეეძლოთ ფრენა („სურამანდა-
ლა“) და უფრო შორსაც, „ვარსკვლავთა
მხარეშიცო“ („ნაკსათრამანდალა“).

„ამ მოწყობილობათა მეშვეობით, —
ვკითხულობთ ტექსტებში, — მიწის
მკვიდრთ შეუძლიათ ჰაერში აღსვლა,
ხოლო ზეციერთ — მიწაზე დაშვება“.

ძველი კელტების გადმოცემითაც, რა-
ღაცგვარ საჰაერო ეტლებს შეუძლიათ
ცად აღსვლა იქ, სადაც საკვირველი მი-

წები და „ღმერთების სასახლეები“
არისო.

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა, ^{ვარსკვლავთა}
წერა სამხრეთ ამერიკაში ნაპოვნ კლდის
გიგანტურ გამოსახულებათა შესახებ.
მაგრამ შესაძლოა თუ არა საფრენი აპა-
რატების გახსენების რაიმე კვალს წავაწ-
ყდეთ ამერიკაში? თურმე შესაძლო ყო-
ფილა. კიჩეს (მაიას) ტომის ინდიელთა
საღვთო წერილი „პოპოლ ვუხი“ მოგვი-
თხრობს ამ ხალხის ოთხი წინაპრის ამ-
ბავს. ერთხელ, როდესაც მათ ცაში „ერ-
თი რამ“ დინახეს, სახლეულებს დაემშ-
ვიდობნენ და მთის მწვერვალზე ავი-
დნენ. ეს ხალხიო, გადმოგვცემს წიგნი,
„მაშინვე ვაჰქა იქ, ხაკავიცის მწვერვა-
ლზე. არც ცოლებს დაუშარხავთ და არც
შვილებს, რადგან თვალი ვერავინ მოატა-
ნა, თუ საით გაუჩინარდნენ“.

ღმერთთა მრისხანების იარაღი

„მაჰაბჰარატაში“ — ძველინდურ ეპო-
სში, რომლის ტექსტიც საში ათასი წლის
წინათ ჩაიწერა, მოთხრობილია ამბავი
საზარელი იარაღისა, რომლის გამოყენე-
ბაც წყვეტდა ბრძოლის ბედს. ისევე
როგორც საფრენი აპარატების ამბის გა-
დმოცემისას, აქაც აღამიანებზე კი არაა
ლაპარაკი, არამედ „ღმერთების“ ან „ნა-
ხევრადღმერთების“, ღვთის შვილთა შე-
სახებ. ამ გამაცამტვერებელი იარაღის
აფეთქების აღწერა ჩვენ, ატომური ბომ-
ბის ეპოქაში მცხოვრებთ, სამწუხაროდ,
გაზვიადებდა როდი მოგვეჩვენება:

„მაშინ გატყორცნეს ცეცხლივით მო-
ვლვარე უკვამლო ჭურვი. შავმა ნისლმა
ერთბაშად დაფარა მხედრობა. ქვეყნის
ყოველი მხარე ბნელში დაინთქა. ბორო-
ტი ქარბორბალა ამოვარდა. ღრუბლები
ზრიალით აიჭრნენ ცაში. იტყოდით, მზეც
დატრიალდაო. ამ იარაღის მსურველ-
ებით შეძრული ქვეყნიერება ცივილიზა-
ციით ირწოვოდა...“ შემდეგ ნათქვამია, რო-
გორ ადგილზევე ამოწვა და ამობუჯა ათ-
ასობით ეტლი, მხედარი და სპილო
საშინელმა აფეთქებამ. „არც არასოდეს
გვინახავს და არც გვსმენია რაიმე ამ აფ-
ეთქების სადარი“.

გარეგნულად ეს იარაღი „ჰგავდა რკინის ვეება ისარს, რომელიც სიკვდილის საზარელ მოციქულს მოგაგონებდათ“. ბრძოლაში გამოუყენებელი ერთი ამგვარი „რკინის ისრის“ უვნებელსაყოფად გმირმა ბრძანა დაექუცმაცეზინათ და ფხვნილივით დაეჩქჩქვათ ეს იარაღი. მაგრამ ამანაც არ იკმარა საიმისოდ, რომ ხალხი საბოლოოდ დაეხსნათ საშიშროებისგან. გმირმა ბრძანა ზღვაში დაეძირათ ისრის დაქუცმაცებული ნარჩენები.

ამგვარი ამბები ძნელი ასახსნელი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ მხოლოდამხოლოდ გიგანტურ დენთის რაკეტას ეხება საქმე. ასე რომ იყო, ვერც აფეთქების შემდეგ გადარჩენილ მეომართა საქციელი ავხსნიდით. ბრძოლა ჯერაც არ დამთავრებულა, მაგრამ ყველანი, ვინც კი აფეთქების არეში აღმოჩნდნენ მოქცეულნი, უახლოესი მდინარისაკენ მირბიან გაჩქარებულნი სამოსლისა და საჭურვლის განსაბანად.

ინდოეთში ამ იარაღს „ბრაჰმას იარაღს“ ან „ინდრას ცეცხლს“ უწოდებდნენ, სამხრეთ ამერიკაში — „მაშმაკს“. კელტურ მითოლოგიაში — „მეხის ხელობას“. თანადროული იარაღის სიმძლავრისნაირად, „მეხის ხელობაც“ ერთეულებით იზომებოდა: „ასი“, „ორმოცდაათი“ ან „ათასი“, რაც მიახლოებით აღნიშნავდა, თუ რამდენი ადამიანის მოსპობა შეეძლო აფეთქებისას.

ამავე თქმულებებში ნახსენებია რაღაც იარაღი, რომელსაც „ბალორის თვალი“ ეწოდებოდა. ეს აპარატი იმდენად რთული იყო, ოთხ კაცს თუ შეეძლო მისი ამოქმედება.

მფრინავ ეტლებს შორის საპაერო ბრძოლება იმართებოდა, მფრინავი ეტლები თავს ესხმოდნენ ქალაქებს, ოღონდ მიწაზე მყოფთ ამ საფრენი აპარატების ჩამოგდებაც შეეძლოთ, თუკი რაკეტებზე („დუჰა“) ესროდნენ. ყოველ შემთხვევაში, თვითმხილველის მეტი აღბათ ვერავინ აღწერდა ამგვარად „საპაერო ფლოტის“ თავდასხმას:

„...ცაში შევნიშნეთ ის, რაც თავდაპირველად მოგვეჩვენა ვეება მეწამულ

ღრუბლად, რომელიც ცეცხლის მძვინვარე ენებს ჩამოჰგავდა. ამ გროვიდან გამოიჭორცნა მრავალი მოელვარე მჭრეოვა, რასაც თან ახლდა საზარელი დგრაილი, თითქოს ათასმა დოღმა ერთად დაიგრილაო. მიწას დაატყდა ოქროთი ფრთასხმული მრავალი იარაღი და ასობით გრვეინვის ისარი, რომლებიც გრუხუნით ფეთქდებოდა, აგრეთვე მრავალი ასი ცეცხლოვანი გორგალი. ამ იარაღით განგმირული ცხენები გამოყვანი ხმით ჭიხვინებდნენ და აფეთქებებით წაქცეული სპილოები შემზარავად ღრიალებდნენ“ („მაჰაბჰარატა“).

მაგრამ, აი, თავდამცველებმა ერთერთ საფრენ აპარატზე მიუშვეს თავიანთი იარაღი — „განადგურების ენა“, „სიკვდილის დაი“. „ღამეულ ცაში მალდა აიჭრა მოელვარე ჭურვი და ვარსკვლავებივით მოჯარულ რიგს შეერია... მტრის ეტლი საზარელი ხმაურით ჩამოვარდა ციდან“.

აი, როგორაა აღწერილი საფრენი აპარატების თავდასხმა ქალაქზე. თავისი ვეება საპაერო ეტლიდან „ეუკრამ ქალაქს ყოველი მხრით თავს დაატეხა ელვანი“. ხოლო ამანაც რომ არ იკმარა, მაშინ მფრინავი აპარატიდან „გამოტყორცნეს ისეთი ჭურვი, რომელიც მთელი სამყაროს ძალას იტევდა“ და ქალაქი ცეცხლმა მოიცვა. ეს აფეთქება ისეთი ელვარე იყო, „როგორც ზენიტში მდგარი ათი ათასი მზე“.

ჩვენს დროში ატომური აფეთქების მხილველნი აგრეთვე მზის ელვარებას აღარებენ ხოლმე ამ აფეთქებას. იუნგის წიგნი, რომელიც ალბათ ბევრ თქვენგანს წაუკითხავს, სწორედ ასეა დასათაურებული: „ათას მზეზე უელვარესი“.

სხვა ნაწყვეტებშიაც, ზემოთ მოტანილთა მსგავსად, ამ იარაღს ეწოდება ხოლმე „ელვანი“, ან შედარებულია ელვას. შესაძლოა მხოლოდ ხატოვნად გამოთქმული მხედველობითი აღქმა როდი გვქონდეს აქ. უკანასკნელი გამოკვლევები ამდაგვარი იარაღის რეალობას მეტყველებს. ინგლისური ჟურნალი „დისკავერი“ („აღმოჩენა“) გვაუწყებს: დღეს-

დღეობით მრავალი სამხედრო ლაბორატორია სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს გამალებული. მიზნის წამიერად მომსპობი „სინთეტური ბურთულა ელვა“ სურთ გამოიყენონ „როგორც თავდასხმის, ისე თავდაცვის“ იარაღად და აგრეთვე გატყორცნილი რაკეტების გასანადგურებლად.

ჩვენ ვერაფერს ვიტყვი, სახელდობრ, რა სახის იარაღზეა ლაბარაკი ძველისძველ ცნობებში. ოღონდ საგულისხმოა, რომ მისი გამოყენების შესაძლო კვალი მხოლოდ გადმოცემებსა და ხსოვნაში როდი შემორჩენილა.

ირლანდიაში დღესაც ნახავთ გრანიტის დიდრონი ლოდებით ნაგებ, ძველებურ მრგვალი სიმაგრის ნანგრევებს. დუნდალკისა და ეკოსის სიმაგრეთა კედლებს შერჩენიათ კვალი იმდენად მაღალი ტემპერატურისა, რომ გრანიტის ლოდები მისგან გამლგვალა კიდევ. ცნობილია, რომ გრანიტის დნობის ტემპერატურა 1000 გრადუსს აღემატება. კაცმა შეიძლება იფიქროს, სწორედ აქ გამოუყენებიათ კელტურ თქმულებათა საზარელი იარაღი.

ამ იარაღის შესაძლო გამოყენების მეორე კვალი მცირე აზიაში აღმოჩნდა, ძველი ხეთების დაღუპული დედაქალაქის ხატუსის გათხრისას. ეს ქალაქი ოდესღაც გაუცამტვერებია საიდანღაც გაჩენილ მაღალ ტემპერატურას. ხატუსის გამთხრელ ცნობილ არქეოლოგს ბიტელს მიაჩნია, რომ რამდენი საწვავი მასალაც უნდა ყოფილიყო ქალაქში დაგროვილი, ჩვეულებრივი ხანძარი ამგვარ ტემპერატურას ვერ აღძრავდა. აგურით ნაგები კედლები გამლგვალა და მყარ წითელ მასად ქცეულა. ქვები შედუღებულა და აღმსკდარა. ერთი სახლი, ერთი ტაძარი, ერთი კედელიც ვერ გადაჩენია ამ საშინელ ტემპერატურას. არქეოლოგიური გათხრების მონაცემებზე დაყრდნობით კ. კერამი წერს — ქალაქის ასე მოსაქცევად ცეცხლი მრავალი დღის ან შესაძლოა, კვირის განმავლობაშიც არ უნდა დამცხრალიყო.

„კოსმოსური ბიოლოგიის პრობლემე-

ბში“ (ტომი 11, გვ. 23) გვხვდება ერთი ცნობა, რომელიც ჩვეულ წარმოდგენებს ვერ ეხამება. ამ ცნობაში ნათქვამია, რომ გორ იპოვეს ინდოეთში ადამიანის ჩონჩხი, რომლის ძვლებშიც რადიოაქტივობა ორმოცდაათჯერ აღემატება ჩვეულებრივს. ერთი შეხედვით, ეს ფაქტი იმიტაც შეიძლებოდა ახსნილიყო, რომ სამხრეთ ინდოეთში რადიოაქტიურ ქვიშათა საბალოები მოიპოვება. მაგრამ მათ რაიმე კავშირი რომ ჰქონოდათ 4000 წლის წინათ მცხოვრებ ხსენებულ ადამიანთან, თურმე მათი ზემოქმედება არ იქნებოდა საკმარისი. მსგავსი ნალექი რომ გასჩენოდა ჩონჩხში, იმ ადამიანს დიდი ხნის მანძილზე უნდა ექამა ისეთი საზრდო, რომლის რადიოაქტივობაც ნორმალურს რამდენიმე ასჯერ გადააჭარბებდა.

რა თქმა უნდა, არაფერი იქნებოდა იმაზე ასაცილო, ამის საფუძველზე მტკიცება დაგვეწყო — ლამის ისიც ვიფიქროთ, უძველეს დროს ატომური ენერჯია ჰქონიათ. საამისოდ არ გვიხსენებია ეს ფაქტი, ცხადია. ოღონდ სხვა მსგავს ფაქტთა რიგში ჩამდგარი ეს ფაქტი გვაიძულებს, სხვათა მსგავსადვე, რაღაც რეალური ახსნა მოვუძებნოთ მას. გვაიძულებს ვიფიქროთ, ვეძიოთ და ვიკვლიოთ.

დაზარული ცოდნა

კი მაგრამ, რატომ მოხდა, რომ ჩვენს დრომდე ყოველივე ამის მხოლოდ ხსენება, მხოლოდდამხოლოდ ყრუ ცნობები შემორჩა და არა თვით იარაღი ან საფრენი აპარატები? თუ ვივარაუდებდით, რომ ზემოთ მოტანილ ცნობებს მართლაც აქვთ რაიმე რეალური საფუძველი, მაშინ ის ცოდნა დაკარგულთა შორის უნდა შეგვერაცხა.

საქმე ისაა, რომ ახალი ცნობების მობოვებდასთან ერთად, კაცობრიობა განუწყვეტლივ კარგავს კიდევ ცოდნის რაღაც ნაწილს. თვით ახალი ისტორიიდანაც კი შეიძლება მრავალი მაგალითის მოტანა ამგვარად დაკარგული ცოდნის და მივიწყებული აღმოჩენებისა. ასე იქნა დავიწყებული წარსულში ცნობილი მრავალი

საღებავის რეცეპტი, მრავალი სამედიცინო საშუალება და რეცეპტი, დაიკარგა ფოლადის დამზადების საიდუმლო.

როგორც ჩანს, უკვალოდ უნდა იყოს დაკარგული აგრეთვე ზოგიერთი სამშენებლო ხერხი, რომლებიც ძველმა ხალხებმა იცოდნენ. ანდებში არის ძველისძველი ქალაქის ტიახუანაკოს ნანგრევები. ამ ქალაქში მრავალი შენობა ქვის ვეება ბლოკებით იყო ნაგები. ზოგიერთი ბლოკის წონა 200 ტონასაც აღწევს. 1960 წელს „პრავდაში“ გამოქვეყნდა ცნობა, თუ როგორ სიძნელეებს წააწყდა თანამედროვე ტექნიკა, როდესაც ამავე წონის ლოდის მოსკოვში გადატანა შეიქნა საჭირო. „სადგურ კულმოვიკიდან განსაკუთრებული, 16-ლერძიანი პლატფორმით ჩამოიტანეს ვეება მონოლითი ქანდაკებისთვის, რომელიც სვერდლოვის მოედანზე დაიდგმება. 200 ტონიანი ლოდის წამოღება რთულ ამოცანას წარმოადგენდა...“

ტიახუანაკო დედამიწის ერთადერთი ადგილი როდია, სადაც მსგავს ნაგებობებს შეიძლება შევხვდეთ. ქალაქ ბაალბეკის (დღევანდელი სირიის ტერიტორიაზე) ნანგრევებს შორის არის ნაგებობა, რომლის ცალკეულ მონოლითურ ნაწილთა წონა 1200 ტონას აღწევს, ხოლო ინდოეთში დღემდე დგას შვიდიოდე საუკუნის წინათ აგებული 75 მეტრის სიმაღლის ტაძარი, რომლის სახურავადაც გამოყენებულია გულდასმით დამუშავებული ქვის ფილა. ამბობენ, ამ ფილას წონა 2000 ტონაა!

XII საუკუნის არაბულ ხელნაწერებში დაცულია დენთით დატენილი საბრძოლო რაკეტების ნახაზები. ეს იარაღიც მივიჩნევს. იყო დრო, როცა „ბერძნული ცეცხლი“ საზღვაო ბრძოლების რისხვად ითვლებოდა. მისი რეცეპტიც ალბათ სამუდამოდ დაკარგულია.

კაცობრიობის მიერ დაკარგული ცოდნის ამ ნუსხის კიდევ უფრო გაზრდაც შეიძლებოდა. შესაძლოა თუ არა ვიფიქროთ, რომ ამ დაკარგულ ცოდნას განეკუთვნება აგრეთვე ცნობები ჩვენთვის უცნობი რაღაც იარაღისა და საფრენი

აპარატების შესახებ? თუ შესაძლოა, მაშინ მათი დაკარგვისთვის ორ გარემოებას უნდა შეეწყოს ხელი. მათი დაკარგვა იქნებ დაკავშირებული იყოს საზარელ კოსმოსურ კატასტროფასთან, რომელიც ოდესღაც თავს დასტენია ჩვენს პლანეტას და რომლის ხსოვნაც შემოგვრჩა მსოფლიო წარღვნის შესახებ არსებულ თქმულებათა სახით. ვარდა ამისა, ჩვენი აზრით, უნდა არსებულიყო ისეთი ხალხი, რომელიც ესწრაფოდა ეს გამანადგურებელი იარაღი სამუდამოდ წარბოცილიყო კაცობრიობის ხსოვნაში.

ცნობილია, რომ დედამიწაზე ნიადაგ ცვივა მცირე კოსმოსური სხეულები — მეტეორიტები. ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან თავიანთი ზომით და, რაც უფრო დიდია სხეული, მით უფრო ნაკლებ მოსალოდნელია დედამიწასთან მისი შეხვედრა. პოლონელმა ასტრონომმა ლუდვიგ ზაიდლერმა საგულისხმო განგარიშება წარმოგიდგინა. როგორც ირკვევა, 65 მეტრის დიამეტრის მქონე მეტეორიტი დედამიწას ეცემა მხოლოდ 22 ათას წელიწადში ერთხელ. 120 მეტრის მქონე — საშუალოდ 120 ათას წელიწადში ერთხელ. ხოლო 4 კილომეტრის დიამეტრის მქონე სხეული რომ ჩამოვარდეს, სულ ცოტა 260 მილიონი წელი უნდა გამოსდეს.

ამგვარი შეჯახების შედეგი დედამიწისთვის სავალალო იქნებოდა. ხსენებულთაგან უმცირესის ჩამოვარდნაც კი 20 კილომეტრის რადიუსზე ყოველივეს გააცამტვერებს. 120 ათას წელიწადში ერთხელ რომ ვარდება, იმ სხეულს მოსკოვისხელა ქალაქის მიწასთან გასწორება შეუძლია, 260 მილიონ წელიწადში ერთხელ მოვლენილს — ნახევარი ევროპისა. მაგრამ ეს ზღვარი არ ყოფილა თურმე. 17 კილომეტრის დიამეტრის სხეულის დაცემისას დედამიწის ნახევარი დიდად დაზარალდებოდა.

დედამიწა საკმაოდ დიდი ხანია არსებობს საიმისოდ, რომ მსგავს კოსმოსურ სხეულთა დაცემა განეცადა. როგორც ცნობილია, მზის ირგვლივ საკმაო რაოდენობით ბრუნავს ასტეროიდები. ზოგი-

ერთი ასტრონომი ფიქრობს, შესაძლოა ეს ასტეროიდები დედამიწის მიზიდულობის არეში მოექცნენ და შეგვეჯახონო. ერთი მათგანი („ეროსი“) თითქოს საგულდაგულოდ ამ ხვედრისთვის ყოფილიყოს გაჩენილი, სწორედ 17 კილომეტრის დიამეტრის მქონეა. მეორის („ცერერა“) დიამეტრი 770 კილომეტრს აღწევს. ძნელი წარმოსადგენია, რას დამართებდა დედამიწას და მის მკვიდრო ამგვარ სხეულთან შეჯახება.

მართალია, „ეროსი“ კეთილგონიერულად იქცევა და ჩვენი პლანეტიდან შორს უჭირავს თავი — 20 მილიონ კილომეტრს აქეთ აღარ გვიახლოვდება. ასტეროიდი „აღონისი“, მაგალითად, უფრო თამამია — 1,6 მილიონ კილომეტრზე მოდის ხოლმე. „ჰერმესი“ რაც შეეხება, აშკარად განზრახული უნდა ჰქონდეს ადრე თუ გვიან შემოგვასკდეს — 330 ათასი კილომეტრის მანძილზე ჩავიქროლებს ხოლმე, ესე იგი მთვარის უახლოეს მანძილზე.

„ამგვარ სხეულებს, — წერდა ამასთან დაკავშირებით ინგლისური ჟურნალი „დისკავერი“, — შეუძლიათ მთელი ცივილიზაციის მოსპობა ან მისთვის დიდი ზიანის მიყენება“. ოღონდ, თუკი მსგავსი კოსმოსური სხეული ოდესმე დასცემია დედამიწას, ახლაც უნდა შეიძლებოდეს მისი კვალის მიგნება. მოიძებნება სადმე ამგვარი კვალი? დიახ, მოიძებნება. მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში არის უდიდესი კრატერი, რომელიც დიდხანს მიაჩნდათ ჩამქრალი ვულკანის დანატოვარად. უფრო გულდასმით შესწავლის შემდეგ კი გამოირკვა, რომ ვულკანური წარმოშობისა სულაც არ ყოფილა ის კრატერი. ეს ყოფილა შედეგი კოსმოსური სივრციდან დედამიწაზე რაღაც დიდი სხეულის დაცემისა. მიწის ზედაპირთან მოახლოებისას სხეული აფეთქებულა ისეთი ძალით, რომელიც ოცჯერ აღემატებოდა თანადროული უდიდესი წყალბადის ბომბის აფეთქების ძალას. ეს მომხდარა რამდენიმე მილიონი წლის წინათ.

საერთოდ, გამოთვლილია, რომ დედა-

მიწაზე ასტეროიდის დაცემისას მისი აფეთქების ძალა ასეთივე მასის მქონე ფეთქებადი ნივთიერების მოქმედებასთანაა ლია. აი, რატომაა ასეთი ვრცელი არიზონის მეტეორიტული კრატერი, რომლის დიამეტრი 1207 მეტრს უდრის, ან კრატერი ჩაბი (კანადაში), რომლის დიამეტრი 3,5 კილომეტრია, ხოლო სიღრმე — რამდენიმე ასეული მეტრი. ამასთან დაკავშირებით შეიძლებოდა გავგეხსენებინა აგრეთვე „ტუნგუსური მეტეორიტი“, რომლის ნამდვილი ბუნება დღემდე აუხსენელია.

როგორც ცნობილია, დედამიწის უდიდესი ნაწილი ზღვებსა და ოკეანეებს უჭირავთ. მაშასადამე, კოსმოსური სხეულების უმეტესობაც მათ უნდა „ზედებოდეთ“. გარდა ამისა, ჩვენი პლანეტის არსებობის მილიარდი წლების განმავლობაში ხმელეთის უვრცესი მონაკვეთები და მთელი მატერიკებიც კი იძირებოდა და ოკეანის ფსკერად იქცეოდა. სხვა რაიონები, პირიქით, წყალს ამოსცილდებოდა ხოლმე და ხმელეთს წარმოქმნიდა. დროის მსვლელობა და გეოლოგიური პროცესები გამუდმებით შლიდნენ დედამიწაზე დიდ კოსმოსურ სხეულთა დაცემის კვალს.

ერთი ამგვარი კატასტროფა, ეტყობა. კაცობრიობის მეხსიერების ხანაში უნდა მომხდარიყო. დედამიწაზე არ არსებობს ისეთი ხალხი, რომლის საღვთო წერილს ან თქმულებებს არ შემოენახოს ხსენებული ამბის ხსოვნა.

რაც შეეხება ცოდნის დაკარგვის ტრადიციას, ამგვარი ტრადიცია დიდი ხანია არსებობს. ეს განსაკუთრებით ეხება რაღაც ცნობებს, რომლებიც თითქოს საშიში უნდა შექმნილიყო, თუკი ხელთ გაუწაფავ ხალხს ჩაუვარდებოდა. მაგალითად, ინდოეთში დაცულია გადმოცემა, რომ ძველად იმპერატორ აშოკას შეუქმნია ცხრა უცნობის საკრებულო, რომლის მიზნადაც დაუსახავს რაღაც უადრესად საგულისხმო ცოდნის „საიდუმლოდ ქცევა“. აშოკას არ სურდაო, რომ რაღაცგვარი ცოდნა მებრძოლებს ჩავარდნოდან ხელთ და ხალხის მოსასპობად გა-

მოეყენებინათ. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, რალაცგვარი სახიფათო ცოდნის დამცველი ეს საიდუმლო საკრებულო შესაძლოა დღესაც არსებობდეს.

აშოკა ერთადერთი არ ყოფილა იმათგან, ვინც ცდილობდა შეეზღუდა და საიდუმლოდ დაეცვა ცოდნის დამაქცევარი ძალა.

როდესაც ყველაზე გამანადგურებელ იარაღად მშვილდი და ისრები ითვლებოდა, ერთ-ერთი პაპის ბულა ამ დარგშიაც ცდილა ზღვარის დადებას. ბულა კრძალავდა სპეციალური სამფეხას თუ სადგამის გამოყენებას ხელთოფების უფრო ზუსტად დასამიზნებლად: „მშვილდოსნის ეს მოწყობილობა ბრძოლას უმოწყალოს ხდისო“. ამ ბრძანებას ორი საუკუნის განმავლობაში ჰქონდა ძალა.

მსგავსი ჰუმანური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა აგრეთვე ბეჩუნალენდის (აფრიკა) ერთ-ერთი მეფე შამბა ვოლონგონგო, რომელმაც ბრძოლის დროს ხელშუბის გამოყენება აკრძალა.

1775 წელს ფრანგი გამომგონებელი დიუ პერონი შეეცადა მეფესთან პირადი აუდიენციისათვის მიეღწია. იგი ამბობდა, ამ შეხვედრაზე სახელმწიფოს მომავალია დამოკიდებული, ოღონდ ჩემს სათქმელს მეფის მეტს ვერავის გავუმხელო. ლუდოვიკო მეთექვსმეტე მიღების დასტური მისცა.

სასაზღის ბაღში პერონის თანაშემწეებმა რამდენიმე დიდრონი, გულდასმით შეფუთული ყუთი შეიტანეს და იქაურობას გაეცალენ. მინისტრებით გარშემორტყმული მეფე და გამომგონებელი პირისპირ დარჩნენ. დიუ პერონმა ყუთებს თავი ახადა და განმარტებას შეუდგა: ისეთი იარაღი გამოვიგონე, მეფის ყველა მტერს ჭედს მოახრევინებსო. ამიერიდან საფრანგეთს შეეძლება ისე განავრცოს თავისი საზღვრები, როგორც თქვენს უდიდებულესობას მოეგონებებაო.

დიუ პერონის მიერ მეფისთვის წარდგენილ რთულ იარაღს ერთდროულად 24 ტყვიის გასროლა შეეძლო. ეს გაზღდათ თანამედროვე ტყვიამფრქვევის წინაპარი.

მაგრამ დიუ პერონისთვის ქება არ შესხამთ. მეფემ გულცივად შეაწყვეტინა სიტყვა და გაცლა უბრძანა. ლუდოვიკომ მეთექვსმეტემ და მისმა მინისტრებმა გულისწყრომით უარყვეს ეს გამოგონება — „განადგურების მხეცური საშუალება“. დიუ პერონი ღვთისგან შეჩვენებულად და კაცობრიობის მტრად გამოაცხადეს. უნდა ვიფიქროთ, მეფეს არ დაევიწყებოდა იმისთვისაც მიეღო ზომები, რომ დიუ პერონი თავისი გამოგონებითურთ რომელსამე სხვა მონარქს არ ჩაავარდნოდა ხელში.

ამგვარი ცნობები, ჩვენს მიერ მოხსენიებულ სხვა ფაქტებთან ერთად, გვაფიქრებინებს, რომ რალაცგვარი სახიფათო ცოდნა მართლაც უნდა ყოფილიყო დაფარული ადამიანთაგან.

ერთი ეგვიპტური მაგიური პაპირუსი ერთიდაიმავე მოწოდებით იწყება და მთავრდება: „დასაშუბაგე შენი! დაიდუმე ბაგე შენი!“ ხოლო აღმოსავლელი ალქიმიკოსის ათასი წლის წინათ შეთხზული ტექსტი ასე მოძღვრავდა მკითხველს: „უდიდესი ცოდვა იქნებოდა, შენი ხელოვნების საიდუმლო მეომრებისთვის გაგეზილა. გაფრთხილდი! ჭინკველამაც არ უნდა იბოგინოს იქ, სადაც შენ მუშაობ!“

ისიც შესაძლოა, ხსენებულისდაგვარ ცნობებს გულდასმით რომ ფარავდნენ, ხელთდასხმულთა დასშული წრეები, უზენაესი ქურუმები თავადვე ცდილობდნენ შეექმნათ საფრენი თუ სხვა აპარატები. ყოველ შემთხვევაში, ამგვარად თუ აიხსნება ჩვენამდე მოღწეული რამდენიმე უცნაური ცნობა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 15 საუკუნის წინ შეთხზულ ერთ ეგვიპტურ ხელნაწერში, რომელიც ფარაონ თუთმოს მესამის (1504-1450) მეფობის ოფიციალურ ქრონიკას შეიცავს, ნათქვამია: ვინც კი იხილა ეს ამბავი, ყველა შეძრწუნდა, როცა „22-ე წელს. ზამთრის მესამე თვეს, დღის მეექვსე ეამს“ ცაში გამოჩნდა სწორი აღნაგობის ვეება საგანი, რომელიც ნელა მიემართებოდა სამხრეთისკენ.

მეორე შემთხვევა უკვე ახალი წელთ-

სიმონ ჩიქოვანის ხსოვნას

ახალგაზრდობის მეგობარი

სულ რაღაც ერთი თვის წინათ „ცისკრის“ მესამე ნომერში ერთ-ერთი ახალგაზრდა მწერალი წერდა: „მცირე ხნის დუმილის შემდეგ კვლავ აელვარდა დიდი პოეტის საოცარი ფერები, ამეტყველდა განუმეორებელი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხმა... სამოც წელს გადაცილებული პოეტი კვლავ ჭაბუკური შემართებით რანდავს პოეტურ სახეებს, ოქრომჭედლის გულმოდგინებით არჩევს ქართული სიტყვის მარგალიტებს...“ ეს ეხებოდა გამოჩენილი ქართველი პოეტის სიმონ ჩიქოვანის ახალ ლირიკულ ლექსებს.

და რა სამწუხაროა, რომ ამ შთაგონებული ლექსების ავტორი უკვე აღარ არის ჩვენს შორის. ქართულმა საბჭოთა მწერლობამ დაჰკარგა ლექსის ბრწყინვალე ოსტატი, ხოლო ჩვენმა ლიტერატურულმა ახალგაზრდობამ — გულისხმიერი და მზრუნველი მეგობარი.

სიმონ ჩიქოვანს შეეძლო თითოეულ დამწყებ ავტორთან საათობით ესაუბრა, აეხსნა მისთვის პოეზიის დანიშნულება, ეჩვენებინა პოეტური ოსტატობის რთული და იდუმალი გზები. მას შეეძლო პირველ ცდებშიც დაენახა ახალგაზრდა შემოქმედის მომავალი, მისი შესაძლებლობანი. იგი სათუთად, მამობრივი მზრუნველობითა და მკაცრი მომთხონელობით ეკიდებოდა თითოეული მათგანის შემოქმედებას, განუზომლად ახარებდა მათი წარმატება. ბევრი ახალგაზრდა პროზაიკოსის, პოეტისა თუ კრიტიკოსის ლიტერატურული ბიოგრაფია სიმონ ჩიქოვანის სახელთანაა დაკავშირებული.

სიმონ ჩიქოვანმა — თანამედროვეობის მგზნებარე მომღერალმა — თავისი მღელვარე ცხოვრება მშობლიური მწერლობის, ქართული კულტურის ინტერესებისათვის ბრძოლას შეაღია. მან ქართული კრიტიკული აზროვნება გაამდიდრა დიდი გემოვნებითა და მრავალმხრივი ცოდნით აღბეჭდილი წერილებითაც, სადაც მთელი სიღრმით გამოჩნდა მისი უაღრესად საინტერესო, მძლავრი ინტელექტი.

სიმონ ჩიქოვანის მაღალი შემოქმედება ყოველთვის იქნება ქართული საბჭოთა ლიტერატურის სიამაყე და მშენებელი.

ბ. ბერულავა, ა. ბაქრაძე, გ. გეგეჭკორი, გ. გვერდსითელი, მ. ელიოზიშვილი, დ. ივარდავა, კ. კალაძე, ე. კვათაიშვილი, კ. კობერიძე, კ. ლორთქიფანიძე, რ. შეტრეველი, ო. პაჭკორია, გ. ფანჯიკიძე, ი. ქემერტელიძე, გ. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, ს. ჭილაია, თ. ჭილაძე, ლ. ჯანაშია.



ჯერ კიდევ არ დამცხრალა მწვავე ჭრილობა, რომელიც სიმონ ჩიქოვანის უღროო სიკვდილმა მოგვაცენა. გული ჯერ კიდევ ვერ შეგუებია, ვერ შეჩვევია მის არყოფნას, და აი უკვე ჩვენს შეგნებაში იღვიძებს ახალი ტკივილი, რომელიც თან ახლავს ფიქრს, მწარე, ფხიზელ ფიქრს ამ მძიმე დანაკლისზე...

„რამდენი ადამიანი უნდა გაექურდა ბუნებას, რომ ერთი ასეთი პიროვნება შეექმნა“... — ამბობდა მარინა ცვეტაევა პასტერნაკზე...

რამდენი დრო, რამდენი ადამიანის სულიერი ენერჯის შეერთება საჭირო, რომ ნაწილობრივ მაინც შეივსოს ის სიცარიელე, რაც სიმონ ჩიქოვანის წასვლის შემდეგ გაჩნდა ჩვენს მწერლობაში.

ათეული წლების მანძილზე ლიტერატურული თაობების თვალში ის სრულიად უბრალოდ, ყოველგვარი პოზის, ნაძალადევი ღრმავარონების გარეშე განასახიერებდა შესანიშნავი მკვლევარისა და მხატვრის, დაუცხრომელი მაძიებლის, ოსტატისა და მასწავლებლის მაღალ მოწოდებას.

როგორი სიუხვით, დაუზოგავად ფანტავდა თავის გარშემო ბასრ და ელვარე პოეტურ აზრებს, როგორ იზიდავდა ყველას, ვისაც კი მწერლობისკენ მიუწევდა გული, როგორ ანთებდა, აღვივებდა მათში ამ რთული და მძიმე საქმისადმი უანგარო სიყვარულის გრძნობას, როგორ უბრალოდ ქმნიდა თავის გარშემო პოეზიით აღფრთოვანების, ამაღლების უჩვეულო ატმოსფეროს!

სიმონ ჩიქოვანი მთელი თავისი შემოქმედებითი იერით ახალი სულიერი ყალიბის პოეტი იყო.

სიმონ ჩიქოვანს ჰქონდა სიახლის უაღრესად მძაფრი განცდა. როგორც ლიტერატორი. ის ჩვენი საუკუნის, უახლესი ხანის კულტურული ძვრებითა და მოთხოვნილებებით ცხოვრობდა; თავის ყოველდღიურ ყოფაში, ურთიერთობაში, საუბარში ყველაზე ნაკლებად ცდილობდა რომელიმე სახელოვანი წინაპრისათვის

მიებაძა, არასოდეს უფიქრია სახელმწიფო მქადაგებლის ან მოძღვრის რეპუტაციის დამსახურებინა.

„შემოქმედებას სიახლე უყვარს“ — ასეთი იყო მისი რწმენა, წრფელი გულისტკმით ნაკარანხვეი პოეტური დევიზი.

თავისი ცოცხალი ადამიანური იერი თავის თითქოს ახალი, თანამედროვე ქართველი ადამიანის ტიბს განასახიერებდა...

და მაინც სიმონ ჩიქოვანის პიროვნებაში, მისი მუდამ მშფოთვარე სულის სიღრმეში საოცარი ბუნებრიობით იყო შენარჩუნებული გასული საუკუნის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მგზნებარე მოქალაქეობრივი ტემპერამენტიც.

მთელი მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის, შრომის, შთავგონების შინაგან სტიმულს ეროვნული საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება წარმოადგენდა.

სიმონ ჩიქოვანს ნამდვილი გატაცებით უყვარდა თავისი ქვეყანა, — „უსასრულობის შემცველი მხარე“, სწამდა მისი ხალხის შემოქმედებითი გენიისა, აღტაცებას ჰგვრიდა მისი გონების სიდიადე და სულის სიმშვენიერე, ღრმად სჯეროდა ამ ხალხის მიერ შექმნილი დიდი კულტურის უკვდავება.

სიმონ ჩიქოვანს იმედი ჰქონდა, რომ სიკვდილის შემდეგაც შექმნებდა სამსახური გაეწია თავისი ქვეყნისათვის. ეს ამაღლებული, შვების მომგვრელი წინათგრძნობა თავის ლექსშიც გამოხატა:

ჩემი სისხლია თოვლში ჩაღვრილი,
მაინც თეთრია თოვლის ფიფქები.
შენი ყელი ვარ, შენი საყვირი
და შენი ფესვიც მალე ვიქნები...

ქართულ მწერლობაში სიმონ ჩიქოვანმა შემოიტანა ახლებური პოეტური თრთოლვა, ახალი სიღრმე და ტევადობა აღმოუჩინა ქართულ სიტყვას. იგი ბრწყინვალე ფერწერული სახეების აღიარებული ოსტატია ჩვენი საუკუნის პოეზიაში.

სიმონ ჩიქოვანის პოეტური ხილვები

კლასიკური ლირიკის ნიმუშებისაგან განსხვავებით, ჩვეულებრივ, მოკლებული არიან ფერთა მკაცრ სისადავეს და პარმონიულობას. მის მიერ წარმოსახულ სურათებში განგებ შერჩეული მკვეთრი საღებავები თითქოს კვიან, ერთმანეთს ებრძვიან, აწყლებიან და უჩვეულოდ მძაფრ, საგანგაშო განწყობილებას აღძრავენ მკითხველის სულში.

სიმონ ჩიქოვანის სტრიქონი ცოცხალი ნერვივით ფუთქავს. მისი ლექსის რიტმი დიდი სიზუსტით გადმოსცემს იმ შინაგან თრთოლვას, იმ დაუშოშმინებელ სულისკვეთებას, რომლითაც მთელი მისი პოეტური სამყარო არის აღბეჭდილი.

მართალია, უკანასკნელ დროს მის პოეზიას თითქოს დამშვიდებისკენ, სულიერი წონასწორობის მოპოვებისკენ სწრაფვის ნიშანიც დაეტყო, მაგრამ სიმონ ჩიქოვანის ლექსმა სამუდამოდ შეინახა შინაგანი დრამატიზმი, რომელიც პოეტს ჭეშმარიტი შთაგონების მთავარ წყაროდ მიაჩნდა.

პოეტის ცხოვრების დაისი, როგორც ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივი, საზღვრად იბეჭდება ჩვენს მეხსიერებაში და თავისებურ შექსა პფენს მთელ მის შემოქმედებას.

სიმონ ჩიქოვანს განსაკუთრებით აღელვებდა და ხიზლავდა აკაკი წერეთლის მოხუცებულობის ხანის ბიბლიური იერი.

უაღრესად ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე გალაკტიონ ტაბიძის სიკვდილმა, რომელმაც თითქოს რაღაც გადამწყვეტი შტრიხი შეიტანა პოეტის ბიროვნებაში, ახალი ელფერით წარმოაჩინა მთელი მისი სიცოცხლე.

ასეთი იდუმალი აზრით იყო თითქოს აღსავსე სიმონ ჩიქოვანის ცხოვრების დასასრულიც.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში პოეტი გააფთრებით ებრძოდა სიბრძავეს, დიდხანს ცდილობდა ახლობლებისათვის დაემალა თავისი ავადმყოფობა; ვერა და ვერ ურიგდებოდა აზრს, რომ სამუდამოდ დაკარგა თვალის სინათლე.

ჩუმი და სასტიკი იყო ეს ბრძოლა... დაბადებიდან სამყაროს ხილული მშვენიერებით შეპყრობილი, მისი სიდიადისთვის სიღრმემდე შეძრული პოეტი ჩუმი კაეშნით ეთხოვებოდა სამუდამოდ მიმტრალ „ფერთა ღაღარს“, ბუნების მიერ უხსოვარ დროში დაღვრილ მშვენიებას, რომელშიც ამდენი საიდუმლო ელფერი, ამდენი შუქი და შეხამება აღმოაჩინა.

ჩუმი და სასტიკი იყო პოეტის ბრძოლა მოახლოებულ სიბნელესთან...

და აი ამ დროს სიმონ ჩიქოვანის სახეს დააჩნდა რაღაც უჩვეულო დიმილი.

ეს იყო თითქოს მწარე ირონიის ნიშანი, ცხოვრებით გაწვრთნილი, ტანჯვის ფასად მოპოვებული სიბრძნის გამოსხივება. ხანდახან მასში რაღაც ბავშვური, მიამიტი უხერხულობაც გამოკრთოდა, ჩუმი, ალერსიანი სიმორცხვე...

მაგრამ ამ დიმილში იყო რაღაც კიდევ უფრო ღრმა, უფრო არსებითი...

თავის სამუშაო ოთახში განმარტოებულნი, ფარდებდაშვებულ სარკმლებს შორის სავარძელში განაბული პოეტი თითქოს შინაგანი მწერით გასცქეროდა რაღაც უსაზღვროდ მშვენიერ, თვალუწვდენელ, დაუსაბამო სივრცეს, რომელიც უჩვეულოდ ღამაზი, ფერადოვანი საგნებით იყო სავსე.

ამ დროს, მითიური რაფსოდის დარად, მის უსინათლო თვალბშიც შთაგონების ნათელი სხივი დგებოდა.

სიმონ ჩიქოვანს არაერთგზის უთქვამს, რომ ხელოვნება არის არა უბრალო ასლი სინამდვილისა, არამედ ახალი რეალობის, ახალი ცხოვრების შემოქმედება.

როგორც ჭეშმარიტი მხატვარი, ის ალბათ მაშინ საკუთარ სულში აკაშკაშებულ მშვენიერ სახეებს ეალერსებოდა და მის ნაკეთებზე გამომკრთალი შუქიც ალბათ დიდი სინათლის ანარეკლი იყო.

ამ გრძნეული დიმილით შუქმოსხლი, შთაგონების ნათელი სხივით გაბრწყინებული სახით დარჩება იგი სამუდამოდ თანამედროვეთა მეხსიერებაში.

ჩვენმა ჟურნალმა წინა ნომერში თავისი საღისუფლის ტრიბუნა — „ფიჭვები ხმაგაღლა“ დაუთმო ცნობილ თეატრალურ კრიტიკოსს ნ. გურაბანიძეს. მის წერილს დაუყოვნებლივ და საკმაოდ ზამთრამდინანად გამოეხმაურა რუსთაველის თეატრის სამხატვრო საბჭო.

გაზეთში „თეატრის პასუხის“ გამოცემაზე გავიწყობილი ვარა ჟურნალის რედაქციამ მიიღო ჩვენი კულტურის გამორჩეული მოღვაწეთა წერილები. ვაძლავთ რუსთაველის თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრების — ა. ხორავასა და ე. აფხაიძის განცხადებას და მწერალ რ. ჯაფარიძის საღისუფლის ხასიათის სტატიას.

ჟურნალ «ცისკრის» რედაქციას

გთხოვთ თქვენი ჟურნალის უახლოეს ნომერში დამიბეჭდოთ ჩემი შემდეგი ცნობა:

ამა წლის 13 მაისის „ლიტერატურული საქართველოს“ მე-20 ნომერში დაბეჭდილია რუსთაველის სახ. თეატრის „სამხატვრო საბჭოს“ ხელმოწერით დიდი სტატია „თეატრის პასუხი“. თუმცა ვითვლება რუსთაველის თეატრის სარეჟისორო კოლეგიისა და სამხატვრო საბჭოს წევრად, მაგრამ დიდი ხანია არ მეძლევა საშუალება მივიღო რაიმე მონაწილეობა თეატრის ცხოვრებაში და აქედან არც დასახელებული ორგანოების საქმიანობაში.

ზემოხსენებული სტატიის შესახებ არც არა გამიგია რა, მის შედგენასა თუ საბჭოს მიერ ამ სტატიის განხილვა-მიღებაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია.

სტატია მიმაჩნია, მეტი რომ არა ვთქვა, ძალზე ტენდენციურად და უმართბულოდ.

ბაბაი ხორავა,
საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

წერილი რედაქციას

„ლიტერატურულ საქართველოში“ წავიკითხე წერილი „თეატრის პასუხი“. რომელსაც ხელს აწერს რუსთაველის თეატრის სამხატვრო საბჭო. კარგა ხანია ვითვლება რუსთაველის თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრად. მიუხედავად ამისა, ამ წერილის არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდი, მის განხილვასა თუ მიღებაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია.

მე ამ წერილის პოზიციას არ ვიზიარებ. ამიტომ გთხოვთ თქვენს ჟურნალში მოათავსოთ ჩემი ეს განცხადება.

ემანუილ აფხაიძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

ლილი რბევა

პირა ცხენსა შარა გრძელი
და გაროსცდის დიდი რბევა...

რუსთაველი.

ძლივს! ძლივს არ ვეღირსეთ გაფიც-
ხედავს? ძლივს არ ვაბედა ერთმა ბეჭდ-
ვითმა ორგანომ მეორეს გამოკამათებო-
და? ძლივს არ გამოვიდა კონფლიქტი
კულისებიდან და შუბმა ხალთიდან თა-
ვი ძლივს არ ამოჰყო? გამართლდა
ბრძნული ქართული ანდაზა: ჭირმა თავი
არ დამალა...

როგორც არ უნდა იქნეს ნაყოფი,
თვით ამბავი ფრიად სასიხარულოა. მას
უსათუოდ კეთილი შედეგი მოჰყვება,
უსათუოდ, რადგან ჭეშმარიტება სწო-
რედ აზრთა სხვადასხვაობაში, თვალსაზ-
რისთა ჭიდილში იბადება. ამიტომ არ შე-
იძლება არ მივესალმოთ გაზეთ „ლიტერ-
ატურული საქართველოს“ გადაწყვე-
ტილებას. რა ვუყოთ, კამათის დროს
აქა-იქ იქნებ შეცდომაც მოგვივიდეს.
მაგრამ იმის შიშით, ბეწვის ხიდზე გა-
დასვლისას ფეხი არსად დამისხლტესო,
გაღმა მიმავალთაგან აქეთა ნაპირზე ვინ
დარჩენილა!

ჭეშმარიტებას ვეძიებთ, ხომ? ორივე
მხარეს ცალ-ცალკე სწამს, რომ ჭეშმა-
რიტება სწორედ მისი პირით ღაღადებს.
შესაძლოა, ამ საქმეში ორივე მხარე
სცოდავდეს და მხოლოდ მესამე იყოს
მართალი. ერთი რამ მაინც ცხადზე უც-
ხადესია: ჭეშმარიტება სადღაც არის და
საჭიროა მისი მიგნება. მშობლიური კუ-
ლტურისათვის სულ ერთია, ვინ მიაგ-
ნებს მას — პეტრე თუ პავლე. მაგრამ

სულ ერთი არ არის, მიაგნებს ვინმე თუ
არა. ეს კიდევ ერთი ჭეშმარიტება და
ამოსავალი წერტილი გულზე უნდა დაი-
ხატონ პეტრემაც და პავლემაც. სხვანაი-
რად არაფერი გამოვა. თუ საქმეს სხვა-
გვარად წარგმართავთ, კამათი, რომლის
ერთადერთი მიზანი ჭეშმარიტების დად-
გენაა და არა ვისიმე პატივმოყვარობის
დაკმაყოფილება, წერილმან კინკლაობად
გადაიქცევა, მტერს გაახარებს და მოყვა-
რეს გულს მოუკლავს.

არის საჭირო, მიუხედავად იმისა, თუ
ვის მხარესაა ერთადერთი ჭეშმარიტება,
ამტკიცებდეს, მაინცდამაინც მე ვარ მარ-
თალიო? იქნებ ჯობდეს, თქმულიცა და
სათქმელიც გონების სასწორზე ერთ-
ხელ კიდევ ავწონოთ და ჭეშმარიტების
წინაშე, ვისი პირითაც არ უნდა ღაღად-
ბდეს იგი, შუბლნათელი ვიყოთ?

შორს რომ არ წავიდეს და ღობე-ყო-
რეს არ მივედ-მოვედო, აქვე პირდაპირ
ვიტყვი: ამტყუარ კამათში ნოდარ გუ-
რაბანიძის მხარე მიჭირავს. არ ვეთანხ-
მები რუსთაველის სახელობის სახელმ-
წიფო თეატრის სამხატვრო საბჭოს კო-
ლექტიურ წერილს, რომელსაც მთელი
გვერდი უკავია 13 მაისის „ლიტერატუ-
რულ საქართველოში“.

ნ. გურაბანიძის მხარე იმიტომ მიჭი-
რავს და სამხატვრო საბჭოს იმიტომ
არ ვეთანხმები, რომ პირველ წერილში,
რომელიც ნ. გურაბანიძის კალამს ეკუ-

თენის, უფრო მეტი დავინახე საღი აზრი. მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მისწრაფება, მიუღდამლობა, უანგარო დანართების სურვილი და კეთილშობილ წინამორბედთაგან ნაანდერძევი ნამდვილი მამულოშვილური სულისკვეთება, ვიდრე მეორეში.

ნ. გურაბანიძე იმას წერდა და გამოხატავდა, რაც კარგა ხანია საგონებელში აგდებს მშობლიური თეატრის ბედით სისხლ-ხორციულად დაინტერესებულ ყოველ ქართველ ინტელიგენტს, წერდა პირუთუნულად და ყოველგვარი ქვენა განზრახვების გარეშე, წერდა იმას, რაც სწამდა. მან სიმართლის თქმა უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნია, ვიდრე ვისიმე განაწყენება და სიმართლეს საქვეყნოდ თვალბში შეხედა.

„მაგრამ ვაი უბედურს მაშინ, — ამბობდა ერთი ამგვარი შემთხვევის გახსენებისას ერის მოძღვარი და ამაგდარი მამა დიდი ილია, — როცა სიმართლე ავალებს შენიშნულის ავის თქმასაცა. არა სთქვას, ცოდვა ხაზოვადობის წინაშე და სთქვას, ვინ იცის, როგორ ჩამოართმევნ ისინი, ვიწვდაც ცუდია ნათქვამი, თუნდაც ეგე ნათქვამი მართალზე უფრო მართალი იყოს და ცხადზე ცხადი“.

რამდენადაც ვიცი, ნ. გურაბანიძე მრავალი წლის განმავლობაში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრი იყო. იგი, როგორც რუსთაველეთა უახლოესი თანამოაზრე და მეგობარი, ყოველ ცისმარე დღეს თეატრში ტრიალებდა. მის რჩევას ყურს უგდებდნენ, მის მიერ თქმულ საქებათ სიტყვას ფასი ჰქონდა.

დღეს რა მოხდა? განა რა ასეთი მკრეხელობა ჩაიდინა თავისი სტატიის დაწერითა და გამოქვეყნებით „შედარებით ახალგაზრდა თეატრმცოდნე“?

ნ. გურაბანიძე საყვარელი თეატრის კრიზისს შეუშფოთებია. განა არა ღირს შეშფოთებად? უკანასკნელ ხანს ხომ რუსთაველის თეატრში მეტად არასასიამოვნო ამბები დატრიალდა. ეს „ამბები“,

როგორც ცნობილია, თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელის დიმიტრი ალექსიძის სახელთან და მშობლიურ თეატრიდან მის წასვლასთან არის დაკავშირებული.

ნ. გურაბანიძე, რაკი მონომახის ქუდი დაიხურა, ვალდებული იყო შეხებოდა დადგმებს, რომლებიც უკანასკნელ 10-12 წელიწადში რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე განხორციელდა. მას არც მიზნად დაუსახავს და არც უცდია თეატრის ისტორია დაწერა, ყველა დადგმა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით მიმოხეილა და თითოეული მათგანი-სათვის თავ-თავისი ადგილი მიეჩინა. წერილს უფრო კერძო და ზუსტი მისამართი ჰქონდა...

ნუთუ ვინმესთვის საიდუმლოა, რომ დიდი შემოქმედებითი ტრადიციებით საქვეყნოდ სახელგანთქმულმა რუსთაველის თეატრმა უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში თავისი სახე იერი დაკარგა? ნუთუ თეატრის სამხატვრო საბჭოს, თუ „პასუხის“ ავტორებზე მართლა სამხატვრო საბჭოდ მივიღებთ. დღემდე არ შეუტყვია, რომ ეს ერთი ხანია, მაღალი ჰუმანისტური იდეალების მოღალდე გმირულ თეატრში, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ თავისი საუკეთესო დადგმებით მაყურებელს დაუცხრომელი ბრძოლისა და წინსვლის ცეცხლს უღვივებდა, პაწია ცხოვრებისეული სიმართლე დიდ რეალიზმად საღდება, ხოლო პრეტენციოზული მანქვა-გრეხა და მაღაყები მეოცე საუკუნის ახალ თეატრალურ ხელოვნებად? ნუთუ სამხატვრო საბჭომ თავად უკეთ არ იცის, როგორ გაფერმკრთალდა, აკრელდა და აირ-დაირია თეატრის რეპერტუარი? რეპერტუარი ხომ თეატრის პროფილის და მიწართულების მთავარი მაჩვენებელია! განა მას, სამხატვრო საბჭოს, რომელიც თეატრის შემოქმედებითი პროცესის ხელმძღვანელი და წარმმართველი ორგანოა, არ მოეხსენება, როგორ დააკლდა სპექტაკლებს ხელოვანი რეჟისორის სული და მისწრაფება, როგორ გაუფერულდა

მსახიობთა, იმავე მსახიობთა თამაში, რომლებიც თავიანთი მაღალი ნიჭიერებით და გონივრულად გამიზნული ხელოვნებით ჭერ კიდევ გუშინ მაყურებლის გულსა და გონებას იპყრობდნენ?

ვის უნდა დავემტკიცოთ, რომ ეს ასე არ არის? ვინ მოვატყუოთ? საკუთარი თავი? ეს საქციელი ხომ იმ სირაქლემის გულღებრყვილობას ჰგავს, თავი რომ დამალა, მთელი ტანი და უკანალი კი უჩანდა და მინც ეგონა, დამალული ვარო?

ქართველ, და არა მარტო ქართველ, მაყურებელს ახსოვს და კვლავ დიდხანს ემასხოვრება რუსთაველის თეატრის ამ აღელვებელი სპექტაკლები, ახსოვს „ანზორი“, „რღვევა“ და „ყაჩაღები“, ახსოვს „ოტელო“ და „დიდი ხელმწიფე“, ახსოვს „ბახტრიონი“, „ფიროსმანი“ და „ოდიპოს მეფე“, „ესპანელი მღვდელი“ და „როცა ასეთი სიყვარულია“...

არცთუ ისე დიდი დრო გასულა მას შემდეგ, რაც ხალხით გაჭედილი მაყურებელთა დარბაზი თითქოს ერთ არსებად იყო ქცეული და სულგანაბული შესჩერებოდა მაღალი ხელოვნების მაღლით გასხივოსნებულ სცენას. აბა, ვინ იფიქრებდა, თუ ვინმეს, ვისთვისაც ძვირფასია რუსთაველის თეატრის წარსული, აწმყო და მომავალი, ენა მოუბრუნდებოდა იმის სათქმელად, თითქოს უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რუსთაველულეში ოდნავად მაინც მოუახლოვდნენ თავისივე ხელით, მონდომებით, გატაცებით და სიყვარულით გუშინ და გუშინწინ შექმნილი სპექტაკლების მხატვრულ დონეს?

აი, რაზე იყო ლაპარაკი ნ. გურაბანიძის სტატიაში. აი, რა გულისტკივილმა დააწერინა მას ის სტრიქონები. ნუთუ სამხატვრო საბჭოს, რომლის სახელსა და ავტორიტეტს, ამკარად ჩანს, ვიღაც სხვა ავტორი თუ ავტორთა ჯგუფი ამოჭფარებია, მართლა სჯერა, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო საგანგაშო ზარის ჩამოკერისა!

„საბჭოს“ კი როგორ გაუგია ნ. გურაბანიძის სტატია? აი. მის მიერ ჩამოყა-

ლიბეზული კვინტესენცია: „ნ. გურაბანიძის სტატის ძირითადი შინაარსი ასეთია: ა. ამბიტელმა შექმნა გმირული მანტიკული სტილი რუსთაველის თეატრში. ამ ტრადიციის გამგრძელებელი იყო დ. ალექსიძე. მ. თუმანიშვილმა და მასთან ერთად მთელმა დასმა უარყვეს (?) ეს ტრადიცია და თავი ნოვატორებად გამოაცხადეს. ამის გამო დ. ალექსიძემ დასტოვა თეატრი. მისი წასვლის შემდეგ არ შექმნილა არც ერთი ნამდვილი სპექტაკლი, არც ერთი მაღალმხატვრული სცენური სახე“.

მთელი ეს აბზაცი, რომელიც მე „თეატრის პასუხიდან“ ამოვწერე, ტიპიური გამომხატველია „საბჭოს“ აზროვნების წესისა, კეთილსინდისიერებისა და ჭეშმარიტების დადგენის სურვილისა. აქ შეუიარაღებელი თვალისათვ ადვილად დანახავ „პასუხის“ ავტორთა მისწრაფებას: რაღაც არ უნდა დაუჭდეთ თავი გაიმართლონ, თავი გაიმართლონ თუნდაც ჭეშმარიტებისა და სალი აზრის წინააღმდეგ და, თუ საჭიროებამ მოითხოვა, ლაფში ამოსვარონ არა მარტო სხვისი სახელი, არამედ ისიც, რაც გუშინ თავიანთ რწმენად მიაჩნდათ და რასაც საქვეყნოდ ეთაყვანებოდნენ.

რაკი საქმე აქამდე მივიდა, ქვემოთ მე დაწვრილებით შევეხები მოყვანილ ციტატაში აღძრულ საკითხებს, მაგრამ სამხატვრო საბჭოს საყურადღებოდ შევნიშნავ, რომ აზრთა შესლა-შემოხლის დროს აუცილებელია კამათის ელემენტარული წესების დაცვა. რა ეგულისხმება „კამათის ელემენტარული წესების დაცვაში“ უპირველეს ყოვლისა, ის, რომ კამათის დროს რომელიმე მოკამათე მხარემ, სოფისტური ეფექტის მიღწევის მიზნით, არ შეცვალოს კამათის საგანი, ეკამათოს იმას, რასაც მოწინააღმდეგე ამტკიცებს საგნის შესახებ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ბატიოსნად მოიყვანოს ოპონენტის დებულება და, ნაცვლად საგანგებოდ შეთხზული მომგებიანი ფრაზისა, საკუთარი თვალსაზრისი მხოლოდ მას დაუბიროსპიროს.

რა მიზნით გაიხსენა ახმეტელი და ის კონფლიქტი, რაც ქართული საბჭოთა თეატრის შემქმნელ კ. მარჯანიშვილსა და მის დიდ მოწაფეს შორის მოხდა, ნ. გურაბანიძემ თავის სტატიაში? მხოლოდ იმ მიზნით, რომ მის ფონზე რუსთაველის თეატრის ახლანდელი არცთუ ისე სასწარბიელო მდგომარეობა დაეხატა. გურაბანიძის სტატიაში აქცენტი იმაზე კი არ იყო გამახვილებული, თუ ვინ ვისი მემკვიდრეა ქართულ თეატრში, ან ვინ ვის შემდეგ მოვიდა, არამედ იმის დასაბუთებაზე, რომ მარჯანიშვილისა და ახმეტელის კონფლიქტი ნამდვილ შემოქმედებით ნიადაგზე იდგა, ხოლო რუსთაველის თეატრის ახალი კონფლიქტი, თუ საკითხს „გამარჯვებულთა“ მხრიდან მივუდგებით, სულ სხვა რამეს ეფუძნება და ეს „სხვა რამე“ ძველისაგან განსხვავებული პრინციპი კი არა, საერთოდ პრინციპის უქონლობაა.

მარჯანიშვილისა და ახმეტელის გახეთქილებას, რომელიც ამ ორ დიდ ხელოვანთან ერთად მთელმა ქართულმა თეატრალურმა სამყარომ განიცადა, ორი, ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული თეატრის დაბადება მოჰყვა.

აღ. ახმეტელმა უმალ შემოიკრიბა თავისი თანამოაზრეები და ბრძოლის ცეცხლი თეატრის სცენაზე გადაიტანა! სწორედ ამ დროს იქმნება ის უმნიშვნელოვანესი სპექტაკლები, რომლებმაც შემდეგ სახე შეუქმნეს რუსთაველის თეატრის და ის მსოფლიოს უთვალსაჩინოეს თეატრებს ამოუყენეს გვერდით.

კ. მარჯანიშვილმა ქუთაისში განაგრძო თავისი დიდი საქმე. მის მიერ იქ დაარსებულმა თეატრმა საზოგადოებრიობის ყურადღება მიიზიდა. თითოეულ ნაბიჯს ჯადოქარი რეჟისორისა, რომელმაც თავისთავი ქართულ თეატრში იპოვა, თვალს ადევნებდნენ რუსეთი, უკრაინა, ბალტიისპირეთი... ყოველი ახალი წარმოდგენის დღეს მაყურებლებით სავსე სპეციალური მატარებლები გადიოდა თბილისიდან. თეატრის დარბაზი მაყუ-

რებლებს, რასაც ვერც ვეღვაძა. ქუთაისი ქვეყნის თეატრალური ცხოვრების ცენტრად იქცა. თეატრალური ცენტრის რეპუტაციას კვლავ ინარჩუნებდა თბილისიც, სადაც ახმეტელის დიდი ნიჭის ბრიალა კოცონი ენთო.

„ახლა, რომც მოგვცდენ, აღარ ვინაღვლი, — წერდა ახმეტელს გამოჩენილი მსახიობი და თეატრალური მოღვაწე ვალერიან გუნია, ქართველ თეატრალთა ძველი თაობის წარმომადგენელი, — აღარ ვინაღვლი, რადგან ჩემი თვალით ვნახე ის, რაზედაც ვოცნებობდი, რასაც სიზმრად ვლამობდი. ბედნიერი ხარო, ჩვენზე უფრო ბედნიერი, რომ თქვენ წილად ვხვდათ საქართველოს სულის უკვდავების მტკიცება და დაღადისი“.

გურაბანიძემ, ბუნებრივია, გაიხსენა ეს კონფლიქტი და კონფლიქტის ეს შედეგი. იგი, როგორც ყოველი ჭკუათმყოფელი ადამიანი, წინააღმდეგი არ უნდა იყოს კონფლიქტებისა, აზრთა სხვადასხვაობისა, სხვადასხვა მიმართულების თეატრალურ ხელოვნებაში. ამისდა მიუხედავად, ერთი რამ მაინც მიუღებელია: არ შეიძლება ყოველი წვრილმანი გამოხედომა შემოქმედებით კონფლიქტად მოგნათლოთ და არაშემოქმედებითი გზით გამარჯვებული მხარე მართლა გამარჯვებულად ვცნოთ.

მოხდა რაიმე მსგავსი იმ ძველი დალოცვილი კონფლიქტისა ახლანდელ რუსთაველის თეატრში? დაიბადა რაიმე ახალი ან შენარჩუნებული მაინც იქნა ის ძველი, რაც თეატრის საფუძველს წარმოადგენდა?

იმის მაგიერ, რომ მსგავსად კ. მარჯანიშვილისა, ერთი მხრივ, და ახმეტელისა, მეორე მხრივ, სამხატვრო საბჭოს, ვისი ხელმოწერითაც „პასუხი“ დაიბეჭდა, ბრძოლის ცეცხლი თეატრის სცენაზე გადაეტანა და საზოგადოებისათვის საქმით დაემტკიცებინა თავისი მხატვრული იდეალების ცხოველყოფილობა, ის სხვათა დადანაშაულების, თავის მართლების, კრიტიკის ჩახშობის არცთუ ისე მომეგზიან გზას დაადგა და ბოლოს იქამ-

დღე კი მივიდა, რომ თეატრის მოყვარე-ნი და კეთილის მსურველნი მტრებად გამოაცხადა.

უპირველეს ყოვლისა, შეტევის შთავარი დარტყმა „საბჭომ“ დიმიტრი ალექსიძის წინააღმდეგ მიმართა. გამოაცხადა ის უპრინციპო, ესთეტიკურ იდეალს მოკლებულ ხელოვანად, ხოლო „შედარებით ახალგაზრდა თეატრმცოდნე“ ნ. გურაბანიძე, სტატიის ავტორი, მკითხველ საზოგადოებას ალექსიძის აპოლოგეტად და გუნდრუკის მკმეველად წარმოუდგინა. ამას გარდა, „სამხატვრო საბჭომ“ ნაცად ფანდს მიმართა: შეეცადა საქმე ისე დაესახა, რომ „თეატრის პასუხში“ ალექსიძე და გურაბანიძე გამოჩენილი ქართველი თეატრალური მოღვაწეებისათვის დაეპირისპირებინა, ამით, თუ მოხერხებულად დაგებულნი ხაფანგი იმუშავებდა, მომხრეები ეშოვა და ალექსიძეც და გურაბანიძეც საჯაროდ ჩაეჭოლა.

„ნუ დავივიწყებთ, რომ, — ვკითხულობთ „თეატრის პასუხში“, — ა. ახმეტელის შემდეგ რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობდნენ ა. ახმეტელის ყველა ბრწყინვალე გამარჯვებათა მონაწილენი აკაკი ზორაფა და აკაკი ვასაძე... მთავარი რეჟისორი ა. ვასაძე 20 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა რუსთაველის თეატრს (1935-1955 წ.წ.) და ის ორი სპექტაკლი, რომელსაც (?) წერილის ავტორი გმირულ-რომანტიკული თეატრის საუკეთესო ნიმუშთა შორის ასახელებს („ოტელო“, „დიდი ხელმწივე“), სწორედ ა. ვასაძის ხელმძღვანელობის პერიოდშია შექმნილი... ა. ვასაძის რეჟისორული შემოქმედების უგულვებელყოფა გმირულ-რომანტიკული თეატრის შესახებ მსჯელობისას, არა მარტო უხერხულია თეატრის ისტორიკოსისათვის (!) არამედ ხელის შემშლელიც, თუ კი მისი წერილის ნამდვილ მიზანს მართლა თეატრის კონფლიქტში გარკვევა შეადგენს“.

რამდენი სიტყვაა, იმდენივე ცინიზმი და თეატრის მოღვაწეებისა და თეატ-

რმცოდნის ერთმანეთთან წაკიდების ცდა, რასაც ლაშქრად გამოსულ „სამხატვრო საბჭოს“ სანაქებო საქციელს ვერა და ვერ ჩაუთვლით.

ჯერ ერთი, ვინ მოატყუა „საბჭო“, თითქოს ნ. გურაბანიძის წერილს ისტორიულობის პრეტენზია ჰქონდეს და იგი მიზნად რუსთაველის თეატრის ისტორიის გადმოცემას ისახავდეს? სტატია, როგორც ზემოთაც ითქვა, ეხება რუსთაველის თეატრში მომხდარ კონფლიქტს. მის მიზნებს და შედეგებს. ა. ვასაძის ხელმძღვანელობის დროს, რომელიც რუსთაველელთა ცხოვრებაში ერთ-ერთი ფრიალ ნაყოფიერი პერიოდია, კონფლიქტი არ მომხდარა, საზოგადოებისათვის ცნობილ მნიშვნელოვან განხეთქილებას თეატრში ადგილი არ ჰქონია და ამიტომ და მხოლოდ ამიტომ იგი შორს დგას სტატიის თემისა და მიზანდასახულობისაგან. მეორე, სად დაინახეს „პასუხის“ ავტორებმა ა. ვასაძის რეჟისორული დეკორის უგულვებელყოფა, ანდა გურაბანიძის მიერ მიჩქმალვა იმისა, თითქოს ა. ზორაფა და ა. ვასაძე არ ყოფილიყვნენ მონაწილენი „ა. ახმეტელის ყველა ბრწყინვალე გამარჯვებისა“?

ნუთუ ვინმეს შეუძლია თქვას და ამტკიცოს, რომ ეს სერიოზული კამათის დროს აკრძალული ხერხების გამოყენება არ არის?

მაგრამ იქნებ მოყვანილი მაგალითი გამოწკარისა და „პასუხის“ ავტორები კამათის მსგავს ხერხს სხვაგან არსად მიმართავენ?

„დ. ალექსიძისა და მ. თუმანიშვილის შემოქმედებითი პოზიციების დაპირისპირებით გატაცებულმა ავტორმა, — ვკითხულობთ ცოტა ქვემოთ, — მთელ წერილის მანძილზე დაასახელა რეჟისორ აკ. დვალიშვილის მხოლოდ ერთი სპექტაკლი... რუსთაველის თეატრში ყალბი პათეტიკის სანაცვლოდ რეალისტური სასცენო ხელოვნებისათვის ბრძოლის საკითხზე მსჯელობისას აკ. დვალიშვილის ერთხელ და ისიც ფრჩხილებში და-

მაგრამ ვის არ მოეხსენება, რომ დირექტორი სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარეცაა და თეატრის ადმინისტრაციული განმგებელიც. ის და მხოლოდ ის აწერს ხელს ყველა ბრძანებასა და განკარგულებას. თუ ხსენებულ მსახიობთა თეატრიდან დათხოვნა ვინმეს დანაშაულად ეთვლება, ეს კი უსათუოდ წინდაუხედავი საქციელია! — რად მოგვიწადინებია ერთადერთ პასუხისმგებლად დ. ალექსიძე დავსახოთ და, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, პასუხისმგებლობიდან მთლიანად გავათავისუფლოთ თვით სამხატვრო საბჭო და თეატრის დირექტორი?

„ნუთუ „თეატრის პასუხის“ ავტორები ვერ გრძნობენ, რომ სტატიის ეს ადგილიც უხეიროდაა ნაკერი?“

„სამხატვრო საბჭოს“ ლოგიკის კიდევ უფრო თვალსაჩინო ილუსტრაციაა გახლავთ რუსთაველის თეატრისა და მისი ავის მოსურნე კრიტიკოსების, თითქმის მისტიკური ბოროტებითა და ღვარძლით გაყდენილი ადამიანების ამბავი, რომელსაც გულის ამაჩუყებლად მოგვითხრობენ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიის ავტორები.

თუ მათ ვერწმუნებით, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე თეატრს პირდაპირ სასწაულები მოუხდენია. დაუდგამს არა ერთი და ეს ორი ღირსშესანიშნავი სპექტაკლი და ეს იმ დროს, როდესაც თეატრის ირგვლივ აუტანელი ატმოსფერო იყო შექმნილი. თეატრი ავის მოსურნე კრიტიკოსების განუწყვეტელ ბომბარდირებას განიცდიდა. იყო, ალბათ, მსხვერპლიც მოკლულთა და დაპრილთა სახით...

„ორი წელია ასე მუშაობს რუსთაველის თეატრის დასი და მოთმინებით ელის როდის შეწყდება ეს არაჯანსაღი, ტუნდენციური იერიშები. მაგრამ დასასრული არ ჩანს“, — გვაცოდებენ თავს თეატრის სამხატვრო საბჭოდ წოდებული ანონიმური ავტორები.

ხედავთ, რა უსამართლობა მომხდარა? ხედავთ, როგორ კრიჭაში ჩადგომიან

დიდი შემოქმედებითი ძიებებით გართულ თეატრს ეს ავკია კრიტიკოსები?

მიკითხველს, ალბათ, ძალიან გაუკვირდება, თუ ვიტყვი, რომ „თეატრის პასუხის“ ავტორებმა სულ ტყუილად აახმაურეს თავიანთი დაფი და ნალარა, აქაოდა, გალმა შევედავებით და გამოლმა შეგვრჩებო.

ვინც ფხიზლად ადევნებს თვალყურს ჩვენს პრესას, უთუოდ ეცოდინება, რომ დროის სწორედ იმ მონაკვეთში, რომელსაც „პასუხის“ ავტორები იხსენიებენ, საქართველოს ყურნალებსა და გაზეთებში არ დაბეჭდილა კრიტიკული მოხაზრებების შემცველი არც ერთი წერილი რუსთაველის სახელობის თეატრის არცერთ სპექტაკლზე. პირიქით, ზედიზედ იბეჭდებოდა და იბეჭდება ხბოს აღტაცებით აღსავსე რეცენზიები, მაშინაც კი, როცა თეატრს მარცხი მოსდის.

ასეთ სპექტაკლთა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, რ. სტურუას და გ. ქავთარაძის მხატვრული თვალსაზრისით სუსტი პიესის „ბრალდების“ დადგმა, რომელიც ცარიელ დარბაზში გამართული რამდენიმე ნაძალადევი წარმოდგენის შემდეგ ჩამოვიდა სცენიდან. მიუხედავად ამისა, პიესა და სპექტაკლი ქება-დიდებათ და ღითიარამბებით შეამკო ზოგიერთმა ჩვენმა გაზეთმა.

„ბრალდების“ ხვედრი ხვდა წილად „დაკარგულ ბარათს“ და „ღვთაებრივ კომედიას“...

იგივე ბედი ეწია რობერის „შეხვედრასაც“. კინოში განხორციელებულმა ამ ნაწარმოებმა თავის დროზე მსოფლიო ეკრანები მოიარა და ქართველი მყურბულებიც აღაფრთოვანა. სად გაქრა ნეტავ ის დიდი ტრაგიზმი და მოქალაქეობრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, რითაც გამსჭვალულია პიესის ყოველი პასაჟი, სად გაქრნენ ის ძლიერი ხასიათები, სად მიიჩქმალა ჯოჯოხეთის ცეცხლში ნაწრთობი ადამიანების სულის სიწმინდე და წარბმეუბრელობა სიმდაბლის ყოველგვარი გამოვლინების წინაშე!

სპექტაკლ „შეხვედრას“, ისევე რო-

გორც რუსთაველის თეატრის ბევრ სხვა დადგმას, ხალხი არ ესწრება და იგი ცისა და მიწის შუა არის გამოვიდებული. არც ამას შეუშლია ხელი ზოგიერთი ჩვენითადღეღვას მოკლებული უსიცოცხლო დადგმა აღფრთოვანებული ქება-დიდებათ შეემკო.

თუ არ ვავიხსენებთ უფრო ადრე დადგმულ „ქალთა აჯანყებას“, „სასტუმროს დიასახლისს“ და „ზაფხულის ღამის სიზმარს“, ამაზე ქვევით თეატრი ჯერჯერობით არ დაშვებულა. თუმცა ძნელია თქმა, კიდევ სადამდე შეიძლება „დაშვება“, მაგრამ ჟურნალ-გაზეთები კეთილის მოლოდინში მაინც დელიკატურ დუმილს იცავდნენ და რუსთაველის თეატრის მესვეურებს, ამრიგად, მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევდნენ.

კიდევ რას მოითხოვს „სამხატვრო საბჭო“? რად ბრძანდება აგრერიგად უქმყოფილო? აქი ბიბლიური სიმშვიდით ვიტანდით ავის მოსურნე კრიტიკოსთა გამუდმებულ თავდასხმებს და დღესაც არა ვიცით, როდის მოელება ბოლო ამ არაჯანსაღ გამოსხომებსო!

თურმე ნუ იტყვით, საქმე სწორედ საპირისპიროდ ყოფილა და ამირანის გულში ნამღერი „საბჭოს“ მართლა მოძახილად მოუღია.

რა მიზეზის გამო წარმოიშვა და რით დაიწყო რუსთაველის თეატრის ახალი კონფლიქტი? როდის გამოვიდა იგი საბოლოოდ კულისებიდან და როდის გაშიშვლდა? ვინ და ვინ გამოხატავდნენ დაპირისპირებულ მხარეთა სხვადასხვა ბანაკს?

რაკი ყოველივე ამაზე სიტყვა ჩამოგვივადია, სხვა გზა არ არის, პასუხიც ჩვენვე უნდა გავცეთ.

კონფლიქტი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და იმათ შორის, ვინც ნებისით თუ უნებლიეთ რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილისა და შემდეგ ნ. კიტიას მხარეს იჭერდა, დაიწყო „სასტუმროს დიასახლისისა“ და „ზაფხულის ღამის სიზმრის“ დადგმის შემდეგ. მანამდე და

ალექსიძისა და მ. თუმანიშვილის შორის თანხმობა სუფევდა. კონფლიქტის გამომწვევ მიზეზად იქცა არა რომელიმე რეჟისორის სუსტი სპექტაკლი, ვერც მისი ტერული ჩავარდნა, რისგანაც, სხვათა შორის, წინასწარ არავინ არის დაზღვეული, არამედ ახალი ნაწარმოებით ხელოვნების ფარგლებს გარეთ გასვლა, თეატრის როლისა და დანიშნულების ფაქტიური უგულებელყოფა.

იმავე მ. თუმანიშვილმა რეჟისორის მაღალი ხელოვნებით აღბეჭდილი არა ერთი სპექტაკლი შექმნა. ამ სპექტაკლებს საპატიო ადგილი უჭირავს რუსთაველის თეატრის სცენაზე განხორციელებულ საუკეთესო დადგმებს შორის. მისი უთუოდ საყურადღებო დადგმებიდან, უპირველეს ყოვლისა, მოხსენიების ღირსია „ესპანელი მღვდელი“, „როცა ასეთი სიყვარულია“, „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“, „ზღვის შვილები“. ამ სპექტაკლების დადგმით მ. თუმანიშვილმა მაღლიერი მაყურებლის გულთბილი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა, მაგრამ იმავე მაყურებელმა ზურგი შეაქცია თავისი საყვარელი რეჟისორის ახალ დადგმებს: ჯერ „ქალთა აჯანყებას“, ხოლო შემდეგ „სასტუმროს დიასახლისს“ და „ზაფხულის ღამის სიზმარს“. ვერც ერთმა, ვერც მეორე და ვერც მესამე სპექტაკლმა რამდენიმე წარმოდგენასაც ვერ გაუძლო. ეს მარტოოდენ დადგმის სისუსტით როდი იყო გამოწვეული. სამივე სპექტაკლი დამდგმელი რეჟისორის მცდარ შემოქმედებით პოზიციასზე გადასვლას მოახწავებდა.

აი, საიდან დაიწყო კონფლიქტი და ფარული განხეთქილება, მაგრამ ის მართო შემოქმედებით სფეროს როდი გულისხმობდა. როგორც ჩანს, დინტერესებულმა პირებმა იგარძნეს, რომ უქმყოფილების გასაღვევებლად ნოკიერი წიადაგი იყო შექმნილი და ცეცხლზე ნავთის დასხმაც არ დააყოვნეს. აღის პირველ აპარპალებად იქცა ზემოხსენებული პიესა „ბრალდება“, რომელზე მუშაობასაც თეატრი სამხატვრო ხელმძღვა-

ნელის თბილისში ათყოფიის დროს აყუ-
დგა. წარმოებაში ჩაშვებული პიესის წა-
კითხვის შემდეგ დ. ალექსიძემ კატეგო-
რიულად მოითხოვა რეპეტიციების შე-
ჩერება. ძალაუფლება დირექციის ხელთ
იყო და სამხატვრო ხელმძღვანელის მო-
თხოვნა დარჩა ხმაღ მღალადებლისა უდ-
ანოსა შინა. მივლეთ უდღეური სპექ-
ტაკლი. ადვილი მისახვედრია, თუ რაო-
დენ და როგორ დაიძაბებოდა ატმოსფერო
თეატრში...

აქ, როგორც ვხედავთ, შემოქმედები-
თი ფაქტორიც მოქმედებდა და პიროვნულ-
ადამიანურიც. დ. ალექსიძემ ვერ
პოვა მხარდაჭერა ყველა იმათგან, ვის-
განაც ამას მოელოდა და ის იძულებულ
იყო გახდა თეატრი დაეტოვებინა.

ძალიან შემცდარა, თუ მსგავსად „თე-
ატრის პასუხის“ ავტორებისა, ვინმე სე-
რიოზულად ფიქრობს, რომ ეს ნაბიჯი დ.
ალექსიძის პრინციპულობის გამომხატ-
ველი არ იყო, თითქოს დ. ალექსიძეს ქა-
რთულ თეატრში თავისი შემოქმედები-
თი მარწამსი არ ჰქონდა და თეატრიდან
მისი წასვლა „გმირულ-რომანტიკული
თეატრისათვის ბრძოლას“ არ წარმოად-
გენდა.

თავისი აზრისა და პოზიციის გამართ-
ლების მიზნით, თითქოს „სამხატვრო სა-
ბჭო“ უცოდველი კრავი და თითქმის
მსხვერპლია ავის მოსურნე კრიტიკოსე-
ბის თავდასხმებისა, „პასუხის“ ავტორე-
ბი ასომთავრულით წერენ:

„დ. ალექსიძე რუსთაველის თეატრში
1936 წელს მოვიდა. 1956 წლამდე მას არ
დაუდგამს არც ერთი გმირულ-რომანტი-
კული სპექტაკლი, რომელიც დასახელე-
ბის ღირსად ჩათვალოს ნ. გურაბანი-
ძეს“.

მაშ ასე: რაკი ნ. გურაბანიძემ არ და-
სახელა, მაშასადამე, არც ყოფილა! იქ-
ნებ ნ. გურაბანიძეს შეეშალა და „არ და-
სახელა“, ის ხომ, ბოლოსდაბოლოს,
„შედარებით ახალგაზრდა თეატრმცოდ-
ნეა“. ჩვენ, სამხატვრო საბჭო“ რომ
ვართ, ყოვლად ობიექტური და მიუდგო-
მელი სოლიდური ორგანო, ჩვენ დაგვე-

დასახელა, რაკი ნ. გურაბანიძემ არ და-
სახელა და საერთოდ რისამე დასახელება
შეიძლებოდა!

„მე აქ არ ჩამოვთვლი კ. მარჯანიშვილისა და ა. ახმეტელის სპექტაკლებს, —
წერდა თავის სტატიაში ნ. გურაბანი-
ძე, — მაგრამ ნუთუ „ოტელო“, „დიდი
ხელმწიფე“, „ოიდიპოს მეფე“, „როცა
ასეთი სიყვარულია“, „ზახტრიონი“ არ
არის ნამდვილი გმირულ-რომანტიკული
თეატრი?! სწორედ ამგვარ მიმართულე-
ბას უშუქრდა მზარს და მისი განმტკიცე-
ბისათვის იბრძოდა დ. ალექსიძე, რო-
მელმაც, მართალია, ხარკი გადაუხადა
ცრურომანტიზმს, მაგრამ შექმნა სპექ-
ტაკლები, რომლებიც ათასგზის ანაზღა-
ურებენ წარსულის ცთომილებას“.

სტატიის ავტორი ლაპარაკობს რეჟი-
სორის შემოქმედებით მიმართულე-
ბაზე, მისი ქმნილებების მოქალაქეობრივ
მარწამსზე, აზრის საილუსტრაციოდ მოჰ-
ყავს თეატრის რამდენიმე თვალსაჩინო
დადგმა, მათ შორის შ. აღსაბაძის, ა. გა-
საძის, მ. თუმანიშვილის და თვით დ. ალ-
ექსიძის საუკეთესო სპექტაკლები. განა
ეს საკმარისი არ არის იმის მისახვედრად,
თუ რისი თქმა უნდა ნ. გურაბანიძეს?

მან, როდესაც რუსთაველის თეატრის
დიდ მღწევეებს შეეხო, მიზანშეწონი-
ლად ვერ მიიჩნია დ. ალექსიძის აღრინ-
დელი ნაწარმოებები მოუხსენიებინა, რა-
დგან მონოგრაფიას არა წერდა დ. ალ-
ექსიძის შემოქმედებაზე, მაგრამ ეს განა
რამიმე სასარგებლოს ლაპარაკობს იმაზე,
რომ 1956 წლამდე დ. ალექსიძის არც
ერთი გმირულ-რომანტიკული სპექტაკ-
ლი არ დაუდგამს და ის, საერთოდ, არ
შეიძლება ჩაითვალოს ამგვარი თეატრის
პრინციპულ მიმდევრად?

თუკი კაცს მენსიერება გილატებს
და საჭიროების დროს მეგობრის ტე-
ლეფონის ნომერი არ გაეახსენდება, უბ-
ის წიგნაკი უნდა ამოიღო და შიგ ჩაიხე-
დო. „სამხატვრო საბჭოს“, ეტყობა, არა-
მცდარამც არა სურს ჯიბიდან უბის წი-
გნაკის ამოღება. რაკი ასეა, მე თავად და-
ვეხმარები და რუსთაველის თეატრის
ძველ რეპერტუარს შევასხენებ.

დ. ალექსიძემ 1937 წელს, როდესაც პირენის ნახევარკუნძულზე სამოქალაქო ომის ხანძარი მძვინვარებდა, დადგა პიესა „ალკაზარი“, რომლითაც გამოეხმაურა ესპანელი ხალხის სამეკდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ფაშისტური დიქტატურის ბატონობის წინააღმდეგ. ამ **გმირულ-რომანტიკულ სპექტაკლს** დიდი წარმატება ხვდა წილად და იგი რამდენიმე სეზონის განმავლობაში წარმატებით იდგმებოდა. სპექტაკლს სანგრებში და ბარიკადებზე მდგომი ესპანელი კომუნისტებიც კი გამოეხმაურნენ. თეატრს მადლობის დეპეშები გამოუგზავნეს და ქართული თეატრის წარმოდგენა ესპანელი ხალხის გმირული სულის გამომხატველად მიიჩნიეს.

დ. ალექსიძემ 1942 წელს, როდესაც პიტლერელი კაციკამები კავკასიის უღელტეხილებს მოადგენენ და თბილისის თავზე „ფოკე-ვულფების“ ნაწყვეტ-ნაწყვეტი გუგუნი მოისმა, სცენაზე განახორციელა მძაფრი პოლიტიკური დრამა „პროფესორი მამლოკი“. ეს იყო შეუირიგებელი პროტესტი და ნამდვილი ომი გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ. „პროფესორი მამლოკს“ მოჰყვა სანდრო შანშიაშვილის პეროიკული დრამა „კრწანისის გმირები“ და ბორის ლავრენიევის „მეზღვაურები“; ომის შემდეგ — „ღრმა ფესვები“, „პირველი ნაბიჯი“, მიხეილ მრეველიშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, პეროიკული კომედია „დონ სეზარ დე ბაზანი“, „გლახის ნაამბობი“, „ბორის გოდუნოვი“, „ჰამლეტი“, „ადამიანი იბადება ერთხელ“, „ამირანი“.

ამ სპექტაკლების დიდი უმრავლესობა, რომელთა მხატვრული სრულყოფის დონე, რასაკვირველია, სხვადასხვაა, სწორედ **1956 წლამდე დაიდგა**. ყოველ მათგანში დ. ალექსიძე თანმიმდევრულად ეძებდა თავისთავს, როგორც **გმირულ-რომანტიკული თეატრის მიმდევარი**, და რა გაეწყობა, თუ მისი ცდა ყოველთვის დიდი წარმატებით ვერ დაგვირგვინდა!

განა ჩვენს დიდი რეჟისორების კოტე

მარჯანიშვილისა და ალექსანდრე ახმეტელის ყველა სპექტაკლმა გაიმარჯვა/ღარმა კვალი დასტოვა ერის სულიერ/ცხოვრებაში? აბა, რომელ მეთოდებს/გაახსენდება, გარდა პროფესიონალი თეატრალებისა, თუნდაც ეს სპექტაკლები: „ცისფერი ობობა“, „მასკოტა“, „რომანი“, „დეზერტიკა“, „ბაილი“, „მოხუცი ენთუზიასტი“, „სამინი“, „კაცი სარკიდანი“, „კარმენსიტა“, „ხოტოების დოლი“, „ღვარძლი“...

მაგრამ, როდესაც მარჯანიშვილისა და ახმეტელის რეჟისორულ ხელოვნებაზე მსჯელობას ვიწყებთ, განა ამ მივიწყებულ სპექტაკლებს ვეგურგურებით გარშემო? დიდი ხელოვანის სახელი და დიდება, როგორც ერთ, ისე მეორე რეჟისორს ამ და ათობით სხვა სპექტაკლმა კი არ მოუტანა, არამედ მთაყურებლის გულში ღრმად აღბეჭდილმა ქმნილებებმა. მარჯანიშვილისათვის ესენია: „ცხვრის წყარო“, „ურიელ აკოსტა“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“, „კაკალ გულში“, „ჰამლეტი“, ხოლო ახმეტელისათვის — „რღვევა“, „ანზორი“, „ლამარა“, „ყაჩაღები“.

ასევე, დ. ალექსიძის შემოქმედების მწვერვალებს წარმოადგენენ და მის ესთეტიკურ იდეალს ყველაზე უფრო სრულად და ნათლად გამოხატავენ რუსთაველის თეატრის სცენაზე ამ ბოლო დროს განხორციელებული სპექტაკლები: „ოიდიპოს მეფე“, „ბახტრიონი“, „ფიროსმანი“...

თუ ყოველივე ეს ასეა, და რომ ეს ასეა, ძნელია ეჭვი შეგვეპაროს, მაშ როგორღა ახერხებენ „თეატრის პასუხის“ პატივცემული ავტორები იმის კატეგორიულ განცხადებას, რომ „გმირულ-რომანტიკული ხასიათის ორი სპექტაკლი („ოიდიპოს მეფე“ და „ბახტრიონი“) თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე რეჟისორის მხატვრულ კურსად ვერ ჩაითვლება?“ რა საბუთის ძალით აცხადებს „საბჭო“, რომ ის, ალექსიძე, „არ ყოფილა გმირულ-რომანტიკული სასცენო ხე-

ლოვნებისათვის თანამიმდევრული მებრძოლი?"

თუ „პასუხის“ ავტორთა ამ უცერემონიო განცხადებას გულუბრყვილოდ ვენდობთ, მაშინ, ზემოთ ხსენებული მივიწყებული სპექტაკლების მკვდარი სიის მოშველიებით, იმასაც ადვილად დავამტკიცებთ, რომ არამცთუ დ. ალექსიძემ, თვით ა. ახმეტელიც კი არ ყოფილა გმირულ-რომანტიკული სასცენო ხელოვნებისათვის თანამიმდევრული მებრძოლი და მისი დამამკვიდრებელი.

ახალი და კიდევ უფრო დიდი საოცრება ის გახლავთ, რომ ნ. გურაბანიძესთან კამათის ეშში შესული „სამხატვრო საბჭო“ არ კმაყოფილდება ალექსიძის სახელისა და დამსახურების ძირფესვიანი ამოძრკვეთ რუსთაველის თეატრის ისტორიიდან და ლტოლვილ რეჟისორს კვალდაკვალ მისდევს, რათა იქ, სადაც ის ამჟამად არის და მუშაობს, „წყალი შეუყენოს“ და უნდობლობის ატმოსფეროში მოაქციოს.

საბჭოთა მაცურებელმა კარგა ხანია იცის, რომ რუსთაველის თეატრიდან წასვლის შემდეგ დ. ალექსიძემ მართლაც განაგრძო თავისი შემოქმედებითი პოლემიკა, ფრანკოს სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე ზორცი შეასხა ანტიკურ ტრაგედია „ანტიგონეს“ და კიეველ მაცურებელს ამაღელვებელი გმირულ-რომანტიკული სპექტაკლი უჩვენა. მალე იმავე თეატრში მან განახორციელა კულიშის გმირულ-რევეოლუციური პიესა „პათეტიკური სონატა“ და ამით ერთხელ კიდევ ნათელი გახადა თავისი ესთეტიკური იდეალი და მხატვრული პოზიცია.

თუ „საბჭოსეულ“ ტერმინოლოგიას მოვიშველიებთ, დ. ალექსიძემ ფრანკოს თეატრს იმიტომ მიმართა, რომ ის რუსთაველის თეატრის მონათესავე ტრადიციების მატარებლად მოიჩინა. ვინც უკრაინულ ლიტერატურას, კინოს, თეატრს, სახელოვან ალექსანდრე დოვჟენკოს იცნობს, ისიც უსათუოდ ეცოდინება, რომ უკრაინული ხელოვნების ერთ-

ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისებაა გმირულ-რომანტიკული სული. იქ, ფრანკოს თეატრში, დ. ალექსიძემ იმავე თანამოაზრე დასი, რომელმაც მხოლოდ რვალებდ დაუჭირა მხარი რეჟისორის პრინციპებს და ამას შედეგად მოჰყვა თეატრის დიდი შემოქმედებითი გამარჯვება.

„სამხატვრო საბჭოს“ უსათუოდ გაგებული ექნება, რომ კიევეში კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა. გაიხსნა ახალგაზრდული თეატრი. დამფუძნებელი სპექტაკლი „იმედის დაღუპვა“ უკვე გაიმართა აპრილის თვეში. თეატრის დამაარსებელია „საქართველოს სახალხო არტისტი დიმიტრი ალექსიძე“. უკრაინის პრესა იუწყება, რომ უახლოეს დღეებში შედგება ვერდის ოპერის „ოტელიოს“ პრემიერა ტ. შევჩენკოს სახელობის ოპერის თეატრში. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია იგივე დ. ალექსიძე...

„საბჭო“ ძალზე სკეპტიკურად უდგება ამ ამბებს და კბილებშია სცრის: „უნდა გვახსოვდეს, რომ ტრადიცია მართო ქართულ თეატრს არ გააჩნია. ფრანკოს სახელობის უკრაინულ თეატრს აქვს საკუთარი ტრადიცია და ინდივიდუალური შემოქმედებითი სახე. სხვისი თეატრის ტრადიციისადმი პატივისცემაც გვმართებს“.

ბარაქალა, „სამხატვრო საბჭოვ“, რომ ასე ნათელი და ჰუმანისტური დოქტრინით გამოდიხარ! სხვისი თეატრის ტრადიციების პატივისცემა მართლაც რომ გემართებს, მაგრამ ნეტავი რას ამბობენ დ. ალექსიძის მიერ დაზარალებულნი. თვით უკრაინელები, ვთქვათ, „ანტიგონეს“ დადგმის კონკრეტული ფაქტის გამო?

აი, რამდენიმე ამონაწერი:
„პრემიერამ მოხიბლა მაცურებელი, — წერს უკრაინის ლიტერატურული გაზეთი „ლიტერატურა უკრაინა“, — მოხიბლა რეალისტური მონუმენტალობით... წარმოდგენა იქცა ჭეშმარიტ ზეიმად კიეველ მაცურებელთათვის, ყველასათვის.

ვსათვისაც ვფიქროვთა უკრაინული სა-
ჭოთა თეატრის ბედი... კიევს მსგავსი
არაფერი უნახავს, ალბათ, მას შემდეგ,
როცა „ახალგაზრდა თეატრმა“ ლ. კურ-
ბასის რეჟისორობით დადგა (1919 წ.)
„ოიდიპოს მეფე“.

„კულტურა ი ჟიტია“ გვერდში ამო-
უდგა თავის ლიტერატურულ თანამოძ-
მეს:

„პრემიერაზე მე ვფიქრობდი იმის შე-
სახებაზე, რომ ფრანკოელთა დიდების აღ-
ორძინება, რასაც ამდენ ხანს ველოდით,
უკვე რეალურად ისახება“.

„ფრანკოელთა პრემიერა, — აცხადებს
„ვეჩერნი კიევი“, — არის არა მარტო ახ-
ალი ნაბიჯი თეატრის შემოქმედებით ბი-
ოგრაფიაში, არამედ ეს არის მნიშვნელო-
ვანი მოვლენა უკრაინის მთელ კულტურ-
რულ ცხოვრებაში...“

„პათეტიკური სონატის“ დადგმა, —
ვკითხულობთ იმავე გაზეთში, — არის
მარგალიტის დაბრუნება ერის შემოქ-
მედებით საგანძურში. ეს არის დიადი
სიმღერა ჩვენს მიწაზე, ოქტომბრის მო-
სავალზე“.

ამონაწერების მოტანა კიდევ და კი-
დევ, დაუსრულებლივ შეიძლებოდა
„სოცეტსკაია კულტურადან“, „ლიტერა-
ტურნაია გაზეტადან“, მაგრამ გასაქანი
ადარა გვაქვს — ყურნალის ტერიტორი-
ას და მკითხველის მოთმინებას უნდა გა-
ვეფრთხილდეთ. ამას გარდა, მკითხვე-
ლი, ალბათ, ისედაც თვალნათლივ ხე-
დავს, თუ რა საშინლად დაუზარალებია
რუსთაველის თეატრის სამხატვრო საბ-
ჭოსაგან მოძულეებულ დ. ალექსიძეს მო-
ძმე უკრაინის კულტურა, როგორ შეუ-
ლახავს მას, ვთქვათ, ფრანკოს სახელო-
ბის დრამატული თეატრის შემოქმედე-
ბითი ტრადიციები!

აი, მესმის მამულიშვილობა! სწორედ
ასე უნდა გახარებდეს სახელოვანი თა-
ნამოძმის ალალი წარმატება, როგორც დ.
ალექსიძის დიდი გამარჯვების ამბებს
რუსთაველის სახელობის თეატრის „სამ-
ხატვრო საბჭო“ გაუხარებია...

რაკი საქმე კამათზე მიდგა, მოდი, ბო-

ლომდე მივყავთ. რას დაუპირისპირე-
ბენ „თეატრის პასუხის“ ავტორები? დ.
ალექსიძის ამ უკანასკნელ სპექტაკლზე,
დ. ალექსიძისა, რომელმაც თავისი მნიშ-
ვრული მიდრეკილების ცხოველყოფე-
ლობა უზარმაზარ აუდიტორიაში საქმით
დაამტკიცა? აქი ჩვენი გაზეთის ფურც-
ლებზე ისინი თვითონვე გვეუბნებიან.
რომ „თუ თეატრის შემოქმედებით ცხო-
ვრებაში წარმოიშვა კონფლიქტი, მისი
ამოსხნის (აქ კიდევ მინდა გავიმეორო
აღფრთოვანება „პასუხის“ ავტორთა ქა-
რთულის „მაღალი შტილის“ გამო! —
რ. ჯ.) მხოლოდ ერთი გზა არსებობს:
ორი მიმართულების საუკეთესო ნიმუ-
შების შესწავლის შედეგად უნდა გაირ-
კვეს, რომელია უფრო საინტერესო და
ახლოებული თანამედროვე მყურებლი-
სათვის“.

სწორედ ჩინებული აზრია. ვითომ ამ-
ის წინააღმდეგია ნ. გურაბანიძე? მეც მა-
ნდა ვარ. მაგრამ საკითხავი ის არის, რო-
გორ გამოვიყენოთ ახლა ეს აზრი ცხოვ-
რებაში? როგორც ზემოთ დავინახეთ,
ფრანკოს სახელობის თეატრში ჩასანგ-
რებულმა „ერთმა მხარემ“ ქვეყანას უკ-
ვე უჩვენა თავისი საუკეთესო ნიმუშე-
ბი. რაღას უცდის „მეორე მხარე“? დრო
უკვე საქმით გავიდა, ზუსტად იმდენივე,
რამდენიც დ. ალექსიძის დასჯირდა თა-
ვისი სპექტაკლების დასადგმელად. ბა-
რემ დავვისახელოს „სამხატვრო საბ-
ჭომ“ თავისი „საუკეთესო ნიმუში“ აი
„ნიმუშები“ და ჩვენც, სხვებთან ერ-
თად, შეძლების კვალობაზე შევეცდებით
მით შესწავლას, რათა „გაირკვეს, რომე-
ლია უფრო საინტერესო და ახლოებული
თანამედროვე მყურებლისათვის“.

„საბჭო“, როდესაც მას უსაყვედუ-
რებენ თანამედროვე ქართული რეპერ-
ტუარის უქონლობის გამო, იმის მაგიერ,
რომ ეს საველლო მდგომარეობა ახს-
ნას, თავს ფრთის ქვეშ იმაღავს და მო-
მავალი სპექტაკლების სიას აქვეყნებს,
აი, თუ არ არის რეპერტუარი, აი, თუ
არ მოვიზიდეთ თეატრში ქართული მწე-
როლობის საუკეთესო ნაწილი!

ნ. გურაბანიძე ლაპარაკობს იმაზე, რაც არის დღეს და „სამხატვრო საბჭო“ უპასუხებს იმით, რა იქნება ხვალ, ხოლო რაც იქნება ხვალ, ყველას მოეხსენება, ჯერ კიდევ არ არის დღეს!

თავის მართლების მანერა „პასუხის“ ავტორებისა გახლავთ სწორედ კამათის საგნის შეცვლა, სოფისტური ეფექტის მიღწევის მიზნით, რაზედაც ზემოთ გაკვრით ვლამბარაკობდი.

ყველას, ვისაც გულით სწავლია რუსთაველის თეატრის აღორძინება, მისი დაბრუნება მოქალაქეობრივი შემართების ტრადიციებზე, რაც არამცდარამც არ მოახწავებს ძველის განმეორებას ან ადგილზე ტყეპნას, მერწმუნოს „სამხატვრო საბჭო“, უდიდეს სიხარულს მოკვების პირველივე წარმატება რუსთაველის თეატრის სცენაზე. ჯერჯერობით კი „ღარიბია მიმდინარე რეპერტუარის აფიშა, — როგორც ამბობდა ნ. გურაბანიძე, — იგი სრულიადაც ვერ გამოხატავს რუსთაველის თეატრის მთელ შესაძლებლობას“. ნ. გურაბანიძეს იქაც უნდა დავეთანხმომოთ, სადაც იგი მეტად გულთბილად იხსენიებს თეატრის ახალი თაობის მიერ შექმნილ რამდენიმე „მხვილ, პლასტიკურად მოქნილ როლს“, მაგრამ, სამწუხაროდ, ის მაშინაც მართალია, როცა ამბობს: ასეთი როლები გარკვეულ მნიშვნელობას იძენენ რომელიმე მსახიობის „ბიოგრაფიაში“, ხოლო „თეატრის საერთო ბიოგრაფიაში“ (რომ არა ვთქვათ ისტორიაში) ისინი ითქვიფებიანო.

მაშ, მთავარი გასაკეთებელი საქმე — ბრძოლის ცეცხლისა და პათოსის სცენაზე გადატანა და საკუთარი სიმართლის სცენაზე და არა ლიტონი სიტყვით დამტკიცება, ჯერ კიდევ წინაა.

სიტყვამ მოიტანა და „პასუხის“ ავტორებს მსურს აქვე ვკითხო: რატომ ასე მტკივნეულად განიცადეს მათ ნ. გურაბანიძის მიერ იმ საზეიმო დეკლარაციის გახსენება, რომელიც 1964 წლის ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე იყო გამოქვეყნებული?

უსმინეთ, უსმინეთ, უსმინეთ ყველამ:

„საქართველოში, თბილისში, ძიუდო თუმანიშვილისა და დორიან კიტიას-ხელმძღვანელობით ახალი თეატრი შეიქმნა!“

გაზეთის
სახელწოდება

ესაო, გვარწმუნებს „საბჭო“, დამწყები თეატრმცოდნის დაწერილიაო. მან, იმ თეატრმცოდნემ, სათქმელ აზრს „შესაფერი ფორმა“ ვერ მოუძებნა, ნ. გურაბანიძეს კი ისეთნაირად მოჰყავს ეს ფრაზა, თითქოს იგი თუმანიშვილს ან კიტიას ეკუთვნოდესო.

მაგრამ „საბჭოს“ ამ განცხადების შემდეგაც რომ ღია და ამოუხსნელი რჩება საკითხი? ბოლოსდაბოლოს, შექმნეს თუ არა თბილისში მ. თუმანიშვილმა და ნ. კიტია ახალი თეატრი? რა „შესატყვისი ფორმა“ ვერ გამოუძებნა თავის აზრს იმ დამწყებმა თეატრმცოდნემ, რის თქმას აპირებდა?

შეორე: თუ ჟურნალ „ცისკრის“ 1964 წლის მესამე ნომერში გამოცხადებული სენსაციური ამბავი სინამდვილეს არ შეეფერებოდა და ის მხოლოდ „დამწყები კრიტიკოსის“ ფანტაზიის ნაყოფი იყო, რაღას გაუჩუმდნენ ან კიტია, ან თუმანიშვილი ან ორივე ერთად და საზოგადოებას რად ვერ აუწყეს, ისეთ რამეს მოგვაწერენ, რაც ჩვენ არ ვაგვიკეთებიაო? ნ. გურაბანიძეც ხომ „შედარებით ახალგაზრდა თეატრმცოდნეა“. თუკი მის უცნებელ სტატიას მრისხანე საპასუხო წერილი მოჰყვა, არ შეიძლება, სხვა შემთხვევაშიაც ასევე მოვქცეულიყავით და გაუგებრობა თავიდან აგვეცილებინა?

რამდენადაც მე ვიცი, არც ნ. კიტია და არც მიხეილ თუმანიშვილს პრესაში ან რომელიმე საჯარო გამოსვლის დროს მსგავსი განცხადება არ გაუკეთებიათ. ვიცი ისიც, რომ მათ მაგივრად სხვამ, ისევ ნ. გურაბანიძემ, სცადა ერთ-ერთ მოწინავე გაზეთში თავისი გულისწყრომა გამოეთქვა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ წერილი რედაქციამ მოიწონა და მიიღო დასაბეჭდად, რაღაც მიზეზის გამო, მან, წერილმა, მზის სინათლე ვერ იხილა.

მაშასადამე? რა დასკვნის გამოტანა შეიძლება მომხდარი ფაქტიდან? ეთან-

ხმებიან თუ არ ეთანხმებიან ნ. კიტია და რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი „დამწყები კრიტიკოსის“ სენსაციულ განცხადებას? ვერ ვიტყვი, ეთანხმებიან-მეთქი, მაგრამ, სამწუხაროდ, არც იმის თქმა შემიძლია დაბეჯითებით, რომ არ ეთანხმებიან.

ვითომ მიფუჩეჩება უფრო გონივრულია, ვიდრე სათქმელის თქმა და პირნათელობა? „სამხატვრო საბჭოს“ თავისი სტატიის პირველსავე სვეტში ემჩნევა სატიკერის „მიფუჩეჩებისაკენ“ მიღრეკილება. რა მოხდაო, გვეკითხება იგი, ეს რა ამბავი და დავიდარაბა ატეხეს ამ ავყია კრიტიკოსებმაო, ნუთუ მეტი საზრუნავი არ გააჩნიათ, ვიდრე თეატრის საქმიეებში ხელების ფათურიაო? ნუთუ „წვრილმანი უსიამოვნება ან შენობის ფსადის ნაწილობრივი არქიტექტორული კორექტურა“ საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენად უნდა გადაიქცეს და შეურაცხყოს თეატრის მუშაკებიო?

იქნებ ამ ბუზღუნისათვის, რასაც ლოგიკურ მსჯელობასთან საერთო არაფერი აქვს, ყურადღება არც მიგვექცია, აბზაცო რომ ერთობ საჩოთირო გამოთქმით არ ბოლოვდებოდეს. აი, სიტყვასიტყვით: „ნეტავ მეტეხს მოვფრთხილებოდით ისე, როგორც ფითოვეის მიერ აგებული თეატრის კარებს!“

სამწუხაროდ, მეტეხის კლდეს არაფერი აქვს საერთო რუსთაველის თეატრთან, ამიტომ აქ არას ვიტყვი, მაგრამ არ შემიძლია „თეატრის პასუხის“ ავტორებს ერთხელ კიდევ არ ვკითხო: უფიქრდებიან თუ არა ისინი თავიანთ ორაზროვან გადაკვრებს? სად ჰგონიათ თავი? რომელ დროსა და ქვეყანაში? ესმით თუ არა, რა დიდი ზიანის მოტანა შეუძლია დაუფიქრებლად წამოსროლილ თითოეულ სიტყვას, თუნდაც ეს სიტყვა მხოლოდ გვარი იყოს მოძმე ერის შვილისა?

ახლა, რაც შეეხება თვით „ფსადის არქიტექტორულ კორექტურას“. რუსთაველის თეატრის შენობას, როგორც ცნობილია, ფსადის შესაფერისი ხის კარები

ჰქონდა. წლინახევრის თუ ცოტა უფრო მეტი ხნის წინათ ხის კარები ჩარჩლებიანდ მოხსნეს და იგი ლითონის ჩარჩოებში ჩასმული მინებით შეცვალეს. „სიახლემ“ ვარგებული იერი შეუცვალა რუსთაველის თეატრის სახილველად მშვენიერ შენობას და ის, უკეთეს შემთხვევაში, „ინტურისტის“ პირველი კლასის რესტორანს დაამსგავსა.

როგორ ფიქრობს „სამხატვრო საბჭო“: ნუთუ ეს არ არის „საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენა“?

რით გამტყუნდა, ბოლოსდაბოლოს, ნ. გურაბანიძე? რით გამოხატა მისი „არაკეთილმოსურნეობა“? სად შეეცადა ბამბა ეჩხრიალებინა ან თეთრი შავად მოენათლა? რა თქვა ასე მომავდინებელი, რომ „სამხატვრო საბჭოს“ მრისხანებას საზღვარი არა აქვს?!

მან თქვა, ისიც გადაჭარბებული თავზიანობით, მოკრძალებულად და ბოდიშის მოხდით, რომ „ღარიბია რუსთაველის თეატრის მიმდინარე რეპერტუარის აფიშა“, რომ ის ღარიბია განსაკუთრებით ქართული თანამედროვე პიესებით, რომ რუსთაველის თეატრის რეჟისორები და მსახიობები ვერ მუშაობენ ისე, როგორც მათ შეეფიქრება, რომ დასის ნამუშევარი არ გამოხატავს მის შესაძლებლობებს...

ესაა ნ. გურაბანიძის სტატიის მთელი შინაარსი და მიზეზი, რის გამოც ის დაიწერა. „სამხატვრო საბჭო“ სწორედ ამას გაუტყუებლბია.

მაგრამ რას გვეუბნებიან თვით ავტორები „თეატრის პასუხისა“?

„გვაქვს ხარვეზები რეჟისორულ შემსაძლებლობათა გამოყენების და დასის შემოქმედებითი პოტენციის გამოვლენის საკითხშიც. ჩვენი კოლექტივის ბევრი მსახიობი უფრო მეტი შესაძლებლობის მქონეა, ვიდრე ეს ჩვენს სცენაზე ჩანს დღეს“.

„ერთი კი შეგვიძლია თამამად (!) განვაცხადოთ, — ვკითხულობთ ცოტა ზემოთ, — რუსთაველის თეატრის კოლექტივი გაცილებით უფრო მეტ ნაკლს ხე-

დავს თავის დღევანდელ ნამუშევრებში. ვიდრე ამას ზოგიერთი კრიტიკოსი ამჩნევს... ეს ნაკლი, ძირითადად, ეხება თანამედროვე ქართული რეპერტუარის ნაწლებობას“.

ამას გვეუბნება თვით „სამხატვრო საბჭო“. ის, როგორც ვხედავთ, მთლიანად და უშენიშვნოდ იზიარებს იმას, რაც ნ. გურაბანიძემ შავით თეთრზე დაწერა. მაშ პოლემიკა რაღად გამართა? გაზეთის მთელი გვერდი რისთვისღა მოაცდინა? ღირდა კი ასე ტყუილ-უბრალოდ ამდენი ქაღალდისა და მელნის დახარჯვა?

მაგრამ როდემდე ვიდავით!

ღრო უღმომღად მიდის. აი, გავიდა ორი წელი და რუსთაველის თეატრის დასს, რომელიც უადრესად ნიჭიერი მსახიობებისა და რეჟისორებისაგან არის შემდგარი, თუ არ გავიხსენებთ ახალგაზრდა რეჟისორის რ. სტურუას მიერ დადგმულ საინტერესო სპექტაკლს „სეილემის პროცესს“, დღემდე ისეთი არაფერი შეუქმნია, რაც თვალს თამამად გაუხსნობდა ამავე დასის ძველ — საუკეთესო ნამუშევრებს.

რას აკეთებს ჩვენი საყვარელი მსახიობი ეროსი მანჯგალაძე, რომლისგანაც ამდენი სიამოვნება ახსოვს ქართველ მაყურებელს? რა დამაფიჩყებს იმ დღეებს, თუ თავის უფროს კოლეგებთან, აკაკი ხორავასა და სერგო ზაქარაიძესთან ერთად, როგორ გვასახელა მან ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკლავზე მოსკოვში! მაყურებელს ენატრება მედეა ჩახავას გამოჩენა მისი ნიჭის შესაფერის მაღალმხატვრულ როლებში. რას ქმნიან საინტერესოსა და გულში ჩამწვდომს მაღლიერი მაყურებლის მიერ სამართლიანად დაფასებული, მაღალნიჭიერი მსახიობები: კ. მახარაძე, გურ. საღარაძე, ს. ყანჩელი, კ. საკანდელიძე, ლ. საყვარელიძე, მ. გეგეჭკორი, რ. ჩხიკვაძე, ზ. კვერცხნილაძე, ლ. ჩხეიძე, ჯ. ლანჩიძე, ლ. ჰვაჭავაძე, ბ. მირიანაშვილი. გ. გეგეჭკორი, ბ. კობახიძე? რად გაჩუმებულან ე. აფხაიძე, გ. საღარაძე, ბ. ზა-

ქარაიძე? რატომ ყველას, დიდსა და პატარას, პირზე არ აკერია ჩვენი საინტერესო მრავლისმთქმელი ახალგაზრდებს სხელები? რატომ მოგვანატრეს თავიანთი ახალი, აზრითა და ტემპერამენტით დამუხტული სპექტაკლები გამოჩენილმა რეჟისორებმა არჩილ ჩხარტიშვილმა და მიხეილ თუმანიშვილმა?

ნუთუ მათ მართლა გულწრფელად სჯერათ, რომ ვისმე მათი ჩაწიხლვა უნდა?

რუსთაველის სახელობის თეატრი, რომლის სათავესთან დიდი რეჟისორები და მამულიშვილები კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი დგანან, ქართველი ხალხის სისხლი სისხლთაგანია და ხორცი ხორცთაგანი.

ამ თეატრს ახლა ისინი წარმოადგენენ, ვინც ამჟამად იქ მუშაობს. მაშ რატომ და ვის უნდა აინტერესებდეს მისი ჩაწიხლვა და გაბიაბრუება. მხოლოდ „პასუხის“ ავტორებს, რომლებიც თავიანთ თავს „სამხატვრო საბჭოს“ უწოდებენ, კი ვერ მივიღებთ შემოქმედებით კრიზისში მყოფი თეატრის ნებისა და სურვილის გამომხატველად.

განა შეიძლება იმის დაჯერება, რომ „თეატრის პასუხში“ გამოთქმულ მოსაზრებებს უყოყმანოდ და უკრიტიკოდ იზიარებენ აკაკი ხორავა, სერგო ზაქარაიძე, ემანუილ აფხაიძე, გიორგი საღარაძე, დიმიტრი თავაძე და ფარნაოზ ლაბაშვილი, სამხატვრო საბჭოს წევრები, ვის მხრებზედაც შენდებოდა და კიდევაც აშენდა მონუმენტური შენობა რუსთაველთა გამრულ-რომანტიკული თეატრისა, ან ჩვენი ცნობილი მეცნიერი ვახტანგ ბერიძე, ნიკო ყიასაშვილი და გიორგი მარგველაშვილი? ეს რომ ასე ყოფილიყო, წერილს ხეირიანი ქართულითა და ლოგიკური თანმიმდევრობით ხომ მაინც დაწერდნენ!

ნუთუ ე. მანჯგალაძე, მ. ჩახავა, გ. გეგეჭკორი, კ. მახარაძე, ს. ყანჩელი, გ. ყორღანია, ბ. კობახიძე, რ. ჩხიკვაძე, ნ. ხატისკაცო, აგრეთვე წევრები სამხატვრო საბჭოსი ხელს მოაწერდნენ ამ ცინიკურ

სიტყვებს მათი მასწავლებლის მიმართ:
„არ იქნებოდა ურიგო მოკლედ მაინც გა-
ნესაზღვრა წერილის ავტორს მაინც რა-
ში მდგომარეობს ეს კურსი და, საერთოდ
დ. ალექსიძის შემოქმედების თავისე-
ბურება. რა შეადგენს იმ ინდივიდუა-
ლურს, რაც მან, როგორც ხელოვანმა, ს.
ახმეტელის მიერ შექმნილ მიმართულე-
ბას შეჰმატა ან განასხვავა მისგან!“ (?)
ვერ დავიჯერებთ!

აქ ხომ უდიერად არის გათელილი არა
მარტო ის, რაც დ. ალექსიძეს, როგორც
რეჟისორსა და პედაგოგს, გაუკეთებია,
არამედ აგრეთვე ისიც, რასაც წლების
განმავლობაში აკეთებდა რუსთაველის
თეატრი, რადგან ეს საქმე განუყრელად
დაკავშირებულია დ. ალექსიძის სახელ-
თან, ვინაიდან ის ამ დროს თეატრის სა-
მხატვრო ხელმძღვანელი იყო.

„თეატრის პასუხის“ პატივცემულ ავ-
ტორებს არ ეყოთ გამხედრობა თავიანთ

წერილისათვის საკუთარი ხელმოწერები
დავსვათ და რუსთაველის თეატრის სამ-
ხატვრო საბჭოს სახელსა და ავტორი-
ტეტს ამოეფარნენ.

სათქმელი კიდევ ბევრია, მაგრამ ღირს
კი ისედაც გაგარძელებული საუბრის გა-
გრძელება?

თეატრალებს და ხალხის სულიერი
ცხოვრების სხვა მოღვაწეებს, რომელ-
თაც ნამდვილად შესწევთ ნიჭი შემოქმე-
დებისა და თავიანთი საქმით მართლა სა-
მშობლოს ემსახურებიან და არა საკუ-
თარი გაზულუქებული თავმოყვარეობის
დაკმაყოფილებას, უნდა ახსოვდეთ: ჩვე-
ნი საზოგადოებრიობა არც მათ, ისევე
როგორც „სამხატვრო საბჭოს“ მიერ ექ-
სორიექმნილ დიმიტრი ალექსიძეს, და-
ტოვებს მარტო, უკეთუ, როგორც იტყ-
ვიან ზოლმე, ღმერთი გაწყრა და რაიმე
გაუჭირდათ.



უიწყასი

უიქრები ხეაგაღლა

ნონა გაფრინდაფვილი — მოსკოვი, 17 მაისი	8 გვ.
ნოდარ ფულიისპირი — „ღიდა ენა“	5 გვ.
ალექსანდრა ონიანი — გაღავნადოთ ქიმიის სახელმძღვანელოსაც	17 გვ.
გიორგი გიგაური — უშქი ღა ჩრდილი	24 გვ.

პროზა და პოეზია

მორის ფოცხიფვილი — ჩამო ლამაზო სიცოცხლევ (ლექსები)	26 გვ.
რეზო ვეიფვილი — ბოლო სიმალე. სტელას დაღუპვა (მოთხრობები)	30 გვ.
ჯანსუღ ჩარკვიანი — აფავიფვილი მფი (ლექსები)	39 გვ.
ვალერიან ჩაჭრიფვილი — ჩამქრალი მთვარე (მოთხრობა)	45 გვ.
ვლადიმერ იაკაფვილი — მხოლოდ ორი გაჯაფხული (რომანი. დასაწყისი)	48 გვ.

ახალი თარგმანები

ჰაინრიხ ზიოლი — მფნიანი ცხვარი (გერმანულიდან თარგმნა ნოდარ რუხაქემ)	80 გვ.
---	--------

ლიგარაგვრული ქრიფია

საქართველოს მწერალთა ყრილობის წინ

ივანე თარაბა — სიმფიფვი	87 გვ.
ვლადიმერ გელაფვილი — აღმავლობა	90 გვ.
ფრიდონ ხალვაში — ხვალისწილი ღღე	91 გვ.
ღავით კვიციანი — მოღინ ახალგაჯრად აფტორები	94 გვ.

კრსთაველის ნაქვალევა

ზალვა წუფვი — მთლიანი „ვეფხისტყაოსნის“ კრკლემი	97 გვ.
ვაჟა ზვანაძე — თარარისღრონიღელი საერო მფსიკა	108 გვ.
მურნალ „ცინკრის“ კონქრსი	118 გვ.

ხელოვნება

ალექსანდრა ანიკსტი — ორი ვარსკვლავი	119 გვ.
---	---------

ჩენი ახალგაჯრდობის მფგობრები

უჩა ჯაფარიძე — „ვეფხისტყაოსნის“ მიც ვასურათე	123 გვ.
1500 ნომერი	126 გვ.

მეცნიერება

ალექსანდრე გორბოვსკი — წარსულის საკვირველი სიზნალები (თარგმნა რევაზ თვარაძემ) 127 გვ.

სიმონ ჩიქოვანის ხსოვნას

ახალგაზრდობის მემოზარი 139 გვ.
გურამ ასათიანი — კოეტის ღიმილი 140 გვ.

„მისქრის“ ფოსვილან

აკაკი ხორავა — უფრნალ „მისქრის“ რედაქციას 142 გვ.
მმანუილ აფხაჩიძე — წმრილი რედაქციას 142 გვ.
რევაზ ჯაფარიძე — ღილი რბევა 143 გვ.



გარკეანი და ტიტული ელგუჯა ამაშუკელისა მურნალი გააფორმა თენგიზ ხაშინაძემ
ტექნიკური ხელმძღვანელი ს. გოდერძიშვილი

რედაქციის ფიგოსული მასალები, მრეულრით ერთ თაბასამდე, ავტორებს
არ დაუბრუნდება

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლუბანოვის პროსპ. № 91.

ბელუფონები: რედაქტორის — 5-08-85, კ/მ მღივის — 5-08-86, განუფილუეების:
პოეზიისა და პროზის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 5-08-85, კულტურისა და
ხელრენების 5-08-75

ბელმოწერილია დასაბეჭდლად 25/V-66 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით
ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 1329. უე 03057. ქალაღლის ზომა 70×108. ტირაჟი 11.000

საქ. კბ ცკ-ის გამომეცმლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლეხინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ფასი 60 კპპ.

667/42



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

Издательство
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

ИНДЕКС 76236